

0189 პაჰპაჰიშვილი

სოციალური თეორია

2008

## ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I.	რა არის სოციალური თეორია ? -----	3
თავი II.	სოციალური თეორიის სათავეებთან (პონტი, საესერი, მარქსი, ზოგვარი) -----	11
თავი III.	სოციალური თეორიის ძირითადი ცენტრები -----	22
თავი IV.	სუბიექტზე/აგენტზე ღრიელობის სისტემაზე სოციალური თეორიები (მას ვაგონის პრიციპული თეორია, ათლებითოდოლობა) -----	42
თავი V.	სტრუქტურაზე/სისტემაზე ღრიელობის სისტემაზე სოციალური თეორიები (ტალკოფ აარსონი, ნიკლას ლუმანი) -----	58
თავი VI.	აგენტსა და სტრუქტურას შორის გეზიაციაზე ღრიელობის სისტემაზე სოციალური თეორიები (ვ. გურიას სინთეზური თეორია და ე. გილერის “სტრუქტურაციის თეორია”) -----	66
თავი VII.	პოსტმოდერნული სოციალური თეორია -----	83

## თავი 1: რა არის სოციალური თეორია?

### §1. შესავალი: სოციალური თეორია როგორც მეცნიერება

მეცნიერებათა კლასიფიკაციის პირველი ნიმუში ანტიკურ საბერძნეთში, არისტოტელესთან გვხვდება. არისტოტელემ სხვა მეცნიერებათაგან გამოყო პოლიტიკის თეორია, რომელშიც გულისხმობდა სახელმწიფოსა და ადამიანის ქცევის შემსწავლელ დისციპლინას. მან ძირითადად გამოაცხადა ადამიანთა ურთიერთობების შემეცნება. ეს ურთიერთობები უმთავრესად ორი ფორმით ყალიბდება: ელემენტარულია ოჯახი და ოჯახის წევრთა ურთიერთობები, განმსაზღვრელი კი – სახელმწიფო და სახელმწიფოს შიდა ურთიერთობები. სოციალური სინამდვილე ურთიერთობათა ერთობლიობაა. ასე ჩაისახა ანტიკურ საბერძნეთში სოციალური სინამდვილის შემსწავლელი მეცნიერების ცნება.

მიუხედავად ამისა, მეცნამეტე საუკუნემდე არ მომხდარა სოციალურის შემმეცნებელ მეცნიერებათა გამოყოფა საერთოდ ცოდნისაგან. თუმცა, მეცნამეტე საუკუნეშიც კი, თვით ისეთ მოაზროვნესთან, როგორიცაა ოგიუსტ კონტი, რომელსაც მიეწერება ტერმინი “სოციოლოგიის” შემოტანა, სოციალური მეცნიერებები “მეცნიერულობის” სტატუსს მხოლოდ იმით იღებენ, რომ ემსგავსებიან ბუნების მეცნიერებებს და მათგან სესხულობენ კვლევის მეთოდებს. მართლაც, “მეცნიერება” (*‘science’*) დიდი ხნის განმავლობაში გაიგივებული იყო ბუნებისმეტყველებასთან. მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, თანამედროვე ევროპაში ისეთი მეცნიერებების გაჩენამ და არნახულმა განვითარებამ, როგორიცაა ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია, ბიოლოგია და სხვ. შექმნა ბუნებისმეცნიერული მიდგომის ეტალონი და ეს მიდგომა “მეცნიერულობის” ნიმუშად გამოცხადდა. მე-18 საუკუნის ბოლოს, როდესაც აღმოცენება დაიწყო ადამიანის და მისი სამყაროს შემსწავლელმა დისციპლინებმა (ეკონომიკა, ფილოლოგია, ლინგვისტიკა, ხელოვნების ისტორია და სხვ.), მათი მეცნიერულობა აღიარებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოახდენდნენ ბუნების მეცნიერები მეთოდების კოპირებას და იმიტირებას. როგორც აღინიშნა, ასეთი მოთხოვნა სოციოლოგიასაც წაუყენა მე-19 საუკუნეში ო. კონტმა, რომელმაც ახლად გაჩენილი დისციპლინა “პოზიტივისტურ” (ან პოზიტიურ) მეცნიერებად” მონათლა, რითაც სათავე დაუდო პოზიტივიზმის გაჩენას სოციალურ მეცნიერებებში. კონტის, ანუ პოზიტივისტური მიდგომის თანახმად, სოციოლოგიამ თავისი კვლევის ძირითადი მეთოდები – დაკვირვება და ექსპერიმენტი – უნდა აიღოს ფიზიკიდან, რათა გაამართლოს მისი, როგორც მეცნიერების, სტატუსი<sup>1</sup>.

მაშასადამე, პოზიტივისტური ტრადიციის ამოსავალი პრინციპია თვალსაზრისი, რომ საზოგადოება და ადამიანის ქცევა უნდა შეისწავლებოდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდებით. სოციოლოგებმა უნდა მისდიონ ბუნებისმეტყველებს და მოიპოვონ მათსავით ზუსტი თეორიული ცოდნა. არ არსებობს არავითარი დუალიზმი, სოციალურ მეცნიერებათა მიზნები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ანალოგიურია: სოციალური ფენომენის ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა; სოციალური მოვლენის ახსნა და ობიექტურობის მიღწევა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც კვლევის პროცესში მმოვლენის მიმართ მკვლევრის “ინდიფერენტულობა”. ამგვარი კვლევა იძლევა ადამიანური ქცევის “ჭეშმარიტ”, ზუსტ და გაფართოებულ “კანონებს”.

<sup>1</sup> ო. კონტის შეხედულებები უფრო დაწვრილებით იქნება განხილული მე-2 თავში.

პოზიტივისტური პარადიგმის ფარგლებში შესაძლებლად მიიჩნევა ინდივიდუალურ ქცევებზე დაკვირვების შედეგები გავრცელდეს მთელ მოსახლეობაზე. პოზიტივისტები იზიარებენ პრინციპს, რომ სოციალური და ბუნებრივი სამყაროები ემორჩილება დადგენილ და უაღტერნატივო კანონებს მიზეზობრიობის უსასრულო ჯაჭვში. მეცნიერული კალევის ძირითადი მიზანია ამ კაუზალური კანონების დადგენა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, აგხსნათ და ვიწინასწარმეტყველოთ სპეციფიკური ფენომენები. ამგვარი მიდგომის ფარგლებში, სოციალური ოეორია წარმოგვიდგება როგორც ემპირიულად დასაბუთებული დებულებების დედუქციური, აქსიომატურად სტრუქტურირებული სისტემა, რომელსაც შეუძლია გაზომოს “სოციალური ფაქტები”. ეს პოზიცია თავის უკიდურეს გამოხატულებას შემდეგ მსჯელობაში პოულობს:

“როდესაც შეგიძლია გაზომო ის, რის შესახებაც ლაპარაკობ და გამოხატო ეს რიცხვებში, მაშინ შენ მართლა მოგიპოვებია ცოდნა; მაგრამ როდესაც არ შეგიძლია გაზომო და გამოხატო იგი რიცხვებში, შენი ცოდნა მწირია და არადამატყოფილებელი”<sup>2</sup>.

პოზიტივისტური მიდგომის ერთ-ერთ უკელაზე გავლენიან მხარდაჭერად გვევლინება ემილ დიურექტო, რომელიც ამტკიცებდა, რომ სოციოლოგია საბუნებისმეტყველო მეცნიერებას უნდა დაექმნოს, რომელიც რაოდენობრივ მეთოდებს გამოიყენებს ცვლადებს შორის მიზეზობრივი კავშირების დასამყარებლად. შრომაში “სოციოლოგიური მეთოდის წესები” დიურექტო ამტკიცებს, რომ სოციალური მეცნიერების წარმომადგენელმა იმავე წესით უნდა შეისწავლონ სოციალური ფენომენები, როგორც ფიზიოსმა, ქიმიკოსმა ან ფიზიოლოგმა. თავის ძირითად შრომაში (“თვითგენელურობა”) დიურექტო სწორედ სოციალურ უნივერსიტეტებს შორის მიზეზობრივი კავშირების მოქმედნას განიხრავავს: იგი ადარებს თვითგენელურობის სიხშირის ოფიციალურ სტატისტიკას სხვადასხვა კვრობულ სახელმწიფოებში და არკვევს ამ მონაცემების მიმართებას სხვა ცვლადებთან, როგორიცაა აღმსარებლობა (რელიგიური კუთვნილება), სქესი, ოჯახის სტრუქტურა და სხვ. ამ მიმართებებიდან, დიურექტოს აზრით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კანონების მსგავსად, გამოიყვანება მიზეზობრივი კანონები, რომელებიც ხსნიან, თუ რატომ სხადიან სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები თვითგენელურობას.

პოზიტივისტური მიდგომა უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დაექვემდებარა მძაფრ კრიტიკას გერმანელი მეცნიერის, ჰერმენევტიკის ფუძემდებლის, კილპულმ დილთაის (1883-1911) მიერ. დილთაიმ მკვეთრად გამიჯნა თრი სინამდვილე – ბუნება და გონი და, შესაბამისად, ბუნების მეცნიერებებისგან გამოყო გონის მეცნიერებანი. ამ უკანასკნელს საკუთარი, ბუნების აღწერისა და ახსნისაგან განსხვავებული მეთოდი აქვს – გაგების სახით. მეოცე საუკუნის დასაწყისში კინდელბანდმა და რიკერტმა გონის მეცნიერებათა ცნება შეცვალეს კულტურის მეცნიერებათა ცნებით და ბუნებისა და კულტურის მეცნიერებანი ერთმანეთს დაუპირისპირებს. მაქს ვებერმა გააიგივა კულტურისა და სოციალურ მეცნიერებათა ცნებები და მათი თავისებურების ახსნაში დილთაის ხაზი გააგრძელა.

ასე გაჩნდა სოციალურ ოეორიაში (ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში) დისორტომიური ნაკადი, რომლის საპირისპირო პოლუსებს სხვადასხვანაირად აღნიშნავენ: პოზიტივისტური და ინტერპრეტაციული; მეცნიერული და ჰუმანისტური; ნატურალისტური და ჰერმენევტიკული; ახსნითი და გაგებითი და სხვ.

რა არგუმენტები აქვს “ჰუმანისტებს” პოზიტივიზმის საპირისპიროდ? ანგიპოზიტივისტები ამტკიცებენ, რომ “მიზეზობრივი კანონის” პარადიგმის გამოყენება სოციალურ მეცნიერებებში ძალზე პრობლემატურია. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვთ: (1) სოციალურ მეცნიერებებში რთულია მიღწეულიერებების იქნებს ის ობიექტურობა და თანამიმდევრულობა, რაც აუცილებელია

<sup>2</sup> Siedman, E. (1977): “Why not qualitative analysis”, *Public Management Forum*, July/August, p. 415.

კლასიფიკაციის სისტემების განვითარებისათვის. სოციალურ სივრცეში გადაწყვეტილების მიღების პროცედურები “დატვირთულია” აქტორის იმპლიციტური სადი აზრის მოსაზრებებით, ხოლო კვლევა – დამკვირვებლის პირადი მოსაზრებებით ყოველდღიურ ცხოვრებაზე; (2) თეორიული ცნებები არასაკმარისად ზუსტია, რაც ზღუდავს მათ წარმატებულ გაზომვას; (3) გაზომვისათვის აუცილებელმა ფორმალიზაციამ და სიმარტივებმ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური ფენომენების ფუნდამენტური სირთულის იგნორირება; (4) აქსიომატური მსჯელობების ფორმულირება სოციალურ მეცნიერებებში რთულდება, გინაიდან სოციალურის შესახებ ცოდნა მუდმივად მოითხოვს მიმართვას ემპირიისადმი (სოციალური და კულტურული კონტექსტისადმი). ამდენად, თეორიის ენიდან მონაცემების ენაზე გადასვლა აუცილებელია. აქედან გამომდინარე, “მიზეზობრივი კანონების” პარადიგმა ნაკლებად იდენტიფიცირებადია და არ ჩაითვლება სოციალური პროცესის მახასიათებლად<sup>3</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰუმანისტური მიდგომის მომხრეები ამტკიცებენ, რომ სოციალური მეცნიერებების საგანი ძირებულია განსხვავდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან. კულტურის (სოციალური) მეცნიერებები სწავლობენ ადამიანის სოციალურ ქცევაში და სოციალურ ინსტიტუტებში რეალიზებულ მნიშვნელობებს, ღირებულებებს, განზრახვებს, ატიტუდებს და იდეებს. ამ უკანასკნელთ ყოველთვის ატყვია კულტურული და ისტორიული კონტექსტის კვალი. ამდენად, მათი შეფასება შეუძლებელია ერთი ზოგადი მიზეზ-შედეგობრივი პრინციპის საფუძველზე. სოციალური არსებები არ არიან “ჭანჭიკები”, რომლებიც მოქმედებენ რადაც ზეადამიანური (“ობიექტური”) ძალების გავლენით. ისინი მიზანმიმართული, მგრძნობიარე, “მნიშვნელობების გელში” მყოფი არსებებია. აქედან გამომდინარე, ადამიანის ქცევის გასაგებად აუცილებელია მოვლენების შესახებ აქტორების წარმოდგენების გამომზეურება და იმის დადგენა, თუ როგორ ეხმიანება ეს წარმოდგენები მათ ქცევებს. ინტერაქციაში მყოფ ინდივიდთა ქცევების მნიშვნელობების წვდომისათვის, აუცილებელია იმ სოციალური კონტექსტის გაგება, რომელ შიც ეს ინტერაქციები მიმდინარეობს. ბუნებრივი სამყაროსაგან განსხვავებით, სოციალური სამყაროს ადეკვატური აღწერა მკვლევრისაგან მოითხოვს შესასწავლ ობიექტში “შეღწევას” ისე, რომ ადიქვას და გაიგოს იგი როგორც საკუთარი შინაარსი. ამას ის ფაქტი აადგილებს, რომ მკვლევარი თავად არის სოციალური არსება და იზიარებს თუნდაც ზოგიერთ სოციალურ საზრისს (მნიშვნელობას), რასაც სწავლობს. მკვლევარს უშუალოდ უხდება გამოცადოს ანალოგიური მოტივები, რეაქციები, ემოციები და განცდები. სწორედ ასეთი ემპათიის მეშვეობითაა შესაძლებელი გაგების უზრუნველყოფა და წვდომის იმგვარი ხარისხის მიღწევა, რასაც ვებურმა უწოდა “Verstehen”<sup>4</sup>.

ჰუმანისტურ მიდგომის თანახმად, ადამიანის ქცევის წვდომა მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ მკვლევარს და კვლევის საგანს აქვთ საზიარო ადამიანურობა (ანუ, არსებითად, ერთი რიგის ფენომენებია). თუმცა, ისიც ცხადია, რომ რამდენადაც მსგავსი წვდომა ან ცოდნა მიიღწევა სუბიექტურად, შეუძლებელია მიღწეულ იქნეს ის ობიექტურობა, რასაც სოციალური მეცნიერების პოზიტივისტური მოდელი მოითხოვს. ჰუმანისტურ თვალსაზრისს, რომ მკვლევარი მოზიარეა იმ სოციალური პროცესის, რომელსაც იკვლევს, საბოლოოდ ცოდნის რელატივისტურ ინტერპრეტაციამდე მივყავართ. მკვლევარი,

<sup>3</sup>პოზიტივიზმის კრიტიკასთან დაკავშირებით იხ. მაგალითად: Blumer, H. (1969): *Symbolic interactionism: perspective and method*, Englewood Cliffs, Prentice-Hall; pp. 29-33.

<sup>4</sup> მაქს ვებერის თვალსაზრისის შესახებ უფრო დაწვრილებით საუბარი იქნება მე-4 თავში.

იმათ მსგავსად, ვისაც იგი სწავლობს, ჩართულია სოციალური სამყაროსათვის მნიშვნელობის მიცემის პროცესში და თავადაც ქმნის სოციალური სამყაროს გერსიებს. ამდენად, არ შეიძლება არსებობდეს სოციალურის შესახებ ცოდნის რაიმეგვარი აბსოლუტური ობიექტურობა, არამედ არსებობს მხოლოდ ინტერპრეტაციათა გალიდურობა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ერთნაირ მნიშვნელობათა სისიტემას და მეთოდოლოგიას მიყვებიან.

სოციალურ თეორიაში არსებობს მიღვომები, რომლებიც ცდილობენ პოზიტივისტური და პუმანისტური, ანუ ახსნის და გაგების პარადიგმების მორიგებას. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მაქს ვებერის თვალსაზრისი. ვებერი, პირველ რიგში, ხახს უსგამს ინდივიდუალური მოტივებისა და სუბიექტური საზრისების მნიშვნელოვნებას და მათი გაგების შესაძლებლობას მკვლევრის საკუთარი სუბიექტურობიდან გამომდინარე. თუმცა, ვებერი მოითხოვს, აგროტევ, სოციალური მოქმედების მიზეზობრივი ახსნის ადეკვატურობის აღიარებას. იგი ფიქრობს, რომ სუბიექტური მნიშვნელობის და მიზეზობრიობის დონეები კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს. ამას ორგვარი აზრი აქვს: ა) ახსნა გაგებისაგან დამოუკიდებლად არ მიიღწევა; ბ) სუბიექტური წესით, ანუ გაგების საფუძველზე მიღვებული ცოდნა გამოიყენება სოციალური მოქმედების თეორიული მოდელების (“იდეალური ტიპების”) ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც, თავის მხრივ, გამოიყენება მოქმედების რეალური კურსის ანალიზისთვის (ახსნისთვის), ამ უკანასკნელის თეორიულ მოდელთან შედარების გზით.

## §2. სოციალური თუ სოციოლოგიური თეორია?

ბევრ სოციოლოგთან (შესაბამისად, ბევრ სამეცნიერო ლიტერატურაში) “სოციალური თეორია” და “სოციოლოგიური თეორია” იდენტური მნიშვნელობით მოიხმარება.<sup>5</sup> შესაბამისად, სფერო, რომელსაც სოციალური თეორია შემოხაზავს, ამავე დროს, სოციოლოგიური თეორიის შესწავლის სფეროცაა. ეს სფერო ასეა დახასიათებული, მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე ბრიტანულ სახელმძღვანელოში:

“სოციალური თეორია შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალური ცხოვრების შესახებ აზროვნების მეცნიერული გზების შესწავლა. ის მოიცავს დღეებს საზოგადოებების ცვალებადობისა და განვითარების შესახებ, სოციალური ქცევის ახსნის მეთოდების შესახებ, ისეთი ცნებების შესახებ, როგორიცაა ძალაუფლება და სოციალური სტრუქტურა, კლასი, გენდერი და ეთნიკურობა, მოდერნულობა და “ცივილიზაცია”, რევოლუცია და უტოპია და უამრავ სხვა, სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ, ცნებას და პრობლემას”<sup>6</sup>.

ეს განსაზღვრება ნათელყოფს, რომ სოციალური თეორია სოციალურ სინამდვილეზე თეორიული რეფლექსია. თუმცა, ცხადია, სოციალურ სინამდვილეზე ყველა თეორიული რეფლექსია არ შეიძლება სოციალური თეორია იყოს (ასეთ შემთხვევაში სოციალური თეორია მხოლოდ ზოგადი “იარლიფის” როლში გამოდის ნებისმიერი კონკრეტული სოციალური დისციპლინისათვის). სოციალურ თეორიას ბევრი სპეციფიკა აქვს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი, რომელიც სოციალურ თეორიას სოციალური ფილოსოფიისაგან განასხვავებს (ეს განსხვავება დღემდე მძაფრი დისკუსიების საგნად რჩება): სოციალური თეორია ისეთი თეორიული რეფლექსიაა, რომელსაც მუდმივად მოეთხოვება ემპირიასთან კავშირი. ამას

<sup>5</sup> ამ ნაშრომშიც ეს ორი ტერმინი იდენტური მნიშვნელობითაა გამოყენებული.

<sup>6</sup> Harrington, Austin (2005): Introduction. What is Social Theory? In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 1.

კარგად აცნობიერებდნენ თვით ისეთი სოციოლოგებიც კი, რომელთა ნაზრევი აბსტრაქტულობისა და სპეციულატურობის მაღალი დონით გამოირჩევა. ამის მაგალითად ტ. პარსონსის „გრანდ თეორიის“ დასახელებაც იკმარებდა. პარსონსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციოლოგს შეუძლია ააგოს აბსტრაქტული კონცეპტუალური სქემები, მაგრამ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებენ ლეგიტიმაციას, თუ შესაძლებელია მათი ემპირიული გამოყენება<sup>7</sup>. ემპირიული დადასტურების მოთხოვნა ის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რაც სოციალურ თეორიას სოციალური ფილოსოფიისაგან განასხვავებს. ამ უკანასკნელს არ მოეთხოვება, რომ მისი დებულებების საფუძვლიანობა ემპირიულად, ცდაში შემოწმდეს.

სოციალური თეორიები ემპირიისაგან შეიძლება სხვადასხვა ხარისხით იყვნენ დისტანციებულნი. შესაბამისად, გამოყოფენ სოციალური თეორიების ორ დონეს: ა) აბსტრაქტულს (სპეციულატურს) და 2. ე.წ. „საშუალო რანგის“<sup>8</sup> თეორიებს. აბსტრაქტული დონე ისეთ კონცეპტუალურ სქემებს აგებს სოციალური სინამდვილის შესახებ, რომელთაც არ მოეძებნებათ უშუალო ინდიკატორები ემპირიული გერიფიკაციისათვის. ასეთი მიდგომით, როგორც წესი, გამოირჩევიან ადრეული ფუნქციონალისტები (რადკლიფ-ბრაუნი, მალინოვსკი და, განსაკუთრებით, პარსონსი). ისინი ლაპარაკობენ სოციალური ცხოვრებისა და საზოგადების ზოგად-სისტემურ, „სოციეტალურ“ თვისებებზე, რომელთა პირდაპირი ემპირიული შემოწმება შეუძლებელია. რაც შეეხება „საშუალო რანგის“ თეორიებს, მათ უშუალო „მისასვლელი“ აქვთ რეალობასთან, ანუ მათ დებულებებს შეიძლება მოეძებნოთ ვალიდურობის ემპირიული მაჩვენებლები. ეს თეორიები საშუალო პოზიციას იკავებენ წმინდა ემპირიულ (არათეორიულ) კვლევასა და აბსტრაქტულ კვლევას შორის. საშუალო რანგს განეკუთვნებიან ამა თუ იმ ემპირიული პრობლემის (დანაშაული, ქორწინება, ძალაუფლება, ეთნიკური ურთიერთობები და ა.შ.) ანალიზზე აგებული თეორიები, რომლებიც, როგორც წესი, დარგობრივ სოციოლოგიებად ყალიბდება (დანაშაულის, ოჯახის, პოლიტიკის, კულტურის და ა.შ. სოციოლოგიები). აბსტრაქტულ სოციალურ თეორიებს ემპირიასთან მისასვლელი მხოლოდ „საშუალო რანგის“ თეორიებზე „გავლით“ აქვთ, ანუ შესაძლებელია, მათი დებულებების „თარგმნა“ ცდასთან მოსაზღვრე ტერმინებში. როგორც ითქვა, მხოლოდ ასეთი შესაძლებლობა ხდის სპეციულატურ თეორიებს სოციალური თეორიის ლეგიტიმურ ნაწილად.

\* \* \*

არსებობს სოციალურ და სოციოლოგიურ თეორიას შორის დიფერენცირების მცდელობებიც. ამ განსხვავების ყველაზე ტრივიალური ინტერპრეტაცია ისაა, როდესაც სოციალურ თეორიას განიხილავენ როგორც კრებით კონცეპტს ყველა იმ თეორიული მიდგომის აღსანიშნავად, რომლებსაც სოციალური მეცნიერებები და, მათ შორის, სოციოლოგია გამოიმუშავებს. ამ შემთხვევაში, „სოციალურ თეორია“ მხოლოდ სახელია, რომელსაც თავისი კვლევის საგანი კი არა აქვს, არამედ უბრალოდ ამა თუ იმ სოციალური მეცნიერების თეორიული მიდგომების „თავშესაფარია“.

თუმცა, არსებობს თვალსაზრისები, რომლებიც სოციალურ და სოციოლოგიურ თეორიას შორის განსხვავების შინაარსობრივ (საგნობრივ) ინდიკატორებზე მიუთითებს და ამ ორ ცნებას შორის პრინციპულ ზღვარს ავლებს. ერთ-ერთი

<sup>7</sup> Парсонс, Т., *Система Координат Действия и Общая Теория Систем Действия: Культура, Личность И Место Социальных Систем*. В книге: Американская Социологическая Мысль. Москва, 1996; стр. 462.

<sup>8</sup> ტერმინის – „საშუალო რანგის“ თეორიები – დამკიდრება დაკავშირებულია თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგის რობერტ მერტონის (1910-2003) სახელთან.

ყველაზე სერიოზული მცდელობა ამ მიმართულებით ეპუთვნის თანამედროვე ბრიტანელ სოციოლოგს ნიკოლას მუზ ბელის (Nicolas Mouzelis). ქვემოთ სწორედ მისი თვალსაზრისია გადმოცემული<sup>9</sup>.

**სოციოლოგიური** თეორია, მოუზელისის თანახმად, აღნიშნავს იმგვარ ანალიტიკურ მოდგაწეობას, რომელიც მისდევს ანალიზის სპეციფიკურ ლოგიკას და გამოყოფს სოციოლოგიას, ვთქვათ, სოციალური ფილოსოფიისაგან და სხვა მოსაზღვრე დისციპლინებისაგან. რაც შეეხბა **სოციალურ** თეორიას, იგი არღვევს ასეთ სპეციფიკურ ლოგიკას და ყურადღება გადააქვს ფილოსოფიურ საკითხებსა და თეორიულ მიღწევებზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა ლინგვისტიკა, სემიოტიკა, ფსიქოანალიზი და ა.შ. მაშასადამე, სოციალური თეორია არ ცნობს ინტერდისციპლინურ საზღვრებს და მყარ ბარიერებს. სოციალური თეორია არ ცდილობს, რომ ფილოსოფიიდან და სხვა მეცნიერებებიდან წამოსული მიგნებები თარგმნოს საკუთრივ სოციოლოგიური თეორიის “ენაზე”. იგი საზოგადოების შესწავლის რედუცირებას ახდენს ისეთ ფენომენებზე როგორიცაა ენა, ნიშნები, ტექსტები, არაცნობიერი და ა.შ.

მაშასადამე, მოუზელისი სოციოლოგიურ თეორიასა და სოციალურ თეორიას შორის საგნობრივ განსხვავებას ატარებს. კიდევ მეტი: ის თვლის, რომ სოციალური თეორია სოციოლოგიური თეორიის კრიზისის პროდუქტია, როგორც მისი უარყოფა.

როგორ მოხდა სოციოლოგიური თეორიის ნეგატიური განვითარება სოციალურ თეორიად?

მოუზელისი ემხრობა თვალსაზრისის, რომელიც საკუთრივ სოციოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებას პარსონსს უკავშირებს. პარსონსის თეორიას სინთეზურად მიიჩნევენ იმ თვალსაზრისით, რომ იგი ანალიზის ორივე – მიკრო (“ერთეული აქტი”) და მაკრო (სოციალური და კულტურული სისტემები) – დონეს მოიცავს. პარსონსი ცდილობს ჩამოყალიბოს კონცეპტუალური პარადიგმები, ე.წ. “მეორე რიგის” აბსტრაქციები, რომლებიც სოციალურ სტრუქტურათა და აქტორთა ემპირიული კვლევისათვის მოამზადებს ნიადაგს. თუმცა, პარსონსი მაინც ვერ აცდა საყვედურს, რომ იგი ყოველგვარი ემპირიული კვლევის მიმართ ანგარისტურადაა განწყობილი. საბოლოო ჯამში, პარსონსი მარცხს განიცდის მიკრო მოქმედების დონეზე ინტერაქციის ანალიზისას. მისი თეორია მოძრაობს “ერთეული აქტის” ანალიზიდან სოციალურ სისტემათა სპეციალირებისაკენ. სოციალური მოქმედება და, საერთოდ, პიროვნული სისტემა მთლიანად მართული ხდება სოციალური და კულტურული სისტემების მიერ: კულტურული სისტემის შემადგენელი დირებულებები ინსტიტუციონალიზდება სოციალურ ნორმებში და როლურ მოლოდინებში, ხოლო, ეს უკანასკნელი ინტერნალიზდება ინდივიდის მოთხოვნილებებში. ამოსავალი ხდება ანალიზის მაკრო სოციეტალური დონე, რომელშიც აგენტი და მისი თავისუფლება საერთოდ უჩინარდება<sup>10</sup>.

როგორც მოუზელისი სამართლიანად აღნიშნავს, პოსტპარსონსისეული სოციოლოგიური თეორია სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა:

<sup>9</sup> Mouzelis, Nicolas, *The Poverty of Sociological Theory*. Sociology Vol. 27, #4, November 1993; pp. 676-695.

<sup>10</sup> ტალკოტ პარსონსის თეორია უფრო დაწვრილებით გადმოცემული იქნება მე-5 თავში.

1. პირველია ის, რომელმაც გააგრძელა პარსონსისეული ტრადიცია და სოციალური პროცესების ახსნა მოახდინა ულტრა-სისტემურ და რეიფიკაციულ<sup>11</sup> მახასიათებლებზე დაყრდნობით. ეს მიმართულება ჩამოყალიბდა სტრუქტურული ფუნქციონალიზმის სახით.

2. პარსონსის ფუნქციონალიზმზე საპირისპირო რეაქციაა ე.წ. ინტერპრეტაციული სოციოლოგია, რომელიც მთლიანად ფოკუსირდება მიკრო აქტორებზე. ეს რეაქცია სხვადასხვა მიზეზმა გამოიწვია: ა) ერთია რეიფიკაციის უკიდურესი საშიშროება: კოლექტიური სოციალური ფორმებისათვის ისეთი მახასიათებლების მიწერა როგორიცაა მიზნების ქონა, გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ. სრულიად გაუმართლებელია, რადგან ისინი დამახასიათებელია მხოლოდ ინდივიდუალური აქტორებისათვის; ბ) მიკრო სოციოლოგია მიმართავს “ჩვეულებრივ” ადამიანებს, “ყოველდღიურ ამბებს” და ყურადღების მიღმა ტრვებს “კოლექტიურ”, “მეგა” აქტორებს. ეს უკანასკნელი ის აქტორებია, რომლებიც აკონტროლებენ მნიშვნელოვან რესურსებს და რომელთა გადაწყვეტილებები ფართოდაა გაშლილი დროსა და სივრცეში; მიკრო სოციოლოგია ამტკიცებს, რომ აქტორები და პირისპირ ურთიერთობები მიეკუთვნება მიკრო, ხოლო ინსტიტუციური სტრუქტურები – მაკრო დონეს და პირველის მნიშვნელობა არ განიხილება მხოლოდ მისი წვლილით მეორის უზრუნველყოფაში.

არსებობდა მცდელობები, რომ ერთმანეთთან მოერიგებინათ მიკრო და მაკრო მიდგომები, ანუ გადაელასათ დუალიზმი ავენტსა და სტრუქტურას შორის. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მცდელობა ამ მიმართულებით ეკუთვნის ე. გიდენსს, მის “სტრუქტურაციის თეორიას”. თუმცა, ეფუძნება რა სტრუქტურის დუალურობის ცნებას, გიდენსი უძლურია ახსნას ის შემთხვევები, როდესაც აქტორები სტრუქტურებს (ფ.ი. გიდენსის თანახმად, მოქმედების წესებსა და რესურსებს) თავისთავად ნაგულისხმევი გზით კი არ იყენებენ – არამედ სტრატეგიულ დისტანციას ინარჩუნებენ მათგან იმისათვის, რათა მოახდინონ მათი გაგება, ან შეაფასონ მათი შენარჩუნება/ტრანსფორმაციის შანხები. ასეთ შემთხვევებში, მოუზელისის აზრით, შესაძლოა, უფრო მეტადაც გახდეს საჭირო სუბიექტ/ობიექტის დუალიზმის, ვიდრე დუალურობის ცნება, ვინაიდან მხოლოდ დუალიზმის ცნების საფუძველზე გახდეს შესაძლებელი იმის ახსნა, თუ რატომაა, რომ აქტორები არა უბრალოდ ახდენენ წესებისა და რესურსების კვლავწარმოებას, არამედ, აგრეთვე, შეუძლიათ მათი რადიკალური ტრანსფორმირება. გამომდინარე აქვდან, გიდენსის მიერ ფუნქციონალური ახსნის უარყოფას მოუზელისი მხოლოდ განუხორციელებელ თეორიულ ამოცანად მიიჩნევს.<sup>12</sup>.

3. პარსონსის ფუნქციონალიზმზე სხვა ძირითადი რეაქცია გულისხმობს, აგრეთვე, სოციალური ფუნქციის მიმართ პოსტსტრუქტურალისტურ და პოსტმოდერნულ მიდგომებს. მოუზელისი სამართლიანად აღნიშნავს, რომ პოსტმოდერნისტი სოციოლოგები უარყოფენ არა მხოლოდ პარსონსის მიერ სისტემისა და მოქმედების კონცეპტუალიზაციას, არამედ, აგრეთვე, პარსონსის მცდელობას, დააფუძნოს სოციოლოგიური თეორია როგორც სოციალური თეორიის სპეციალური ქვედისციპლინა. მაშასადამე, მოუზელისის თანახმად, პოსტმოდერნული მიმართულება ჩნდება მაშინ, როდესაც პოსტპარსონსისეული

<sup>11</sup>“რეიფიკაცია” ეტიმოლოგიურად აღნიშნავს “გასაგნებას” (“განივთებას”); მისი შემოტანა დაკავშირებულია მარქსისტების, კერძოდ, ლუქარის სახელთან. რეიფიკაცია გულისხმობს აბსტრაქტული ცნების განხილვას, თითქოს მას პქონდეს რეალური (კონკრეტული) არსებობა. როგორც წესი, რეიფიკაციას აქვს უარყოფითი დატვირთვა, რადგან ითვლება, რომ ცნების რეალურად მიწნევა არალეგიტიმური და მცდარია. რეიფიკაცია ხშირად უკავშირდება საზოგადოების შესახებ ფუნქციონალური ცნებების კრიტიკას, რამდენადაც ფუნქციონალისტები ამტკიცებენ, რომ საზოგადოება არსებობს “იმის იქით”, რასაც მისი შემადგენელი ინდივიდების ჯამი გულისხმობს.

<sup>12</sup> ენტონი გიდენსის “სტრუქტურაციის თეორია” უფრო დაწვრილებით განხილული იქნება მე - VI თავში.

სოციოლოგიური თეორია ვერ აღწევს წარმატებას პარსონსისეული პარადიგმის ძირითადი სისუსტეების დაძლევასა და მიკრო და მაკრო მიდგომებს შორის ეფექტური კავშირების შექმნაში. ამ მარცხმა სოციოლოგიურ თეორიაში შექმნა სიცარიელე, რომლის ნაწილიც შეივსო ფილოსოფიური საკითხებისადმი და თეორიული მიღწევებისადმი დაინტერესებით ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა ლინგვისტიკა და ფსიქოანალიზი. ასეთი რეაქცია სოციოლოგიურ თეორიაზე გაცილებით რადიკალურია, რამდენადაც უარყოფს არა მხოლოდ ისეთ განსხვავებებს, როგორიცაა მოქმედება/სტრუქტურა ან მიკრო/მაკრო, არამედ უვალა კონვენციურ საზღვარს სოციალურ მეცნიერებათა დისციპლინებსა და ქვედისციპლინებს შორის. თუ სოციოლოგიური თეორიის როგორც სპეციალური ქვედისციპლინის წარმოშობა მიუთითებს სოციალური ცოდნის დონეზე არსებულ დიფერენციაციის პროცესს, ახალი პოსტმოდერნული ტენდენციები აღნიშნავს დედიფერენციაციის პროცესს – მიზანმიმართულ მცდელობას, რომ შესუსტდეს ან გაქრეს დადგენილი საზღვრები ფილოსოფიას, ლინგვისტიკას, ფსიქოანალიზა და ქვედისციპლინებს შორის.

მაშასადამე, მოდერნიზმის საპირისპიროდ, პოსტმოდერნიზმი აქცენტს სვამს ინტელექტუალურ დედიფერენციაციაზე, რაც მოასწავებს ტრადიციული საზღვრების გაუქმებას სოციალური მეცნიერებების შიგნით, ისევე როგორც სოციალურ მეცნიერებებსა და ფილოსოფიას, ლიტერატურას, ფსიქოანალიზს და ა.შ. შორის. ამ თვალსაზრისით, პოსტმოდერნული სოციალური თეორია, მოუზედისის თანახმად, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადადის. ის, უბრალოდ, ცვლის სოციალურ მეცნიერებათა შორის კომუნიკაციის დეფიციტით გამოწვეულ არასასურველ სიტუაციას ტოლდალოვნად არასასურველი ვითარებით, როდესაც სრულიად იგნორირებულია თითოეული დისციპლინის შინაგანი ლოგიკა.<sup>13</sup> მოუზედისის მიხედვით, გამოსავალი უნდა ვეძებოთ არა დისციპლინებს შორის “შრომის განაწილების” არაგონივრული უარყოფით, არამედ განსხვავებულ დისციპლინებს შორის “ხიდების” აგებით, რაც გულისხმობს თეორიული დისკურსის შექმნას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ერთი დისციპლინის “ენა” გვეთარგმნა სხვა დისციპლინის “ენაზე”. ასეთი ინტერდისციპლინარული კომუნიკაცია გაადვილებდა სოციალურ დისციპლინებს შორის ინტეგრაციას და შესაძლებელს გახდიდა იმ მიგნებების ეფექტურად გამოყენებას, რომლებიც მიღწეულ იქნა ფილოსოფიაში, ფსიქოანალიზში ან სემიოტიკაში.

### **§3. სოციალური თეორიის განვითარების ეტაპები**

სოციალური თეორიის განვითარების ეტაპების რამდენიმე სქემა არსებობს: ზოგიერთის აზრით, სოციალური თეორიის საწყისი ანტიკურობაშია პლატონთან და არისტოტელესთან. ზოგი მოაზროვნე სოციალური თეორიის პიონერად მაკიაველს მიიჩნევს, ზოგი საერთოდ უარყოფს მაკიაველთან სოციალური თეორიის არსებობას და საწყისად სენ სიმონსა და კონტა მიიჩნევს.

ერთ-ერთ ყველაზე გაზიარებულად ითვლება სოციალური თეორიის განვითარების აღვიზ ბოსკოვისეული სქემა, რომლის მიხედვითაც განვითარების პირველი საფეხურია საზოგადოებრივი აზრი, მეორე – სოციალური

<sup>13</sup> პოსტმოდერნული სოციალური თეორია უფრო დაწვრილებით განხილული იქნება მე-7 თავში.

ფილოსოფია, მესამე – პროტოსოციოლოგია და მეოთხე – საკუთრივ სოციალური თეორია. მაშადამე, სოციალური თეორიის განვითარება არის განვითარება **საზოგადოებრივი აზრიდან სოციოლოგიურ თეორიამდე**<sup>14</sup>. შედარებით დაწვრილებით შევჩერდეთ აღნიშნულ სქემაზე:

ა. ბოსკოვის აზრით, ის, რასაც ჩვენ ახლა სოციოლოგიას ვუწოდებთ, განვითარდა საქმაოდ გვიან. საზოგადოების ისტორიის შესახებ არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, რომ ადამიანებს ყოველთვის აწუხებდათ ერთობლივი ცხოვრებისა და შრომის პრობლემები. ზოგადი აზრით, კულტურა შეიძლება ვიკვლიოთ, როგორც ამ პრობლემების მეტ-ნაკლებად ცნობიერი გადაწყვეტა. ეს მისწრაფება ხორცშესხმულ იქნა საზოგადოებრივ აზრში, განზოგადებული მსჯელობებისა და დებულებების სახით, რომლებიც ბევრ სოციალურ მოვლენას მოიცავს – დანაშაულს და სასჯელს, ომს, სქესობრივ ცხოვრებას, სოციალურ პასუხისმგებლობას, ჯგუფებს შორის ურთიერთობებს და ა.შ. ამგვარი ადრეული საზოგადოებრივი აზრი დიდწილად შეიცავდა შეფასებებს და ეთიკურ მიზნებს, რომლებიც, როდესაც ისინი გამოიხატება კანონებში, ანდა ავტორიტეტულ ინდივიდთა მოძღვრებებში, შეიძლება იწოდებოდეს **სოციალურ ფილოსოფიად**. ეს უკანასკნელი, არსებითად, გამოიხატებოდა დამოძღვრაში, ადამიანური გამოცდილების სასურველი ფორმების აღწერასა და სოციალური მოქმედების კონგრიალური იმპერატივების აგებაში. მოკლედ რომ ითქვას, ეს უფრო მეტად შეფასება, ვიდრე დაკვირვება, განსჯა, ვიდრე ცოდნა.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ცივილიზაციათა სოციალურ-ფილოსოფიური თეორიები არაა უცილებელია ფანტასტიკური და არარეალისტური ყოფილიყო, ისინი, ბოსკოვის აზით, საბოლოო ჯამში, მაინც შეზღუდული აღმოჩნდა. დადგა დრო, როდესაც საჭირო გახდა იდეალების მიყენება რეალური ცხოვრებისადმი. გაჩნდა მოთხოვნილება ისეთ მეთოდებზე, როგორიცაა დაკვირვება და შედარება; ბრძოლა გამოეცხადა იმას, რაც ითვლებოდა აბსოლუტურად; გაიზარდა ეჭვი და სკეპტიციზმი, რამაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა სოციალური თეორიის პირველ კონტურებამდე. არ არის შემთხვევითი, რომ ბერძნები, განსაკუთრებით, იონიელები და მათი მემკვიდრეები, პირველი სოციალური თეორეტიკოსები გახდნენ, რამეთუ ისინი ცხოვრობდნენ და აზროვნებდნენ ანტიკურ კულტურათა გზაჯვარედინზე.

სოციალური თეორია ჩნდება როგორც საზოგადოებრივი აზრის დამხმარე სფერო, როდესაც სოციალური მოვლენები განიხილება ობიექტურობის გარკვეული ხარისხით და როდესაც მოაზროვნები და ფილოსოფოსები ახდენენ სოციალურ მოვლენათა განზოგადებულ აღწერასა და ახსნას ისე, როგორც ისინი სინამდვილეში ხდება და არა ისე, როგორც ისინი “უნდა იყვნენ”. ამ აზრით, სოციალური თეორია მიუვება მეცნიერულ მიზნებს, გაშინ როდესაც სოციალური ფილოსოფია ახდებს შეფასებებს და მიუთითებს სოციალური ქცევის გზებზე მომავალ ში. ბერძნებთან სოციალური თეორია იჭრება სოციალური ცხოვრების სფეროში, მაგრამ, როგორც მეორეხარისხოვანი ელემენტი. სოციალური ფილოსოფია უპირატესობას ინარჩუნებს შემდგომი 2200 წლის მანძილზე. თუმცა, ისეთი თეორიები, როგორიცაა, ვთქვათ, მაკიაველის, უნდა ინტერპრეტირდეს როგორც საზოგადოებრივი აზრის განვითარების ახალი ნაკადი. მაგრამ, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე მესამედში იწყებს სოციალური თეორია უსწრაფეს განვითარებას და ფიზიკურ და ბიოლოგიურ მეცნიერებებთან

<sup>14</sup> Босков, А.: *О общественной мысли к социологической теории*; в книге: Современная Социологическая Теория; Москва, 1961; стр. 15-52.

თავისი კავშირების წყალობით სერიოზულ გამოწვევას სთავაზობს სოციალურ ფილოსოფიას.

სოციალური თეორიის განვითარება შეიძლება გაიყოს ორ დამოუკიდებელ ჯგუფად:

ა) სოციალური თეორიის რიგი მოაზროვნები ცდილობდნენ დაკვირვებადი სოციალური მოვლენები აეხსნათ ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორიცაა გეოგრაფიული პირობები, კლიმატი, ფიზიკური და ქიმიური ურთიერთობები და ზებუნებრივი ძალები. ეს იყო სოციალურ მოვლენათა არასოციალური, რედუქციონისტული ახსნა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური თეორიის ეს ნაკადი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სოციალურ ფილოსოფიასთან შედარებით, გამოყენებული კონცეპტუალური საშუალებები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ მოეხდინათ სოციალური სფეროსთვის ადეკვატური განზოგადებები. ბოსკოვს, ამ შემთხვევაში, მხედველობაში აქვს გეოგრაფიული დეტერმინიზმის, ნატურალიზმის, სოციალ-დარვინიზმის და ა.შ. წარმომადგენლები.

ბ) სოციალური თეორიის მეორე ვარიანტის წარმოშობა დაახლოებით მიეწერება მე-19 საუკუნის შუასანებს, კერძოდ, ოგიუსტ კონტის შრომებს. საზოგადოებრივი აზრის ეს ფაზა, რომელსაც შეიძლება “პროტოსოციოლოგია” ეწოდოს, ხასიათდება ორი ნიშით: პირველი და ძალზე მნიშვნელოვანი ნიშანი ისაა, რომ ხდება მზარდი გათავისუფლება ფიზიკური და ბიოლოგიური მეცნიერებების ცნებებისაგან და სოციალური სფეროს მათზე რედუქციისგან. თანდათან სოციალური მოვლენები აღიწერება სპეციფიკურად სოციალურ ტერმინებში, როგორიცაა, მაგალითად, შეთანხმება, საზოგადოება, სოციალური ჯგუფი. პროტოსოციოლოგია ოგიუსტ კონტიდან იწყება.<sup>15</sup> კონტის გარდა მას წარმოადგენენ სპეციალისტები, მარქსი და უორდი.

თუმცა, მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში პროტოსოციოლოგიის შევიწროება დაიწყო გაცილებით ვიწრო მიმართულებამ, რომელიც წარმოადგენს ძირითადს თანამედროვე სოციოლოგიური პრატიკისათვის ანალიტიკური სოციალური მეცნიერების სახით. თანამედროვე სოციოლოგიური თეორია იწყება იქ, სადაც სოციოლოგიური კვლევის საფუძვლად ცხადდება სამი პრობლემა: 1) სოციალური პროცესის ან პროცესების ბუნება; 2) სოციალურ ჯგუფთა სტრუქტურა და კლასიფიკაცია და 3) ინდივიდებს, ჯგუფსა და სოციალურ პროცესებს შორის ურთიერთობა. ანალიტიკური სოციალური თეორიის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენელად ითვლება ფერდინანდ ტიონისი. შემდეგ ემილ დიურკემი, გეორგ ზიმელი და მაქს ვებერი.

<sup>15</sup> თუმცა, როგორც პირველი თავის §1-ში აღინიშნა, ო. კონტი პოზიტივისტია, ანუ სოციოლოგიას განხილავს როგორც “პოზიტიურ მეცნიერებას”, რომელიც უნდა აიგოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ანალოგით (და არა მათზე რედუქციით). ამავე პოზიციაზეა პ. სპეციალისტისა და სპეციალის შეხედულებები განხილული იქნება მე-2 თავის §1 და §2-ებში.

## შესავალი

ამ თავში აღნიშნული მოაზროვნების (კონტი, საენსერი, მარქსი, ზიმელი) ერთად თავმოყრას, წმინდა დროითი განხომილების გარდა (ყველა დასახელებული მოაზროვნე თავის ინტელექტუალურ სიმწიფეს მე-19 საუკუნეში აღწევს), გარკვეული კონცეპტუალური ლოგიკა აქვს. ოგიუსტ კონტს პირდაპირი კავშირი აქვს სოციალური თეორიის სათავეებთან, რამდენადაც მას შემოაქვს პირველად ტერმინი “სოციოლოგია” და ცდილობს სოციალური თეორიის საკუთარი მეთოდოლოგიის დაფუძნებას, რომელიც, მართალია, ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიას უნდა დაემსგავსოს, მაგრამ სოციალური ფენომენების სპეციფიკის გათვალისწინებით. ასეთივე განხრას აქვს ჰერბერტ საენსერს, რომელიც პოზიტივისტურ ხაზს აგრძელებს. რაც შეეხება კარლ მარქსს, ის ერთ-ერთი პირველია, ვინც სოციალური ფენომენების ასესნას სოციალურის გარეთ არსებული, მეტაფიზიკური ან მატერიალური, ძალებით კი შეეცადა, არამედ სოციალურის ფარგლებში დარჩენით. სხვა საყვედლური, რომელიც მარქსის სოციალურ თეორიაში ჩართვის გამო გამოითქმება, დაკავშირებულია მისი ნააზრევის რადიკალურ იდეოლოგიზმირებასთან, რაც მის თეორიას მეცნიერულობის სტატუსს უკარგავს. ამ საყვედლურს რიტცერი ასე პასუხობს: “მიუხედავად იმისა, რომ მარქსის მიდგომამ მისივე იდეოლოგიის დიდი გავლენა განიცადა, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ კველა სოციალურ თეორეტიკოსს პქნდა იდეოლოგიური გადახრა. ეს ეხება კონტს, საენსერს, დიურკემს, ვებერს და ზიმელს, ისევე როგორც მარქსს. არ არსებობს “ღირებულებისაგან თავისუფალი” სოციოლოგიური თეორია. სოციალური ფენომენების გააზრებისას, სოციოლოგები აღმოჩენენ, რომ შეუძლებელია იყო ბოლომდე ნეიტრალური და ეს ასეა, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ სურვილი ამის გაცნობიერების და გაზიარების... ძირითადი განსხვავება მარქსსა და სხვა სოციალურ თეორეტიკოსებს შორის ისაა, რომ მარქს არ უცდია დაეფარა თავისი ნააზრევის იდეოლოგიური ხასიათი”.<sup>16</sup>

რაც შეეხება ზიმელს, ის ერთ-ერთი პირველია, ვინც შეეცადა მოეძენა სოციალური თეორიისთვის სპეციფიკური და მხოლოდმისი ადეკვატური საგანი სოციალური ფორმების სახით.

რასაკვირველია, სოციალური მეცნიერების სათავეებთან სხვა სოციოლოგებიც დგანან. ფრანგული სოციოლოგიური სკოლიდან საქმარისია აღინიშნოს ემილ დიურკემი, გერმანული სკოლიდან მაქს ვებერი და ფერდინანდ ტიონისი და ა.შ. ჩამოთვლილი სოციოლოგებიდან ვებერის სოციოლოგია მოგვიანებით განსილულია როგორც სოციალურ თეორიაში იმ ნაკადის სათავე, რასაც სუბიექტზე ორიენტირებული თეორიები ქმნიან.

<sup>16</sup> Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 149.

## §1. የგიუსტ ገონტი

ბიოგრაფიული ცნობები:

የგიუსტ ገონტი (Auguste Comte) დაიბადა 1798 წლის 19 იანვარს, საფრანგეთის ქალაქ მონტპელიეში. სკოლის დამთავრების შემდეგ ის სწავლას აგრძელებს პარიზის პოლიტექნიკურ სკოლაში (École Polytechnique), რომელიც ცნობილი იყო საფრანგეთის რესპუბლიკის იდეალების მხარდაჭერით. 1816 წელს ეს სკოლა იხურება რეორგანიზაციის მიზნით. კონტი იძულებულია სწავლა გაარძელოს მონტპელიეს სამედიცინო სკოლაში. ოუმცა, კათოლიკურ და მონარქისტული იდეების მიმდევარ მშობლებთან კონფლიქტის გამო იგი კვლავ პარიზში გადადის და თავს მცირე სამუშაოების შესრულებით ირჩენს. 1817 წელს კონტი ხდება ფილოსოფოსის – კლაუდია ჰენრი სენ-სიმონის (Claude Henri Saint-Simon) მდივანი. მათი ახლობლებური ურთიერთობა რამდენიმე წელს გრძელდება, სენ-სიმონი უხსნის კონტი გზას ინტელექტუალური საზოგადოებისაკენ. ოუმცა, ურთიერთობა მოგვიანებით რთულდება და 1824 წელს კონტი ტოვებს სენ-სიმონს. უკვე მანამდე იგი ცდილობს აკადემიური კარიერის დაწყებას, მკვეთრად ჩამოყალიბებული განზრახვით – დაამუშაოს პოზიტივისტური მიღვომა. თავის გეგმას ის აქვევნებს ნაშრომის სახით: “საზოგადოების რეორგანიზაციისათვის აუცილებელი მეცნიერული შესწავლის გეგმა”. ოუმცა, მან ამ შრომის გამო აკადემიური თანამდებობა ვერ მოიპოვა. ყოველდღიური ფინანსური სიძნელეების დაძლევაში მას მეგობრები ეხმარებიან. 1826 წელს კონტი მკურნალობას იწყებს ფინანსური ჯანმრთელობის კლინიკაში, თუმა, მკურნალობის კურსს გადაზე ადრე წყვეტს. ქორწინება კიდევ, მაგრამ 1842 წელს ცოლსაც ეყრება. 1826-42 წლების შუალედში კონტი აქვევნებს თავისი სახელგანთქმული “პოზიტივი ფილოსოფიის კურსი”<sup>6</sup> 6 ტომს. კონტი ცდილობს თავისი პირადი ცხოვრების აწყობას, მაგრამ მარცხს განიცდის ამ მიმართულებით. იგი გარდაიცვალა პარიზში 1857 წლის 5 სექტემბერს.

የგიუსტ კონტის ძირითადი შრომები:

- საზოგადოების რეორგანიზაციისათვის აუცილებელი მეცნიერული შესწავლის გეგმა (*Plan des travaux scientifiques nécessaires pour réorganiser la société*) – 1822 წ.
- პოზიტივი ფილოსოფიის კურსი (*Cours de philosophie positive*) – 1830-42 წწ.
- პოზიტივი პოლიტიკის სისტემა (*Système de politique positive*) – 1851-54 წ.
- პოზიტივისტის კატეხიზმი (*Catéchisme positiviste*) – 1852 წ.

### 1.1. პოზიტივიზმი

კონტს ხშირად უწოდებენ სოციოლოგის მამას. მან 1839 წელს პირველად შემოიტანა ტერმინი ‘სოციოლოგია’. მან პირველმა გადაწყვიტა გამოეყენებინა მეცნიერული მეთოდი საზოგადოების შესასწავლად. კონტი ილაშქრებდა განმანათლებლობის ეპოქის მეტაფიზიკური შეხედულებების წინააღმდეგ, რომლებიც ბატონობდა საფრანგეთში რევოლუციამდე. მან მკვეთრი საზღვარი გაავლო სოციალურ ფილოსოფიასა და სოციალურ მოვლენათა მეცნიერულ შესწავლას შორის.

რაში მდგომარეობს საზოგადოების შესწავლის მეცნიერული მეთოდი, რომელსაც სოციოლოგიდან მიმართავს? კონტი სოციოლოგიას “პოზიტივისტურ მეცნიერებას” უწოდებდა. პოზიტივიზმი, როგორც ცნობილია, მოითხოვს, რომ სოციალური სამყაროს კვლევა მოხდეს ბუნების კვლევის ანალოგიურად. ანუ, შესაძლებელია არსებობდეს ინვარიანტული კანონები როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური სამყაროსათვის. შესაბამისად, სოციალურმა მეცნიერებებმა კვლევის მეთოდები ბუნების მეცნიერებებისგან უნდა ისესხოს.<sup>17</sup> კონტი სოციოლოგიას ადარებდა სწორედ ფიზიკას, უწოდებდა რა მას “სოციალურ ფიზიკას”. აი, რას წერს იგი:

<sup>17</sup> ზოგადად პოზიტივისტური მიღვომის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. I-ლი თავის §1-ში

“სოციოლოგია ... არის ტერმინი, რომელიც მე სოციალური ფიზიკის აღსანიშნავად გამოვიგონე”.<sup>18</sup>

კონტი მოითხოვს, რომ სოციალური სამყაროს კანონები მიღებულ იქნეს ემპირიული კვლევისა და ოეორეტიზირების (სპეციულატური აზროვნების) რაციონალური შეჯერების შედეგად. პოზიტივისტური ორიენტაციის მიუხედავად, კონტის აზრით, მხოლოდ ემპირიული კვლევიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შორს ვერ წავალთ. ემპირიული კვლევა აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს თეორიას.

კონტის თანახმად, სოციოლოგიამ ემპირიული კვლევის სამ ძირითად მეთოდს უნდა მიმართოს, რათა ადეკვატური ცოდნა მოიპოვოს რეალური სინამდვილის შესახებ: ა) პირველი მეთოდი არის დაკვირვება. თუმცა, კონტი ცდილობს ეს მეთოდი სპეციულატური აზროვნების სამსახურში ჩააყენოს, ანუ იგი უარყოფს თეორიისაგან იზოლირებულ დაკვირვებას. თეორიის გარეშე არ გვეცოდინება, რას ვეძიებთ სოციალურ სამყაროში და ვერასოდეს გავიგებთ იმის მნიშვნელობას, რაც მოვიპოვეთ; ბ) მეორე მეთოდი არის ექსპერიმენტი. თუმცა, ამ მეთოდს კონტი სოციოლოგიისათვის ნაკლებად ადეკვატურად მიჩნევს, რამდენადაც ძალზე რთულია სოციალურ ფენომენებში ხელოვნური ჩარევა და მათი გაკონტროლება. ეს მეთოდი უფრო სხვა მეცნიერებებს შეესაბამება; გ) მესამე მეთოდი არის შედარება, რომელიც, თავის მხრივ, სამი ქვეტიპისაგან შედგება. პირველი, ჩვენ შეგვიძლია განვახორციელოთ ადამიანთა საზოგადოებისა და მასზე უფრო დაბლა მდგომი ცხოველთა საზოგადოების შედარება; მეორე, ჩვენ შეგვიძლია მსოფლიოს განსხვავებულ ადგილებში არსებული საზოგადოებები შევადაროთ ერთმანეთს. მესამე, ჩვენ შეგვიძლია საზოგადოებების განსხვავებული სტადიების შედარება დროის, ანუ ისტორიულ განასერში. ეს ბოლო ქვეტიპი კონტს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია. იმდენად, რომ ზოგიერთი მკვლევარი მას კონტის დამოუკიდებელ, მეოთხე მეთოდად განიხილავს ისტორიული კვლევის სახით.<sup>19</sup>

კონტი ახდენს პოზიტივისტურ მეცნიერებათა იერარქიას. იერარქიის პრინციპად იგი იყენებს კველაზე ზოგადი, აბსტრაქტული და რეალური ცხოვრებისაგან დისტანცირებული მეცნიერებებისგან მოძრაობას იმ მეცნიერებებამდე, რომლებიც კველაზე კომპლექსური, კონკრეტული და საინტერესოა ადამიანებისათვის. ეს “კიბე” ასე გამოიყერება: მათემატიკა, ასტრონომია, ფიზიკა, ბიოლოგია (ფიზიოლოგია), ქიმია და საფუძველში – სოციოლოგია. მაშასადამე, კონტი სოციოლოგიას განიხილავს როგორც კველაზე მნიშვნელოვან დისციპლინას.

## 1.2. სამი სტადიის კანონი

კონტის სოციალური თეორიის ერთ-ერთი კველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ იგი შეეცადა დაედგინა სოციალური ცხოვრების ინვარიანტული კანონები. ამ კანონებს შორის კველაზე ცნობილია ე.წ. “სამი სტადიის კანონი”. ესაა ადამიანების ინტელექტუალური და სოციალური განვითარების სამი ეტაპი:

1. პირველი სტადიაა **თეოლოგიური**. ამ სტადიაზე გონება მოვლენის ახსნას ცდილობს ზებუნებრივი ძალების ზემოქმედებით. ამ სტადიას შეესაბამება

<sup>18</sup> Comte, Auguste (1855): *The Positive Philosophy of Auguste Comte*. New York: Calvin Blanchard; p. 444.

<sup>19</sup> ი. მაგალითად, Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 89.

საზოგადოება, სადაც ქურუმები და მონარქები ბატონობენ. მისი გავლა აუცილებელია დანარჩენ ორ სტადიაზე გადასასვლელად. აქ ადამიანის გონიერი ექვებს საგანთა ნამდვილ ბუნებას, ანუ მათ შესახებ აბსოლუტურ, ჭეშმარიტ ცოდნას. ამ ძიებას ის ზებუნებრივი ძალების (სულების და ღმერთების) აღიარებმდე მიჰყავს: ყველა ფენომენი შექმნილი და მიზანმიცემულია ღმერთების მიერ. ამ ცნობიერებამ გაიარა გზა საგანთა გაღმერთებიდან (ფეტიშიზმი) პოლიტიზმამდე და, საბოლოოდ, მონოთეიზმის აღიარებამდე.

2. მეორე სტადიადა მეტაფიზიკური. ამ სტადიაზე ბატონობს სოციალური კრიტიკიზმი, სადაც ღმერთის ადგილს სპეციალური აზროვნება იკავებს, ხოლო მისტიკურ სახეებს აბსტრაქტული ცნებები ცვლის. კონტს ეს სტადია ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნია. ის გარდამავალი საფეხურია თეოლოგიურ და პოზიტიურ სტადიებს შორის.

3. მესამე სტადიაა პოზიტივისტური (ან მეცნიერული). ამ სტადიაზე ბატონობს მეცნიერული ცოდნა, დაფუძნებული ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიაზე. აქ ადამიანური გონება თავს ანებებს არა მხოლოდ საწყისი მიზეზების ან ბოლოვადი მიზნების ძიებას, არამედ აბსტრაქტულ (სპეციალატურ) ცნებებს ანაცვლებს ემპირიული ცოდნით, რომელიც დაფუძნებულია ობიექტურ დაკვირვებაზე, ექსპერიმენტზე და შედარებაზე. კონტს ეს ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია.

მართალია, კონტი პოზიტივისტურ ეტაპს, რომელშიც ემპირიული კვლევის მეთოდებს წამყვანი ადგილი უკავია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ “სამი სტადიის კანონი” მას ინდუქციური წესით, დაკვირვების საფუძველზე არ ჩამოუყალიბებია. ისინი სოციალური სამყაროს და “ადამიანის ბუნების” შესახებ სპეციალატური აზროვნების შედეგია. თუმცა, კონტი იმასაც აცხადებს, რომ მან თავად მოახდინა ამ კანონის “ტესტირება” ყველა ძირითადი მეთოდის (დაკვირვება, ექსპერიმენტი, შედარება) გამოყენებით და დაასაბუთა რეალური ისტორიის შესაბამისობა თითოეულ სტადიასთან, რაზეც კონკრეტული მონაცემები მოწმობს (ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული). მოვუსმინოთ თავად კონტს:

“კანონები, რომლებიც თავდაპირველად დედუცირებულია ადამიანის ბუნების ასტრაქტული გამოკვლევიდან, დემონსტრირდება როგორც რეალური კანონები, რომლებსაც შეუძლია ახსნას ადამიანური რასის ბედისწერის მთელი მიმდინარეობა”.<sup>20</sup>

### 1.3. სოციალური სტატიკა და დინამიკა

კონტის პოზიტივიზმი ორი ძირითადი კონცეფციას მოიცავს: სოციალურ სტატიკას და სოციალურ დინამიკას. ეს კონცეფციები ფაქტების ორ კლასს კი არ შეესაბამება, არამედ წარმოადგენს სოციალური მოვლენებისადმი ერთიანი მიდგომის ორ ასპექტს. ესაა განსხვავება სოციალურ სტრუქტურასა და სოციალურ ცვლილებას შორის.

სოციალური სტატიკის ქვეშ კონტი გულისხმობს საზოგადოების მდგრადი კომპონენტების, ანუ სოციალური სტრუქტურების შესწავლას. სოციალურ სტრუქტურებს თავისი ფუნქციები გააჩნია და ემსახურებიან საზოგადოების, როგორც ერთიანი სისტემის (ორგანიზმის) შენარჩუნებას. ამდენად, საზოგადოებას კონტი განიხილავდა როგორც ფუნქციონალურ სისტემას, რომელიც დაფუძნებულია სისტემის შემადგენელ ერთეულებს (სოციალურ სტრუქტურებს და

<sup>20</sup> Comte, Auguste (1968): *System of Positive Polity*, Vol. 3. New York: Burt Franklin; p. 535.

ინსტიტუტებს) შორის შრომის განაწილებაზე (ამ თვალსაზრისით, კონტიფუნქციონალიზმის<sup>21</sup> ერთ-ერთ წინამორბედად გვევლინება).

სოციალური სტატიკის დონეზე კონტი საზოგადოების მაკრო ანალიზს ეწევა, ანუ უურადღების არეში აქცევს არა ინდივიდუებს, არამედ კოლექტიურ ფენომენებს. უელაზე ფუნდამენტურ კოლექტიურ ფენომენად კონტი ოჯახს მიიჩნევს. ოჯახი საზოგადოების “ჰეშმარიტი” სოციალური ერთობაა, ის “მცირე საზოგადოება”, რომლისგანაც უფრო ფართო საზოგადოება შენდება. ოჯახის მეშვეობით ხდებიან ადამიანები სოციალურები, ოჯახი საზოგადოების “სკოლა”, ის ხელს უწყობს ინდივიდუების საზოგადოებასთან ინტეგრაციას, აკონტროლებს ეგოისტური იმპულსებს და ხელს უწყობს ალტრუიზმის განვითარებას. სხვა კოლექტიური სოციალური ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოების ინტეგრაციას ემსახურება, რელიგია. ისიც, ოჯახის მსგავსად, ხელს უწყობს ეგოისტური ინტერესების დათრგუნვას და განაპირობებს კოლექტიური სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბებას. კონტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, აგრეთვე, ენას როგორც სოციალურ ინსტიტუტს. ის ქმნის ინდივიდთა შორის ინტერაქციის საფუძველს და ხელს უწყობს მათ გაერთიანებას კოლექტიურ ერთობებად. კონტის აზრით, ამავე ფუნქციის მატარებელია შრომის განაწილების მექანიზმი. ეს უკანასკნელი ემსახურება სოციალური სოლიდარობის ზრდას, რამდენადაც ადამიანებს ერთმანეთზე დამოკიდებულად ხდის. მნიშვნელოვანი წვდილი საზოგადოების სტაბილურობასა და ინტეგრაციაში შეაქვს სახელმწიფოს (ხელისუფლებას), რამდენადაც მას შეუძლია ძალის გამოყენებით დათრგუნოს დასტრუქციული ფაქტორების მოქმედება.

რაც შეეხება სოციალურ დინამიკას (სოციალურ კინეტიკას), იგი სწავლობს სოციალურ ცვლილებათა პროცესებს. სოციალური დინამიკის შესწავლა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი ხელს უწყობს რეფორმებს და გვეხმარება ბუნებრივი ცვლილებების გამოკვლევაში, რომლებიც ხდება სოციალურ სტრუქტურათა დაშლის ან გარდაქმნის შედეგად. სოციალური დინამიკის მიზანია, შეისწავლოს სოციალური ფენომენების ცვლილება-განვითარების კანონები. საზოგადოება ყოველთვის იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება სოციალურ კანონებს ემორჩილება. ესაა ევოლუციური პროცესი, რომელშიც საზოგადოება პროგრესირებს პოზიტივიზმის კანონების თანახმად. სოციალურ დინამიკას კონტი “ადამიანური საზოგადოების ბუნებრივი პროგრესის თეორიას”<sup>22</sup> უწოდებს. საზოგადოების ევოლუციის (უფრო ზუსტად, პროგრესის) თეორია ეფუძნება კონტის მიერ ჩამოყალიბებულ გონების განვითარების “სამი სტადიის კანონს”. კონტი აცხადებს, რომ ისტორიის

<sup>21</sup> ფუნქციონალიზმი მიმდინარეობაა სოციოლოგიასა და სოციალურ ანთროპოლოგიაში, რომელიც ცდილობს სოციალური სტრუქტურების არსებობა ახსნას იმ ფუნქციების (როლების) მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ მთელი საზოგადოებისათვის. ფუნქციონალისტების ანალიზი ორიენტირებულია უფრო მეტად საზოგადოების, ვიდრე ინდივიდის დონეზე. საზოგადოება, ამ შემთხვევაში, განიხილება როგორც ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთმარებულირებელ ნაწილთა სისტემა. მართალია, ფუნქციონალისტურ მიდგომას საფუძველი ჩაეკრა მე-XIX საუკუნეში, იგი აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, სოციალური ანთროპოლოგიის ბრიტანულ სკოლაში (რადგლიფ-ბრაუნი, მალინოვსკი). 1950-იან წლებში ძალზე პოპულარული ხდება “სტრუქტურული ფუნქციონალიზმი”, რომელიც დაკავშირებულია ტ. პარსონსის სახელთან. იგი ავითარებს სისტემების თეორიას, რომლის თანახმადაც, საზოგადოებისა და მისი ცალკეული ქვესისტემის ფუნქციონირება უნდა გაანალიზდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ასრულებენ ისინი განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოთხოვნებს (ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. მე-5 თავში).

<sup>22</sup> Comte, Auguste (1855): *The Positive Philosophy of Auguste Comte*. New York: Calvin Blanchard; p. 515.

რეალური განვითარება (მას მხედველობაში აქვს დასავლეთ ევროპის (“თეთრი რასის”) ისტორია) და მის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემები ადასტურებს აღნიშნული კანონის ვალიდურობას.<sup>23</sup>

კონტი გვთავაზობს ისტორიის დიალექტიკურ გაგებას: იგი ისტორიის ყოველი მომდევნო საფეხურის ფესვებს წინა პერიოდებში ეძიებს. მეორე მხრივ, ყველა საფეხური ამზადებს საფუძველს მომდევნო საფეხურისათვის. მაშასადამე, ისტორიის ყველ არსებულ ეტაპს აქვს დიალექტიკური კავშირი წარსულთან და მომავალთან.

კონტი იწყებს *თეოლოგიური სტადიოდან*, რომლის ანალოგს იგი ანტიკურობაში ხედავს. როგორც ადრე აღინიშნა, თეოლოგიურ სტადიას იგი სამ ქვესაფეხურად ჰყოფს, რომლებიც ერთიმეორეს მისდევს: ფეტიშისტური, პოლითეიისტური და მონოთეიისტური. ადრეულ ფეტიშისტურ სტადიაზე ადამიანები ახდენენ გარეგანი ობიექტების პერსონიფიცირებას, ანიჭებენ მათ მათივე ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. პოლითეიიზმი გაცილებით გვიან – ეგვიპტეში, საბერძნეთში და რომში ვითარდება. ამის შემდეგ ისტორია პროგრესირებს მონოთეიზმამდე, განსაკუთრებით რომაული კათოლიციზმის სახით შუა საუკუნეებში. მართალია, ისტორიის ამ პერიოდებში ადამიანის გონება ზებუნებრივი ძალების ბატონობას აღიარებს, მაგრამ უკვე ამ საფეხურზე დაიძებება პოზიტივისტური სტადიის ჩანასახები.

მეოთხმეტე საუკუნე ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისია, საიდანაც მეტაფიზიკური სტადია იწყება. თეოლოგიის გავლენა თანდათან სუსტდება. კათოლიციზმს თანდათან ჩაენაცვლება პროტესტანტიზმი, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბებულ დოქტრინად მე-17 საუკუნეში იქცევა. პროტესტანტიზმი ერთგვარი ნეგატიური დოქტრინაა, რამდენადაც უარყოფს ძველ სოციალურ წესრიგს. ეს პროტესტი სოციალურ ფილოსოფიაშიც გრძელდება მე-18 საუკუნის ფრანგი განმანათლებლების (ვოლტერი, რუსო და სხვ.) სპეკულატური ფილოსოფიის სახით. ეს ერთგვარი გარდამავალი პერიოდია თეოლოგიურ და პოზიტივისტურ ეტაპებს შორის, რომელიც, კონტის აზრით, გამოირჩევა კრიზისით და ქაოსით ხელოვნების, მეცნიერებისა და ფილოსოფიის სფეროებში. ხელოვნება გახდა უმიზნო, მეცნიერება ზედმეტად სპეციალიზებული, ხოლო ფილოსოფია – ცარიელი. ამ კრიზისმა მოამწიფა სოციალური რევოლუციები, განსაკუთრებით, საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც სათავე დაუდო საერთოდ დასავლეთ ევროპის საზოგადოების პოზიტივისტურ რეორგანიზაციას. ეს რეორგანიზაცია გამოიხატა ინდუსტრიაში, ხელოვნებაში, მეცნიერებასა და ფილოსოფიაში.

<sup>23</sup> სამართლიანად შენიშნავს გ. რიტცერი, რომ “კონტს არ განუხორციელებია მსოფლიოს ისტორიის სისტემატური შესწავლა ... და მას არ მოუპოვებია მონაცემები ამ ისტორიის შესახებ (მან უბრალოდ განახორციელა ისტორიის უზარმაზარი პერიოდების ზოგადი გენერალიზაცია). სხვა სიტყვებით, კონტს არ ჩაუტარებია გამოკვლევა ამ სიტყვის პოზიტივისტური მნიშვნელობით. სინამდვილეში, კონტიც აცნობიერებს ამას, ამბობს რა, რომ ყველაფერი, რასაც ის გვთავაზობს აბსტრაქტული ისტორიაა. მეცნიერება ჯერ კიდევ არ არის მზად მსოფლიოსკონ კრებული ისტორიის შესაქმნელად” (Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 99).

## §2. ჰერბერტ სპენსერი

ბიოგრაფიული ცნობები:

ჰერბერტ სპენსერი (Herbert Spencer) დაიბადა 1820 წლის 20 აპრილს ინგლისის ქალაქ დერბიში, მეთოდისტების მიმდევარ თჯახში. სპენსერი იზრდებოდა ინდივიდუალიზმის და ანტიკლერიკალიზმის იდეების ატმოსფეროში და დამოუკიდებლობის სულისკვეთებით. მისი ინტერესები საქმაოდ ეკლექტიკური იყო, მან რკნიგზის ინჟინრის განათლება მიიღო, თუმცა, ძალიან ახალგაზრდამ რადიკალურად შეიცვალა პროფესია და ხელი მიჰყო ჟურნალისტიკას და პოლიტიკურ მწერლობას. 1848 წლიდან 1853 წლამდე სპენსერი მუშაობდა ყოველგვირეულ ჟურნალ ეკონომისტის (*The Economist*) რედაქტორის მოადგილედ და ერთ-ერთ ავტორად, რამაც მას საშუალება მისცა კონტაქტი დაქმარებინა საწინააღმდეგო პოლიტიკური პლატფორმის მქონე საზოგადო მოღვაწეებთან. მიუხედავად კონტაქტების მრავალფეროვნებისა, სპენსერი ბოლომდე ერთგული რჩება თავისი საკუთარი შეხედულებების და ავლენს არაჩვეულებრივ სიჯიუტეს და “თანმიმდევრულობას” იმაში, რომ პრინციპები არ კითხულობს იმ ავტორთა ნაშრომებს, რომელთაც არ ეთანხმება (იგი საერთოდ ცნობილი სხვათა ნაშრომების არწავითხეაში).

1851 წელს გამოდის სპენსერის პირველი წიგნი “სოციალური სტატიკა, ანუ ადამიანური ძეგლისათვის აუცილებელი პირობები” (ტერმინი “სოციალური სტატიკა” ის კონტისაგან სესხულობს). ამ ნაშრომში ის ავითარებს ევოლუციურ თეორიას და იცავს ინდივიდუალური თავისუფლების იდეას. 1855 წელს გამოდის სპენსერის მეორე წიგნი “ფსიქოლოგიის პრინციპები”, რომელმაც უფრო დიდი წარმატება მოიპოვა. მიუხედავად წარმატებისა, ამ პერიოდში სპენსერს სერიოზული ფსიქიკური პრობლემები უწნდება, რაც მოელი მისი დარჩენილი ცხოვრების თანმდევი ხდება. სპენსერი იზრდილებულად ცხოვრებას ირჩევს და ერიდება საჯარო აღილებში გამოჩენას. მიუხდავად იმისა, რომ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა მას უფლებას აძლევს დღეში მხოლოდ რამდენიმე საათი წეროს, იგი ახორციელებს უზარმაზარ პროექტს და 1862-93 წლებში ასრულებს 9 ტომიან ნაშრომს “სინთეზური ფილოსოფიის სისტემა”. ამ წიგნში მან სისტემატური სახით გადმოსცა მისი შეხედულებები, ევოლუციონიზმის ჭრილში, ბიოლოგიის, სოციოლოგიის, ეთიკისა და პოლიტიკის საკითხებზე. “სინთეზური ფილოსოფიის სისტემა” მისი ცნობადობა და გავლენა იმდენად გაზიარდა, რომ 1860-70-იან წლებში კონკურენციას უწევდა ჩარლზ დარვინს. მისმა გავლენამ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებამდეც მიაღწია.

1883 წელს სპენსერი აირჩიეს მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა საფრანგეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მისი რეპუტაცია იმდენად გაიზარდა, რომ 1902 წელს ნობელის პრემიაზეც კი წარადგინებს ლიტერატურის დარგში. მისსავე სიცოცხლეში მისი შრომების მილიონამდე ეგზემპლარი გაიყიდა. ეს შრომები ითარგმნა ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ და რუსულ ენებზე. სპენსერის ჯანმრთელობა ძლიერ შეირყა 80-იანი წლების ბოლოს. სანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ იგი მარტობაში გარდაიცვალა 1903 წლის 8 დეკემბერს.

ჰერბერტ სპენსერის ძირითადი შრომები:

- სოციალური სტატიკა (*Social Statics*) – 1851 წ.
- ფსიქოლოგიის პრინციპები (*The Principles of Psychology*) – 1855 წ.
- სოციოლოგიის სახელმძღვანელო (*The Study of Sociology*) – 1873 წ.
- სინთეზური ფილოსოფიის სისტემა (9 ტომად) (*A System of Synthetic Philosophy*) – 1862-93 წწ.
- სოციოლოგიის პრინციპები (3 ტომად) (*Principles of Sociology*) [ნაწილი შრომისა “სინთეზური ფილოსოფიის სისტემა” (6-8 ტომები)] – 1882-98 წწ.

### 2.1. ორგანიციზმი; საზოგადოების ევოლუციონისტური გაგება

ორგანიციზმი სოციალურ მეცნიერებებში ბიოლოგიზმის ნაირსახეობას წარმოადგენს. ბიოლოგისტური მიმართულება განვითარდა მე-19 საუკუნეში, როდესაც არნახულ წარმატებას აღწევს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათ შორის, ბიოლოგია. ეს უკანასკნელი ცხადდება სოციალური მეცნიერებების (მათ შორის, სოციოლოგიის) უშუალო წანამდლერად. ბიოლოგისტური სოციოლოგია წარმოიშვა როგორც საზოგადოების მექანიკურ სისტემად განხილვის (რომელიც

მე-18 საუკუნის ბოლომდე ბატონობდა) უარყოფა. ორგანიციზმის თავისებურება ისაა, რომ იგი ცდილობს სოციალური სტრუქტურა ბიოლოგიური ორგანიზმის სტრუქტურის ანალოგით ახსნას. სწორედ ეს წარმოადგენს სპენსერის პოზიციისტური სოციალური თეორიის ძირითად ამოცანას.<sup>24</sup>

ბიოლოგიურ ორგანიზმსა და საზოგადოებას შორის ანალოგიას სპენსერი ძირითადად მათ ევოლუციურ განვითარებაში პოულობს. სპენსერისთვის ევოლუცია უნივერსალური პროცესია, რომელიც მოიცავს როგორც არაორგანულ, ისე ორგანულ და “სუპერორგანულ” (ანუ, სოციალურ) სამყაროებს. ისევე როგორც ბიოლოგიური უჯრედების შეერთება ქმნის ორგანიზმს, ასევე “სუპერორგანიზმი”, ანუ საზოგადოება, მისი შემადგენელი ელემენტების ორგანული ნაერთი, ანუ ერთიანი სისტემა.

როგორ განსაზღვრავს სპენსერი ევოლუციას? იგი წერს:

“ევოლუცია არის საგნის ინტეგრაცია და მოძრაობის პარალელური ხარჯვა; ევოლუციის პროცესში საგანი გადის გზას განუსაზღვრული, არაკოჰერენტული პომოგენურობიდან განსაზღვრულ, კოჰერენტულ ჰეტეროგენურობამდე; და რომლის დროსაც მიმდინარე მოძრაობა განიცდის პარალელურ ტრანსფორმაციას”.<sup>25</sup>

მაშასადამე, სპენსერის მიხედვით: “პირველი, ევოლუცია მოიცავს პროგრესულ ცვლილებას ნაკლებად კოჰერენტულიდან უფრო მეტად კოჰერენტული ფორმისაკენ. სხვა სიტყვებით, ის მოიცავს მზარდ ინტეგრაციას. მეორე, მზარდი ინტეგრაცია ესაა მოძრაობა პომოგენურობიდან უფრო და უფრო მეტი პეტეროგენულობისაკენ; სხვა სიტყვებით, ევოლუცია მოიცავს მზარდ დიფერენციაციას. მესამე, ეს არის მოძრაობა ქაოსიდან წესრიგისაკენ, განუსაზღვრელობიდან განსაზღვრული წესრიგისაკენ... სხვა სიტყვებით, ევოლუცია მოიცავს მოძრაობას განუსაზღვრელოდან განსაზღვრულისაკენ... მაშასადამე, ევოლუციის სამი ძირითადი ელემენტია: მზარდი ინტეგრაცია, პეტეროგენურობა და განსაზღვრულობა”.<sup>26</sup>

ევოლუციის უნივერსალურობის აღიარებასთან ერთად, სპენსერი აცნობიერებს, რომ ევოლუციის პროცესს მუდამ თან ახლავს დაშლის (დასრულების, “დეპოზიტიციის”) პროცესი, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როდესაც ევოლუცია სრულდება და განვითარებული ფენომენი იწყებს დაშლას.

ევოლუცია, როგორც ითქვა, ზოგადად სამყაროსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი კანონია, რომელიც თანაბრად მოქმედებს ადამიანური საზოგადოებებისათვისაც. როგორ ესმის სპენსერს საზოგადოება?

ამასთან დაკავშირებით იგი განიხილავს ნომინალიზმის და რეალიზმის პოზიციებს. ნომინალიზმის თანახმად, საზოგადოება სხვა არაფერია, თუ არა მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. მაშასადამე, საზოგადოება ესაა მხოლოდ “კოლექტიური სახელი ინდივიდთა რაოდენობისათვის”. რეალიზმი, პირიქით,

<sup>24</sup> სპენსერის გარდა, ორგანიციზმის წარმომადგენლები არიან ფულიე, შეფლე, ლილიენფილდი, გორმსი და სხვები. უნდა აღინიშნოს, რომ ბიოლოგისტური სოციოლოგიის მეორე ნაკადია სოციალ-დარვინიზმი, რომლის ძირითადი ამოცანაა არა ორგანიზმთან ანალოგიის ძიება, არამედ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსათვის დამახასიათებელი კანონების გავრცელება საზოგადოებაზე, სოციალურის დაყვანა ბიოლოგიურზე (წარმომადგენლები: ლანგმ, ლიაპუჟი, ამონი და სხვ).

<sup>25</sup> Spencer, Herbert (1958): *First Principles*. New York: DeWitt Revolving Fund; p. 394.

<sup>26</sup> Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 118.

ამტკიცებს, რომ საზოგადოება განსაკუთრებული და დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც არ დაიყვანება მის ნაწილებზე. სპენსერი რეალიზმის პოზიციაზე დგას. საზოგადოება მისთვის ორგანული მთელია, ორგანიზმია, რომლის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებობს მუდმივი ინტერაქცია და ერთმანეთის საჭიროება. ეს ინტერაქცია განაპირობებს საზოგადოების სპეციფიკას. აი, რას წერს სპენსერი თავის “სოციოლოგიის პრინციპების” I ტომში:

საზოგადოება მოიცავს “მის შემადგენელ ნაწილებს შორის სტაბილურ ურთიერთობებს, რაც ქმნის მთელის განსაკუთრებულობას, განსხვავებულს მისი ნაწილების ინდივიდუალურობისაგან... ჩვენ ყოველთვის მივიჩნევთ საზოგადოებას როგორც ორგანიზმს (entity), რამდენადაც, იმის მოუხედავად, რომ იგი დისკრეტული ერთეულებისაგან შედგება, მათ გაერთიანებაში სპეციფიკური მთლიანობა ყოველთვის იგულისმება...”<sup>27</sup>

სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, არსებობის უფლება აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ცდილობს ამ კანონზომიერების აღმოჩენას. უფრო ზუსტად, სოციოლოგიური რეფლექსიის ამოცანაა, რომ აღმოაჩინოს პარალელები ორგანულ და სოციალურ ევოლუციას შორის, მსგავსებები, რაც ორგანული და სოციალური ფენომენების სტრუქტურებს შორის არსებობს. სწორედ ბიოლოგიურთან ანალოგიების ძიებაა სპენსერის სოციოლოგიური კონცეფციისთვის ძირითადი. ორგანიზმთან ანალოგიას, სპენსერის მიხედვით, სამი მთავარი ინდიკატორი აქვს: ზრდა, სტრუქტურა და ფუნქციების დიფერენციაცია.

**ა) ზრდა:** როგორც ორგანული, ისე სოციალური აგრეგატებისათვის დამახასიათებელია პროგრესული მატება ზომაში. სოციალური თვალსაზრისით, ზრდა ორი პროცესის საშუალებით ხორციელდება: ა) ზრდა არის მოსახლეობის რაოდენობის მატების შედეგი, როდესაც უბრალოდ ხდება ერთეულთა გამრავლება, ან ბ) მანამდე დაუკავშირებელი ერთეულების გაერთიანება ხდება ჯგუფებად, ხოლო ჯგუფებისა – უფრო დიდ ჯგუფებად (მაგ, ტომების გაერთიანება უფრო დიდ ჯგუფებად).

**ბ) სტრუქტურა:** ერთეულთა ზომაში მატებას (ზრდას) უცილობლად თან სდევს მათი სტრუქტურის გართულებაც (სირთულის ხარისხის ზრდა). ზრდის პროცესი, ამავე დროს, ინტეგრაციის პროცესიცაა, ხოლო, ინტეგრაცია, თავის მხრივ, ორგანიზმების (ბიოლოგიური თუ სოციალური) სტრუქტურის და ფუნქციების პროგრესულ დიფერენციაციას გულისხმობს. ინტეგრაცია და დიფერენციაცია კორელატური პროცესებია: დიფერენციაციის ზრდა იწვევს ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებას და, მაშასადამე, მათ შორის ინტეგრაციის აუცილებლობას. რაც უფრო მეტად იზრდება ორგანიზმი (ბიოლოგიური ან სოციალური), მით უფო მეტად იზრდება მისი დიფერენციაციის, ანუ მის ნაწილებს შორის განსხვავების ხარისხი. სპენსერი ამტკიცებს, რომ საზოგადოების ზრდისთვის აუცილებელია მას პქონდეს კომპლექსურობის მაღალი დონე. ყველა საზოგადოება არის “პომპეური მასის სპეციალიზაციის შედეგი”<sup>28</sup> ცხოველები, რომლებიც განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებიან (მაგალითად, ჩანასახის მდგომარეობაში), შედარებით პომპეურები არიან, რამდენადაც განსხვავებული ნაწილების სიმცირით გამოირჩევიან. ასევეა განვითარების საწყის საფეხურზე მყოფი საზოგადოებაც – მის ჯგუფებსა და ერთეულებს შორის განსხვავება მცირეა, მაგრამ საზოგადოების ზრდასთან ერთად მატულობს მისი დანაწილებისა და დიფერენციაციის ხარისხი და, შესაბამისად, მატულობს კომპლექსურობაც.

<sup>27</sup> Spencer, Herbert (1908): *The Principles of Sociology*, Vol. 1. New York: Appleton; pp. 447-8.

<sup>28</sup> Spencer, Herbert (1908): *The Principles of Sociology*, Vol. 3. New York: Appleton; p. 181.

სპენსერი საუბრობს განსხვავებაზე საზოგადოების მარჯგულირებელ (regulative) და მასაზრდოებელ (შემნახველ, *sustaining*) სტრუქტურების შორის. მარეგულირებელი სტრუქტურები დაკავშირებულია სამხედრო საქმიანობასთან, ხოლო მასაზრდოებელი – ეკონომიკურთან. საზოგადოების მარეგულირებელი სისტემა აკონტროლებს საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის მოქმედებას და უზრუნველყოფს მათ შორის კოორდინაციას. სოციალური კონტროლი ძირითადად ხორციელდება საზოგადოების გარეთ მიმდინარე პროცესებზე, “ექსტენნალურ” მოვლენებზე. ბიოლოგიურ ორგანიზმში მარეგულირებელ ფუნქციას ასრულებს ნერვომუსკულატური სისტემა, ხოლო, საზოგადოებაში – სამთავრობო-სამხედრო აპარატი. რაც შეეხება მასაზრდოებელ სტრუქტურას, როგორც ბიოლოგიურ, ისე სოციალურ ორგანიზმში ის აკონტროლებს შინაგან პროცესებს, რათა შენარჩუნდს ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა. ბიოლოგიურ ორგანიზმში ამ ფუნქციას საჭმლის მომნელებელი ორგანოები ასრულებს, ხოლო, საზოგადოებაში – ინდუსტრიული სისტემა. მარეგულირებელი და მასაზრდოებელი სტრუქტურები კვლავ განიცდის შემდგომ დიფერენციაციას. მაგალითად, მარეგულირებელი სტრუქტურა თანდათანობით იქცევა სუვერენების, ლოკალური მმართველების, მცირე უფროსების და ა.შ სისტემად. ამას მოყვება სოციალურ კლასებს შორის დიფერენციაცია. მაგალითად, ყალიბდება სამხედრო, რელიგიური, მონათა და სხვ. კლასები. შემდეგ ხდება თითოეულ კლასს შიგნით დიფერენცირება, მაგ., რელიგიური კლასი დიფერენცირდება მღვდლებად, სპირიტუალისტებად და ა.შ. მაშასადამე, საზოგადოება მოძრაობს მზარდი სტრუქტურული დიფერენციაციის და კომპლექსურობის მიმართულებით.

გ) ფუნქციების დიფერენციაცია: სპენსერის აზრით, სტრუქტურების გაგება შეუძლებელია მათი ფუნქციების იდენტიფიკაციის გარეშე. ფუნქცია სწორედ სტრუქტურების მიერ გარკვეული საჭიროებების დაკმაყოფილებას გამოხატავს. შესაბამისად, სტრუქტურათა დიფერენციაციას ფუნქციათა დიფერენციაცია ახლავს. შედარებით არადიფერენცირებულ საზოგადოებებში, საზოგადოების განსხვავებულ ნაწილებს შეუძლია ერთმანეთის ფუნქციების შესრულება. მაგალითად, პრიმიტიულ საზოგადოებაში მამაკაცმა სეიძლება საჭმლის მომარაგებაზე იზრუნოს, ხოლო ქალმა იბრძოლოს, თუ ეს საჭირო გახდა. თუმცა, საზოგადოების სტრუქტურული დიფერენციაციის და კომპლექსურობის ზრდასთან ერთად უფრო და უფრო რთულდება სპეციალიზებული ნაწილების მიერ ერთმანეთის ფუნქციების სესრულება. ევოლუცია სტრუქტურულ პროგრესთან ერთად ფუნქციათა დიფერენციაციის პროგრესსაც განაპირობებს.

უნდა ითქვას, რომ სპენსერისთვის საზოგადოების ევოლუცია არ არის სწორხაზოვანი და წინასწარგანჭვრეტადი პროცესი. საზოგადოებები მუდმივი ცვალებადობის პროცესში იმყოფებიან, მაგრამ არააუცილებელია ეს ცვლილებები ევოლუციურ ხასიათს ატარებდეს. შესაძლოა, უკუსვლასთან გაქონდეს საქმე.

## 2.2. საზოგადოების ტიპოლოგიზაცია

საზოგადოების ტიპოლოგიზაციის კრიტერიუმად სპენსერი იყენებს მისი ევოლუციურობის, ანუ სტრუქტურული კომპლექსურობის ხარისხს. ამ თვალსაზრისით, ის განასხვავებს საზოგადოების ოთხ ტიპს: მარტივ, შედგენილ (რთულ), ორმაგად შედგენილ და სამმაგად შედგენილ საზოგადოებებს. ევოლუცია მარტივი საზოგადოებებიდან სამმაგად შედგენილ საზოგადოებებამდე

შეიძლება პოლიტიკური ორგანიზაციის ჭრილში იქნეს განხილული (ამ შემთხვევაში, ევოლუციის ეტაპები იქნება: ორგანიზების არმქონე – სპორადულად ორგანიზებული – არასტაბილურად ორგანიზებული – სტაბილურად ორგანიზებული), ან საზოგადოების მკვიდრობის წესის (modes of settlement) მიხედვით (ეტაპები: მომთაბარე (ნომადური) – ნაწილობრივ ჩამოყალიბებული – ჩამოყალიბებული).<sup>29</sup>

მარტივი საზოგადოებები აყალიბებს ცალკეულ ერთობებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული არც ერთ სხვა ერთობასთან. ესაა შედარებით ჰომოენური, არაცივილური საზოგადოებები, რომელთაც არ გაუვლიათ სტრუქტურირების (კომპლექსურ ორგანიზმად ჩამოყალიბების) პროცესი. ესაა პოლიტიკურად არაორგანიზებული საზოგადოება. შედგენილი საზოგადოებები უკვე პეტეროგენულობის გარკვეული ხარისხით გამოირჩევა. პოლიტიკური ორგანიზების თვალსაზრისით, აქ უკვე გვხვდება უმაღლესი ხელისუფალი (მთავარი), რომელიც მართავს სხვადასხვა მარტივ ჯგუფებს (შესაძლოა, მათი დაპყრობის გზითაც). აქ მოქმედებს ეკონომიკური შრომის განაწილების პრინციპიც. ორმაგად შედგენილი საზოგადოებები უკვე რთული (შედეგენილი) ჯგუფების ხელახალი გაერთიანების შედეგია. ეს ტიპი, ცხადია, პეტეროგენურობისკიდევ უფრო მაღალი ხარისხით და ცივილურობით ხასიათდება. ამ საზოგადოებების პოლიტიკური ორგანიზების ხარისხიც მაღალია, სტაბილური და ჩამოყალიბებული მთავრობით. ამ საზოგადოებებს ახასიათებს, აგრეთვე, განვითარებული რელიგიური იერარქია, ეკონომიკური შრომის რთული განაწილება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, სამართალი და სხვ. სამშეგად შედგენილი საზოგადოებები ერებად ჩამოყალიბებული, მაღალგანვითარებული საზოგადოებებია, პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების ყველაზე მაღალი ხარისხით.

ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის გარდა, სპენსერი გვთავაზობს საზოგადოების ტიპოლოგიზაციის სხვა კრიტერიუმს. ესაა სოციალური ორგანიზაციის (ან სოციალური რეგულაციის) ფორმა. ამ შემთხვევაში ლაპარაკია საზოგადოების შინაგან რეგულაციაზე. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით სპენსერი გაარჩევს სამხედრო და ინდუსტრიულ საზოგადოებებს. ეს კლასიფიკაცია იმ ვარიანტის საპირისპირო, რომელიც ტიპოლოგიზაციას ევოლუციის დონეების მიხედვით ახდენს. ამ შემთხვევაში სოციალური სტრუქტურის ტიპი დამოკიდებულია იმ ურთიერთობაზე, რაც მოცემულ საზოგადოებას სხვა (მეზობელ) საზოგადოებთან აქვს, ანუ გარემოზე. საზოგადოების შინაგან სტრუქტურასა და მარტივულირებელ სისტემაზე გავლენას ახდენს სწორედ ის, ეს ურთიერთობა მშვიდობიანია თუ მტრული. მშვიდობიანი ურთიერთობის პირობებში შინაგანი რეგულაციის სისტემები შედარებით სუსტი და დიფუზურია. შესაბამისად, საზოგადოება უფრო გადართულია თვითშენახვაზე (ინდუსტრიული ტიპი). მტრული ურთიერთობების დროს ყალიბები ძალაზე დამყარებული ცენტრალიზებული კონტროლი (სამხედრო ტიპი). მაშასადამე, ამ კლასიფიკაციის შემთხვევაში საზოგადოების შინაგანი სტრუქტურა დამოკიდებულია არა ევოლუციის დონეზე, არამედ მეზობელ საზოგადოებთან კონფლიქტის არსებობა-არარსებობაზე.

სამხედრო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა იძულება. ისევე როგორც ჯარისკაციის ნება ისეა მოწყობილი, რომ იგი ყველაფერში ხდება

<sup>29</sup> ამის შესახებ იხ. Coser, Lewis (1977): *Masters of Sociological Thought*. 2<sup>nd</sup> ed. New York: Harcourt Brace Jovanovich; p. 93.

თავისი ოფიცრის ნების აგენტი, ასევე მოქალაქის ნება სამხედრო საზოგადოებაში, ნებისმიერ, კერძო თუ საჯარო, ასპარეზზე ხელისუფლების მიერ იმართება. ეს არის იძულებითი კოოპერაცია, ისევე როგორც ბიოლოგიურ ორგანიზმში გარეგანი ორგანოები მთლიანად ფოკუსირდება მთავარ ნერვულ ცენტრზე. საზოგადოების სამხედრო ტიპში არმია და ნაცია (საზოგადოება) ერთია. აი, რას წერს სპენსერი:

“ჯარი არის მობილიზებული ნაცია, მაშინ როდესაც ნაცია არის გაუაქტიურებელი ჯარი და რომელსაც, სწორედ ამიტომ, გააჩნია სტრუქტურა, რომელიც საერთოა ჯარისა და ნაციისათვის”.<sup>30</sup>

პირიქით, ინდუსტრიული საზოგადოება დაფუძნებულია ნებაყოფლობით კოოპერაციასა და ინდივიდუალურ თვითშეზღუდვაზე. ინდუსტრიულ საზოგადოებაში, როგორც ითქვა, დომინანტურია შემნახავი სისტემა. მარეგულირებელი კონტროლი უფრო მეტად ნებატიურია, ვიდრე პოზიტიური. ხელისუფლება დესპოტურის ნაცვლად, დემოკრატიულია. შესაბამისად, კონტროლი ამ საზოგადოებაში დეცენტრალიზებულია. მას კონტრაქტული სახე აქვს, როდესაც ამ კონტრაქტს ნებაყოფლობით უერთდებიან ინდივიდები. ინდივიდის ინტერესები წამყვანია, ინდივიდუალურობა დაცულია და უმაღლეს დირებულებას წარმოადგენს. სამხედრო სისტემა ემორჩილება ინდუსტრიული სისტემის საჭიროებებს.

სპენსერის თეორიაში საზოგადოების ეს ორი ტიპი იდეალური ტიპებია, რომლებიც რეალობაში წმინდა სახით არ არსებობს. რეალურად არსებობს მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოების მიდრეკილება რომელიმე ტიპისაკენ, რასაც სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედება (ტერიტორია, ეთნიკური შემადგენლობა, მოსაზღვრე საზოგადოებები და სხვ.) განაპირობებს.

სპენსერი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ სამხედრო-სამრეწველო საზოგადოებების დიხოტომია არ არის დამოკიდებული საზოგადოების კომპლექსურობის ხარისხზე. შედარებით არადიფერენცირებული საზოგადოებები შეიძლება იყვნენ ინდუსტრიული, ხოლო მაღალგანვითარებულები – სამხედრო.

y

<sup>30</sup> Spencer, Herbert (1908): *The Principles of Sociology*, Vol. 1. New York: Appleton; p. 557.

## §3. ქარლ მარქსი

ბიოგრაფიული ცნობები:

ქარლ მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს გერმანიის ქალაქ ტრიერში, საშუალო კლასის ებრაულ ოჯახში. მისი მამა იძულებული გახდა მიეღო პროტესტანტიზმი, რათა შეენარჩუნებინა მოსამართლის პოზიცია. მარქსი სამართალს, ფილოსოფიასა და ისტორიას სწავლობდა ბონისა და ბერლინის უნივერსიტეტებში, სადაც ის პეგელის მემარცხენე მიმდევართა მოძრაობის – “ახალგაზრდა პეგელიანელები” – წევრი გახდა. მისმა რადიკალიზმა იგი აკადემიურ კარიერას ჩამოაშორა, მარქსმა 1842 წლიდან ხელი მიჰყო ჟურნალისტობას და გახდა რედაქტორი ლიბერალური გაზეთისა *Rheinische Zeitung* (“რეინის გაზეთი”). პრუსიის ხელისუფლებამ მალე იძულების წესით დახურა გაზეთი. 1843 წელს მარქსი ემიგრაციაში მიღის პარიზში, სადაც იგი აქტიურად ებმება გერმანელ ემიგრანტთა და ფრანგ სოციალისტთა რადიკალურ პოლიტიკაში. 1844 წელს პარიზში ჩადის ფ. ენგელსი, სადაც ის ხელისუფლებამ მარქსს და ისინი უახლოესი მეგობრები ხდებიან.

1844 წელს მარქსი მუშაობს თავის “კონკრეტურ და ფილოსოფიურ ხელნაწერებზე”, სადაც ეწვა კაპიტალიზმის ფილოსოფიურ კრიტიკას. ამავე წელს მარქსს საფრანგეთიდან სდევნიან და იგი, ფ. ენგელსთან ერთად, ბრიუსელში გადაიდის. ამ პერიოდში გამოქვეყნდა “გერმანული იდეოლოგია”, რომელიც მარქსმა ენგელსთან ერთად დაწერა. 1848 წელს გამოდის მათი ერთობლივი კომუნისტური მანიფესტი, რომელიც კომუნისტური “ახრილის” გამოჩენას წინასწარმეტყველებს ევროპაში. ეს ის დროა, როდესაც კომინენტურ ევროპას რევოლუციების ტალღამ გადაუარა. ამავე წელს მარქსმა შეძლო გერმანიაში დაბრუნება, სადაც (კერძოდ, ქ. კიოლნში) აფექტნებს თავის რადიკალურ გაზეთს *Neue Rheinische Zeitung* (“ახალი რეინის გაზეთი”), მაგრამ ამ გამოცემამაც იგივე ბედი გაიზიარა და მარქსი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო ლონდონში, სადაც მან მოედი დარჩენილი ცხოვრება გაატარა. ბრიტანეთში მარქსი და ენგელსი აგრძელებენ თავიანთ პოლიტიკურ აქტივობას კომუნისტურ ლიგაში და ცდილობენ კომუნისტურ მოძრაობას თავიანთი მეცნიერული იდეები გააზიარებინონ. ლონდონში მარქსი ფილოსოფიური შეხედულებებიდან ინაცვლებს ეკონომიკური თეორიებისკენ. მისი ყურადღება ფოკუსირდება შეტლანდიურ და ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიკაზე, განსაკუთრებით, ადამ სმიტისა და დავიდ რიკარდოს თეორიებზე. სწორედ ამ პერიოდში – 1850-60-იან წლებში – განავითარა მან კაპიტალიზმის ზოგადი თეორია, რომელიც დაგვირგვინდა მისი ფუნდამენტური ნაშრომის “კაპიტალის” პირველი ტომის დაგვიანებული გამოცემით 1867 წელს. მარქსის ჯანმრთელობა მკვეთრად შეირყა 1870-იან წლებში და მხოლოდ მისი სიკვდილის (1883 წლის 14 მარტი) შემდეგ იხილა დღის სინათლე “კაპიტალის” მეორე და მესამე ტომებმა, რომელებიც ენგელსმა გამოსცა.

ქარლ მარქსის ძირითადი შრომები:

- კაპიტალი (ტომი I) – 1867 წ.
- *Grundrisse* – 1858 წ.
- გერმანული იდეოლოგია (ფ. ენგელსთან ერთად) – 1846 წ.
- კომუნისტური მანიფესტი (ფ. ენგელსთან ერთად) – 1848 წ.
- კონკრეტური და ფილოსოფიური ხელნაწერები – 1844 წ.

### 3.1. ისტორიის მატერიალისტური გაგება

მხოლოდ იმის თქმა, რომ მარქსმა საზოგადოების და ისტორიის განვითარება ახსნა მატერიალური ფაქტორებით, არ იქნებოდა საკმარისი მარქსისეული ისტორიის მატერიალისტური გაგების აღსაწერად. მატერიალური ფაქტორების სოციალურის მიმართ განმსაზღვრელობას მარქსამდეც უსვამდნენ ხაზს, მაგალითად, გეოგრაფიული დეტერმინიზმის წარმომადგენლები, აღიარებდნენ რა გეოგრაფიულ გარემოს დომინანტურ როლს საზოგადოების ამა თუ იმ ფორმით განვითარებაში. მარქსის დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან სოციალურის განმსაზღვრელად ისეთი მატერიალური ფაქტორები გამოაცხადა,

რომლებიც, თავისი არსით, სოციალურია. სხვანაირად რომ ითქვას, მარქსმა სოციალურის გარეთ კი არ დაუწყო მატერიალურ დომინანტებს ძიება, არამედ თავად სოციალურის შიგნით აღმოაჩინა მისი განმსაზღვრელი მატერიალური პირობები. ესაა წარმოების წესი. ეს უკანასკნელი ორ ელემენტს მოიცავს: საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს. საწარმოო ძალებში ძირითადად იგულისხმება შრომის იარაღები და შრომის სხვა საშუალებები (მაგალითად, ხედლი მასალები). საზოგადოებას მარქსი განსაზღვრავდა როგორც "საწარმოო ძალთა ორგანიზებულ ერთობლიობას". წარმოებითი ურთიერთობები მოიცავს შრომის სოციალური ორგანიზაციის ფორმებს, რომლებიც დაფუძნებულია საკუთრების კანონებზე. თავის "პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში" (1859) მარქსი საწარმოო ძალებსა და ურთიერთობებს აღწერს როგორც იმას, რაც ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისს. ამ საფუძველზე აღმოცენდება "სუპერსტრუქტურა" როგორც ზედნაშენი, რომელიც შედგება პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან, კულტურული ჩვევებისა და ღირებულებებისაგან (რელიგიის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის ჩათვლით). სუპერსტრუქტურის ფუნქციაა საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის იდეოლოგიური დეგიტიმაცია. აი, რას წერს თავად მარქსი:

"თავიანთი ცხოვრების სოციალური წარმოების პროცესში ადამიანები უცილობლად შედიან განსაზღვრულ ურთიერთობებში, რომლებიც სავალდებულოა და დამოუკიდებელია მათივე სურვილისაგან. ესაა წარმოებითი ურთიერთობები, რომლებიც შეესაბამება მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. ამ საწარმოო ურთიერთობების ერთობლიობა ქმნის საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზეც აღმოცენდება ლეგალური და პოლიტიკური სუპერსტრუქტურა და რომელსაც შეესაბამება სოციალური ცნობიერების განსხვავებული ფორმები. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს სოციალური, პოლიტიკური და ინტელექტუალური ცხოვრების პროცესებს ზოგადად. არა ადამიანთა ცნობიერება განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ პირიქით, მათი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას".<sup>31</sup>

მაშასადამე, ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად, სოციალურ ცვლილებათა მთავარი მიზეზი ღირებულებები და რწმენები კი არაა, არამედ ეკონომიკური ფაქტორები. როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, მარქსის მიხედვით, მართალია, წარმოებით ურთიერთობებს ადამიანები ამყარებენ ერთმანეთთან, მაგრამ მათი მიმდინარეობა "დამოუკიდებელია მათივე სურვილისაგან". ეს ნიშნავს, რომ წარმოებით ურთიერთობები ვითარდება ობიექტური კანონზომიერების მიხედვით, რაც მარქსის თეორია ისტორიციზმის, კერძოდ, ეკონომიკური ისტორიციზმის წარმომადგენლად აქცევს. ისტორიციზმი, როგორც ცნობილია, არის თვალსაზრისი, რომელიც აღიარებს საზოგადოების განვითარების დეტერმინისტულ სქემას და იმის შესაძლებლობას, რომ ამ სქემის გაცნობიერების საფუძველზე შეესაძლებელია საზოგადოების (ისტორიის) მომავლის წინასწარგანჭვრება.<sup>32</sup> სოციალური სისტემები წარმოების ერთი წესიდან მეორეზე გადადიან, რაც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების კანონზომიერ (ობიექტურ) ცვალებადობაში გამოიხატება. ამ ცვალებადობას ხშირად რევოლუციური ხასიათი აქვს. მარქსმა გამოყო ხუთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია: პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური (კომუნისტური).

<sup>31</sup> Marx, K. (1975): 'Preface to A Contribution to the Critique of Political Economy', in: Early Writings, trans. R. Livingstone and G. Benton, repr. London:Penguin; p. 389.

<sup>32</sup> ისტორიციზმი უნდა განვასხვავოთ ისტორიზმისაგან, რომ სოციალური და კულტურული ცხოვრება ისტორიულად განაპირობებულია და რომ ადამიანის გამოცდილებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისტორიული დრო.

საზოგადოების სტრატიფიკაციული მოდელი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ კინ ფლობს წარმოების საშუალებებს. შესაბამისად, საზოგადოება იყოფა მმართველ კლასად, რომელიც ახორციელებს კონტროლს საწარმოო ძალებზე და ფლობს წარმოების საშუალებებს და მართულ კლასად, რომელიც ასეთ საკუთრებას მოკლებულია. მმართველ და მართულ კლასებს შორის კონფლიქტია სწორედ ის, რაც ისტორიის განვითარების მამოძრავებელია, რაც "ისტორიის ძრავაა". როგორც მარქსი იტყვის, "კაცობრიობის მთელი ისტორია კლასობრივი ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს".

### 3.2. კაპიტალიზმის თეორია

მარქსის უურადღება მიმართული იყო ცვლილებებზე, რომლებიც უკავშირდებოდა ისტორიისა და საზოგადოების განვითარების იმ ეტაპს, რასაც კაპიტალიზმი ჰქვია. კაპიტალიზმი ისეთი ეკონომიკური სისტემაა, რომელიც ძირებულად განსხვავდება მისი ისტორიული წინამორბედებისაგან იმით, რომ ახორციელებს საქონლისა და მომსახურების ისეთ წარმოებას, რომელიც მომხმარებელთა ფართო წრეზე იყიდება.

მარქსმა განსაზღვრა კაპიტალისტური წარმოების ორი მთავარი ნიშანი:

1. პირველი, ესაა კაპიტალი, ანუ ნებისმიერი ქონება, რომლის ინვესტირებაც შესაძლებელია ახალი მოგების მისაღებად. კაპიტალიზმი მარქსისთვის წარმოების ისეთი სახეა, რომელიც ახდენს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების, სასაქონლო პროდუქციის და მოგების პრინციპის კომბინირებას კონკურენტული, დინამიური და მზარდი ბაზრის პირობებში. მარქსი იზიარებს ინგლისელი ეკონომისტის დავიდ რიკარდოს მიერ გატარებულ განსხვავებას ობიექტის სახმარ ღირებულებასა და მის გაცვლით ღირებულებას შორის. ობიექტის სახმარი ღირებულება მდგომარეობს მის შესაბამისობაში კერძო პრაქტიკულ მიზნებთან, ხოლო გაცვლითი ღირებულება ობიექტს მიეწერება მხოლოდ როგორც ვაჭრობის საგანს – რაც შეიძლება გამოიხატოს ობიექტის ფასის სახით. საქონელი არის ის სწორედ ის საგანი, რომელიც იწარმოება გაყიდვის მიზნით, ანუ ექსკლუზიურად მისი გაცვლითი ღირებულებისათვის, ბაზრისათვის და მოგებისათვის. მარქსის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო პროდუქცია არსებობდა წინაკაპიტალისტურ საზოგადოებებშიც, კაპიტალიზმის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ სასაქონლო წარმოება ხდება მთელი საზოგადოების საწარმოო საქმიანობის დომინანტური მაორგანიზებელი პრინციპი. ყველა პროდუქცია იქცევა საქონლად, ანუ პროდუქციად ბაზრისათვის და ფული ხდება ტრანსაქციის ერთადერთი მედიუმი. კაპიტალიზმის პირობებში სასაქონლო წარმოება ხდება ცირკულაციური პროცესი, როდესაც ღირებულება რეალიზდება ბაზარზე როგორც მოგება და ხდება მისი ხელახლი ინვესტირება წარმოებაში.

2. კაპიტალის დაგროვება უპირობოდ დაკავშირებულია დაქირავებულ შრომასთან, რომელიც კაპიტალიზმის მეორე ძირითადი ნიშანია. მარქსი, ერთი მხრივ, მიუთითებს საკუთრივ შრომის ღირებულებაზე, რომელიც მოიცავს ენერგიის იმ რაოდენობას, რომელიც იხარჯება წარმოების ნებისმიერ აქტში და რასაც მუშა ყოველ დღე გაიღებს. ეს ღირებულება მოიცავს, აგრეთვე, შრომის ჩანაცვლებასაც ჭამით და დასვენებით, რათა შრომაშ შეძლოს კვლავწარმოება. მეორე მხრივ, მარქსი ლაპარაკობს "დამატებულ (ზედმეტ) ღირებულებაზე": ეს არის ღირებულება, რომელიც ემატება შრომას იმის იქით, რაც წარმოების

აქტზე იხარჯება. ანუ, ესაა ის, რაც რჩება იმ ობიექტში, რომელიც მუშამ აწარმოვა. მარქსი აღნიშნავს, რომ მოგება, რომელსაც კაპიტალისტი იღებს, როდესაც პროდუქტი გატანილია ბაზარზე, საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ამ დამატების წილი აუცილებელ შრომის ძალასთან შედარებით. ეს წილი შეიძლება გაიზარდოს სხვადასხვა გზით – უბრალოდ ხელფასის შემცირებით, ანდა, ადამიანების ჩანაცვლებით ტექნიკური საშუალებებით. მაშასადამე, შრომა კაპიტალიზმის პირობებში თავად ხდება საქონელი, რაც შეიძლება გარკვეულ ფასად იყიდო ან გაყიდო ბაზარზე.

დაქირავებული შრომა აერთიანებს მუშებს, რომელთაც არ გააჩნიათ არსებობის საშუალებები და იძულებულნი ხდებიან კაპიტალის მფლობელებს მიაქირაონ თავი. მარქსი თვლიდა, რომ კაპიტალის მფლობელები, ანუ კაპიტალისტები მმართველ კლასს ქმნიან, ხოლო დაქირავებული მუშები – მართულ კლასს, ანუ პროლეტარიატს. კაპიტალის მფლობელები და დაქირავებული მუშები დამოკიდებულები არიან ერთმანეთზე, რამდენადაც კაპიტალისტებს აუცილებლად სჭირდებათ სამუშაო ძალა, ხოლო დაქირავებულ მუშებს-ხელფასი. ასეთი ურთიერთ განპირობებულობის მიუხედავად, ამ ორ კლასს შორის არსებობს მკვეთრი ასიმეტრია, რამდენადაც კლასობრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ექსპლუატაცია: მუშებს არა აქვთ არანაირი შესაძლებლობა, რომ გააკონტროლონ თავიანთი შრომა, ხოლო კაპიტალისტები, მოგების მიღების მიზნით, ითვისებენ სხვათა შრომის პროდუქტს. კაპიტალიზმი ექსპლოატაციის სისტემაა, რომელშიც დამატებითი დირექტულება ამორთულია სახელფასო შრომიდან და რომელშიც სასაქონლო ფორმა დომინანტობს მშრომელის ცხოვრებაზე. მუშები ექსპლოატირებულნი არიან მათი უნარის გამო, რომ აწარმოონ საქონელი და შექმნან დამატებული დირექტულება, ხოლო მათი შრომითი ძალა თავად არის ქცეული საქონლად. ამრიგად, სასაქონლო ფორმა ახორციელებს გარეგან ზწოლას ადამიანზე. მარქსი ამ პროცესს “გაუცხოებას” (*Entfremdung*) უწოდებს (ეს ტერმინი მარქსმა ჰეგელიდან აიღო). გაუცხოება სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობაა როდესაც ინდივიდი გაეთიშება თავის სოციალურ გარემოს. ინდივიდები გაუცხოვდებიან მათი სამყაროსაგან, რამდენადაც ამ სამყაროს განიცდიან როგორც “ექსტრენულს” (გარეგანს) და “ობიექტივირებულს” მათვის. კაპიტალიზმის პირობებში მუშა გაუცხოებულია თავისი შრომისაგან, რამდენადაც, ჯერ-ერთი, მისი შრომა არა ნებაყოფლობითი, არამედ იძულებითია, მეორეც, შრომის პროდუქტი, რომელშიც მან თავისი ცხოვრება ჩადო, მას არ ეკუთვნის. მარქსი ამტკიცებს, რომ ექსპლოატაციის და გაუცხოების პირობებში, სოციალური ცხოვრება მოჩანს ისეთი, რაზეც დომინანტობს ნივთების (საქონლის) გაცვლა, რომელშიც მედიუმის როლს უკლი ასრულებს. უკლი არის “ინდივიდთა შორის ობიექტივირებული ურთიერთობა”. ინდივიდებს შორის სოციალური კავშირი ტრანსფორმირდება ნივთთა შორის სოციალურ ურთიერთობად. ამას მარქსი “სასაქონლო ფეტიშიზმსაც” უწოდებს. ეს არის ფსევდო ობიექტურობა, რომელიც მძიმედ აწვება კაპიტალიზმს და უცილობლად იწვევს მის ტრანსფორმაციას.

კაპიტალიზმი კონკურენტული სისტემაა და შინაგანი დინამიზმი გააჩნია. მან უნდა მოახდინოს საწარმოო ძალების მუდმივი განახლება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დამარცხედება ბაზრის კონკურენტული მექანიზმების წინაშე. ამდენად, კაპიტალისტებმა მუდმივად უნდა ეძიონ ახალი ბაზრები და შრომის უფრო იაფი და ეფექტური წყაროები. ხელფასის მუდმივი დაწევის მცდელობის გამო მშრომელების უდიდეს ნაწილი გეღარ შეძლებს შეიძინოს ის პროდუქტი, რომელსაც თავად აწარმოებს. ამას მივყავართ გარდაუვალ კლასობრივ

კონფლიქტამდე. კაპიტალიზმი თავად ქმნის თვითდესტრუქციის და უკლასო კომუნისტურ საზოგადოებად რევოლუციური გარდაქმნის პირობებს. მარქსი აკრიტიკებს იმ სოციალისტურ მოძრაობებს, რომელთა მიზანი არის არა კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობა, არამედ მისი პოლიტიკური რეფორმირება. მხოლოდ რევოლუციურ პროცესებს შეუძლია ექსპლოატირებული სოციალური კლასის პირობების რადიკალური შეცვლა. მუშათა კლასმა უნდა შეიცვალოს სტატუსი და “კლასი თავისთავად”-იდან (‘class-in-itself’) გახდეს “კლასი თავისთვის” (‘class-for-itself’), ანუ თვითცნობიერების მქონე კლასი. აი, რას წერენ მარსი და ენგელსი “გერმანულ იდეოლოგიაში”:

“როგორც კომუნისტური ცნობიერების მასობრივი დონის მიღწევისათვის, ისე თავად ფაქტის წარმატებისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერების გადართვა მასის დონეზე, რაც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული მოძრაობის – რევოლუციის – საშუალებით. ამრიგად, რევოლუცია აუცილებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მმართველი კლასი არ შეიძლება სხვა გზით შეიცვალოს, არამედ იმიტომაც, რომ კლასს, რომელიც მმართველებს გადააგდებს, მხოლოდ რევოლუციის გზით შეუძლია მოიცილოს ეპოქალური ჭუჭყი და თავიდან მოერგოს ახალ საზოგადოებას”.<sup>33</sup>

მარქსი უკლასო საზოგადოებას წარმოიდგენდა როგორც ისტორიის უცილობელ მომავალს, სადაც არ იქნებოდა დაყოფა მდიდრებსა და დარიბებს შორის. რასაკვირველია, მარქსი არ თვლიდა, რომ სოციალიზმის პირობებში მოისპობა ადამიანებს შორის უთანასწორობის ნებისმიერი ფორმა. მარქსი თვლიდა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში არ იარსებებს დაყოფა მმართველ უმცირესობას (რომელიც ახდენს პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მონოპოლიზებას) და მართულ უმრავლესობას (რომელთაც არა აქვთ მისასვლელი იმ ქონებასთან, რასაც ისინი თავიანთი შრომით ქმნიან) შორის. ეკონომიკა გადავა საზოგადოებრივ მფლობელობაში, საზოგადოებაში დამყარდება პუმანური წესრიგი და თანასწორობა, ამაღლდება მთელი საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის დონე.

<sup>33</sup> Marx, K. and Engels, F. (1964): *The German Ideology*, repr. London: Lawrence and Wishart.

## §4. გეორგ ზიმელის შრომები

ბიოგრაფიული ცნობები:

გეორგ ზიმელი (Georg Simmel) დაიბადა 1858 წლის 1 მარტს ბერლინში. იგი ყველაზე უმცროსი წევრია შვიდშვილიან თჯახში. ზიმელის მამა მდიდარი ებრაელი ბიზნესმენი იყო, რომელმაც სარწმუნოება გამოიცვალა და გაქრისტიანდა. იგი გარდაიცვალა, როდესაც ზიმელი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. ზიმელის დედამ, საქმაოდ დომინანტურმა პიროვნებამ, ახალგაზრდა ზიმელი თჯახური მექანიკიდრეობის გარეშე დატოვა.

ზიმელი სწავლობდა ისტორიას და ფილოსოფიას ბერლინის უნივერსიტეტში. 1881 წელს იგი იცავს სადოქტორი დისერტაციას: “საგნების ბუნება კანტის ფიზიკური მონადოლოგიის მიხედვით”. 1885 წელს ზიმელი ხდება ბერლინის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი (Privatdozent), ოფონდ ანაზღაურების გარეშე. ის კითხულობს სალექციო პურსებს ლოგიკაში, ფილოსოფიის ისტორიაში, ეთიკაში, სოციალურ ფილოლოგიასა და სოციოლოგიაში. 1890 წელს ზიმელმა ცოლად შეირთო ფილოსოფოსი გერტრუდა კინელი (Gertrud Kinel), რომელიც მარია-ლუიზა ენკედორფის (Marie-Luise Enckendorf) ფსევდონიმით იბეჭდებოდა. 1901 წელს ზიმელს ენიჭება “ექსტრაორდინარული პროფესორის” (Ausserordentlicher Professor) საპატიო წოდება, თუმცა, ის მაინც კათედრის გარეშე რჩება და ვერ იღებს მონაწილეობას უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში. ზიმელი ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი რეპუტაციის მეცნიერი, რომელიც ლექტორობის არაჩვეულებრივი ტალანტით გამოიჩინებოდა. მიუხედავად ამისა, 1914 წლამდე იგი აკადემიურ “აუტსაიდერად” რჩება, რამდენადაც ვერ იკავებს სრული პროფესორის ადგილს გერმანიის უნივერსიტეტში (საქმეს ვერც ის შველის, რომ ზიმელს “ზურგს უმაგრებს” ცნობილი მეცნიერების რეპომენდაციები, თვით მაქს ვებგრაფის ჩათვლით).

მიუხედავად “აუტსაიდერობისა”, ზიმელი აქტიურად მონაწილეობს ბერლინის ინტელექტუალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ესტრება მოდურ სალონურ შეხვედრებს და სამეცნიერო (ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ) დისერტაციებს. მაქს ვებერთან და ფერდინანდ ტიონისთან ერთად ზიმელი აფუნქცის გერმანიის სოციოლოგთა საზოგადოებას. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა ხელოვნების სფეროშიც. გერმანიის ორი წამყვანი პოეტი, რაინჟ მარია რილკე და შტეფან გეორგე (Stefan George), მისი პირადი მეგობრები არიან.

1914 წელს ზიმელი, ბოლოს და ბოლოს, იღებს პროფესორის პოზიციას სტრასბურგის უნივერსიტეტში. თუმცა, პირველი მსოფლიო ომის გამო მთელი აკადემიური საქმიანობა შეჩერებული იქნა, სალექციო აუდიტორიები სამხედრო პოსპიტალებად გადაკეთდა. 1915 წელს მან განაცხადი გააკეთა პაიდელბერგის უნივერსიტეტში მუშაობის დასაწყებად, მაგრამ უშედეგოდ. ზიმელი გარდაიცვალა ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, 1918 წლის 28 სექტემბერს, დვიძლის კიბოთი.

გეორგ ზიმელის ძირითადი შრომები:

- სოციალური დიფერენციაციის შესახებ (*Über sociale Differenzierung*) – 1890 წ.
- ისტორიის ფილოსოფიის პრობლემები (*Die Probleme der Geschichtphilosophie*) – 1892 წ.
- ეთიკის მეცნიერების შესავალი (2 ტომად) (*Einleitung in die Moralwissenschaft*) – 1892-3 წწ.
- ფულის ფილოსოფია (*Philosophie des Geldes*) – 1900 წ.
- სოციოლოგია: სოციაციის ფორმების გამოკვლევა (*Soziologie: Untersuchungen ueber die Formen der Vergesellschaftung*) – 1908 წ.
- სოციოლოგიის ფუნდამენტური საკითხები (*Grundfragen der Soziologie*) – 1917 წ.

### 4.1. ფორმალური სოციოლოგიის ძირითადი პრინციპები

ზიმელის მთავარი “შენატანი” სოციალური თეორიის განვითარებაში ისაა, რომ მან სოციოლოგიას ამოცანად დაუსახა სოციალური ურთიერთობების წმინდა ფორმების, ანუ ე.წ. “სოციაციის ფორმების” ანალიზი. რამდენადაც ზიმელი ფოკუსირდება სოციალურ ინტერაქციებზე, ბევრი მკვლევარი მას მიკრო სოციოლოგიის პირნერად თვლის და მის წვლილს მნიშვნელოვნად მიიჩნევს

მცირე ჯგუფების კვლევისა და მიქრო სოციოლოგიური თეორიების (სიმბოლური ინტერაქციონიზმი, გაცვლის თეორია და სხვ.) განვითარებაში.<sup>34</sup>

რას გულისხმობს ზიმელი "სოციაციის ფორმებში", რომელსაც განასხვავებს სოციალური ურთიერთობების შინაარსისაგან?

ნებისმიერ საზოგადოებაში, ზიმელის აზრით, ფორმა შეიძლება გამოვაცალკევოთ შინაარსისაგან. იმას, რაც ინდივიდებში არსებობს მისწრაფებების, ინტერესების, მიზნების, ფსიქიკური მდგომარეობებისა და მოძრაობების სახით, რისგანაც ფორმირდება სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედება, ზიმელი უწოდებს **შინაარსს**, ანუ “განსაზოგადოების მატერიას”. საზოგადოება ურიცხვი “შინაარსებისაგან” შედგება: საქმიანი ინტერესი, რელიგიური იმპულსები, ეროტიკული ინსტინქტები, თავდაცვა ან თავდასხმა, თამაში ან წარმოება, დახმარებისკენ, სწავლისაკენ სწრაფვა და ბევრი სხვა მოტივი “ადამიანში აღვიძებს სხვისთვის, სხვასთან ერთად, სხვის წინააღმდეგ მოქმედებას”. საზოგადოება ზოგადად წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთქმედებას, რომელიც იქმნება ინდივიდთა განსხვავებული მოტივების, ინტერესებისა და მიზნების საფუძველზე და რომელშიც ეს მოტივები და ინტერესები თავის ხორცშესხმას პოულობს.

იმისათვის, რათა რეალობის (“შინაარსების”) ლაბირინთში გაერკვნენ, ადამიანები მათ გარკვეულ ფორმებში აქცევენ, ანუ ქმნიან გარკვეულ ნიმუშებს (“პატერნებს”) შინაარსების ცალკეული ნაკადისათვის. ამდენად, რეალურ მოვლენათა ლაბირინთში წესრიგის “შესატანად” აქტორები მანიპულირებენ აბსტრაქტული ფორმების განსაზღვრული რაოდენობით. სოციოლოგის ამოცანაც ზუსტად ისაა, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი აკეთებს: ის აგებს ანალიტიკური ფორმების განსაზღვრულ რაოდენობას, რათა ისინი მიუყენოს სოციალურ რეალობას, კერძოდ, კონკრეტულ ინტერაქციებს და ამით მათი ანალიზის შესაძლებლობა გააუმჯობესოს.<sup>35</sup> მაგალითად, სოციოლოგმა შეიძლება განსაზღვროს ინტერაქციის ისეთი ფორმები, როგორიცაა “ზატონობა” და “დაქვემდებარება” და ისინი “აღმოაჩინოს” სოციალურ ინსტიტუტთა ფართო წრეში: “სახელმწიფოში, ისევე როგორც რელიგიურ გაერთიანებაში, შეთქმულთა ჯგუფში ისევე, როგორც ეპონომიკურ ასოციაციაში, ხელოვნების სკოლაში ისევე, როგორც ოჯახში”.<sup>36</sup>

ზიმელი საზგანმით აღნიშნავს, რომ რეალობის მოწესრიგებელი ფორმები იძენენ საკუთარ “სიცოცხლეს”, იწყებენ არსებობას შინაარსისაგან (“თავისი ფესვებისაგან”) დამოუკიდებლად, ანუ არსებობას “საკუთარი თავისთვის”. განსაზოგადოების ამ წმინდა ფორმას უწოდებს სწორედ ზიმელი **“სოციაციას”**.<sup>37</sup> აი, რას წერს იგი:

“საზოგადოებაში თანაცხოვრების გარკვეული შემდეგ ინდივიდის ინტერესები და მოტივები ხდება ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, იმ ცხოვრებისგან, რომლისგანაც ისინი გამოვიდნენ და რომელსაც უნდა

<sup>34</sup> ი. მაგალითად: Frisby, David (1992): *Simmel and Since: Essays on Georg Simmel's Social Theory*. London: Routledge; pp. 20-41); Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; pp. 260-1.

<sup>35</sup> ზიმელის ეს თვალსაზრისი ამჟღავნებს პირდაპირ ანალოგიას ვებერის “იდეალურ ტიპებთან”, რომელთა შესახებ საუბარი იქნება მე-4 თავში.

<sup>36</sup> Simmel, Georg (1959): ‘The problem of Sociology’. In K. Wolff (ed.), *Essays in Sociology, Philosophy and Aesthetics*. New York: Harper Torchbooks: 310-336; p. 317

<sup>37</sup> გერმანულ ტერმინს ‘Vergesellschaftung’ ინგლისურად თარგმნიან როგორც ‘Sociation’ ან ‘Association’, ხოლო რუსულად – “Общение”. წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი “სოციაცია”.

უმაღლოდნენ თავიანთ არსებობას. ხდება ზოგიერთი ენერგიის გამოთავისუფლება და ავტონომიზაცია, ისინი უკვე აღარ არიან დაკავშირებული საგანთან, რომლის გაფორმებასაც ესწრაფოდნენ... ისინი ახლა უკვე “თამაშობენ” თავისთვის და თავისთავში, მოიცავენ და ქმნიან მატერიას, რომელიც ახლა მხოლოდ მათი თვითრეალიზაციის საშუალებაა”.<sup>38</sup>

ასე მაგალითად, ყოველგვარი შემეცნება თავდაპირველად წარმოადგენს არსებობისათვის ბრძოლის საშუალებას. საგანთა ნამდვილი ბუნების ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. თუმცა, მეცნიერების წარმოშობა მოწმობს, რომ შემეცნება მოწყდა პრაქტიკულ მიზნებს, იქცა დირებულებად თავისთავად (თავისთავში), დამოუკიდებლად ირჩევს თავის საგანს და გარდაქმნის მას თავისი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად.

ასეთივე ვითარებაა სამართალთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობა ახდენს ადამიანთა ქცევის გარკვეული ხერხების ლეგიტიმაციას. ისინი თავდაპირველად არსებობენ მხოლოდ მიზანშეწონილობის გამო. თუმცა, სამართლის გაჩენასთან ერთად მათი საზრისი ხდება სრულიად სხვაგვარი: ახლა ისინი რეალიზდება მხოლოდ იმიტომ, რომ მხარდაჭერილია სამართლით, თუნდაც იმ სიცოცხლისგან დამოუკიდებლად, რომელმაც ისინი შვა: “დაუ, შესრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც დაიღუპოს სამყარო”. მაშასადამე, სამართალი მისი წმინდა სახით აღარ უკავშირდება არანაირ ცხოვრებისეულ “მიზანს”, იგი აღარ წარმოადგენს საშუალებას, არამედ, პირიქით, საკუთარი თავიდან განსაზღვრავს ცხოვრების ორგანიზების წესს.

მაშასადამე, ზიმელი არა მხოლოდ სოციაციის წმინდა ფორმების არსებობას აღიარებს, არამედ იმასაც ცალსახად ამბობს, რომ ფორმა, მას შემდეგ რაც იწყებს “თავისთვის” არსებობას, თავად განსაზღვრავს რეალური ცხოვრების ორგანიზების წესს. მოვუსმინოთ ზიმელს:

“აქ ყველაზე უკეთ ჩანს 180 გრადუსით შემობრუნება მატერიის საშუალებით სიცოცხლის ფორმის განსაზღვრიდან, ფორმის მეშვეობით მატერიის განსაზღვრამდე... ამას შეიძლება თამაშიც ეწოდოს: ცხოვრების რეალურმა ძალებმა, მოთხოვნილებებმა და იმპულსებმა შექმნეს ჩვენი ცხოვრების ისეთი მიზანშეწონილი ფორმები, რომლებიც შემდეგ თამაშის სახით გადაიქცნენ თავისთავად შინაარსად: ნადირობა, სხეულისა და სულის ვარჯიში, შეჯიბრი, რისკი და ა.შ. ყველაფერი ეს გამოვიდა წმინდა ცხოვრების ნაკადიდან, გაწყვიტა კავშირი მის მატერიასთან და მოიპოვა რა რეალურობა საკუთარ თავში, დაიწყო ისეთი საგნების შერჩევა და შექმნა, რომლებშიც საკუთარ თავს ინახავს და ახდენს საკუთარი თავის წმინდა ასახვას”.<sup>39</sup>

მეტიც, ზიმელი აცხადებს, რომ თუკი აღარ იარსებებს სოციაციის კონკრეტული ცოცხალი მოტივაციები როგორც განსაზოგადოების შინაარსი, მით უფრო მეტ “ძალასა და ნამდვილობას შეიძენს წმინდა ფორმა”. ასეთი თვალსაზრისის გამო ზიმელს ხშირად ბრალს სდებენ სპეცულატივიზმში, რეალობის “დავიწყებაში”, ფორმალიზმში, რაც რეიფიკაციის საშიშროებას შეიცავს. ასეთი საყვედურების საპასუხოდ, ხწორად აღნიშნავს რიტცერი: “პირველი, ის [ზიმელის ფორმალური სოციოლოგია] ახლოს არის რეალობასთან, რამდენადაც შექმნილია ზიმელის მიერ გამოყენებული ურიცხვი რეალური ცხოვრების მაგალითებით. მეორეც, ის არ ახდენს თვითნებური და რიგიდული კატეგორიების მიყენებას სოციალური რეალობისადმი, არამედ ამის ნაცვლად ცდილობს ფორმები სოციალური რეალობიდან გამომდინარე გახადოს. მესამე, ზიმელის მიღეობა არ იყენებს ზოგად თეორიულ სქემას, რომელსაც სოციალური სამყაროს ყველა ასპექტი

<sup>38</sup> Зиммель, Г. (1996): *Общение*; в книге: Г. Зиммель: Избранное. Москва. Юрист; стр. 487ю

<sup>39</sup> Зиммель, Г. (1996): *Общение*; в книге: Г. Зиммель: Избранное. Москва. Юрист; стр. 488.

ემორჩილება. ამდენად, იგი თავიდან იცილებს თეორიული სქემის რეიფიკაციას, რაც ისეთი თეორეტიკოსის დილემად იქცა, როგორიც პარსონსია. და ბოლოს, ფორმალური სოციოლოგია საწინააღმდეგოა წმინდად კონცეპტუალიზმისთვის. რასაკვირველია, ზიმელი იყენებს ემპირიულ “მონაცემებს”, მაგრამ ისინი ემორჩილება იმ ძალის ხმელებას, რომ შეიტანოს გარკვეული წესრიგი სოციალური რეალობის ქაოტურ სამყაროში”.<sup>40</sup>

#### თქმული სისტემის მიზანი

ნათელია, რომ “სოციაციის” ცნება ზიმელთან მოიცავს ურთიერთქმედებისა და განსაზოგადოების ყველა არსებულ ფორმას: ძალაუფლებისაკენ მისწრაფებას, გაცვლას, პარტიის ჩამოყალიბებას, შემთხვევით შეხვედრებს და დაშორებებს, მეტოქეობასა და პარტნიორობას, დალატს, რეგანშს და ა.შ. და ა.შ. ყველაფერი, რაც ცხოვრებაში სავსეა შინაარსით, ფორმათა თამაშში ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი, თვითქმარი ცხოვრებით. ამ მსჯელობებს ზიმელი იყენებს სქესთა სოციოლოგიის მიმართაც: ეროტიკა გამოიმუშავებს თავის სათამაშო ფორმას – კოკეტობას, რომელიც სოციაციაში პოულობს გამჭვირვალე გამოხატულებას. თუ ყველა ეროტიკული პრობლემა ტრიალებს ურთიერთობისა და უარის გარშემო, მაშინ კოკეტობის არსი მდგომარეობს ურთიერთობასა და უარს შორის დაძაბულ ურთიერთობაში, იმაში, რომ მიიქციოს პარტნიორის ყურადღება ისე, რომ არც დაპირდეს არაფერს და არც ხელი ჰკრას მას. კოკეტი ქალი თითქოს ცხოვრობს “ჰოსა” და “არას” შორის, არ იდებს რა საბოლოო გადაწყვეტილებას. ყველაფერი ეს კოკეტობას ანიჭებს იდეალურ ხასიათს და უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ კოკეტობის “ხელოვნებაზე”.

იგივე ითქმის საუბრის (ორატორულ) ხელოვნებაზეც. ცხოვრებაში ადამიანები საუბრობენ გარკვეული შინაარსის გამო, რომლის გადაცემაც, ახსნაც და ანალიზიც მათ სურთ. სოციაციის ფორმის სახით კი საუბარი თვითმიზანია, როგორც თვითგართობის ხელოვნება, რომელსაც მისი საკუთარი კანონები გააჩნია.

## 4.2. სოციალური გეომეტრია

ზიმელის ფორმალური სოციოლოგიის ერთ-ერთი ნაწილია მისი “სოციალური გეომეტრია”, ანუ “სოციალურ ურთიერთობათა გეომეტრია”. ეს უკანასკნელი სხვადასხვა სიმბოლოს საფუძველზე ახდენს სოციალურ ურთიერთობათა ანალიზს. ერთ-ერთი ძირითადია **რიცხვები**. ზიმელმა ამ საკითხს სპეციალური ესსე მიუძღვნა თავის “სოციოლოგიაში”: ”რიცხვების მნიშვნელობა სოციალურ ცხოვრებაში”<sup>41</sup> ზიმელი აქ ატარებს განსხვავებას იმ შემთხვევებს შორის, როდესაც ინტერაქციაში ჩართულ ინდივიდთა რაოდენობა ორი ან სამია. ასეთ ჯგუფებს ზიმელი უწოდებს “დიადას” ან “ტრიადას”. როდესაც ლაპარაკია დიადაზე (ორპაციან ჯგუფზე), მისი დარღვევა (მაგალითად, ერთ-ერთის წასკლა ჯგუფიდან) აუქმებს ინტერაქციას. დიადაში არ არსებობს დამოუკიდებელი ჯგუფური სტრუქტურა. ჯგუფი შედგება მხოლოდ ორი ცალკეული ინდივიდისაგან. თითოეულ მათგანს ინდივიდუალურობის მაღალი ხარისხი აქვს. ინდივიდი არ დაიყვანება ჯგუფის დონეზე. სრულიად სხვა ვითარებაა ტრიადის შემთხვევაში. მესამე წევრის დამატება იწვევს რადიკალურ ცვლილებებს. როდესაც ჯგუფში სამი ინდივიდია ჩართული, ურთიერთობები ნარჩენდება იმ

<sup>40</sup> Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; pp. 267-8.

<sup>41</sup> Simmel, Georg (1950): *The Significance of Numbers in Social Life*. In K. H. Wolff (ed.), *The Sociology of Georg Simmel*. New York: Free Press; pp. 87-104.

შემთხვევაშიც, თუ ერთი წევრი წავა ჯგუფიდან (რამდენადაც არსებობს ორ დარჩენილ წევრს შორის ინტერაქციის გაგრძელების შესაძლებლობა). რაც მთავარია, ტრიადის შემთხვევაში ვითარდება დამოუკიდებელი ჯგუფური სტრუქტურა. ანუ, ტრიადა მნიშვნელობს მასში ჩართულ ინდივიდთა მიღმა. ეს ნიშნავს, რომ ტრიადა იქცევა სოციალურ სტრუქტურად, რომელიც უფრო მეტია, მეტიც, დომინანტურია მასში ჩართულ ინდივიდებზე. ამდენად, ტრიადაში მისი წევრების ინდივიდუალობას საფრთხე ემუქრება. ტრიადაში შესაძლებელია გაჩნდეს სტრატიგიკაციული და ძალაუფლებითი სისტემები. მაგალითად, ოჯახში, რომელიც სამი წევრისაგან შედგება (მშობლები და მათი შვილი), შეიძლება შეიქმნას კოალიცია “ორი ერთი წინააღმდეგ”. მესამე წევრმა შეიძლება თავისი მიზნების სასარგებლოდ გამოიყენოს ორ წევრს შორის დაძაბულობა, ან თავად იყოს მათ შორის კონფლიქტის ინსპირატორი, რათა მათზე უპირატესობა მოიპოვოს (“დაყავი და იბატონეს” პრინციპი) და სხვ.

ეს ცვლილებები, რომელიც გამოიწვია დიადის ტრიადად ტრანსფორმაციამ, უფრო და უფრო რთულდება ჯგუფის ზომის გაზრდასთან ერთად. ცხადია, ყველაზე კომლექსური ჯგუფი საზოგადოებაა. საზოგადოებას ინდივიდის მიმართ დიალექტიკური (წინააღმდეგობრივი) დამოკიდებულება აქვს: ერთი მხრივ, მატულობს ინდივიდის ავტონომიურობის ხარისხი, თუმცა, მეორე მხრივ, იგი სოციალური სტრუქტურების ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

ზიმელის “სოციალური გეომეტრიის” კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნებაა “დისტანცია”. ამ ცნების განხილვა მიზანშეწონილია ზიმელის ესეს – “უცნობი” – შუქჟე<sup>42</sup>. ეს ესე ეძღვნება ებრაელის ადგილს დასავლურ საზოგადოებაში, სადაც ის “აუტსაიდერად” რჩება. თუმცა, ზიმელი კონკრეტული შემთხვევის გენერალიზებას ახდენს. უცნობი არის ადამიანი, რომელიც “მოდის დღეს და რჩება ხვალ”. ამით განსხვავდება ის მოგზაურისაგან ან ბომუსაგან. უცნობი არის ორი ძირითადი და ერთმანეთის საპირისპირო ურთიერთობის – დარჩენის და წასვლის – განხორციელება. უცნობი გვუხა მხოლოდ შეზღუდულ მიმღებლობას და გარკვეული ხარისხით ყოველთვის იტოვებს “სხვის”, არაშინაურის იმიჯს. ეს მედავნდება იმ ინტერაქციებში, რომელიც არსებობს უცნობსა და ადგილობრივ მკვიდრებს შორის. ადგილობრივების მხრიდან უცნობის მიმართ რეაქცია, ერთი მხრივ, ცნობისმოყვარეობაა, ანუ ისინი რაღაცას იძენენ უცნობისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, – აგრესია, რაც შეიძლება სრულ მიუღებლობაში გადაიზარდოს. უცნობმა მუდმივად უნდა შეინარჩუნოს ბალანსი “ძალიან ახლოს” და “ძალიან შორს” ყოფნას შორის. თუ ის ძალიან ახლოს იქნება, მაშინ შეწყვეტს არსებობას როგორც უცნობი, ხოლო თუ – ძალიან შორს, მაშინ გაწყვეტს ჯგუფთან ნებისმიერ კონტაქტს. ის ურთიერთობა, რომელიც უცნობს აქვს ჯგუფის წევრებთან, არის სიახლოვის და დისტანციის ერთგვარი კომბინაცია. უცნობის უზვეულო (აგიპიური) დისტანცია ჯგუფისაგან უფლებას აძლევს მას პქონდეს ჯგუფის წევრებთან ინტერაქციის განსაკუთრებული სტანდარტები. მაგალითად, მას შეუძლია იყოს უფრო ობიექტური, აგრეთვე, მოიპოვოს ჯგუფის წევრების ნდობა და ა.შ. ასე ხდება უცნობი ჯგუფის ორგანული წევრი. საბოლოო ანგარიშით, ზიმელი უცნობის სოციალურ ტიპს აყალიბებს, ანუ ახდენს კონკრეტული შემთხვევის ფორმალიზაციას და უცნობობას განიხილავს როგორც სოციალური ინტერაქციის ფორმას. უცნობობის, როგორც სიახლოვის და

<sup>42</sup> ი. Simmel, Georg (1971): ‘The Stranger’. In D. Levine (ed.), *Georg Simmel*. Chicago: University of Chicago Press; pp. 143-149.

დისტანციურებულობის ნაზავის, გარკვეული ხარისხი ყველა სოციალურ ურთიერთობაში მონაწილეობს, თუნდაც, ყველაზე ინტიმურში.

### თავი III: სოციალური თმორიის ძირითადი ცნებები

#### შესავალი

ამ თავში განხილული იქნება ის ფუნდამენტური ცნებები (კონცეპტები), როთაც სოციალური თეორია ოპერირებს. თითოეულ კონცეპტობის მიმართებაში მოხდება მისი არა იმდენად ენციკლოპედიური განსაზღვრება, არამედ პრობლემური ინტერპრეტაცია. ეს ამ კონცეპტებს უთუოდ შესძენს ანალიტიკურ დირექტულებას. შესაბამისად, მოცემული თავისთვის თავისუფლად შეიძლებოდა გვეწოდებინა “სოციალური თეორიის ძირითადი პრობლემები”.

ის ცნებები, რომლებიც ამ თავშია განხილული, ცხადია, სოციალური თეორიის “საკუთრება” არ არის. ისინი ზოგადად სოციალური (და არა მხოლოდ) მეცნიერებების ანალიტიკური ინსტრუმენტებია. თუმცა, ისიც არაა სადავო, რომ აღნიშნულ ცნებებს მეცნიერებებისათვის “საზიარო” მნიშვნელობების გარდა, თითოეული მათგანისათვის სპეციფიკური დატვირთვა გააჩნია. მაგალითად, ისეთ ცნებას, როგორიცაა დევიაცია, ფსიქოლოგია სხვა განასერში განიხილავს, ვიდრე სოციალური თეორია. ფსიქოლოგია დევიაციას ფსიქიკურ ანომალიებს დაუკავშირებს, ხოლო სოციოლოგია – ქცევის მარეგულირებელი სოციალური ნორმების შესუსტებას. თუმცა, სოციალური თეორიაც და ფსიქოლოგიაც “თანხმდებიან” იმაზე, რომ დევიაცია გადახრითი ქცევაა. ასევე, ისეთი ცნება, როგორიცაა კულტურა, განსხვავებულად ინტერპრეტირდება სხვადასხვა მეცნიერების მიერ. შესაბამისად, არსებობს კულტურის სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული და ა.შ. ინტერპრეტაციები. შესაბამისად, ქვემოთ გადმოცემული ძირითადი კატეგორიების ანალიზს უთუოდ ატყვია სოციალური თეორიის “კვალი”.

უფრო მეტი: თვით სოციალური თეორიის ფარგლებშიც კი ესა თუ ის ცნება განსხვავებულად განიხილება იმის მიხედვით, თუ რა პარადიგმაზეა აგებული ესა თუ ის თვალსაზრისი. მაგალითად, ფუნქციონალური პარადიგმის ფარგლებში სტრუქტურის კატეგორია კოლექტურ ფენომენებს აღწერს როგორც ობიექტურად არსებულ ნივთებს (“სოციალურ ფაქტებს”), მაშინ როდესაც, არაფუნქციონალური პარადიგმის ფარგლებში სტრუქტურები მხოლოდ ანალიტიკური მოდელებია, ან, კიდევ უფრო უარესი – უსარგებლო კვაზი-კონსტრუქციები. ქვემოთ გადმოცემულ ანალიზს არა აქვს პრეტენზია, რომ განხილული კატეგორიების ყველა სოციოლოგიურ ინტერპრეტაციას გაითვალისწინებს. აქ სხვა პრინციპია არჩეული: გაანალიზებულია ის თვალსაზრისები, რომლებიც ამა თუ იმ ცნების მეტ-ნაკლებად კომპლექსურ სურათს იძლევა, ანუ ახდენს მოცემული ცნების გარშემო დაგროვილი პოზიტიური ცოდნის “შენახვას” და განვითარებას. თუმცა, ისიც ნათელია, რომ შერჩეული მიღვომები მაინც სუბიექტურობის, უფრო ზუსტად, ინტელექტუალური “ტენდენციურობის” ველში რჩებიან.

სოციალური თეორიისკონცეპტუალური აპარატი საკმაოდ ფართოა. თუ მათგან ყველაზე ფუნდამენტურ ცნებებს შევარჩევთ, დიაპაზონი მნიშვნელოვნად დავიწროვდება. და მაინც: ქვემოთ განხილული ცნებების ჩამონათვალი არც “დავიწროებული” დიაპაზონისთვისაა ადეკვატური. თუმცა, ისინი სოციალური თეორიის ბირთვის ნაწილია. ეს ცნებებია: საზოგადოება, კულტურა, სოციალური სტრუქტურა, დევიაცია (ანომია), სოციალური მოქმედება.

## §1. საზოგადოება<sup>43</sup>

ძნელია მოინახოს სოციალური თეორია, რომელიც თავისებურად არ უპასუხებდა კითხვას, რა არის საზოგადოება? საზოგადოებაზე რეფლექსია ყველა სოციალური თეორიის საფალდებულო ამოცანაა, რამდენადაც ისინი სხვას არაფერს იკვლევენ, თუ არა საზოგადოებას და მის მოვლენებს. საზოგადოების ცნების განსაზღვრისას შესაძლებელია ორი გზა ავირჩიოთ: ა) ანალიზური, ანუ მოვახდინოთ საზოგადოების იმ ნიშნების იდენტიფიკაცია, რომელიც მას *sui generis* მიეწერება. ამ ნიშნებს ადამიანთა განსაზღვრული ერთობა უნდა ატარებდეს ყველა შემთხვევაში, თუ მას აქვს პრეტენზია, საზოგადოებად იწოდებოდეს; ბ) სინთეზური, როდესაც საზოგადოების განსაზღვრა ხდება იმის მიხედვით, თუ რა სოციალურ კონტექსტში, გარემოში არსებობს იგი. ამ შემთხვევაში, საზოგადოებას მიეწერება ის ნიშნები, რომელიც მოცემულ კონტექსტში (ანუ, რეალობაში) მის არსებობას განსაზღვრავს.<sup>44</sup> ამ ორ ხერხს შორის განსხვავების გამოსახატად შეიძლება გ. ზიმელის ტერმინოლოგიასაც დავესესხოთ: საზოგადოება შეიძლება დახასიათდეს: ა) როგორც “წმინდა ფორმა”, ანუ “ნიმუში” და ბ) როგორც განსხვავებული “შინაარსის” მქონე, რაც უკავშირდება კონკრეტულ მოტივებს, ინტერესებს და მიზნებს. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია საზოგადოების ინვარიანტულ მახასიათებლებზე, რომლებიც მას ყველა რეალობაში მიეწერება, ხოლო, მეორე შემთხვევაში შესაძლებელია ვილაპარაკოთ საზოგადოების ამ თუ იმ კონკრეტულ (რეალურ) ტიპზე და, მაგალითად, დავახასიათოთ მისი შინაარსი როგორც “ლია” ან “დახურული”, “ტრადიციული” ან “მოდერნული”, “დემოკრატიული” ან “ტოტალიტარული”, “აგრარული” ან “ინდუსტრიული” და ა.შ.

საზოგადოების ცნების ადეპვატური განსაზღვრისათვის უმჯობესია მივმართოთ მის ანალიზურ, “წმინდა ფორმალურ” დახასიათებას. ამ მიმართულებით საინტერესო ანალიზს ახდენს პიტირიმ სოროკინი.<sup>45</sup>

სოროკინი იწყებს საზოგადოების ყველაზე ელემენტარული ნიშნიდან და აღნიშნავს, რომ როდესაც საზოგადოებას მოვიაზრებთ, მხედველობაში გვაქს არა ერთი ცალკეული ერთეული, არამედ ერთეულთა გარკვეული სიმრავლე. მაგრამ, ცხადია, ნებისმიერ ერთეულთა სიმრავლე ვერ იქნება საზოგადოება. მაგალითად, ქვების გროვა, ან ირმების ჯოგი სიმრავლეა, მაგრამ მათ საზოგადოებას ვერ მივაკუთვნებთ. მაშასადამე, საზოგადოება სპეციფიკურ ერთეულთა სიმრავლეა. ამასთან, ეს ერთეულები ერმანეთის მიმართ იზოლირებულ მდგრადირეობაში კი არ იმყოფებიან, არამედ უერთიერთქმედებენ ერთმანეთთან. თუმცა, ურთიერთქმედება ზოგადად სამყაროსთვისაა

<sup>43</sup> საზოგადოების ცნების ანალიზი ძირითადად ეყრდნობა პიტირიმ სოროკინის შრომას “ზოგადი სოციოლოგია”. ი.ხ. Сорокин, П. (1992): Человек, цивилизация, общество. Москва, ИПЛ; стр. 25-155.

<sup>44</sup> “ანალიზური” და “სინთეზური” განხილვის წესი ი. კანტის მიერ გატარებული განსხვავების ანალოგიურია. როგორც ცნობილია, ანალიზურ ნიშნებს კანტი უწოდებდა იმათ, რომლებიც საგანს იმანენტურად, ანუ შინაარსად მიეწერება. რაც შეეხება სინთეზურ ნიშნებს, მათ საგანი “გარედან”, ანუ გამოცდილების (ცდის) საფუძველზე იდებს.

<sup>45</sup> პიტირიმ სოროკინი (1889-1968) – წარმოშობით რუსი სოციოლოგი, რომელიც ბოლშევიკებისაგან შევიწროების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსეთი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი და წასულიყო ემიგრაციაში ჯერ ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო 1923 წლიდან – აშშ-ში. სოროკინი სათავეში ჩაუდგა პარგარდის უნივერსიტეტში ახლად ჩამოყალიბებულ სოციოლოგიის დეპარტამენტს. იგი ამ პოსტზე ტალკოტ პარსონსმა შეცვალა, რომელთანაც სოროკინს ხანგრძლივი კმათი და დაძაბული ურთიერთობა პქონდა. სოროკინის ყველაზე ცნობილი შრომებია: “სოციალური მოძილობა და თანამდეროვე სოციოლოგიური თეორიები”; “სოციალური და კულტურული დინამიკა”; “რეკოლუციის სოციოლოგია” და სხვ.

დამახასიათებელი. ამიტომ, საჭიროა დაზუსტდეს, კერძოდ, რა ტიპის ურთიერთქმედება ხდება იმ სპეციფიკურ ერთიერთქმედების ცენტრებს” შორის, რომლებიც საზოგადოებას შეადგენებ? სოროკინი გამოყოფს სამი სახის ურთიერთქმედებას: არაორგანულს, ორგანულს და ფიზიკურს.

არაორგანული ურთიერთქმედება ფიზიკურ სამყაროში მიმდინარეობს მატერიალურ სხეულებს (ნივთებს) შორის. ორგანული ურთიერთქმედების ცენტრები ცოცხალი სხეულები, ანუ ორგანიზმებია. რაც შეეხება ფსიქიკურ ურთიერთქმედებას, ისიც ორგანულია, ანუ, ცოცხალ სტრუქტურებს შორის მიმდინარეობს, მაგრამ ურთიერთქმედების ცენტრები სპეციფიკური ორგანიზმებია. კერძოდ, ესაა უმაღლესი ნერვული სისტემის მქონე არსებები, ანუ ადამიანები. ფსიქიკური ურთიერთქმედება სოციალურ სამყაროში, ანუ საზოგადოებაში მიმდინარეობს. მაშასადამე, როდესაც საზოგადოებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს არა არაორგანული, ან ბიოლოგიური, არამედ – ფსიქიკური ურთიერთქმედება.

ურთიერთქმედების თითოეულ ტიპს განსხვავებული დისციპლინები შეისწავლის: მატერიალურ სხეულებს შორის ურთიერთქმედება ფიზიკის და სხვა ფიზიკური მეცნიერებების შესწავლის საგანია; ორგანულ (ბიოლოგიურ) ურთიერთქმედებას ისეთი საბუნებისმეტყველო დისციპლინები სწავლობენ, როგორიცაა ბიოლოგია და ქიმია. რაც შეეხება ფსიქიკურ ურთიერთქმედებას, მასზე სოციალური მეცნიერებები ფოკუსირდება (მათ შორის, სოციოლოგია).

სოროკინი კიდევ უფრო დეტალურად განიხილავს ფსიქიკურ ურთიერთქმედებას, რათა საზოგადოების ადეკვატური დეფინიცია ჩამოაყალიბოს. ის აანალიზებს ფსიქიკის შინაარსს და მასში სამ დონეს გამოყოფს: შემცნებითს, გრძნობადემოციურს და ნებელობითს. ფსიკის შემცნებით დონეზე ადამიანი ამჟარებს თეორიულ მიმართებას გარემომცველ სამყაროსთან. ამ მიმართების მიზანია მოპოვოს ობიექტური, ანუ ჭეშმარიტი ცოდნა საგნის (ობიექტის) შესახებ. ცოდნის ყველაზე ელემენტარული საფეხური შეგრძნებების დონეზე მიღებული ინფორმაციაა, ხოლო ყველაზე უმაღლესი – ცნებითი ცოდნა (შეგრძნებასა და ცნებას შორის აღქმა და წარმოდგენა მონაწილეობს). შეგრძნებების დონეზე აქ და ამჟამად მოცემული საგნის ელემენტარულ ნიშნებს ვსწავლობთ, ხოლო ცნებების დონეზე საგნის არსებითი ნიშნების წვდომა ხდება. ეს ისეთი ნიშნებია, რომლებიც რომელიმე კონკრეტულ საგანს უნიკალურად არ მიეწერება. ცნება აბსტრაქციას ახდენს საგნის ინდივიდუალური ნიშნებისაგან და განიხილავს მას ისეთ განასხერში, რომელიც საგანს გარკვეული კლასის (გვარის) წარმომადგენლად აქცევს. ცნებითი ცოდნა შემცნებითი მოღვაწეობის ყველაზე რთული და საბოლოო პროცესია. რაც მთავარია, შეემმეცნებელ (გნოსეოლოგიურ) სუბიექტს ევალება შემცნების პროცესში “დაივიწყოს” საკუთარი თავი და საგანი შეიმეცნოს მისი ემოციებისაგან და გრძნობებისაგან დამოუკიდებლად. ფსიქიკის გრძნობად-ემოციურ დონეზე ინდივიდის განზრახვა შემცნებისაგან დიამეტრალურად განსხვავდება. ამ დონეზე საგანი განიხილება მის მიმართ სიმპატიის, ანუ ემოციური დამოკიდებულების პრიზმაში. ამ დონეზე ადამიანები რაღაცას იწონებენ ან იწუნებენ, უყვართ ან სძულთ, სიახლოვეს განიცდიან ან გაუცხოვდებიან და ა.შ. ადამიანები მხოლოდ შემმეცნებელი სუბიექტები არ არიან; ისინი ემოციებს, განცდებს ხარჯავენ და გარემომცველ სინამდვილეს სუბიექტურად აღიქვამენ. გრძნობების და განცდების სამყარო უაღრესად მრავალფეროვანია, მაგრამ, სოროკინის აზრით, მათი ფორმალიზება შესაძლებელია ტკბობისა და ტანჯვის კონტინუუმის ფარგლებში. ფსიქიკს ნებელობითი დონე გამოხატავს ინდივიდის უნარს, გარემომცველ საგნებთან

ურთიერთობა დამყაროს სურვილზე დამყარებული არჩევანის საფუძველზე. ამ ურთიერთობაში ინდივიდი თავისუფალი არსებაა.

მაშასადამე, ფსიქიკის შინაარსი შედგება შემეცნებითი პროდუქტების, განცდებისა და ნებელობითი იმპულსებისაგან. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს ფსიქიკური ურთიერთქმედების თავისებურება. ფსიქიკური ურთიერთქმედება არის უმაღლესი ნერვული სისტემის მქონე ერთეულებს (ადამიანებს) შორის შემეცნებითი ფენომენების (შეგრძნებების, აღქმების, წარმოდგენებისა და ცნებების), განცდებისა და ნებელობითი იმპულსების გაცვლა. შესაბამისად, შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ საზოგადოების განსაზღვრებაც:

“საზოგადოება, სოციოლოგიური აზრით, უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს ადამიანთა ერთობლიობას, რომელიც იმყოფებიან ურთიერთობის პროცესში... მათ შორის ყოველდღიურად წარმოიქმნება ურთიერთქმედების ათასობით პროცესი, რომელიც ფსიქური ხასიათისაა: ესაა იდეების (რელიგიური, მეცნიერული, ყოველდღიური, მხატვრული და ა.შ.) გაცვლა, ნებელობითი იმპულსების გაცვლა... გრძნობების გაცვლა (სიყვარულის, თანაგანცდის, სიძულვილის ნიაღაგზე და ა.შ.”).<sup>46</sup>

ამ განსაზღვრებაში სოროკინი არაორაზროვნად მიუთითებს საზოგადოებად ყოფნის შემდეგ თავისებურებაზე: იმისთვის, რომ სოციალური ფენომენი შედგეს, აუცილებელია არა მხოლოდ ფსიქიკის შინაარსების არსებობა, არამედ მათი გაცვლა. ეს ნიშნავს, რომ იდეები და განცდები, თუ ისინი “წმინდა” სახითაა მოცემული, ჯერ კიდევ არ არიან სოციალური მოვლენები. ასეთებად ისინი მხოლოდ მაშინ იქცევიან, როდესაც მოხდება მათი ობიექტივაცია და სხვისთვის გადაცემა. ობიექტივაცია, როგორც წესი, სიმბოლოების საშუალებით ხორციელდება. მაშასადამე, სოციალურ მოვლენას ორი მხარე აქვს: შინაგანი ფსიქიკური და გარეგანი სიმბოლური. თუ რომელიმე მხარე არ არსებობს, მაშინ ვერ შედგება სოციალური ურთიერთქმედება. ინტერაქცია გულისხმობს სწორედ ფსიქიკური შინაარსების სხვისთვის გადაცემას სიმბოლოების საშუალებით. სოროკინი გამოყოფს სიმბოლიზაციის ოთხ ტიპს: ბგერითი (სიტყვების ან მუსიკალური ბგერების საშუალებით კომუნიკაცია), ფერითი (ფერების საშუალებით აზრების ან ემოციების გადაცემა), მოძრაობითი (ჟესტების საშუალებით კომუნიკაცია) და საგნობრივი (ნივთების “დატვირთვა” საზრისებით). საზოგადოებაში ადამიანები მუდმივად იყენებენ სიმბოლიზაციის რომელიმე ტიპს, რათა სხვა ადამიანებთან კომინიკაცია შესაძლებელი გახდონ. ცხადია, ამა თუ იმ კულტურით ყველაზე მეტად დადგასმული ბგერითი (კერძოდ, ენობრივი) სიმბოლიზაციაა, ხოლო ყველაზე უნივერსალური – მოძრაობითი და საგნობრივი.

სოროკინს მხედველობიდან არ რჩება კიდევ ერთი ასპექტი: იმისათვის, რათა კომუნიკაცია დასრულდეს, ანუ სოციალური ინტერაქცია შედგეს, აუცილებელია ფსიქიკური შინაარსების გამაობიექტივირებელი სიმბოლოები ისევ იქცნებ სხვა ადამიანის ფსიქიკის კუთვნილებად. სხვანაირად რომ ითქვას, აუცილებელია მოხდეს კომუნიკაციისას გამოყენებული სიმბოლოების აღეკვატური აღქმა სხვა ადამიანის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინტერაქცია არ შედგება. მაგალითად, თუ ერთი ადამიანი მეორეს მისთვის გაუგებარ ენაზე მიმართავს, მათ შორის კომუნიკაცია ვერ დამყარდება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახდენს მისი ფსიქიკის შინაარსის ბგერით სიმბოლიზაციას. კომუნიკაციისათვის

<sup>46</sup> Сорокин, П. (1992): Человек, цивилизация, общество. Москва, ИПЛ; стр. 29.

აუცილებელია, რომ მეორე ადამიანს ესმოდეს გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა.

საზოგადოების ზემოაღნიშნული განსაზღვრება, სოროკინის აზრით, “მუშაობს” ყველა სოციალური მეცნიერებისათვის და არანაირად არ გამოყოფს სოციოლოგიის სპეციფიკას.

## §2. კულტურა<sup>47</sup>

### 2.1. კულტურის დეფინიცია

სოციალურ თეორიაში არსებობს ტენდენცია, რომელიც კულტურის და საზოგადოების ცნებებს იდენტური მნიშვნელობით მოიხმარს. თუცა, მათ შორის განსხვავებასაც ბევრი სოციოლოგი ატარებს. მათ შორისაა ნ. სმელზერი.<sup>48</sup> კულტურა, მისი აზრით, უკავშირდება საზოგადოების წევრთა ცხოვრების წესს. ამ უკანასკნელს კომპონენტთა მრავალფეროვნება ახასიათებს: სხვადასხვა რიტუალები – ქორწინების რიტუალები, რელიგიური ცერემონიები, ოჯახური ცხოვრება, შრომითი საქმიანობა, თვითპრეზენტაციის სტილები, თავისუფალი დროის სტრუქტურირება (სუფრა, გართობა, დასვენება და ა.შ), თამაშები და სხვა. კულტურას შეადგენს, აგრეთვე, ადამიანის საქმიანობის შედეგად შექმნილი მატერიალური ფაქტები (ე. წ. “არტეფაქტები”): საცხოვრებელი ნაგებობები, ტაძრები, ძეგლები, წიგნები, მანქანები, კომპიუტერები და ა.შ. ხშირად ისინი ადამიანს მზამზარეულად ხვდება საზოგადოებაში და მათ შექმნაში ის არ მონაწილეობს. რაც შეეხება საზოგადოებას, იგი გულისხმობს ერთი კულტურის შიგნით მცხოვრებ ადამიანთა ურთიერთობების, ანუ ინტერაქციების სისტემას. კულტურასას და საზოგადოებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს: ვერც ერთი კულტურა ვერ ფორმირდება საზოგადოების გარეშე და, თავის მხრივ, ვერც ერთი საზოგადოება ვერ იფუნქციონირებს კულტურისაგან დამოუკიდებლად. კულტურა საზოგადოების კვლავწარმოებისა და შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი მქანიზმია. კულტურა ადამიანს როგორც სოციალურ ცხოველს სთავაზობს საზოგადოებაში ცხოვრების ორიენტირებს: აზროვნების, მოქმედებისა და ქცევის სტანდარტებსა თუ სქემებს, რომელთა გარეშეც ადამიანი ქაოტური ინსტინქტების ტყვეობაში ჩაკეტილი ასოციალური არსება იქნებოდა, მოკლებული თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის უნარს.

სმელზერი კულტურის ასეთ განსაზღვრებას იძლევა (აქვე განსაზღვრავს ის სუბკულტურასაც):

“კულტურის თანამედროვე მეცნიერულმა დეფინიციამ უკუგდო ამ ცნების არისტოკრატიული ელფერი. ის ახდენს რწმენების, ღირებულებებისა და გამომსახველი საშუალებების (რომლებიც გამოიყენება ხელოვნებასა და ლიტერატურაში) სიმბოლიზმებას, რომლებიც საერთოა რამე ჯგუფისთვის; ისინი აწესრიგებენ ამ ჯგუფის წევრთა გამოცდილებას და არგულირებენ მათ ქვევას. ქვეჯგუფების რწმენებს და შეხედულებებს ხშირად სუბკულტურას უწოდებენ”.<sup>49</sup>

კულტურის ათვისება ხდება დახმარების გზით. ცნობილია, რომ ადამიანის ქცევა, ცხოველისაგან განსხვავებით, მხოლოდ ნაწილობრივად განპირობებული ინსტინქტებით. ცხოველები ფლობენ საკვების მოპოვების და საკმაოდ რთული ნაგებობების კონსტრუირების გენეტიკურად დაპროგრამებულ უნარს. მათ არ სჭირდებათ მოიპოვონ ცოდნა ამის შესახებ. ეს ცოდნა ჩადებულია მათში გენეტიკურად და შესაბამისი ქცევა ხორციელდება ავტომატურად. მართალია, დასწავლა გარკვეულწილად გავლენას ახდენს ცხოველის ქცევაზე, მაგრამ იგი

<sup>47</sup> კულტურის ცნების ანალიზი ძირითადად ექრდნობა ნეიდ სმელზერის სახელმძღვანელოს “სოციოლოგია”. ი. სმელზერ, Н. (1998): Социология; Москва. ФЕНИКС; стр. 40-70.

<sup>48</sup> ნეიდ სმელზერი (დაიბადა 1930 წელს) – ამერიკელი სოციოლოგი, რომელმაც განიცადა ტ-პარსონსის გავლენა. შეეცადა ფუნქციონალიზმის იდეები გაევრცელებინა ისტორიის სოციოლოგიაზე. მისი ძირითადი შრომაა “სოციალური ცვლილება და ინდუსტრიული რეზოლუცია” აგრეთვე, პარსონსთან ერთად თანავტორია წიგნისა “უკონტრიცია და საზოგადოება”.

<sup>49</sup> სმელზერ, Н. (1998): Социология; Москва. ФЕНИКС; стр. 41.

ძირითადად განპირობებულია ინსტინქტით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ცხოველის ქცევის მიზანშეწონილი კოორდინირება გარკვეულ სიტუაციაში. ადამიანური ქცევა, პირიქით, ყველაზე მცირედ განისაზღვრება პირდაპირი გენეტიკური კონტროლით. მართალია, ადამიანებს ახასიათებო რეფლექსები ანუ ავტომატური რეაქციები სტიმულებზე. მაგრამ ადამიანური ქცევის განხორციელება მოითხოვს ოპერაციათა გაცილებით როგორი მიმდევრობის შესრულებას. მაგალითად, შიმშილის დაკმაყოფილება მოითხოვს ბანკიდან ფულის გამოტანას გარკვეული ფინანსური ოპერაციების ხარჯზე, შემდეგ მის გადაცვლას საკედ პროდუქტებზე, რომელთა გარკვეული დამუშავების შემდეგ მიიღება საჭმელად ვარგისი საკვები. ამ მოქმედებათა შესრულება შესაძლებელია დასწავლის გზით. რამდენადაც ადამიანს აქვს ნებისმიერი ტიპის ქცევისადმი დასწავლის უნარი, მათ შეუძლიათ შეიმუშავონ რეაქციათა და ქცევის უამრავი ტიპი. ადამიანთა ცხოვრებაში კულტურა მნიშვნელოვანწილად იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ცხოველებში გენეტიკურად დაპროგრამებული ქცევა ანუ ინსტინქტები. სწორედ ამიტომ ადამიანის ქცევას სამყაროს მიმართ შედარებითი დიარბა ახასიათებს. ადამიანის ქცევა პლასტიკური და ვარიაციულია, ანუ მისი რეალიზების დიაპაზონი ფართო შესაძლებლობების მქონეა. აქედან გამომდინარე, ადამიანს გააჩნია უნარი არ იყოს ჩაკეტილი (მიჯაჭვული) თავის სასიცოცხლო გარემოში, გავიდეს მის ფარგლებს გარეთ (ტრანცედენტირდეს) და შექმნას საზრისების, მიზნების, მნიშვნელობებისა თუ სიმბოლოების სისტემები. ამ სიმბოლური სისტემების საფუძველზე ადამიანის მოქმედება განიხილება როგორც ორიენტირებული ამა თუ იმ მნიშვნელობაზე. უფრო მეტიც, ადამიანებმა შეიძლება უარი თქვან თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე სხვა უფრო მნიშვნელადი ღირებულებების გამო, რასაც ცხოველთა სამყაროში ანალოგი არ გააჩნია. მაგ., რელიგიური მოსახრებით ადამიანებმა შეიძლება იმარხულონ გარკვეული დროის მანძილზე, თავი შეიკავონ ქორწინებისგან ან საერთოდაც უარი თქვან მასზე. მართალია, ადამიანსაც ახასიათებს თვითშენახვისკენ მისწრაფება და თვითგადარჩენის ინსტინქტი, მაგრამ ცხოველებისგან განსხვავებით ადამიანებს შეუძლიათ ამ მისწრაფებასთან დაპირისპირება. ადამიანები შეგნებულად იგდებენ სიცოცხლეს საფრთხეში, მაგალითად, სიყვარულისა ან პატრიოტული მოვალეობის გამო (ომში მოხალისედ წასვლა) და ა.შ.

## 2.2. კულტურა და სოციალიზაცია

რამდენადაც კულტურის შექნა არ ხდება ბიოლოგიური გზით, ყოველი თაობა ახდენს მის კვლავწარმოებასა და მომავალ თაობაზე გადაცემას. ეს პროცესი წარმოადგენს სოციალიზაციის საფუძველს. ღირებულებების, რწმენების, ნორმების, წესებისა თუ იდეალების ათვისების შედეგად მიმდინარეობს ბავშვის პიროვნების ფორმირება და მისი ქცევის რეგულირება. სოციალიზაციის პროცესის შეჩერება გამოიწვევს მნიშვნელოვან წყვეტას კულტურაში და, შესაძლოა, თვით კულტურის დაღუპვასაც.

კულტურა ახდენს საზოგადოების წევრთა პიროვნების ფორმირებას და, ამდენად, მათი ქცევის რეგულირებას. კულტურა მარეგულირებელი მექანიზმების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს მოქმედებათა სქემებს, რეცეპტებს, წესებს, ინსტრუქციებს და ა.შ. ყველაფერი ეს ადამიანთა ქცევის მართვას ემსახურება. კულტურის გარეშე ადამიანები სრულიად დეზორიენტირებულნი იქნებოდნენ. მათი ქცევა სრულიად უმართავი, სპონტანური და ემოციურად მოუთოკავი იქნებოდა, რაც შეუძლებელს გახდიდა ადამიანის გამოცდილების ფორმირებას. სწორედ იმის გამო, რომ კულტურა ახდენს ადამიანთა ქცევის რეგულირებასა

და კონტროლს, ზ. ფროიდი<sup>50</sup> საუბრობს კულტურის რეპრესიულ ბუნებაზე. ფროიდმა გამოიქვლია კულტურასა და ადამიანის ინსტინქტურ საწყისს შორის არსებული კონფლიქტი. ხშირად კულტურა ინსტინქტების, უმთავრესად კი სექსუალური და აგრესიული მისწრაფებების დათრგუნვას ცდილობს. თუმცა, მათ მთლიანად არასოდეს გამორიცხავს, ეს შეუძლებელიცაა. კულტურა უფრო განსაზღვრავს ამ სწრაფვების დაკმაყოფილების პირობებს. იგი აკონკრეტებს დროს, ადგილსა და იმ წესებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მათი რეალიზება. კულტურა მიმართავს ადამიანის აგრესიულ სწრაფვებს განსხვავებული მიმართულებებით, მაგალითად., სპორტში, ომის წარმოებისას, კონკურენციის პროცესში და ა.შ.

მართალია, კულტურა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, მაგრამ მისი შესაძლებლობების გაზვიადება მართებული არ იქნებოდა. ადამიანური ქცევის მართვის შესაძლებლებები შეზღუდულია მრავალი კონტექსტით. პირველ რიგში, ეს შემზღუდველი კონტექსტია ადამიანის ბიოლოგიური შესაძლებლობები, რაც ჩადებულია მისი ორგანიზმის კონსტიტუციაში. შეუძლებელია ადამიანებს ვასწავლოთ მრავალსართულიან შენობებზე ახტომა, თუნდაც საზოგადოება დიდად აფასებდეს ამგვარ გმირობებს. ასევე არსებობს ცოდნის შესაძლებლობები, რომლის ათვისებაც შესაძლებელია ადამიანური გონების ფარგლებში.

### 2.3. კულტურათა რელატიურობა

ადამიანური კულტურები თვალსაჩინოდ მრავალფეროვანია. ღირებულებები და ნორმები ფართოდ ვარირებს ერთი კულტურის საზღვრებშიც კი და ხშირად დიამეტრალურად განსხვავდება იმისგან, რაც სხვა კულტურაში “ნორმად” მიიჩნევა. როგორც სმელზერი აღნიშნავს, ჩვილ ბავშვთა შეგნებული მკვლელობა დასავლური კულტურებისთვის უმძიმეს დანაშაულად ითვლება, მაშინ როცა ტრადიციულ ჩინურ კულტურაში არსებობდა დარიბ ოჯახებში ჩვილი გოგონების დახრჩობის ტრადიცია. ამ ტრადიციის საფუძველში დგვს შეხედულება, რომელიც შვილს განიხილავს ეკონომიკური ღირებულების მიხედვით, როგორც რესურსს მძიმე სამეურნეო სამუშაოების შესრულებისთვის. გოგონა კი, ამ აზრით, დარიბი ოჯახისთვის მხოლოდ ტვირთია. ეს ფაქტი გასაგები ხდება მხოლოდ ჩინური კულტურული ღირებულებების კონტექსტში. აქ მთავარი ღირებულება ოჯახის გადარჩენისთვის ბრძოლის ღირებულებაა.

სხვადასხვა კულტურების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მათ შორის განსხვავებები მრავალრიცხოვანია. ამდენად, ძნელია იმ ზოგადი ნიშნების, ე.წ. “კულტურული უნივერსალიურების” განსაზღვრა, რომელიც დამახასიათებელია ყველა კულტურისთვის. სმელზერი მიუთითებს ჯ. მერდოქზე, რომელიც გამოყოფს 60-ზე მეტ კულტურულ უნივერსალიას: ყველა კულტურაში არსებობს ენა, ოჯახური

<sup>50</sup> ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) – ავსტრიელი ებრაელი ფსიქიატრი და ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. იდენტიფირდა ნაცისტების მიერ, თუმცა, მხოლოდ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტოვებს ვენას. “ფსიქოანალიზმა... დიდი გავლენა მოახდინა სოციალურ თეორიაზე და თანამედროვე სოციოლოგიაზე. ფროიდის ცენტრალური აღმოჩენები – არაცნობიერი, სექსუალური რეპრესია, როდიპოსი კომპლექსი და სხვ. – სოციოლოგების მიერ გამოყენებული იქნა იმისათვის, რათა გაეანალიზებინათ სელფი და ადამიანის სუბიექტურობა, გენდერი და სექსუალობა, ოჯახი და სოციალიზაცია, ენა და იდეოლოგია, ისევე როგორც კულტურული იდენტობების ფორმირება და პოლიტიკური ბატონობის ფორმები” (Antony Elliot: Psychoanalytic Social Theory. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press, 2005; p. 175). ფროიდის ძირითადი შრომებია: “სიზმრების ინტერპრეტაცია” (1902), “სიამოვნების პრინციპის მიღმა” (1920), “ერთი ილუზიის მომავალი” (1927), “ცივილიზაცია და მისი სირთულეები” (1930).

სისტემის გარკვეული ფორმა, რომლის ნორმები და ლირებულებები ბავშვებზე ზრუნვას უკავშირდება, ქორწინების ინსტიტუტი, დამარხვის რიტუალები, საკუთრების უფლება. ყველა კულტურაში ამა თუ იმ ფორმით არსებობს ინცესტის აკრძალვა – სექსუალური კავშირი სისხლით ნათესავებს შორის. ანთროპოლოგები ჩამოთვლიან მრავალ ასეთ უნივერსალურ ელემენტს: სამკაულები, თამაშები, საჩქრების ჩუქების ჩვეულება, ხუმრობები, სპორტი, ცეკვა და ა.შ და მაინც, კულტურული უნივერსალია ბევრად მცირეა, რადგან ყოველ კატეგორიაში უამრავი ვარიაცია არსებობს. მაგ., ინცესტის აკრძალვას თუ ავიღებთ, ინცესტის გაგება ბევრ კულტურაში საქმაოდ განსხვავდება. ყველაზე ხშირად ინცესტად მიიჩნევა სექსუალური ურთიერთობები ერთი ოჯახის წევრებს შორის. მაგრამ ბევრ კულტურაში აკრძალვა ვრცელდება მეორე თაობის ნათესავებზეც, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი გვარის მქონე ადამიანებზეც.

## **2.4. კულტურის შემადგენელი ელემენტები**

სმელზერი გადმოსცემს უორდ გუდენაუს თვალსაზრისს, რომელიც კულტურის ოთხ ელემენტს გამოყოფს:

პირველი ელემენტია ცნებები (კონცეპტები), რომლებიც ენის შემადგენელი ნაწილია. ცნებები (ზოგადად, ენა) ახდენს კულტურული გამოცდილების კონდენსირებას, შენახვას. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ენის და მათი შემადგენელი კონცეპტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სხვადასხვა კულტურაზე “გასვლა” და მათი სპეციფიკის დასაბუთება.

კულტურის მეორე ელემენტია ურთიერთობები. ადამიანები არა მხოლოდ ცნებებში აქცევენ თავიანთ კულტურულ გამოცდილებას, არამედ ამ ცნებებს შორის ურთიერთობებს და კავშირებს განსაზღვრავენ. ეს ურთიერთობები შეიძლება იყოს კაუზალური (მიზეზობრივი), მიზნობრივი, თანაარსებობის გამომხატველი და სხვ. ცნებათა შორის ურთიერთობის ხასიათის საფუძველზეც შესაძლებელია კულტურათა “წაკითხვა”.

მესამე ელემენტია ლირებულებები. ისინი აბსტრაქტული იდეებია, რომლებისკენ სწრაფვაც ფიქსირდება ამა თუ იმ კულტურაში. სხვანაირად რომ ითქვას, ლირებულებები კულტურულად აღიარებული ანუ ინსტიტუციონალური მიზნებია, რომლის მიღწევასაც საზოგადოების წევრები ცდილობენ.

მეოთხე ელემენტია ნორმები. იმისათვის, რათა ლირებულებებმა რეალურად “იმუშაონ”, საჭიროა მათი ნორმებად “თარგმნა”. ნებისმიერი ნორმის საფუძველში კულტურულად აღიარებული ლირებულება დევს. ხშირად ნორმებს ამა თუ იმ ლირებულების რეალიზების საშუალებებსაც უწოდებენ. ისინი განიხილება როგორც სოციალური ცხოვრების რეგულაციები, რომლებიც ერთი კულტურის შიგნით ადამიანთა შორის სხვადასხვა (სამართლებრივ, საქმიან, პიროვნულ თუ გენდერულ) ურთიერთობას აწესრიგებს. ამრიგად, ნორმათა სისტემები სოციალური ცხოვრების ორგანიზების წესებია. ამ წესების შესრულება და დაცვა საზოგადოებაში მოსალოდნელია. მაშასადამე, ნორმები სოციუმში ინსტიტუციონალურად დადგენილ მოლოდინთა ერთობლიობას შეესაბამება. ნორმებთან დაკავშირებულია სანქციათა (სასჯელი ან ჯილდო) სისტემების არსებობა. სანქციების საშუალებით ნორმები ფუნქციონირებადი ანუ ქმედითი ხდება. სანქციები ორი ტიპისაა: 1. პოზიტიური, ჯილდოს სახით, რომლის ფუნქციაა კულტურული ლირებულებების გაძლიერება და კვლავწარმოება და 2. ნეგატიური, სასჯელის სახით, რომლის ფუნქციაა ნორმასთან დაკავშირებულ აკრძალვის ამოქმედება.

## §3. სოციალური სტრუქტურა<sup>51</sup>

### 3.1. სოციალური სტრუქტურის დეფინიცია

თვალსაზრისები, რომლებიც სოციალური სტრუქტურის ცნების გარშემო არსებობს, შესაძლებელია ორ ჯგუფიდ დალაგდეს. როგორც კ. კოდუა აღნიშნავს: “საკითხი ისმის ... სოციალური სტრუქტურა ობიექტური რეალობაა, რომელზედაც შემეცნების პროცესში ვახდენთ რეფლექსიას, თუ ის სუბიექტური წარმონაქმნია, შემეცნების საშუალებაა, იქნებ სულაც შემეცნების პროცესში შექმნილი რეალობაა”.<sup>52</sup>

უფრო გავრცელებული და გაზიარებულია ის თვალსაზრისი, რომელიც სოციალურ სტრუქტურას სუბიექტურ, ანალიტიკურ კატეგორიად მიიჩნევს. ამავე აზრისაა კ. ლევი-სტროსი.<sup>53</sup> იგი მიუთითებს “სოციალური სტრუქტურის” ცნების ბუნდოვანებაზე და მოჰყავს კრიონბერის სიტყვები: “ნებისმიერი ტიპიური პიროვნება შესაძლოა განიხილებოდეს მისი სტრუქტურის თვალსაზრისით, არადა, ასევე შესაძლოა განიხილებოდეს ნებისმიერი ორგანიზმიც, ნებისმიერი საზოგადოება, ყველა კულტურა, კრისტალები და მანქანები. ყველაფერს, თუკი ის ამორფული არ არის, გააჩნია სტრუქტურა. ამრიგად, ტერმინი “სტრუქტურა” რაიმე ახლის აღმოჩნდა კი არ არის, უბრალოდ, პიკანტური სანელებელია”.

ძირითადი პრინციპი, რომელსაც ლევი-სტროსი იცავს, ისაა, რომ სოციალური სტრუქტურის ცნება განეკუთვნება არა ემპირიულ მოღვაწეობას, არამედ ემპირიული მოღვაწეობის მხეავსად აგებულ მოღველს. სწორედ ამაში პოულობს ის განსხვავებას სოციალური სტრუქტურისა და სოციალური ურთიერთობის ცნებებს შორის. სოციალური ურთიერთობები ძირითადი მასალა იმ მოდელების ასაგებად, რომელთა საშუალებითაც უნდა გამოვლინდეს თავად სოციალური სტრუქტურა. სოციალური სტრუქტურა არ უნდა გაგაიგივოთ იმ სოციალურ ურთიერთობებთან, რომლებზეც ხდება დაკვირვება.

მაშასადამე, ლევი-სტროსის აზრით, სტრუქტურა ანალიტიკური კატეგორიაა, ემპირიული მოქმედების მსგავსად აგებული თეორიული მოდელია. მაგრამ, ნებისმიერი მოდელი არ “იმსახურებს” სტრუქტურის კვალიფიკაციას. იმისათვის, რომ მოდელებს სტრუქტურის სახელი დაერქვას, ლევი-სტროსის აზრით, აუცილებელია 4 პირობის შესრულება:

1. პირველ რიგში, სტრუქტურა არის გარკვეული სისტემა, შემდგარი ისეთი ელემენტებისაგან, როცა ერთ-ერთი მათგანის შეცვლა ყველა დანარჩენის შეცვლას იწვევს.
2. ნებისმიერი მოდელი შეიძლება შეიცვალოს (გარდაისახოს), მაგრამ შეესაბამებოდეს ერთი და იმავე მოდელის ტიპს. ასე რომ, ამ გარდასახვათა სიმრავლე არ არღვევს მოდელების ტიპოლოგიზაციას.

<sup>51</sup> სოციალური სტრუქტურის ცნების ანალიზი ძირითადად ეყრდნობა კლოდ ლევი-სტროსის შრომას “სტრუქტურის ცნება ეთნოლოგიაში”. იხ. ლеви-Стросс, К. (1985): Структурная Антропология, Москва; стр. 245-86.

<sup>52</sup> კოდუა, კ. (1998): სოციოლოგია. ნაკვეთი I, თბილისი, თსუ; გვ 95-6.

<sup>53</sup> კლოდ ლევი-სტროსი (დაიბადა 1908 წელს) – ფრანგი ანთროპოლოგი და სოციოლოგი. სტრუქტურალიზმის წარმომადგენელი, რომელიც იზიარებდა სოსიურის სტრუქტურული ლინგვისტიკის პრინციპებს. მისი ძირითადი შრომებია: “ნათესაობის ელემენტარული სტრუქტურები” (1949), “Tristes Tropiques” (1955), “სტრუქტურული ანთროპოლოგია” (1958), “The Savage Mind” (1966), “მითოლოგები” (1964-71).

3. ზემოაღნიშნული თვისება საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ, თუ რაგვარი რეაგირება ექნება მოდელს მისი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის ცვლილების შემთხვევაში.
4. მოდელი იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ მისი გამოყენება მოიცავდეს უკელა დასაკვირვებელ მოვლენას.

ლევი-სტროსი ერთმანეთისაგან განასხვავებს მოდელების ასაგებად საჭირო მოვლენათა დაკვირვებას და თავად მოდელებზე ჩატარებულ ექსერიმენტს. ექსპერიმენტში იგულისხმება იმ მეთოდების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც ირკვევა, თუ როგორ რეაგირებს მოცემული მოდელი სხვადასხვა ცვლილებაზე და ხდება სხვადასხვა ტიპის მოდელების ერთმანეთთან შედარება. დაკვირვებისას ძირითად, თუ არა ერთადერთ, წესად მიჩნეულია დაკვირვების სიზუსტე და უკელა ფაქტის აღწერა. ამავე დროს, არ არის დაშვებული ფაქტთა ბუნებისა და მნიშვნელობის დამახინჯება.

### **3.2. სტრუქტურათა კლასიფიკაცია**

სტრუქტურის სახით არსებული მოდელები, ფრანგი სოციოლოგის აზრით, შეიძლება იყოს **გაცნობიერებული** და **გაუცნობიერებული** იმ დონის მიხედვით, რომელზეც ისინი ფუნქციონირებენ. მოვლენათა ჯგუფი სტრუქტურულ ანალიზს უფრო კარგად ემორჩილება იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებას არ გააჩნია მათი ახსნისა და დასაბუთების ცნობიერი მოდელი. სტრუქტურა, რომელიც გაუცნობიერებულია, უფრო შესაძლებელს ხდის მოდელის არსებობას, რომელიც, როგორც შირმა, გამოჰყოფს ამ სტრუქტურას კოლექტიური აზროვნებისაგან. გაცნობიერებული მოდელები (მათ, როგორც წესი, “ნორმებს” უწოდებენ) უკელაზე დარიბია, რამდენადაც მათი ფუნქციაა რწმენისა და ჩვეულებების დაფუძნება და არა მათი საფუძვლების ახსნა.

ლევი-სტროსი განასხვავებს, აგრეთვე, **მექანიკურ** და **სტატისტიკურ** მოდელებს. ეს განსხვავება ვლინდება მაშინ, თუ ერთმანეთს შევადარებოთ მოდელთა სკალასა და მოვლენათა სკალას. მოდელს, რომლის შემადგენელი ელემენტები მიეკუთვნება მოვლენათა სკალას, “მექანიკური” ეწოდება, ხოლო “სტატისტიკური” ის მოდელია, რომლის ელემენტები თავად მოვლენის სკალისაგან განსხვავდება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქორწინო წესები. პირველყოფილ საზოგადოებაში არსებული ეს წესები შეიძლება წარმოვადგინოთ მოდელებად, რომლებიც გამოხატავს ინდივიდთა ფაქტობრივ დაჯგუფებას ნათესაობებისა და კლანების მიხედვით. ეს მექანიკური მოდელებია. თანამედროვე საზოგადოებაში შეუძლებელია ამგვარი მოდელი მოვიშველიოთ, რადგან ქორწინების სხვადასხვა ტიპი აქ დამოკიდებულია უფრო ზოგად ფაქტორებზე: პირველადი და მეორადი ჯგუფების სიდიდეზე, რომლებსაც მიეკუთვნება წყვილები, სხვადასხვა სოციალურ ფენათა დინებაზე, ინფორმაციის რაოდენობაზე და სხვ. შესაბამის მოდელს სტატისტიკური ხასიათი ექნებოდა.

შესაძლოა მოვიყვანოთ სხვა, მაგალითად, თვითმკვლელობის მაგალითი. მისი გაანალიზება ორი თვალსაზრისით შეიძლება. ცალკეული შემთხვევების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავაგოთ თვითმკვლელობის მექანიკური მოდელი. ასეთი მოდელი დაინტერესდება მსხვერპლის პიროვნების ტიპით, მისი ინდივიდუალური ისტორიით, პირველადი და მეორადი ჯგუფების (რომლებსაც თავად მიეკუთვნებოდა) თვისებებით და სხვ. თუმცა, შეიძლება თვითმკვლელობის სტატისტიკური მოდელის აგებაც. ასეთი მოდელი

დაფუძნებულია რომელიდაც მოცემულ პერიოდში ერთ ან რამდენიმე საზოგადოებაში, აგრეთვე, სხვადასხვა ტიპის პირველად და მეორად ჯგუფებში თვითმკვლელობის ანალიზზე. სტატისტიკური მოდელი ვალიდური იქნებოდა: ა) თვითმკვლელობის რამდენიმე ფორმისათვის; ბ) სხვადასხვა საზოგადოებისათვის და გ) სოციალურ მოვლენათა სხვადასხვა ტიპისათვის.

სოციოლოგია იმით განსხვავდება ეთნოგრაფიისა და ისტორიისაგან, რომ თუ ეს უკანასკნელი კავდებიან მასალების შეკრებითა და სისტემატიზაციით, სოციოლოგია უფრო დაკავებულია მოდელების შესწავლით, რომლებიც აგებულია ამ მონაცემების საფუძველზე და მათივე დახმარებით.

## §4. სოციალური მოქმედება

### 4.1. “ქცევა”, “მოქმედება”, “სოციალური მოქმედება”

სოციალური მოქმედების კატეგორია ერთ-ერთი ფუნდამენტურია სოციალური თეორიისათვის. მაქს ვებერი სოციალურ მოქმედებას სოციოლოგიის საგნადაც კი აცხადებს.<sup>54</sup> მიღებულია, რომ გატარდეს განსხვავება სამ ცნებას – ქცევა, მოქმედება, სოციალური მოქმედება – შორის. მიუთითებენ, რომ მოქმედება ქცევაა, ოღონდ არა ნებისმიერი, არამედ, მხოლოდ განსაზღვრული ხასიათის ქცევა. ასევე, სოციალური მოქმედებაც მოქმედების გვარში შედის, ოღონდ მისი სპეციფიკური სახეა. ყველა შემთხვევაში საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას: რა კრიტერიუმის საფუძველზე ხდება ამგარი განსხვავებების გატარება? შესაძლებელია, გამოვყოთ რამდენიმე თვალსაზრისი, რომლებიც ამის ნათელყოფას ახდენს.

პირველი ყველაზე სერიოზული მცდელობა, ამ თვალსაზრისით, ეკუთვნის ვებერს. იგი ქცევასა და მოქმედებას შორის წყალგამყოფად მიიჩნევს “სუბიექტური საზრისის” ფლობის ფაქტორს.<sup>55</sup> ადამიანის მოქმედების სპეციფიკას ვებერი უკავშირებს სწორედ სუბიექტური საზრისის (მნიშვნელობის) ქონას. ადამიანები თავიანთ ქცევაში განსაზღვრულ მნიშვნელობებს, რაციონალურს ან ემოციურს, დებენ. ამასთან, შესაძლებელია ვილაპარაკოთ საზრისის ორ ტიპზე: ა) ემპირიულ საზრისზე, რომელიც უკავშირდება რეალურად მოქმედი აქტორის მიერ ქცევაში ნაგულისხმევ მნიშვნელობას კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში და ბ) საზრისის თეორიულად კონსტრუირებულ “წმინდა” ტიპზე, რომელიც არა რეალურად, არამედ ჰიპოთეტურად მოქმედ სუბიექტს უკავშირდება. ესაა ე.წ. “იდეალური ტიპი”, როგორც ანალიტიკური კონსტრუქცია, რომელიც ვებერთან რეალობის შემცნებისთვის, კერძოდ, იდეალურთან მისი შედარებისთვის გამოიყენება.<sup>56</sup> მნიშვნელობის (რეალური ან იდეალური) მატარებელი მოქმედებისაგან განსხვავებულია ქცევა, რომელიც უსაზრისოა. ეს ნიშნავს, რომ იგი გამდიზიანებელზე ავტომატურ რეაქციას წარმოადგენს. უსაზრისოდ ქცევის ყველაზე მეტი “რისკი”, ვებერის თანახმად, აქვს აფექტურ და ტრადიციულ მოქმედებებს. ისინი შეიძლება გავიდნენ გასაზრისიანებული მოქმედების ფარგლებს გარეთ და, შესაბამისად, დაკარგონ მოქმედების “კვალიფიკაცია”.

ტალკოტ პარსონსმა კიდევ უფრო გამოადიფერენცირა მოქმედების კომპონენტები, დაუკავშირა რა იგი მიზანს (საგანთა მომავალ მდგომარეობას), ემპირიულ სიტუაციას და ამ სიტუაციაში აქტორის ნორმატიულ ორიენტაციას.

საინტერესო თვალსაზრისს ავითარებს ამ თვალსაზრისით თანამედროვე ინგლისელი სოციოლოგი ჯონ ელსტერი. თუმცა, ეს თვალსაზრისი, ძირითადად, ვებერის და პარსონსის თეორიებით არის “ნასაზრდოები”. კერძოდ, ქცევასა და მოქმედებას შორის განსხვავების მთავარ კრიტერიუმად იგი “ინტენციონალობის” კატეგორიას იყენებს და მოითხოვს, რომ “ერთმანეთისაგან განვასხვავოთ

<sup>54</sup> Вебер, М. (1990): Основные Социологические Понятия, в книге: М. Вебер, *Избранные Произведения*. Москва, Прогресс; стр. 602-3.

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> ვებერის თვალსაზრისი “იდეალური ტიპების” შესახებ უფრო დეტალურად განხილულია მე-4 თავის §1-ში.

ინტენციონალური და არაინტენციონალური ქცევები<sup>57</sup>. ამ განსხვავების თანახმად, მოქმედება განიხილება როგორც ინტენციონალური ქცევა. რა არის ამ განსხვავების არსი? ინტენციონალურია ქცევა, რომელიც სრულდება იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს განსაზღვრული მიზანი. ასეთი ქცევა აუცილებლად უკავშირდება მომავალს. მოქმედების ინტენციონალურ ასენას მიმართავენ მაშინ, როდესაც შესაძლებელია მითითება მოვლენათა მომავალ მდგომარეობაზე, რისი მიღწევაც სასურველია. ასეთი მოქმედება იმართება მიზნის საფუძველზე, რომელიც არ არსებობს როგორც ფაქტი, ჯერჯერობით არარეალურია და არსებობს მხოლოდ წარმოდგენის დონეზე.

ჯ. ელსტერი მიუთითებს ინტენციონალური ქცევის კიდევ ერთ სპეციფიკაზე: როდესაც გვსურს აგხსნათ ქცევის მოდელი მისი გრძელვადიანი პოზიტიური შედეგების საფუძველზე, ვითვალისწინებთ რა აგრეთვე მის მოკლევადიან ნეგატიურ შედეგებს, ჩვენ იმპლიციტურად ვვარაუდობთ **ცნობიერი გადაწყვეტილების** მიმდები აგენტის არსებობას. ცნობიერება შეიძლება განისაზღვროს, როგორც რეპრეზენტაციის საშუალება, როგორც ინდივიდის უნარი, განავითაროს პირდაპირი თუ არაპირდაპირი სტრატეგიები და იპოვოს გამოსავალი თვისებრივად ახალი სიტუაციებიდან. ამრიგად, ინტენცია ყოველთვის ცნობიერია, “არაცნობიერი ინტენციის” ცნება ალოგიკურია. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ არაცნობიერს არავითარი დატვირთვა არა აქვს. პირიქით, მისი მნიშვნელობა უეჭველი ხდება, თუ არაცნობიერს განვსაზღვრავთ როგორც მექანიზმს, რომელმაც სიამოვნებათა ლაბირინთებში უნდა გაგვარკვიოს. მაგრამ, აბსურდია, არაცნობიერი წარმოვიდგინოთ როგორც უნარი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და მიზან-საშუალებათა მიხედვით მოქმედებას.

მოქმედებასა და ქცევას შორის ზემოაღნიშნულ განსხვავებას ეთანხმება ერთ-ერთ თანამედროვე სოციოლოგიურ ლექსიონზე<sup>58</sup> მოცემული დეფინიცია, რომელიც მოქმედებას განიხილავს, როგორც ქცევის სპეციფიკურ სახეს. ქცევა, ზოგადად, უკავშირდება ისეთ მოვლენებს, რომლებშიც ინდივიდები არიან ჩართულნი და რომლებიც შეიძლება იყოს, ან არც იყოს, განზრახული და დაგეგმილი. ამდენად, ქცევას შეიძლება პქრონდეს სხვადასხვა წყარო – ემოციებით და ინსტინქტებით დაწყებული, რაციონალურ აზროვნებით დამთავრებული. არ არის აუცილებელი, რომ ქცევა ყველა შემთხვევაში შეიცავდეს ცნობიერად დაგეგმილ მიზანს. ქცევის ის შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია ცნობიერად დაგეგმილ მიზანთან და ინტენციონალობასთან, არის სწორედ მოქმედება. შესაბამისად, მოქმედება განისაზღვრება როგორც მიზანდასახული ქცევა, ინსტინქტური ქცევის საპირისპიროდ, როდესაც მოქმედება გაუაზრებელია და ავტომატურად ხორციელდება.

ქცევასა და მოქმედებას შორის განსხვავების ნათელყოფის შემდეგ, დგება საკითხი მოქმედებასა და სოციალურ მოქმედებას შორის მიმართების შესახებ. უფრო ზუსტად რომ ითქვას, საკითხი ეხება მოქმედების სოციალურობის კრიტერიუმებს. საქმე ისაა, რომ ყველა სოციალური მოქმედება, ზოგადად, მოქმედების გვარში ერთიანდება, მაგრამ არა პირიქით – მოქმედების მხოლოდ სპეციფიკური სახე ჩაითვლება სოციალურად. რაში მდგომარეობს ეს სპეციფიკა? მისი ნათელყოფა სათავეს ისევ ვებერის ნააზრევიდან იღებს. ვებერი საგანგებოდ აანალიზებს აღნიშნულ პრობლემას და დასკვნის, რომ მოქმედება მხოლოდ

<sup>57</sup> Elster, Jon (1983): *Explaining Technical Change*. Cambridge: Cambridge University Press; pp. 69-70.

<sup>58</sup> Lawson, T. and Garrod, J. (1996): *The complete A-Z Sociology Handbook*. Hodder & Stoughton; pp. 2, 18.

მაშინ ხდება სოციალური, როდესაც იგი, სუბიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, “შეეფარდება სხვა ადამიანის (ადამიანების) მოქმედებას და ორიენტირდება მასზე”.<sup>59</sup> მაშასადამე, მოქმედების სოციალურობისთვის აუცილებელია სხვაზე ორიენტაცია, თუმცა, არა ნებისმიერი, არამედ ცნობიერი (საზრისის ქმონე) ორიენტაცია.

სხვაზე მიმართული ყველა მოქმედება როდია საზრისის მატარებელი და, შესაბამისად, სოციალური ხასიათის. ვებერი აანალიზებს საზღვრით სიტუაციებს, როდესაც მოქმედების სხვაზე ორიენტაცია არ არის საკმარისი მისი სოციალურად ჩათვლისთვის:

- გარეგანი მოქმედება, რომელიც ორიენტირებულია ფიზიკურ ნივთზე (მატერიალურ საგანზე) არ არის სოციალური მოქმედების იდენტური;
- სოციალური მოქმედების იდენტური არ არის არც შინაგანი მოქმედება, რომელიც საკუთარ თავზე ორიენტირდება (მაგ., როდესაც ინდივიდი ლოცულობს მარტობაში, ან როდესაც ის მისდევს მეურნეობას მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის, ეს არა სოციალური ხასიათის);
- ორი ადამიანის ისეთი ურთიერთქმედება, რომელიც ატარებს წმინდა რეაქტიულ, მაშინალურ ხასიათს, ასევე არ ჩაითვლება სოციალურად (მაგ., ორი ველოსიპედისტის შემთხვევითი შეჯახება არ სცილდება ბუნებრივი მოვლენის ფარგლებს. მაგრამ თუ შეჯახებას აქვს მიზანიმართული ხასიათი, ან თუ ინდივიდები მიზანიმართულად ცდილობენ აიცილონ შეჯახება და მისგან გამოწვეული ყველა უარყოფითი შედეგი, მაშინ ეს უკვე სოციალურია);
- ადამიანთა ერთგვაროვანი მოქმედება არ არის სოციალური მოქმედების იდენტური (თუ, მაგალითად, ინდივიდები წვიმის დროს ქოლგებს შლიან, ეს მხოლოდ რეაქციაა გარე გამდიზიანებელზე და არა ორიენტაცია ერთმანეთის მოქმედებაზე; თუმცა, თუ ინდივიდი შეგნებულად შლის ქოლგას იმისათვის, რომ პარტნიორი დაიცვას წვიმისაგან, ასეთი მოქმედება უკვე სოციალური ხასიათს ატარებს).
- სოციალური არ არის არც ისეთი მოქმედება, რომელიც განპირობებულია ინდივიდის მასაში არსებობით, ანუ მასობრიობის ზეგავლენით. მასაში არსებობა (მასის წევრად ყოფნა) შესაძლებელია როგორც უშუალოდ, ისე გაშუალებულად (მაგ., ტელეაუდიტორის წევრად ყოფნა). საქმე ისაა, რომ მასაში, მართალია, ხდება სხვაზე ორიენტაცია, მაგრამ ამას არა აქვს საზრისისეული ხასიათი, ანუ ამგვარი ორიენტაცია ყველაზე ნაკლებადაა ინდივიდის თავისუფალი და ცნობიერი არჩევანით დადასტურებული. მასაში ინდივიდი კარგავს პიროვნულობას, იგი ითქვიფება მასში და ხდება ისეთი როგორც ყველა დანარჩენი. მასაში მოქმედი “კანონი” აიძულებს ინდივიდს იქცეს უპირობოდ მორჩილ არსებად. ეს კი მის მოქმედებას ართმევს სოციალურობას. ამავე ტიპისაა, მაგალითად, მიბაძვის ის შემთხვევები, როდესაც მიბაძვის პროცესი არ ატარებს გაცნობიერებულ და განზრახულ ხასიათს და წმინდად რეაქტიულად ხორციელდება. ასეთი მიბაძვა არ შეიძლება იყოს სოციალური მოქმედების იდენტური.

<sup>59</sup> Вебер, М. (1990): Основные Социологические Понятия, в книге: М. Вебер, *Избранные Произведения*. Москва, Прогресс; стр. 603.

სხვა ადამიანის ქცევაზე ორიენტაცია, ვებერის თანახმად, შეიძლება ატარებდეს რაციონალურ და ემოციურ საზრისებს. თუ რაციონალური საზრისის მქონე მოქმედება ყველა შესაძლო შედეგს ითვალისწინებს, მაშინ საქმე გვაქვს მიზან-რაციონალურ მოქმედებასთან. ხოლო, თუ მოქმედების რაციონალური მიზანია ღირებულების რეალიზაცია (დამატებითი შედეგების გათვალისწინების გარეშე), მაშინ სახეზეა ღირებულებით-რაციონალური მოქმედება. სხვა მხრივ, თუ სხვაზე მიმართული ქცევა ემოციური მნიშვნელობითაა დატვირთული, მაშინ ლაპარაკია აფექტურ მოქმედებაზე. თუმცა, როგორც აღინიშნა, აფექტური მოქმედება სოციალურობის ზღვარზე იმყოფება, რამდენადაც შეიძლება გასაზრისიანებული მოქმედების ფარგლებს გასცდეს.<sup>60</sup>

ვებერის თვალსაზრისს ინარჩუნებს სოციოლოგიის ლექსიკონში მოცემული განმარტებაც, რომლის თანახმად, სოციალურ მოქმედების არსებობას განაპირობებს სხვათა არსებობა, იგი თავის თავში მოიცავს სხვათა ქცევის გაგებას და ინტერპრეტაციას. ამრიგად, სოციალური მოქმედება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეიცავს ინტერაქციას. პირდაპირი (უშუალო) ფორმის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საუბარი სხვასთან. არაპირდაპირ სოციალური მოქმედების მაგალითია იგივე სიტყვების წერილის სახით დაწერა, რათა იგი შემდეგ სხვამ წაიკითხოს. ამრიგად, აღნიშნული განმარტებაც მოქმედების სოციალურობის კრიტერიუმად მიიჩნევს “სხვაზე ორიენტაციას”, თანაც, “გაგებასა და ინტერპრეტაციაზე დაფუძნებულს”.<sup>61</sup>

<sup>60</sup> ვებერის სოციალური მოქმედების ტიპების შესახებ უფრო დეტალურად იხილეთ მე-4 თაგის §1-ში.  
<sup>61</sup> Lawson, T. and Garrod, J. (1996): *The complete A-Z Sociology Handbook*. Hodder & Stoughton; p. 252.

## §5. დევიაცია (ანომია)<sup>62</sup>

### 5.1. დევიაციის (ანომიის) დეფინიცია

დევიაციის პრობლემის მიმართ სოციალური თეორიის ფუნდამენტური ინტერესის სპეციფიკა ისაა, რომ ის ცდილობს განახორციელოს დევიაციის სოციოლოგიური ანალიზი და არ ჩაანაცვლოს იგი ფსიქოლოგიური ან ბიოლოგიური ინტერპრეტაციით. ეს ნიშნავს, რომ სოციალური თეორია ფოკუსირდება დევიაციის სოციალური საფუძვლების კვლევაზე. ერთ-ერთი პირველი, ვინც ასეთი კვლევა განახორციელა ემილ დიურკემია. მნიშვნელოვანი წვლილი დევიაციის პრობლემის სოციოლოგიურ ანალიზში რ. მერტონს<sup>63</sup> მიუძღვის.

როგორც მერტონი აღნიშნავს, დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ტენდენცია, რომ ნეგატიური პროცესები საზოგადოებაში აეხსნათ არასაკმარისი სოციალური კონტროლით ადამიანის ძლიერ ბიოლოგიურ იმპულსებზე. ამ თვალსაზრისის თანახმად, დასაწყისში არსებობენ ადამიანის ბიოლოგიური იმპულსები, რომლებიც სრული გამოხატვისკენ ისწრაფვიან. შემდეგ ჩნდება სოციალური წესი ამ იმპულსების მართვის აპარატის სახით, რათა გააუვნებელყოს სოციალური დაბაძულობები. მერტონს არც დევიაციის ფსიქოლოგიური ანალიზი აკმაყოფილებს, რომლის თანახმადაც დევიანტური ქცევის საფუძველი ფსიქიკური ანომალიაა. გადახრითი ქცევის ზოგიერთი ფორმა ფსიქოლოგიურად ისეთივე ნორმალურია, როგორც რეგულაციების შესაბამისი ქცევის ფორმები.

დევიაციის ბიოლოგიური ან ფსიქოლოგიური ახსნა ვერანაირად ვერ აუქმებს კითხვას: რატომა სხვადასხვა საზოგადოებაში გადახრითი ქცევის სიხშირე და ფორმა განსხვავებული? ამ კითხვაზე პასუხი სოციოლოგიური ასპექტების შემოტანას მოითხოვს. მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა გავიგოთ, თუ როგორ უძინებებს სოციალური სტრუქტურა საზოგადოების ზოგიერთ წევრს რეგულაციების შეუსაბამო ქცევისკენ.

სოციალური და კულტურული სტრუქტურების მრავალ ელემენტს შორის მერტონი გამოყოფს ორ – განსაკუთრებით მნიშვნელოვან - ელემენტს. ისინი განსხვავდებიან ანალიტიკურად, თუმცა, მჭიდროდ არიან დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციებში. პირველი ელემენტია განსაზღვრული **კულტურული ძინები** – როგორც კანონიერი მიზნები მთელი საზოგადოებისთვის, ან მისი ცალკეული ფენისთვის. ამდენად, არსებობს სწრაფვა მათ მისაღწევად.<sup>64</sup>

<sup>62</sup> დევიაციის ცნების ანალიზი ძირითადად ეყრდნობა რობერტ მერტონის შრომას: “სოციალური თეორია და ხოციალური სტრუქტურა”. იხ. Merton, Robert (1968): *Social Theory and Social Structure*. New York: Free Press.

ასეთი არჩევანი განაპირობა იმან, რომ მერტონის კონცეფცია გარკვეულწილად ინახავს და ავთარებს ამ ცნების ანალიზის გარშემო სოციალურ თეორიაში არსებულ გამოცდილებას (აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ემილ დიურკემის მიერ ანომიის ანალიზი).

<sup>63</sup> Мертон, Р., Социальная структура и аномия. Соц. исс., 1992, №2, 3, 4.

<sup>64</sup> როგორც მერტონი წერს, ამერიკულ კულტურაში, მაგალითად, დამკვიდრებულია ფულადი წარმატების მიღწევის მიზანი. ფული ეს არის მაღალი მდგომარეობის, პრესტიჟის სიმბოლო. “ფულადი წარმატების” ხარისხი განუსაზღვრელია (“ამერიკელებს სურთ ქონდეთ თუნდაც 25%-ით მეტი, ვიდრე მათ აქვთ”). ოჯახი, სკოლა და სამსახური – პიროვნების სტრუქტურის და ამერიკელთა მიზნების ფორმირების ძირითადი ფაქტორები – უზრუნველყოფები ინტენსიურ აღმზრდელობით ზემოქმედებას ამ თვალსაზრისით. სკოლა წარმოადგენს გაბატონებული დირექტულებების გადაცემის ოფიციალურ საშუალებას. იგი იყენებს დიდი რაოდენობით სახელმძღვანელოებს, რომლებიც დიად ამტკიცებენ, რომ “განათლებას მივყავართ

კულტურული სტრუქტურის მეორე ელემენტია კულტურაში აქცენტირებული მიზნების მიღწევის სოციალურად მისაღები, ანუ **ინსტიტუციური ნორმები.**

საზოგადოების აღნიშნული ორი ელემენტის ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, მერტონი იძლევა დევიაციის (გადახრითი ქცევის) განმარტებას:

“გადახრითი ქცევა, სოციოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება განსილულ იქნეს როგორც უთანხმოება კულტურით განსაზღვრულ მიზნებსა და მათი რეალიზაციის სოციალურად დაშვებულ, ინსტიტუციურ საშუალებებს შორის”.<sup>65</sup>

არც ერთი საზოგადოება არ არსებობს მისი წევრების ქცევების მარეგულირებელი ნორმების გარეშე. თუმცა, საზოგადოებები არსებითად განსხვავდება ამ ნორმების (ინსტიტუციონალური წესების) გათვალისწინების ხარისხის მიხედვით. როდესაც სუსტდება ქცევის ინსტიტუციური ხერხები, საზოგადოება ხდება არასტაბილური, დაშლილი, უუნარო მოახდინოს ურთიერთობათა რეგულაცია. მასში ვითარდება მოვლენა, რომელსაც დიურკემა “ანომია” (ანუ “უნორმობა”) უწოდა.

შეიძლება მოვიყვანოთ ტრივიალური მაგალითი – ანომია სპორტულ შეჯიბრებებში, როდესაც გამარჯვებისკენ სვლის გზები არ არის ინსტუტუციურად განმტკიცებული და წარმატება განიხილება როგორც მოგება თამაშში, ვიდრე “მოგება თამაშის წესების მიხედვით”. ამ შემთხვევაში გამარჯვებას აღწევენ არაკანონიერი, თუმცა, ტექნიკურად უფასტური საშუალებების (მაგ., დოპინგის) გამოყენებით. მიზნის აქცენტირების შედეგად, მკვეთრად მცირდება შეჯიბრებაში უბრალო მონაწილეობით მიღებული სიამოგნება. სპორტული კონკურენცია მიკრო ილუსტრაციაა სოციალური მაკროკოსმოსის. მიზნის განდიდება წარმოშობს დემორალიზაციას, ე.ი. საშუალებათა დეინსტიტუციონალიზაციას. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს ნებისმიერ ჯგუფში, სადაც სოციალური სტრუქტურის ორი კომპონენტის (მიზნისა და ინსტიტუციური ნორმების) ინტეგრაცია არ არის მაღალი.

## 5.2. საზოგადოებაში ინდივიდთა შეგუების ტიპები

კულტურული მიზნები და ინსტიტუციური ნორმები, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ქცევის გაბატონებულ ფორმებს, არ არიან ერთმანეთთან უცვლელ ურთიერთობებში. განსაზღვრული მიზნების კულტურული აქცენტირება იცვლება ინსტიტუციურ საშუალებათა აქცენტირების ხარისხისაგან დამოუკიდებლად. მიზნებისა და საშუალებების განსხვავებული “კომბინაცია” საზოგადოებაში ინდივიდთა შეგუების სხვადასხვა ტიპს ქმნის. მერტონი გამოყოფს საზოგადოებაში ინდივიდების შეგუების ხუთ ტიპს, რომელიც სქემატურად წარმოდგენილია ცხრილში (*იხ. ცხრილი:*)

ინტელიგენტურობასთან - მაშასადამე, კარგ სამუშაოსთან და ფულად წარმატებასთან.” ამრიგად, ამერიკულ კულტურაში მიღებულია შემდეგი სამი აქსიომა: 1. ყველამ უნდა იბრძოლოს მაღალი მიზნების მისაღწევად; 2. დღევანდებლი წარუმატებლობა სხვა არაფერია, თუ არა შეალედური პუნქტი სრული წარმატების გზაზე; 3. ნამდვილი წარუმატებლობა მდგომარეობს მხოლოდ პრეტენზიათა შემცირებაში, ანდა მათზე უარის თქმაში.

<sup>65</sup> Мертон, Р., Социальная структура и аномия. Соц. исс., 1992, №2, стр. 120.

შეგუების ფორმები	პულტურით განსაზღვრული მიზნები	ინსტიტუციური საშუალებები
1. კონფორმულობა	+	+
2. ინოვაცია	+	-
3. რიტუალიზმი	-	+
4. რეტრიტიზმი	-	-
5. ამბოხი	+/-	+/-

შენიშვნა: “+” ნიშნავს მიღებას (გაზიარებას), “-” უარყოფას, ხოლო “+ -” გაბატონებული მიზნების/ინსტიტუციური ნორმების უარყოფას და მათ შეცვლას ახლით.

განვიხილოთ შეგუების თითოეული ტიპი ცალ-ცალკე:

**1. კონფორმულობა:** რაც უფრო დიდია საზოგადოების სტაბილურობის ხარისხი, მით უფრო ფართოდ არის გავრცელებული შეგუების ეს ტიპი – შესაბამისობა როგორც პულტურულ მიზნებთან, ასევე ინსტიტუციურ საშუალებებთან. სხვაგარად შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოების სტაბილურობის და მემკვიდრეობითობის შენარჩუნება. სოციალური წესრიგი ეფუძნება საზოგადოების წევრთა სასურველ ქცევას, რომელიც შეესაბამება პულტურის ნიმუშებს. სწორედ პირითად კულტურულ ლირებულებებზე ქცევის საყოველთაო ორიენტაციის შედეგად შეიძლება ლაპარაკი ადამიანთა ერთობაზე, როგორც საზოგადოებაზე.

**2. ინოვაცია:** შეგუების ამ ფორმას იწვევს კულტურული მიზნების მნიშვნელოვანი აქცენტირება და ინსტიტუციურად აკრძალული, თუმცა, ტექნიკურად ეფექტური საშუალებების გამოყენება მათ მისაღწევად. ასეთი რეაქცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდმა მოახდინა მიზნის აქცენტირებასთან ასიმილაცია იმ ინსტიტუციური ნორმების ტოლძალოვანი ათვისების გარეშე, რომლებიც არეგულირებენ ამ მიზნის მიღწევის გზებს. ამ პიპოთეტურად პოლარულ შემთხვევაში, დაშვებულია ქცევის ნებისმიერი ხერხი, რომელიც გვპირდება აქცენტირებული მიზნის მიღწევას. ინოვაცია დევიაციის კლასიკური ფორმაა, რომელიც მიუთითებს სუსტად ინტეგრირებული კულტურის არსებობაზე. ასეთ კულტურაში, სადაც ღირებულებების სისტემა განადიდებს წარმატებულ მიზნებს (რომლებიც საერთოა მოსახლეობისთვის) და, ამასთან, სოციალური სტრუქტურა მკაცრად ზღუდავს (ან სრულიად კეტავს) მისასვლელს ამ მიზნების მისაღწევ დაშვებულ ხერხებთან – ეს იწვევს გადახრითი ქცევის მასშტაბების გაზრდას.

შედარებით ძლიერი მისწრაფება გადახრითი ქცევისკენ აქვთ დაბალ სოციალურ სტრატებს (ფენებს). დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს კულტურა უყენებს ერთმანეთთან შეუთავსებელ მოთხოვნებს. მაგალითად, ერთი მხრივ, ისინი თავიანთი ქცევის ორიენტაციას ახდენენ დიდ სიმდიდრეზე. მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვნად მოკლებული არიან შესაძლებლობას მიაღწიონ მას კანონიერი გზით. ამ სტრუქტურულ შეუთავსებლობას მივყავართ გადახრითი ქცევის მაღალ ხარისხთან. ფულად წარმატებაზე კულტურულ აქცენტირებასა და შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის წინააღმდეგობის მსხვერპლი ყოველთვის ვერ აცნობიერებენ თავიანთი წარუმატებლობის სტრუქტურულ წყაროებს. ის, ვინც მის წყაროს სოციალურ სტრუქტურაში ხედავს, შეიძლება გაუცხოვდეს მისგან. ამ შემთხვევაში, მოსალოდნელია, განვითაროთ შეგუების მეცუთე ფორმა – ამბოხი. თუმცა, როგორც წესი, უმრავლესობა თავის პრობლემებს ხსნის უფრო მისტიკური, ვიდრე სოციალური მიზეზებით. კერძოდ, ყველაფერი აიხსნება “ბედნიერი შემთხვევის”, “გამართლების” ფაქტორების მოქმედებით.

ამ თეორიული ანალიზის საფუძველზე ცდილობს მერტონი ახსნას დანაშაულება და სიდარიბები შორის ცვალებადი ურთიერთობა. “სიდარიბე” არ არის იზოლირებული ცვლადი, არამედ

ჩართულია ურთიერთდაკავშირებულ სოციალურ და კულტურულ მაჩვენებელთა სისტემაში. მხოლოდ სიღარიბე და მისი თანმდევი შეზღუდული შესაძლებლობები არ არის საკმარისი იმისთვის, რათა დანაშაულის მნიშვნელოვანი ღონება გამოიწვიოს. მაგრამ დანაშაულის მაღალი სარისი ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა, როდესაც სიღარიბე და გაჭირვება საზოგადოების წევრების მიერ აღიარებული კულტურული ღირებულებებისთვის ბრძოლაში უერთდება ფულად წარმატებაზე კულტურულ აქცენტირებას, როგორც დომინირებულ მიზანს. მხოლოდ ცვლადთა მთელი კომპლექსის (სიღარიბე, შეზღუდული შესაძლებლობები და კულტურული მიზნები) განხილვისას იქმნება საფუძველი ავსენათ სიღარიბესა და დანაშაულს შორის ურთიერთკავშირი (მერტონს მხედველობაში ამერიკული საზოგადოება აქვს).

**3. რიტუალიზმი:** შეგუების ეს ტიპი გულისხმობს წარმატების მაღალი მიზნების მიტოვებას (ან “დავიწყებას”). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მოთხოვნა – “ეცადე, წარმატებას მიაღწიო ამ სამყაროში” – უარიყოფა, გრძელდება ინსტიტუციური ნორმების თითქმის უპირობო დაცვა. ამ შემთხვევაში, რიტუალურ მნიშვნელობას იძენს ერთგულება ინსტიტუციურად დაწესებული ქცევისადმი. ასეთ პირობებში დაბალია ახალი პირობებისადმი შეგუებადობა. ვითარდება ტრადიციებზე დაფუძნებული “წმინდა” საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს სიახლისადმი შიში – ნეოფონბია.

შეგუების ეს ტიპი, ზოგადად, არ წარმოადგენს სოციალურ პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ რიტუალისტური ქცევა, პრინციპში, არ ჩაითვლება გადახრითად, იგი წარმოადგენს კულტურული ეტალონისაგან გადახვევას, რომელიც საზოგადოების წევრებს ავალდებულებს, იმოძრაონ სოციალურ იერარქიაში წინ და მაღლა.

სოციალური რიტუალიზმის შინაგანი ფილოსოფია გამოიხატება კულტურაში არსებული შემდეგი გამოთქმებით: “მე ვცდილობ, თავი არ წამოვყო”, “მე ურთხილად ვთამაშობ”, “არ დაისახოთ მაღალი მიზნები – არ იქნება იმედგაცრუებაც”. დიდ გეგმებს და პრეტენზიებს მოაქვს იმედგაცრუება და საფრთხე, ხოლო მცირეს – კმაყოფილება და სიმშვიდე. ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია მუშისთვის, რომელიც შეშინებული იმით, რომ სამსახურიდან დაითხოვენ, თავისი შრომის მწარმოებლურობას ყინავს განსაზღვრულ – არც ზრდად და არც კლებად – ღონებზე. ეს არის იმ ინდივიდის შეგუების ტიპი, რომელიც ისწრაფვის გაექცეს წარუმატებლობის რისკს ძირითად კულტურულ მიზნებზე უარის თქმის მეშვეობით და იმ რუტინული წესრიგისადმი ერთგულებით, რომლებიც უსაფრთხოების გარანტიას იძლევა.

მერტონის მიხედვით, რიტუალისტები უპირატესად საშუალო კლასის წარმომადგენლები არიან. ამ კლასისთვის დამახასიათებელია ძლიერი დისციპლინა, რომელიც ამძაფრებს “მორალური სასჯელის” განცდას და ამცირებს “ინოვაციის” მოსალოდნელობას.

**4. რეტრიტიზმი:** რეტრიტიზმი სოციალური სტრუქტურის ორივე ელემენტის – კულტურული მიზნებისა და ინსტიტუციური საშუალებების უარყოფაა. სოციოლოგიური თვალსაზრისით, რეტრიტისტები წარმოადგენენ ნამდვილ “უცხოებს”. ისინი იმყოფებიან საზოგადოებაში, თუმცა, მკაცრი აზრით, არც ეკუთვნიან მას, რამდენადაც არ იზიარებენ საერთო ღირებულებით ორიენტაციებს, განუდგებიან რეალობას და იკეტებიან თავიანთ შინაგან სამყაროში. მოხევიალენი, მაწანწალები, გამოგდებულები, ალკოჰოლიკები და ნარკომანები – ტიპიური რეტრიტისტებია, რომლებმაც, ერთი მხრივ, უარი თქვეს კულტურის მიერ დაწესებულ მიზნებზე, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ქცევა არ შეესაბამება ინსტიტუციურ ნორმებს.

მერტონი აანალიზებს რეტრიტიზმის სოციალურ-სტრუქტურულ წყაროებს და ასკვნის, რომ შეგუების ეს ტიპი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდი მთლიანად ითვისებს, იწონებს და მაღალ შეფასებას აძლევს როგორც კულტურულ მიზნებს, ასევე მათი მიღწევის ინსტიტუციურ მეთოდებს, მაგრამ მისთვის ხელმისაწვდომი ინსტიტუციური საშუალებებით წარმატებას ვერ აღწევს. სახეზეა ორმაგი კონფლიქტი: მორალური ვალდებულება იმისა, რომ გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ინსტიტუციური საშუალებები ეწინააღმდეგება გარეგან იძულებას – მიგმართოთ აკრძალულ, მაგრამ ეფექტურ საშუალებებს. ეს კონფლიქტი გრძელდება მანამდე, ვიდრე ჯერ კიდევ არ არის უარყოფილი მიზან-წარმატების უმაღლესი დირებულება. კონფლიქტი გადაიჭრება ორივე ელემენტის – როგორც მიზნების, ასევე საშუალებების – უპუბლიკებების გზით.

რეტრიტიზმი შეგუების უფრო ინდივიდუალური ტიპია, ვიდრე კოლექტიური.

**5. ამბოხი:** ესაა კოლექტიური შეგუების ტიპი. მას ადამიანები არსებულისოციალური სტრუქტურების საზღვრებს გარეთ გაჰყავს და უბიძგებს მათ შექმნან ახალი, ე.ი ძალზე სახეშეცვლილი სოციალური სტრუქტურა. ამბოხი გულისხმობს გაბატონებული მიზნებისაგან და სტანდარტებისგან გაუცხოებას. ისინი ჩათვლილია წმინდა თვითნებურ კონსტრუქტებად, ხოლო მათი პრეტენზია კანონიერებაზე – უსაფუძვლოდ, რამდენადაც როგორც მიზნები, ასევე სტანდარტები, სავსებით შესაძლებელია სხვაგვარი ყოფილიყო.

ამბოხი, მერტონის აზრით, უნდა განვასხვავოთ შეგუების სხვა ტიპისაგან, რომელიც გარეგნულად ძალზე ემსგავსება მას. ესაა “რესენტიმენტი” (resentimenta). “რესენტიმენტი” წარმოადგენს ურთიერთობის ტიპს, რომელსაც არ სდევს ღირებულებების სრული გადაფასება. თუ “ამბოხის” შემთხვევაში, სასურველი, მაგრამ მიუღწევადი, არსებითად წყვეტს არსებობას როგორც ღირებული, “რესენტიმენტი”, პირიქით, არ მოითხოვს ნამდვილ ღირებულებით ცვლილებებს. მისი მოთხოვნები მხოლოდ ფასადურ, კაზი-ტრანსფორმაციებში გამოიხატება.

მერტონი ანალოგიას ატარებს მედიისა და ყურძნის იგავთან. ამ იგავში მედია არ ამბობს, რომ მან საერთოდ დაკარგა ტებილი ყურძნის მიმართ სურვილი. ის მხოლოდ ამტკიცებს, რომ სწორედ ეს განსაკუთრებული ყურძნი არ არის ტებილი. ეს “რესენტიმენტის” შემთხვევაა. მელია – “მეამბოხე” ადგილად ამბობს უარს მწიფე ყურძნის მიმართ თავის სიყვარულზე. თუ “რესენტიმენტის” შემთხვევაში დაგმობილია ის, რაც ფარულად ისურვება, ამბოხის შემთხვევაში. დაგმობილია **სურვილი თავისთავად**.

ამბოხი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებული სისტემა კანონიერად აღიარებულ მიზანთა მიღწევის გზაზე დაბრკოლებად იქცევა. ამბოხში, როგორც ორგანიზებულ პოლიტიკურ მოღვაწეობაში მონაწილეობისთვის, აუცილებელია არა მხოლოდ გაბატონებული სოციალური სტრუქტურის ერთგულებაზე უარის თქმა, არამედ ახალი “მითის” შექმნა. მითის ფუნქციაა მიუთითოს მასობრივი იმედგაცრუების სოციალურ-სტრუქტურულ საფუძვლებზე და გამოხატოს ალტერნატიული სტრუქტურა, რომელიც აღარ გამოიწვევს იმედგაცრუებას. ამ თვალსაზრისით, გასაგები ხდება კონსერვატორების კონტრმითის დანიშნულება. კონტრმითის მიხედვით, მასობრივ გულგატებით წყარო არ უნდა დავინახოთ არსებულ საზოგადოებრივ წყობაში. იმედგაცრუება თვითონ საგანთა ბუნებაშია და დამახასითებელია ნებისმიერი სოციალური სისტემისთვის. ამას გარდა, კონსერვატორულ მითს უკმაყოფილება სოციალური სტრუქტურიდან ინდივიდზე გადააქცეს, როგორც უიდებლოზე: “ყოველი ადამიანი სინამდვილეში იღებს იმას, რაც დაებედება”.

თავი IV. სუბიექტზე/აგენტზე ორიენტირებული სოციალური თეორიები თმორივი (ვებსაიტის ინტერაქტიული სოციოლოგია, ბარჟინების ეთნომეთოლოგია)

## შესავალი

სუბიექტზე (აგენტზე, აქტორზე) ორიენტირებული სოციალური თეორიები ექცევა იმ პარადიგმის ფარგლებში, რასაც აქტორი/სტრუქტურის დიხოტომიის პარადიგმად მოიხსენიებენ. აღნიშნული დუალიზმის საფუძველზე, სოციალური თეორიების კლასიფიკაცია შესაძლებელია ორ ზოგად ჯგუფად: მაკროთეორიებად და მიკროთეორიებად. სოციალური თეორიის სფერო, ძირითადად, სწორედ ამ ორი ტიპის თეორიებს შორისაა განაწილებული.<sup>66</sup>

**მაკროთეორიები** აქცენტს სვამენ კოლექტიურ ფენომენებზე – სოციალურ სტრუქტურებსა და სისტემებზე, რომლებიც აქტორის მიმართ დისტანციურია (გარემდებარეა) და მაიძულებელი ზემოქმედების მქონე.<sup>67</sup> **მაკროთეორიები**, პირიქით, აქცენტს სვამენ აგენტზე (აქტორზე) და მის საქმიანობაზე.

მიკროთეორიების ფარგლებში სოციალური თეორიის მკლევრები ორ ტრადიციას გაარჩევენ:

1. ერთია ინტერაქტიული სოციოლოგია, ანუ “ინტერაქტივიზმი”. ეს ტრადიცია “ყველა იმ მიდგომის აღმნიშვნელია, რომლებიც გამოკვეთს სოციალური სამყაროს მოქმედებებსა და ინსტიტუტებში მოცემული სუბიექტური საზრისების მნიშვნელოვნებას. ის, კერძოდ, უკავშირდება მაქს ვებერისა და გეორგ ზიმელის მეთოდოლოგიურ იდეებს და მათ გავლენას მომდევნო თაობის მეცნიერებზე. ინტერაქტიული მიდგომა, აგრეთვე, მოიცავს იმას, რაც ცნობილია ალფრედ შიუტცის (Alfred Schutz) “ფენომენოლოგიური სოციოლოგიის” და “ცოდნის სოციოლოგიის” მიდგომების სახით, რომლებიც ისეთ მოაზროვნებს უკავშირდება, როგორიცაა კარლ მანქეიმი (Karl Mannheim), პიტერ ბერგერი (Peter Berger) და ტომას ლუკმანი (Thomas Luckmann).”<sup>68</sup>

2. მეორე ტრადიციაა “ინტერაქციონიზმი”, ანუ “სიმბოლური ინტერაქციონიზმი”, რომელსაც საფუძველი 1930-იან წლებში ჩაუყარა ამერიკულმა “შიკაგოს კოლაგ”, ისეთი წარმომადგენლების სახით, როგორიცაა ჯორჯ პერბერტ მიდი (George Herbert Mead) და პერბერტ ბლუმერი (Herbert Blumer).<sup>69</sup> ამავე ტრადიციაში ექცევა სხვა ამერიკელების – ერვინგ გოფმანის (Erving Goffman) “დრამატურგიული თეორია” და პაროლდ გარფინკელის (Harold Garfinkel) ეთნომეთოლოგია.

<sup>66</sup> თუმცა, უახლესი სოციოლოგიური აზროვნება ამჟღავნებს მისწრაფებას, რომ გადაილახოს დუალიზმი – მიკრო/მაკრო, მოდგაწვეობა/სტრუქტურა და განხორციელდეს მათ შორის სინთეზი, რათა საზოგადოების მეცნიერებლი სურათი ანალიტიკური კომპლექსურობის ფარგლებში მოექცეს. ამის მცდელობას წარმოადგენს პიერ ბურდიეს თეორია “პრაქტიკის ლოგიკის” შესახებ, ენტრი გიდენსის “სტრუქტურაციის თეორია”, მარგარეტ არჩერის (Margaret Archer) “მორფოგენეზის თეორია” და სხვ. (ბურდიეს და გიდენსის თვალსაზრისები განხილული იქნება მე-6 თავზი).

<sup>67</sup> მაკროთეორიების არსი უფრო დეტალურად განხილული იქნება მე-5 თავში.

<sup>68</sup> Outhwaite, William (2005): Interpretivism and Interactionism. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 110.

<sup>69</sup> სიმბოლური ინტერაქციონიზმის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: იაგო კაჭაჭაჭიშვილი (2001): სოციალური მოქმედების თეორიები. თბილისი, მეცნიერება. თავი V.

მართალია, ეს ეს ორი ტრადიცია გარევეულ ასპექტებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგრამ მათ საზიაროც იმდენი აქვთ, რომ შესაძლებელია მონათესავე მიდგომებად (კერძოდ, მიკროთეორიულ მიდგომებად) განხილვა და ერთ “არხში” მოთავსება. კარგად წერს ერთ-ერთი თანამედროვე მკვლევარი: “ანალიზის ეს ორი ტრადიცია ერთად ჯგუფდება... რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული საკითხის გარშემო, რომლებიც ორიენტირდება ინტერპრეტაციის, მოქმედების, ინტერაქციის, ცოდნის, მნიშვნელობის და ენის ცნებებზე”.<sup>70</sup> მაშასადამე, ორივე ტრადიცია ადიარებს, რომ მთავარი ისაა, თუ როგორ მოქმედებენ ინდივიდები და როგორ აგებენ ისინი მათ გარშემო სოციალურ სამყაროს. ეს “მშენებლობა” “სტრუქტურებს კი არა, აქტორების სუბიექტურ მნიშვნელობებს ეყრდნობა. მათ შესაბამისად წარმართავს ინდივიდი თავის მოქმედებას მიზანთა სარეალიზაციოდ, ერთვება სოციალურ ურთიერთობებში და ითვისებს სოციალურ როლებს, როგორც ამ ურთიერთობების შედეგს. სოციალური თეორიის ანალიზის “მასალას” სწორედ სუბიექტური მნიშვნელობები წარმოადგენს, რომლებიც ჩართულია ინტერაქციათა ფლუიდურ მიმდინარეობაში. ასეთი მიდგომა გულგრილია სოციალური სტრუქტურების ანალიზის მიმართ. ისინი არათუ არ განიხილება როგორც აქტორთა მოქმედების მაღეტერმინირებელი ფაქტორები, არამედ, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ უგულებელყოფილია.

აგენტზე ორიენტირებული თეორიების ზემოაღნიშნული ორი ტრადიციიდან განხილული იქნება ორი ნიმუში: მაქს ვებერის ინტერპრეტაციული სოციოლოგია და ჰაროლდ გარფინკელის ეთნომეთოდოლოგია.<sup>71</sup>

---

<sup>70</sup> Outhwaite, William (2005): Interpretivism and Interactionism. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 111.

<sup>71</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი ეთნომეთოდოლოგიას არ განიხილავს არა მხოლოდ მაკროსოციოლოგიის, არამედ, მიკროსოციოლოგიის ნაწილადაც. ასე ფიქრობს, მაგალითად, რ. ჰილბერტი. მისი აზრით, ეთნომეთოდოლოგია გადის მიკრო/მაკრო დაპირისპირების მიღმა და იკვლევს “სოციალურ მოქმედებებს, რომლებიც არიან როგორც მიკროსტრუქტურების, ისე მაკროსტრუქტურების (აგრუპებების, ნებისმიერი ამ ორ სფეროს დასაშვები კავშირის) შექმნის მეთოდები” (Hilbert, Richard A. (1990): “Ethnomethodology and the Micro-Macro Order”. *American Sociological Review* 55:794-808; p. 794).

## §1. მაქს ვებერის ინტერპრეტაციული სოციოლოგია

### ბიოგრაფიული ცნობები:

მაქს ვებერი (Max Weber) დაიბადა გერმანიაში, ქალაქ ერფურტში, 1864 წლის 21 აპრილს. მის ოჯახში მამა ცნობილი იყო როგორც ავტორიტარული პიროვნება, ხოლო დედა – კალვინისტური რელიგიის თავგადაქლული მიმდევარი. ვებერმა განათლება ჰაიდელბერგის, ბერლინისა და გოტინგენის უიურსიტეტში მიიღო და მცირე ხნით არმიაშიც მსახურობდა.

1893 წელს ვებერმა დროებითი პოზიცია მოიპოვა ბერლინის უნივერსიტეტში, რამაც მას პირველი დამოუკიდებელი შემოსავალი და იმის შესაძლებლობა მოუტანა, რომ დაეტოვებინა სახლი და დაქორწინებულიყო. ორი წლის შემდეგ, 1895 წელს, მისი შესანიშნავი სამეცნიერო რეპუტაციის გამო, იგი ხდება პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი ფრაიბურგის უნივერსიტეტში. ერთი წლის შემდეგ იგი იმავე პოზიციას იკავებს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. 1898 წელს, ერთწლიანი ოჯახური კრიზისის შემდეგ, ვებერს ნერვული აშლილობის გამო კლინიკაში ათავსებენ. პოსპიტალიზაცია გარკვეული პერიოდულობით გრძელდება 1903 წლამდე. ამ ხუთწლიან პერიოდში იგი თავს ანებებს აკადემიურ საქმიანობას. ნორმალური ცხოვრების დაბრუნებისთანავე, ვებერი მუშაობას იწყებს როგორც თანარედაქტორი ჟურნალისა Archiv für Sozialwissenschaft und Sozialpolitik, რომელიც იმდროინდელ გერმანიაში წამყვანი ჟურნალი ხდება სოციალური მეცნიერებების სფეროში.

1904 წელს ვებერი მოგზაურობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კითხულობს ლექციებს თემებზე, რომლებიც მოგვიანებით საფუძვლად დაედება მის ცნობილ ნაშრომს პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული (1905). პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას იგი მხარს უჭრდა გერმანიის მიზნებს და მოხალისედაც კი წავიდა არმიაში. მაგამ, 1915 წელს ვებერი იცვლის პოზიციას და ხდება პაციფისტი. ომის შემდეგ ვებერმა მონაწილეობა მიიღო ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციის დაწერაში და დარსა გერმანიის დემოკრატიული პარტია. თუმცა, თანდათან იგი ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს. 1919 წელს ვებერი ინიშნება ეროვნული ეკონომიკის პროფესორად მიუნხენის უნივერსიტეტში. ამ ქალაქში გარდაიცვალა იგი 1920 წლის 14 ივნისს ფილტვის ინფექციით.

### მაქს ვებერის ძირითადი შრომები:

- პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული (1904-5);
- პოლიტიკა როგორც სელობა (1919);
- მეცნიერება როგორც სელობა (1919);
- ეკონომიკა და საზოგადოება (1920-2).

მაქს ვებერი სოციალურ მეცნიერებათა ბევრი სფეროს ფუძემდებელი ან შემოქმედებითად განმავითარებელია. მისი მემკვიდრეობიდან ამ ნაშრომში განხილულია რამდენიმე საკანონო საკითხი:

- “ახსნა” და “გაგება”;
- სოციალური მოქმედების ცნება და ტიპოლოგია; სოციალური ურთიერთობა;
- რაციონალობის კონცეფცია და რაციონალობის ტიპები;
- იდეალური ტიპები თეორია;
- რელიგიის სოციოლოგია (პროტესტანტული ეთიკისა და კაპიტალიზმის კავშირი).

## 1.1. “ახსნა” და “გაგება”

ვებერის სოციალური თეორია ორგანულად “ჯდება” პერმენეგტიკულ ტრადიციაში, რომელსაც საფუძველი გერმანიაში, ვებერის წინამორბედ ვილჰელმ დილთაის ფილოსოფიურ თეორიაში, ჩაეყარა. ვებერი მიჰყება დილთაის ხაზს, როდესაც ადამიანს განიხილავს როგორც “ინტერპრეტაციულ ცხოველს”. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდები გარემოში არსებობენ არა როგორც ნეიტრალური სხეულები, არამედ ისინი მნიშვნელობას (საზრისს) ანიჭებენ რეალობას, ანუ ახდენენ მის ინტერპრეტაციას. მხოლოდ ამ აზრით შეუძლიათ მათ რეალობასთან ურთიერთობა (კომუნიკაცია) და ადაპტაცია. ამ კონტექსტში შემოაქვს ვებერს “გაგების” (verstehen) ცნება, რომელიც აღნიშნავს პროცესს, როდესაც ხდება იმ მენტალური პროცესების წვდომა, რომლებიც ინდივიდებმა თავიანთ მოქმედებებში ჩადეს, განსაკუთრებით ისეთ მოქმედებებში, რომლებიც სხვაზეა ორიენტირებული (ასეთ მოქმედებას ვებერი “სოციალურს” უწოდებს, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი). სოციალური ფენომენების გაგება შესაძლებელია მხოლოდ მათში მონაწილე ინდივიდების მენტალური პროცესების (სუბიექტური საზრისების) წვდომით. სწორედ ამაში მდგომარეობს “მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის” არსი, რომელსაც ფართოდ იყენებენ კულტურის შემსწავლელი მეცნიერებები.

ვებერი აცხადებს, რომ მოქმედებები შეიძლება განსხვავებულ საზრისებს ატარებდეს და, შესაბამისად, განსხვავებულ დონეზე ხდებოდეს მათი გაგება. არსებობს მოქმედების რაციონალური და ემოციური (არარაციონალური) მნიშვნელობები. რაციონალური საზრისის წვდომა მოქმედების გაგების ლოგიკურ-მათემატიკურ სიცხადეს აღწევს, ხოლო, ემოციური საზრისის წვდომა - გაგების ემოციურ და მსატვრულად რეცეპტულ სიცხადეს. პირველ შემთხვევაში გაგებას უზრუნველყოფს ინდივიდის ლოგიკური აზროვნების უნარი, ხოლო, მეორე შემთხვევაში - თანაგანცდის, მგრძნობელობის უნარი. როდესაც, მაგალითად, მსურს გავიგო იმ მენტალური პროცესების მნიშვნელობა, რომლითაც ადამიანი ლოგიკურ დასკვნას აგებს, ამ შემთხვევაში, ამ შემთხვევაში მივმართავ გონებას (“რაციოს”), რომელიც უზრუნველყოფს დასკვნის ჭეშმარიტების ადგავატურ წვდომას. მაგრამ, თუ მინდა ადანიანის რელიგიური აქტების საზრისებს ვწვდე, ამ შემთხვევაში, ქმედით დახმარებას ვერ გამიწევს ინტელექტი, არამედ გაგება მიიღწევა თანაგანცდის მეშვეობით (მორწმუნე ადამიანის ქცევას ვერასოდეს გაიგებს ადგავატურად ათეისტი).

გაგებისაგან განსხვავებულ ამოცანას წარმოადგენს სოციალური ფენომენების “ახსნა”. ეს უკანასკნელი მიმართულია მოვლენათა მიზეზების გამორკვევაზე. მაგალითად, როდესაც ადამიანი შეშას ჩეხავს, მისი მოქმედების გაგება გულისხმობს მოქმედების მნიშვნელობის (საზრისის) წვდომას, ანუ პასუხს კითხვაზე: რა არის მისი მოქმედება? თუმცა, განსხვავებული ამოცანაა ადამიანის ამგვარი მოქმედების მიზეზების გამორკვევა – რატომ იქვევა ადამიანი ასე: გათბობისათვის მასალას იმარაგებს, გასამრჯელოს იღებს, ერთობა თუ რაიმე სხვა მოტივაცია ამოძრავებს? მაშასადამე, ახსნა არ წარმოადგენს გაგების ალტერნატივას, ორივეს ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქცია გააჩნია. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ახსნა გაგებისაგან დამოუკიდებლად არ მიიღწევა. ამიტომ ვებერი ზოგჯერ მოქმედების ახსნას მის “მოტივაციურ გაგებას” უწოდებს. ვებერის მიერ სოციოლოგიის განსაზღვრებაც სწორედ ამას ითვალისწინებს:

“სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც მოწოდებულია ინტერპრეტაციულად გაიგოს ადამიანის მოქმედება იმისათვის, რათა მიაღწიოს მისი მიმღინარეობისა და შედეგების მიზეზობრივ ახსნას”.<sup>72</sup>

ახსნისა და გაგების “თანამშრომლობას” სხვა დატვირთვაც აქვს: სუბიექტური წესით, ანუ გაგების საფუძველზე მიღებული ცოდნა საფუძვლად ედება სოციალური მოქმედების ოეორიული მოდელების ჩამოყალიბებას (მათ ვებერი “იდეალურ ტიპებს” უწოდებს). ეს თეორიული მოდელები კი, თავის მხრივ, გამოიყენება მოქმედების რეალური კურსის ანალიზისთვის (ახსნისთვის), ამ უკანასკნელის თეორიულ მოდელთან შედარების გზით (ამაზე უფრო დაწვილებით ქვემოთ იქნება საუბარი).

აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: მიუხედავად იმისა, რომ ვებერი ინტერპრეტაციული სოციოლოგიის და მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის წარმომადგენელია, ხოლო ინტერპრეტაციული პროცესები ყოველთვის ცალკეული ინდივიდების “თავებში” მიმდინარეობს, ეს არ ნიშნავს, რომ ვებერი უარყოფს კოლექტიურობის, საერთო ინტერესების, ქცევის მოდელების (ნიმუშების, “პატერნების”) არსებობას. ინდივიდები, ჩვეულებრივ, საკუთარ პრაქტიკებს ათავსებენ ერთმანეთთან. ასე იქმნება ინდივიდთა სიმრავლისგან კოლექტიურობა, საერთო ინტერესები, რომლებიც ერთობლივ მოქმედებებს განაპირობებს და ა.შ. ეს ეწ. “სტატუსური ჯგუფების” ჩამოყალიბების საფუძველიცაა.

## 12. სოციალური მოქმედება და სოციალური ურთიერთობა

ვებერის თანახმად, ადამიანის მოქმედება სოციოლოგიისათვის მხოლოდ იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც იგი შეიძლება დაექვემდებაროს ემპირიულ ანალიზს. ინდივიდის მოქმედებას ვებერი განსაზღვრავს, როგორც ქცევას, რომელსაც აქტორი ან აქტორები უკავშირდებენ სუბიექტურ საზრისს (მნიშვნელობას). შესაბამისად, სოციოლოგიას (როგორც ემპირიულ მეცნიერებას) არ შეიძლება აინტერესებდეს მოქმედების “ობიექტურად მნიშვნელადი” ან “შეტაფიზიკური” მნიშვნელობა.

რა ნიშანი უნდა მიემატოს ადამიანური მოქმედების ამ განსაზღვრებას, რათა მოქმედება ჩაითვალოს სოციალურად? აი, რას წერს ვებერი:

“სოციალურ მოქმედებას უწოდებ აქტორის ქცევას, რომელიც მასში ნაგულისხმევი სუბიექტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეეფარდება სხვა აქტორთა ქცევებს და ორიენტირდება მათზე”.<sup>73</sup>

ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, სოციალურ მოქმედებად არ ჩაითვლება: ა) გარეგანი მოქმედება, რომელიც ორიენტირებულია ნივთობრივი ობიექტების ქცევაზე; ბ) ინდივიდის შინაგანი მოქმედება, თუ იგი მხოლოდ თვითორიენტაციას, ანუ საკუთარ თავთან მიმართებას გულისხმობს; გ) ორი ადამიანის ურთიერთებულება, რომელიც მნიშვნელობის მქონე, ანუ გასაზრისიანებულ ორიენტაციას არ წარმოადგენს (მაგ., წმინდა რეაქტიული

<sup>72</sup> Вебер, М. (1990): Основные Социологические Понятия, в книге: М. Вебер, *Избранные Произведения*. Москва, Прогресс; стр. 602.

<sup>73</sup> Вебер, М. (1990): Основные Социологические Понятия, в книге: М. Вебер, *Избранные Произведения*. Москва, Прогресс; стр. 603.

ურთიერთქმედება); დ) მრავალი ადამიანის ერთგვაროვანი ქცევა, რომელიც მოტივირებულია არა სხვათა ქცევაზე ორიენტაციით, არამედ გარე (არასუბიექტური) გამღიზიანებლისაგან თავდაცვით; ე) ისეთი მოქმედება, რომელიც სრულდება ადამიანთა ჯგუფების, მასის ზეგავლენის ქვეშ (“მასობრიობით განპირობებული” მოქმედება); ვ) მიბაძვითი მოქმედების ის შემთხვევა, რომელიც რეაქტიული ხასიათისაა, ანდა, შესაძლოა, ცნობიერ შინაარსს ატარებს, თუმცა, სხვათა ქცევაზე ორიენტაციის გარეშე.<sup>74</sup>

ვებერი იძლევა სოციალური მოქმედებების კლასიფიკაციას, რომელიც **ოთხის ტიპის** მოქმედებას მოიცავს (კლასიფიკაციის კრიტერიუმად გამოყენებულია მოქმედების რაციონალობის ხარისხი): 1. მიზან-რაციონალური მოქმედება, როდესაც ინდივიდი ორიენტირებულია მიზანზე და მის მისაღწევად იყენებს გარე სამყაროს ნივთების და სხვა ადამიანთა ქცევებს (ქცევის მოლოდინებს), როგორც მიზნის მიღწევის საშუალებებს. ამ დროს აქტორი ყოველთვის ითვალისწინებს იმას, თუ რა დამატებითი (მეორეხარისხოვანი) შედეგები მოყვება მიზნის განხორციელებას; 2. ღირებულებით-რაციონალური მოქმედება, რომელიც დაფუძნებულია თვითკმარი ღირებულებების (რელიგიური, ეთნოური, ესთეტიკური და სხვა) უპირობო რწმენაზე. ამ დროს აქტორი რაციონალურად იღწვის ღირებულების რეალიზაციისათვის. თუმცა, სოციალური მოქმედების ეს ტიპი შეფარდებითად რაციონალურია, რამდენადაც იგი მხედველობაში არ იღებს მოქმედების მეორეხარისხოვან შედეგებს. ღირებულებით-რაციონალური მოქმედება ანტიუტილიტარისტულია - ინდივიდი მოქმედებს ღირებულებების და არა პრაქტიკული საჭიროებების შესაბამისად. 3-4. აფექტური და ტრადიციული მოქმედებები, რომლებიც, მკაცრი აზრით, არც წარმოადგენს სოციალურს, რამდენადაც იმყოფებიან გასაზრისიანებული მოქმედებების ზღვარზე და ხშირად ზღვარს მიღმაც. აფექტური მოქმედება განისაზღვრება როგორც ინდივიდის ემოციური მდგრმარეობით განპირობებული, ხოლო ტრადიციული მოქმედება წარმოადგენს ხანგრძლივ ჩვევაზე დაფუძნებულ ქცევას. აფექტური და ტრადიციული მოქმედებები არარაციონალური სუბიექტური საზრისის მქონეა, თუმცა, არააუცილებლად - ირაციონალური მნიშვნელობის მქონეც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი უსაზრისო მოქმედებებად იქცევიან, შესაბამისად, კარგავე “სოციალურობის” სტატუსს.

სოციალური მოქმედების ოთხივე ტიპი “იდეალური ტიპებია”. ისინი წმინდა სახით რეალობაში არ არსებობს, არამედ წარმოადგენს თეორიულ კონსტრუქციებს, რომელიც გამოიყენება შემეცნებითი (ანალიტიკური) მიზნებისათვის. კერძოდ, მათ საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს რეალური მოქმედებების ანალიზი იდეალურ ტიპებთან მათი შესაბამისობის ან მათგან გადახრის ხარისხის განსაზღვრით.

სოციალურ ურთიერთობას ვებერი განსაზღვრავს, როგორც რამდენიმე აქტორის მოქმედებათა ურთიერთორიენტაციას, ამ მოქმედებებში ნაგულისხმევი სუბიექტური მნიშვნელობებიდან გამომდინარე. სოციალური ურთიერთობა არსებობს მაშინ, როდესაც მასში მონაწილე თითოეული წევრი მხედველობაში იღებს სხვათა ქცევას. სოციოლოგიას სოციალურ ურთიერთობათა ემპირიულად მრავლეროვანი შინაარსის შესწავლა უნდა აინტერესებდეს და არა მისი ნორმატიულად “სწორი”, ანდა მეტაფიზიკურად “ჰეშმარიტი” მნიშვნელობის კვლევა.

<sup>74</sup> ამის შესახებ უფრო დეტალურად იხ. მე-3 თავის §5-ში.

სოციალური ურთიერთობა “ობიექტურად ცალმხრივია” მაშინ, როდესაც მოქმედებათა ურთიერთორიენტაცია, ამავე დროს, არ წარმოადგენს ურთიერთგაგებას, ანუ არ მიიღწევა საზრისო ერთგაროვნება. პირიქით, მაშინ, როცა ურთიერთორიენტაციის პროცესში პარტნიორთა განწყობები და მოლოდინები თანხვდება, ასეთი ურთიერთობა “ობიექტურად ორმხრივის” წარმოადგენს. “ობიექტურად ცალმხრივი” ურთიერთობის დროს არსებობოს სუბიექტური მოლოდინი იმისა, რომ განწყობა, რომელიც დამახასიათებელია ერთი მხარისათვის, დამახასიათებელი იქნება მისი პარტნიორისთვისაც. სოციალური ურთიერთობა არ შედგება, თუ არ არსებობს ასეთი სუბიექტური მოლოდინიც კი.

სოციალური ურთიერთობის შინაარსი, თუ იგი დროში ხანგრძლივი აღმოჩნდა, ყალიბდება სუპრა-ინდივიდუალურ ნორმებად, რომელთა დაცვასაც ყველაზე მეტად მოელიან, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, მოითხოვება კიდეც, ანუ სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, როდესაც სოციალური ურთიერთობა ჩვევაში გადაიზრდება, საქმე გვაქვს ზეგჩვეულებასთან. ადათი ისეთი ზნე-ჩვეულებაა, რომელიც მოქმედებათა გაცილებით ხანგრძლივ განმეორებადობას მოიცავს და, ამასთან, განპირობებულია საერთო ინტერესებით (“ინტერესთა კონსტრუქცია”). როგორც ზეგჩვეულებები, ისე ადათები, ვებერის თანახმად, არ არიან “მნიშვნელადი” სოციალური ურთიერთობები. ეს ნიშნავს, რომ ისინი არავისაგან “მოითხოვენ” მათ დაცვას და შეიცავენ ნორმებს, რომლებიც სრულდება ვალდებულების შეგრძნების გარეშე. მათგან განსხვავებით, ლეგიტიმური წესრიგი ისეთ მაქსიმებზე ორიენტირებულ სოციალურ ურთიერთობას წარმოადგენს, რომელთა დაცვა სავალდებულოა. ეს ნიშნავს, რომ ლეგიტიმური წესრიგი “მნიშვნელადია” - იგი ძალაშია მაშინაც კი, როდესაც მას არღვევენ. ამ ტიპის წესრიგის დაცვაზე მონიტორინგს უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სისტემა, რომელსაც ინდივიდზე ზემოქმედების განსხვავებული ინსტიტუციური ბერკეტები აქვს.

### 1.3. რაციონალობის კონცეფცია

“რაციონალობის” ქვეშ ვებერი გულისხმობს იმ ფენომენს, როდესაც სოციალურ მოდვაწეობაში აქტორები გამიზნულად ეძიებენ ყველაზე ეფექტურ საშუალებებს მიზნების მისაღწევად, ცდილობენ მიაღწიონ მათი მოდვაწეობის შედეგების მაქსიმალურ წინასწარმეტყველებას. სასურველი მიზნების მისაღწევად ყველაზე ეფექტური საშუალებების კალკულაცია გულგრილია თავად ამ მიზნების საბოლოო ეთიკური მნიშვნელობების მიმართ. ვებერის მიხედვით, მოდერნულობის ყველაზე არსებითი ნიშანი სწორედ რაციონალობაში მდგომარეობს. სოციალური ცხოვრების განსხვავებული სფეროები (პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, სამართალი, ხელოვნება, თვით ეროტკული ცხოვრებაც კი) განიცდის სისტემატურ რაციონალიზაციას. მიზნის მისაღწევი ინსტრუმენტების ტექნიკური ეფექტურობა, მოგებისკენ სწრაფვა და ადმინისტრირება თანდათან იკავებს რელიგიის, მითის და მეტაფიზიკის (ან მეტაფიზიკური მორალის) ადგილს თანამედროვე სამყაროში. მეცნიერება, პოლიტიკა და ეკონომიკა კონფლიქტშია რელიგიისთან, ხოლო ეროტიკული ცხოვრება – მორალთან. სოციალური ცხოვრების ყველა სფერო იწყებს ავტონომიურ განვითარებას და საკუთარი ვალიდურობის დადასტურებას.

რაციონალობას, ვებგრის მიხედვით, სხვადასხვა დონეები და ფორმები აქვს. პირველ ყოვლისა, საჭიროა გამოიკვეთოს განსხვავება ობიექტურ და სუბიექტურ რაციონალობას შორის. სუბიექტური რაციონალობა ეხება აქტორთა მენტალურ პროცესებს, რომლებიც ჩართულია მოქმედების გაგებაში. იგი მხედველობაში იღებს განზრახულ (ცნობიერ) მოქმედებებს და ორიენტირებულია საშუალებებზე, რომლებიც სუბიექტის მიერ კორექტულად ჩაითვლება მოცემული მიზნისათვის. რაც შეეხება ობიექტურ რაციონალობას, იგი ორიენტირდება სუპრა-ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ ნორმებზე და მათ შესაბამის მოქმედებებზე, რომლებიც სოციალური ლეგიტიმური წესრიგის წყაროს წარმოადგენს.

მენტალურ პროცესებს ორი კონტექსტი აქვს: ლოგიკურ-მათემატიკური გაგება და ემპათიკური გაგება. პირველი სუბიექტური რაციონალობის პრედიკატს წარმოადგენს, ხოლო მეორე - სუბიექტური ორარაციონალობის. აღნიშნულ კონტექსტებსა და სოციალური მოქმედების ფორმებს შორის არსებობს კორელაცია: მიზან-რაციონალური და დირექტულებით-რაციონალური მოქმედებები სუბიექტური რაციონალობის კორელაციურია, ხოლო, ტრადიციული და ავექტური მოქმედებები - სუბიექტური ორარაციონალობის.

ვებგრი განიხილავს ობიექტურ რაციონალობის ოთხ ფორმას:

ა) კონცეპტუალური (თეორიული, ინტელექტუალური) რაციონალობა. მის ქვეშ ვებგრი გულისხმობს ნებისმიერ აბსტრაქტულ კოგნიტურ პროცესს, რომელიც რეალობის მართვას ახორციელებს აბსტრაქტული ცნებების აგების გზით (და არა უშუალოდ მოქმედებაზე ზეწოლით). იგი წარმოადგენს კოგნიტურ კონფრონტაციას ადამიანის რეალურ გამოცდილებასთან ისეთი აზროვნებითი პროცესების მეშვეობით, როგორიცაა ლოგიკური დედუქცია და ინდუქცია, მიზეზობრიობის მიწერა, სიმბოლური მნიშვნელობების ფორმაცია და სხვ.

ბ) ინსტრუმენტალური (პრაქტიკული) რაციონალობა. ეს ტიპი ადამიანის მოღვაწეობას (აცტივიტე) განიხილავს წმინდა პრაგმატულ და ეგოისტურ ინტერესებთან მიმართებაში. იგი წარმოადგენს მოცემული პრაქტიკული მიზნის მეთოდურ განხორციელებას ადეკვატური - ტექნიკურად ეფექტური და ოპერატიული - საშუალებების გამოყენებით. ინსტრუმენტალურ რაციონალობას აინტერესებს მოქმედების მოდელები, განხილული არა თვითკმარ დირექტულებათა სისტემის, არამედ უტილიტარული პოზიციებიდან.

გ) სუბსტანციური (თვითმყოფადი) რაციონალობა. იგი დაკავშირებულია შეფასებით სტანდარტებთან. რაციონალობის ეს ფორმა აყალიბებს გალილურ წესებს და კრიტერიუმებს, რომლებიც მოიცავს ეთიკურ იმპერატივებს (იდეალებს), შეფასების ესთეტიკურ კრიტერიუმებს, სამართლებრივ და პოლიტიკურ მაქსიმებს და ა.შ. მათ საფუძველზე შეირჩევა, გაიზომება და შეფასდება ემპირიულ მოვლენათა ერთობლიობა. სუბსტანციური რაციონალობის მიერ მოქმედების დაქვემდებარება განსაზღვრული ეტალონებისადმი არ წარმოადგენს უბრალოდ მიზან-საშუალებათა გამოთვლას რიგითი რუტინული პრობლემების გადასაჭრელად, არამედ - რეალობის მართვას “დირექტულებით პოსტულაციათან” მიმართებაში, რომელიც მოიცავს სიდრმით, შინაგანი სიმტკიცით და შინაარსით განსხვავებულ დირექტულებათა ნაკრებს.

დ) ფორმალური რაციონალობა. ეს ტიპი აყალიბებს აბსტრაქტულ პროცედურებს (წესებს) ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რათა მინიმუმადე დაიყვანოს პიროვნული კავშირების და საზოგადოებრივი თვალსაზრისების გავლენა და მაქსიმალურად გაზარდოს ქმედებების გათვლის შესაძლებლობა. იგი სოციალურ

მოქმედებებს და ურთიერთობებს აქცევს კალკულირებადი წესრიგის ფარგლებში. ფორმალურ რაციონალობას არა აქვს “ინტერცივილური” ხასიათი, იგი იფარგლება მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი ცხოვრების სფეროებით და ძალაუფლების სტრუქტურებით. მართალია, ფორმალური რაციონალობა, პრაქტიკული რაციონალობის მსგავსად, ორიენტირდება კალკულირებად მოქმედებაზე, მაგრამ თუ პრაქტიკული რაციონალობა ყოველთვის ამოდის პრაგმატული კერძო ინტერესებიდან, ფორმალური რაციონალობა მიზან-საშუალებათა რაციონალურ გამოთვლას ახდენს უნივერსალურად გამოყენებადი წესების, კანონების თუ ნორმების საფუძველზე. ასეთი გამოთვლის შესაბამისად გადაწყვეტილებები მიიღება “პიროვნებების მხედველობაში მიღების გარეშე”<sup>75</sup>. მოქმედების ორიენტაცია ფორმალურ წესებზე და კანონებზე უარყოფს ნებისმიერ თვითნებობას, რამდენადაც საერთოდ არ ითვალისწინებს ინდივიდის პერსონალურ თვისებებს. ვებერი ფორმალური რაციონალობის გამოკვეთილ ინდიკატორად ბიუროკრატიულ ძალაუფლებას მიიჩნევს.

ობიექტური რაციონალობის ოთხივე ფორმას გააჩნია თავისი კორელაცი სუბიექტური რაციონალობის ფორმებს შორის. კერძო, ლოგიკურ-მათემატიკური გაგება შეესაბამება კონცეპტუალურ რაციონალობას; მიზან-რაციონალური ორიენტაცია თანხმობაშია ინსტრუმენტალურ რაციონალობასთან; ლირებულებით-რაციონალური ორიენტაციის დუბლიკატია სუბსტანციური რაციონალობა; მიუხედავად იმისა, რომ ვებერი არ იძლევა ტერმინს იმ სუბიექტური ორიენტაციის აღსანიშნად, რომელიც ფორმალური ორიენტაციის პარალელური იქნება, იგი ხშირად აღწერს აქტორთა მენტალურ ტენდენციას, რომ მარეგულირებელი ნორმების შეთვისებით დაიცვან აბსტრაქტული და უპიროვნო წესრიგი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ობიექტური რაციონალობის ინსტრუმენტალური, სუბსტანციური და ფორმალური ტიპები უშუალო, ხოლო კონცეპტუალური ტიპი - გაშუალებულ შეხებაშია სოციალურ მოქმედებასთან. კერძო, ა) ინსტრუმენტალური რაციონალობა უზრუნველყოფს მოქმედების ნორმების ტექნიკურ ეფექტურობას. იგი წარმოადგენს მიზან-რაციონალური მოქმედების განსახორციელებლად ადამიანთა უნარების მანიფესტაციას. ბ) სუბსტანციური რაციონალობა უზრუნველყოფს მოქმედებათა მოტივაციურ ერთიანობას, ცდილობს რა დაუქვემდებაროს მოქმედება განსაზღვრულ “თვითკმარ” ლირებულებებს. გ) ფორმალური რაციონალობა ახდენს მოქმედების დაგეგმვას და მათი მომავალი მსვლელობის გათვლას. დ) კონცეპტუალურ რაციონალობა, რომელიც წარმოადგენს სიმბოლური სისტემების, და არა სოციალური მოქმედების, პრედიკატს, რეალობას მართავს აზროვნების მეშვეობით. ამ ფორმას არა უშუალო, მაგრამ ირიბი შეხება აქვს მოქმედებასთან: რეალობასთან თეორიულ კონფრონტაციას შეუძლია შექმნას მოქმედების ახალი რეალიაციები, არაპირდაპირ შემოიტანოს მოქმედების ეტალონები. მაშასადამე, კონცეპტუალური რაციონალობა უზრუნველყოფს თეორიულ საფუძველს წმინდა ადაპტაციური პრაქტიკული რაციონალობისათვის.

<sup>75</sup> Weber, M. (1968): *Economy and society: An Outline of Interpretive Sociology*, eds. G. Roth and C. Wittich. New York: Bedminster; pp. 225, 244.

## 1.4. იდეალური ტიპები

ტერმინი “იდეალური ტიპი” სოციოლოგიაში (საერთოდ, სოციალურ მეცნიერებებში) შემოტანილია მაქს ვებერის მიერ. ვებერს აინტერესებს, თუ რა ზომით გამოიყენებს სოციალური, ანუ, როგორც თავად უწოდებს, კულტურის შემსწავლელი მეცნიერებები ზოგად ცნებებს? ვებერი უარყოფს თვალსაზრისს, რომ სოციალური (კულტურული) ფენომენები ყოველთვის ისტორიულია, ანუ ისინი თავიანთ მნიშვნელობას იძენენ იმის მიხედვით, თუ სად, როდის და როგორ წარმოშვნენ. ვებერის აზრით, ყველა მეცნიერული დისკურსი მეტნაკლებად ზოგად ცნებებს მოიხმარს, ხოლო ის, რაც ამ თვალსაზრისით კულტურის მეცნიერებებს განასხვავებს ბუნების მეცნიერებებისაგან ისაა, რომ სოციალურ მენიერებებში გამოიყენება იდეალურ-ტიპური ცნებები, ანუ, იდეალური ტიპები. იდეალური ტიპები კონცეპტუალური, თეორიული კონსტრუქციებია, რომლებიც გამიზნულად არის შექმნილი სოციალურ მეცნიერთა მიერ, რათა სისტემური გზით მოხდეს სოციალურ სამყაროში დაკვირვებადი ფენომენების კატეგორიზება, ანალიზი და შედარება. იდეალური ტიპი არ არის რეალობისგან მოწყვეტილი, იგი აგებულია რეალურ ცხოვრებაში დაკვირვებადი ქცევებისა და ურთიერთობების განსაზღვრული მახასიათებლებისაგან. ეს მახასიათებლები აღწერს მოქმედების ლოგიკურად არაწინააღმდეგობრივ, “წმინდა” (რაციონალურ ან ემოციურ) შინაარსს და აბსტრაგირებას ახდენს ირაციონალური (უსაზრისო) მოტივებისაგან. აი, რას წერს ვებერი:

“იდეალური ტიპი ფორმირდება ერთი ან მეტი თვალსაზრისის ტენდეციური აქცენტირების შედეგად, იმ უამრავი დიფუზური, დისკრეტული, მეტ-ნაკლებად სახეზე მყოფი და შემთხვევით გამჭრალი კონკრეტული ინდივიდუალური ფენომენის სინთეზის შედეგად, რომელიც მოწესრიგებულია იმ ტენდეციურად გამოკვეთილი თვალსაზრისების შესაბამისად ერთ ანალიტიკურ კონსტრუქციაში... თავისი კონცეპტუალური სიწმინდის გამო, ეს მენტალური კონსტრუქცია... არ შეიძლება სადმე რეალობაში ემპირიულად იქნეს მოძიებული”.<sup>76</sup>

ასე იქმნება მოქმედების თეორიული, “წმინდა” მოდელები, როგორც იდეალური კონსტრუქციები, რომლებიც ერთგვარად “ედება”, ფარავს რეალობას, ხოლო რეალური მოქმედებები ბოლომდე ვერასოდეს ამოწურავს მათ. იდეალური ტიპი განსაზღვრული სპეციალური სტანდარტია, რომელთან მიმართებაშიც არსებული ფენომენები ან შესაბამისობაშია ან გადახრილია. მაშასადამე, იდეალური ტიპები მხოლოდ ანალიტიკური იარაღებია, რათა გატარდეს განსხვავებები და შედარებები დაკვირვებად ფენომენებს შორის. ისინი გამოიყენება კერძო შემთხვევების ინტერპრეტაციისათვის, როგორც შესადარებელი კონსტრუქციები. იდეალურ ტიპებთან შედარების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს რეალური მოქმედების იდეალურისაგან გადახრის (დეკოაციის) ზომა.

ვებერს მოჰყავს ასეთი მაგალითი: სამხედრო ბრძოლის იდეალური ტიპი მხედველობაში იღებს ამ ბრძოლასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად კომპონენტს: მოწინააღმდეგეთა ძალებს და სტრატეგიას, მათი დაძლევის საშუალებებს, რესურსებს და დამხმარე ძალებს, ძალაუფლების ცენტრებს და ლიდერობის თვისებებს. რეალური ბრძოლა, როგორც წესი, არ ითვალისწინებს ყველა ამ ელემენტს. მაგრამ, ამის დადგენა და გაანალიზება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ცნობილია სამხედრო ბრძოლის იდეალურ-ტიპური

<sup>76</sup> Weber, Max (1949): *The Methodology of the Social Sciences*, Edward Shils and Henry Finch (eds.) New York: Free Press; p. 90.

მახასიათებლები. სწორედ მათთან შედარების საფუძველზე დგინდება რეალური ბრძოლის ნაკლოვანების (გადახრის) ზომა.

ერთ-ერთი იდეალური ტიპი, აგრეთვე, არის ბიუროკრატია. მისი ნიშნებია:

- შრომის განაწილება, რომელიც განპირობებულია გარკვეული წესებითა და კანონებით;
- ძალაუფლების იერარქიული სტრუქტურა;
- საჯარო ოფისი (კანცელარია ან ბიურო), სადაც ინახება წერილობითი დოკუმენტები დაწესებულების საქმიანობის შესახებ;
- შტატის თანამშრომლები;
- წესები, რომლებიც ახდენს მუშაობის რეჟიმის რეგულირებას;
- თანამდებობის პირთა მომზადების ოფიციალური პროცედურა;
- ორგანიზაციის მიმართ თითოეული მუშაკის ლოიალურობა, ანუ მისწრაფება იმისაკენ, რომ დაცულ იქნებს წესები.

ბიუროკრატიის ეს ნიშნები გამოიყენება იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კითხვას: რამდენად აქმაყოფილებს ესა თუ ის რეალური ორგანიზაცია ბიუროკრატიულობის მოთხოვნებს?

ისეთი ცნებები, როგორიცაა “ეკონომიკური გაცვლა”, “კაპიტალიზმი”, “ეკლესია”, “სექტა”, “ქრისტიანობა” და მრავალი სხვა, სოციალურ-თეორიული კონსტრუქციებია, რომლებიც რეალობის შესამეცნებლად გამოიყენება. იდეალურ ტიპებს მიეკუთვნება, აგრეთვე, სოციალური მოქმედების ის ტიპი, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი.

ვებერი კატეგორიულად გვაფრთხილებს, რომ იდეალური ტიპის მიზანი არ არის შექმნას სრულყოფილი (აბსოლუტური) ნიმუში. “იდეალური” არ ნიშნავს “ნორმატულად სასურველს”, ისინი მხოლოდ ანალიზის იარაღებია და არასოდეს არა აქვთ პრეტენზია იყვნენ მართლაც “იდეალური”, ფუნდამენტურად მოსაწონი კონსტრუქციები. მათი გამოიყენება მიზნად არ ისახავს ადამიანური ქცევის კანონების და კიდევ უფრო ნაკლებად, ისტორიული განვითარების კანონების დადგენას.

## 1.5. რელიგიის სოციოლოგია (პროტესტანტული ეთიკისა და კაპიტალიზმის კავშირი)

ვებერის რელიგიის სოციოლოგიის არსებითი ნაწილია მისი ფუნდამენტური შრომა “პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული”, რომელიც პირველად გამოიცა 1904-05 წლებში, ხოლო მეორედ (უფრო შევსებული გამოცემა) – 1920 წელს.

ვებერი რელიგიას მიიჩნევს სოციალური ტრანსფორმაციების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან “აგენტად”. რელიგიას აქვს უნარი, რომ მოახდინოს სოციალურ დანაწესთა სტაბილიზაცია, შეინახოს სოციალურ ჯგუფთა იდენტურობა, მოახდინოს იმ კონტექსტების სტრუქტურირება, რომლებშიც განსხვავებული ჯგუფები ერთმანეთს ედავებიან. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, განსხვავებული რელიგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს განსხვავებული კულტურებისა და ცივილიზაციების ჩამოყალიბებასა და შენახვაში, ისევე როგორც მათ ტრანსფორმაციაში.

“პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული” ეხება კონკრეტულად ერთი რელიგიის – კალვინიზმის<sup>77</sup> – მიერ განპირობებულ სოციალურ ცვლილებებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვებერი რელიგიას არ განიხილავს როგორც

<sup>77</sup> კალვინიზმი რელიგიური მოძრაობაა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა შვეიცარიულმა-ფრანგმა პროტესტანტმა თეოლოგმა ჯონ კალვინმა (1509-64). მარტინ ლუთერის შემდეგ, იგი მნიშვნელობით მეორე ფიგურაა ევროპის პროტესტანტულ რეფორმაციაში.

სოციალური ცვლილებების მაპროვოცირებელ ერთადერთ გადამწყვეტ ფაქტორს. რელიგიური ფაქტორები ყოველთვის კავშირშია სხვა კულტურულ და სოციალურ ფაქტორებთან (პოლიტიკურ ძალაუფლებასთან, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ცვლილებებთან და სხვ.).

რას ამტკიცებს ვებერი თავის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ნაშრომში? თანამედროვე მკვლევრები მიუთითებენ ამ ნაშრომის ხუთ ძირითად თეზისზე<sup>78</sup>:

1. ვებერს სურს აჩვენოს, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის (რომელიც მე-17 საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს ევროპაში) ჩამოყალიბება განაპირობა არა მხოლოდ მატერიალურმა და ინსტიტუციურმა პირობებმა, რომელთა არსებობაზეც მარქსი მიუთითებდა, არამედ იდეოლოგიურმა ფაქტორებმა, რასაც ვებერი “კაპიტალიზმის სულს” უწოდებს.<sup>79</sup> კაპიტალიზმის “სულმა” ისტორიულად სპეციფიკური გზა გაიარა და გამოხატავს ინდივიდთა სურვილს, რომ კომერციული ოპერაციების მეშვეობით (რომლებიც ლეგალურად ხორციელდება ბაზარზე) მიიღონ მოგება. ეს სული უზრუნველყოფს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ვალდებულებას ინდივიდებისათვის და აძლევს მათ მოტივაციას, რომ ცხოვრებისეულ პროექტებს მიუძღვნან არა მარტო მათ ხელთ არსებული კაპიტალი და ტექნიკური ცოდნა და უნარები, არამედ, აგრეთვე, უპირველეს ყოვლისა, მათი მუშაობის უნარი, პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობა, მათი სურვილი, რომ მოახდინონ წინა მოგებიანი ოპერაციების შედეგების ინვესტირება მომდევნო ოპერაციებში, გამოამჟღავნონ ინოვაციებისადმი დიაობა დაქირავებულ მუშაკთა შრომის ორგანიზებაში, განავითარონ ახალი პროდუქტები და ახალი სერვისები, მოიძიონ ახალი მომხმარებლები და ახალი ბაზრები. ვებერის აზრით, ყველაფერი ეს არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც უბრალოდ მატერიალური წარმატების მოპოვების ეგოისტური სურვილი. ეს გარკვეული ეთიკა, ანუ მორალური მდგომარეობაა ეკონომიკური წარმატების მისაღწევად. ეს მდგომარეობა შეიძლება აღინიშნოს “ასკეტიზმის” ცნებით, რომელიც აღნიშნავს თვითშეზღუდვის (თვითკონტროლის), ადამიანურ სიამოვნებებზე უარის თქმის და კომფორტისგან დისტანციების უნარს.

2. ერთი შეხედვით ჩანს, რომ “კაპიტალიზმის სული” ტოტალურად არარელიგიურ ხედვას გამოხატავს. ტრადიციული ქრისტიანობა (ისევე როგორც სხვა რელიგიები) ეკონომიკური წარმატებისკენ და მოგებისკენ სწრაფვას უთუოდ მონათლავდა როგორც მორალურად საეჭვოს. თუმცა, ვებერი ფიქრობს, რომ კაპიტალიზმის სული ვერ განვითარებოდა რელიგიური ლეგიტიმაციის გარეშე. კაპიტალისტების პირველ თაობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მოეპოვებინა მორალური დადასტურება, თუ მათ საქმიანობას რელიგიური გამართლება ექნებოდა. მაგრამ ასეთი გარანტია შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ქრისტიანობის ახლებური გაგება, რომელიც მოიტანა პროტესტანტულმა რეფორმაციამ. მას საფუძველი გერმანელმა მდგდელმა, მარტინ ლუთერმა ჩაუყარა მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში.

პროტესტანტულ რელიგიურობასა და ადრეული კაპიტალიზმის განვითარებას შორის კავშირი იმ თვალსაზრისით, რომ პროტესტანტიზმი იზიარებს “შრომის

<sup>78</sup> Poggi, Gianfranco (2005): ‘Classical Social Theory, III: Max Weber and Georg Simmel’, in: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; pp. 67-9.

<sup>79</sup> Вебер, М. (1990): Протестантская Этика и Дух Капитализма, в книге: М. Вебер, *Избранные Произведения*. Москва, Прогресс; стр.70-71.

ეთიკას”, ვებერამდეც იყო აღიარებული მეცნიერთა მიერ. დია რჩებოდა ერთი საკითხი: პროტესტანტიზმის კონკრეტულად რომელმა ფორმამ ითამაშა გადამწყვეტი როლი “კაპიტალიზმის სულის” ჩამოყალიბებაში? ამ კითხვას სწორედ ვებერმა უპასუხა, როდესაც საფუძვლიანი მეცნიერული არგუმენტაციის საფუძველზე აჩვენა, რომ რეფორმული ქრისტიანობის განსხვავებულ ფორმებს შორის მხოლოდ ერთმა, კერძოდ, კალვინიზმია (ან პურიტანიზმი) უზრუნველყო კაპიტალიზმისთვის რელიგიური მტკიცებულების შექმნა.

3. კალვინიზმის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იყო “ბედისწერის”, “წინასწარ განსაზღვრულობის” (predestination) თეოლოგიური დოქტრინა, რომლის მიხედვითაც დმერთმა ყველა ადამიანს, და არა მხოლოდ მორწმუნებებს, უბოძაცხოვრების შემდგომი მარადიული ხსნა (ცხონება). არცერთ, თუნდაც ყველაზე დრმად მორწმუნებს არ შეუძლია ამ განსაზღვრულობის შეცვლა. ეს დოქტრინა მორწმუნების აღძრავს შფოთვის (წუხილის) მწვავე განცდას, რომელიც არ შეიძლება გადაილახოს საკრამენტული აქტების, კარგი ქცევების ან ეკლესიისადმი შეწირულობების საშუალებით. კალვინიზმი უარყოფს მსგავსი აქტების ლეგიტიმურობას, რადგან მათ უყურებს როგორც მაგიური პრაქტიკების ანალოგიურს და, ამდენად, ცრუს. თუმცა, შფოთვამ შეიძლება გამოსავალი პპოვოს ასკეტიზმის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმაში, როდესაც მორწმუნები მთელ თავის ენერგიას ახმარენ თავიანთი საქმიანობის, “სელობის” (*Beruf*)<sup>80</sup> რაციონალურ, მოწესრიგებულ პრაქტიკას, როგორც დვოის წყალობისადმი მათი მადლიერების გამოხატულებას.

4. მართალია, კალვინისტური დოქტრინა ექსპლიციტურად არ მოუწოდებს მორწმუნებს კაპიტალისტური წარმოებისკენ, მაგრამ, ვებერის აზრით, ცხოვრებისა და მოქმედების ის წესი, რომელსაც კალვინიზმი აღიარებს, მორალურ ღირსებას და ღირებულებას ანიჭებს ამ ტიპის წარმოებას. ის ლეგიტიმაციას ანიჭებს მოგებისაკენ მუდმივ სწრაფვას. ასეთი პროტესტანტული ეთოსი, ვებერის აზრით, განხორციელდა მე-18 საუკუნის ამრიკელი სახელმწიფო მოღვაწისა და ბიზნესმენის ბენჯამინ ფრანკლინის<sup>81</sup> ცხოვრებაში.

5. კალვინისტურ რელიგიურობასა და კაპიტალისტურ მეწარმეობას შორის განუზრახველმა შინაგანმა კავშირმა (ანუ, “ბუნებრივმა მსგავსებამ”, როგორც მას ვებერი უწოდებს) პარადოქსული შედეგები მოიტანა. ბიზნესის გზით მოგებაზე ორიენტირებამ დაიწყო მისი ადრეული რელიგიური გარანტიისაგან დაშორება: ის გახდა თვითგმარი და თვითლეგიტიმირებადი, თავდაპირველ რელიგიურ მნიშვნელობასა და შინაარსს მოწყვეტილი. კაპიტალისტური სისტემის გამარჯვებამ თავად “კაპიტალიზმის სული” დააკნინა, რამდენადაც, ვებერის მტკიცებით, სისტემა ინდივიდებს (როგორც მეწარმეებს, ისე დაქირავებულ მუშებს) ავალდებულებს შეასრულონ მათი პროფესიული საქმიანობა ყოველგვარი ეთიკური და მეტაფიზიკური საზრისის გარეშე. თუ ადრე პურიტანის სურვილი იყო, რომ ყოფილიყო პროფესიული მოწოდების მატარებელი, დღეს ასეთი რამ უკვე იძულებად იქცა ყველასთვის. ასკეტიზმი გასცდა პურიტანების წრეს და გახდა თანამედროვე ეკონომიკური წესრიგის უნივერსალური პრინციპი.

<sup>80</sup> სელობის, საქმიანობის ადეკვატური გერმანული გამოთქმა – *Beruf* – შემოტალი იქნა მარტინ ლუთერის მიერ ბიბლიის მისეულ თარგმანში.

<sup>81</sup> ბენჯამინ ფრანკლინ (1706-90) – ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, ამერიკის ელჩი საფრანგეთში, მონაწილეობდა 1776 წლის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემუშავებაში; მისდევდა პურიტანულ მორალს, მას ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა “დრო ფულია”.

## §2. ჰარფინკელის ეთნომეთოდოლოგია

ბიოგრაფიული ცნობები:

ჰარფინკელი (Harold Garfinkel) დაიბადა აშშ ნიუ-ჯერსის შტატის ქ. ნიუარქში (Newark) 1917 წლის 29 ოქტომბერს, ებრაულ ოჯახში. მისი მამა ბიზნემენი იყო, რომელსაც სურდა მისი ვაჟი ბიზნესის გზას გაჟოლოდა. ჰარფინკელი ბიზნესის კურსებიც კი აიღო ნიუარკის უნივერსიტეტში. თუმცა, მისი ნამდვილი აკადემიური კარიერა დაიწყო 1935 წელს, როდესაც გარფინკელი ნიუარკის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ეს ფაკულტეტი მან 1939 წელს დაამთავრა და ზაფხული კვაკერების შრომით ბანაკში გაატარა ჯორჯის შტატის სოფლებში. სწორედ აქ შეიტყო მან, რომ ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტს ჰქონდა პროგრამა სოციოლოგიაში, რომელიც ორიენტირებული იყო ისეთივე საჯარო პროექტების განხორციელებაზე, რომელშიც თავად იღებდა მონაწილეობას. სწორედ ამ უნივერსიტეტში იღებს გარფინკელი სამაგისტრო ხარისხს სოციოლოგიაში 1942 წელს. მეორე მსოფლიო ომში ამერიკის ჯარში სამსახურის გავლის შემდეგ, გარფინკელი 1946-52 წლებში სწავლას აგრძელებს ჰარგარდის უნივერსიტეტის სოციალურ ურთიერთობათა ფაკულტეტზე, სადაც მისი ხელმძღვანელი იყო ტალკოტ პარსონსი. სადოქტორო ხარისხს გარფინკელი იცავს ჰარგარდის უნივერსიტეტში 1952 წელს. ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში იგი სამხედრო საქმეს სწავლობს ოპაიოს შტატის უნივერსიტეტში. 1954 წლიდან გარფინკელი აკადემიურ საქმიანობას უბრუნდება კალიფორნიის უნივერსიტეტში (ლოს-ანჯელესი), სადაც ის მუშაობას იწყებს პროფესორის ასისტენტად. ამ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა იგი 1987 წლამდე, პენსიაში გასვლამდე. ამჟამად გარფინკელი ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის სოციოლოგიის საპატიო ("ემერიტუს") პროფესორია.

ჰარფინკელის ძირითადი შრომები:

- ეთნომეთოდოლოგიური გამოკვლევები (*Studies in Ethnomethodology*) – 1967 წ.
- ეთნომეთოდოლოგიის პროგრამა: დიურკემის აფორიზმის დამუშავება (*Ethnomethodology's program: Working out Durkheim's aphorism*) – 2002 წ.

### 2.1. რას სწავლობს ეთნომეთოდოლოგია?

ტერმინი "ეთნომეთოდოლოგია" შემოიტანა გარფინკელმა (იგი მომდინარეობს ბერძნულიდან და აღნიშნავს "ჩვეულებრივი ადამიანების მეთოდოლოგიას"). ეთნომეთოდოლოგია ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ ამყარებენ ინდივიდები კომუნიკაციას ყოველდღიური ინტერაქციის პროცესში. სოციალური ინტერაქციის თავისებურებების შესწავლა საერთოა აქტორზე ორიენტირებული მიკროსოციოლოგიური თეორიებისათვის. ის, რაც გარფინკელის თეორიას სხვათაგან გამოარჩევს, მისი, თუ შეიძლება ითქვას, "მინიმალიზმი" და "პროცეკციულობაა": ეთნომეთოდოლოგია აქცენტს სვამს სოციალური ინტერაქციის "შიშველ" ემპირიულ კონტექსტზე, სიტუაციურობაზე, და, ამასთან (იქნებ, პირველ რიგშიც) – სიტუაციის კველაზე შეუმჩნეველ, დაფარულ მხარეებზე. აი, რას წერს ეთნომეთოდოლოგიის ერთ-ერთი ოანამედროვე მკვლევარი:

"გარფინკელმა... თავისი ანალიზი განვითარა სამი მთავარი მიმართულებით: პირველი, მან შედარებით დეტალურად განიხილა ის სააზროვნო პროცესები, რომელთა საშუალებითაც ადამიანები გარკვეული სახით განსაზღვრავს სიტუაციებს. მეორე... მან მოახდინა სოციალური წესრიგის პრობლემის და მისი შენარჩუნების შესახებ პარსონსის მიერ დასმული საკითხის ხელახალი ფორმულირება ყოველდღიური ინტერაქციის კონტექსტის თვალსაზრისით. თუ პარსონსს ომისა და მშვიდობის პირობები მთელი საზოგადოების დონეზე აღელვებდა... გარფინკელი დაინტერესებული იყო წესრიგის შენარჩუნებით მიკროკოსმოსურ ინტერაქციებში. მესამე, გარფინკელმა გააცნობიერა, რომ იმპლიციტური წესები, რომლებიც მართავს სოციალურ ინტერაქციას, შესაძლოა იდენტიფიცირდეს სიტუაციების (რომლებშიც

ისინი ერთვებიან) შესწავლის საშუალებით, და რომ მას და მის სტუდენტებს შეუძლიათ ამ წესების განზრახ გამოწვევა მათი კატეგორიზაციისათვის".<sup>82</sup>

მაშასადამე, გარფინკელს აინტერესებს იმ წესების (მეთოდების) ანალიზი, რომლებსაც ადამიანები იმპლიციტურად იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარი ქმედებების განსახორციელებლად და მათვის მნიშვნელობების მისაცემად. ეთნომეთოდების გამოყენებით დგება კონტექსტში შემდგარი ინტერაქციების შესახებ "რეფლექსური ანგარიშები" ('reflexive accounts'). ეს უკანასკნელი აღწერს ყოველდღიურ პრაქტიკებს და ცდილობს იმის გამორკვევას, თუ როგორაა სოციალური პრაქტიკები რეფლექსურად დამოკიდებული იმ კონტექსტზე, რომელიც იქმნება აქტორთა პირის შეხვედრების დროს. აგრეთვე, კონტექსტის რა ახალი ფრაგმენტები ყალიბდება ამ შეხვედრების ნებისმიერი ცვლილებისას. მაშასადამე, რეფლექსური ანგარიში ცდილობს "მოიხელოს" ყოველდღიური, ბანალური პრაქტიკა. აი, რას წერს გარფინკელი "ეთნომეთოდოლოგიურ გამოკვლევებში":

"ეთნომეთოდოლოგის ცენტრალური რეკომენდაცია ისაა, რომ ქმედებები, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდები ქმნიან და აწესრიგებენ ორგანიზებულ ყოველდღიურ მოვლენებს, იდენტურია იმ პროცედურებისა, როდესაც ინდივიდები ამ გარემოს ხდიან "მოხელთებადს" ("აღწერადს")".<sup>83</sup>

ეთნომეთოდოლოგია ძირითადად დაკავებულია ყოველდღიური პრაქტიკების იმ ნაწილის ანალიზით, რასაც საუბარი შეადგენს, ანუ, "საუბრის ანალიზით" ('conversation analysis'). ამ ტიპის პრაქტიკისთვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებები:

1. საუბრისას ყოველთვის გამოიყენება ისეთი გამოთქმები, როგორიცაა "და ა.შ.", "იმ შემთხვევაში, თუ...", "არაუშავს", "ახლა", "აქ", "მე", "შენ" და სხვ. ამ ტიპის გამოთქმებს გარფინკელი "ინდუქსურ გამონათქვამებს"<sup>84</sup> უწოდებს. მათ მნიშვნელობა ეძლევა მხოლოდ მოცემულ (დრო-სივრცულ) კონტექსტში.
2. საუბრის რაციონალური ხასიათი იმით გამოირჩევა, რომ მთხოვთ და მსმენელი ერთმანეთს ერგება, მათ შორის არსებობს კოგნიტური თანხმობა. სწორედ ამიტომაა, რომ იქნება, რაც ინდივიდებს შორის "ითქმება", ბევრი რამ კონკრეტულად, ანუ სიტყვებით (ვერბალურად) არ აღინიშნება.
3. საუბრის შინაარსი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სიტუაციაზე, კონტექსტზე. ეთნომეთოდოლოგია იკვლევს სოციალურ ფაქტებს როგორც ინდივიდუალური სიტუაციის შედეგს, რომელშიც ჩართულია ინტერპერსონალური კომუნიკაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უფრო კონკრეტდება ეთნომეთოდოლოგიის მთავარი ამოცანა. გარფინკელი წერს:

"მე ვიყენებ ტერმინს "ეთნომეთოდოლოგია", რათა შევეხო ინდუქსური გამონათქვამებისა და სხვა პრაქტიკული ქმედებების, როგორც ყოველდღიური ცხოვრების მუდმივად განახლებადი პროცესის, რაციონალური თვისებების კვლევას".<sup>85</sup>

მაშასადამე, გარფინკელი ნდობას უცხადებს იმ პრაქტიკას, რომელიც ენის საზრისზეა აგებული და მეღავნდება კომუნიკაციაში. თუმცა, იგი ენას არ

<sup>82</sup> Outhwaite, William (2005): Interpretivism and Interactionism. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 117-8.

<sup>83</sup> Garfinkel, Harold (1967): *Studies in Ethnomethodology*. Englewood Cliffs, NJ: Prentice- Hall, 1967; p.1.

<sup>84</sup> ტერმინი "ინდუქსური გამონათქვამები" გარფინკელმა ლინგვისტებისაგან აიღო.

<sup>85</sup> Garfinkel, Harold (1967): *Studies in Ethnomethodology*. Englewood Cliffs, NJ: Prentice- Hall, 1967; p.11.

უყურებს როგორც ისეთ ფენომენს, რომელსაც აქვს ყველასთვის თანაზიარი, მუდმივი მნიშვნელობა (საზრისი). გარფინკელი ამტკიცებდა, რომ თავად ენობრივი სიტყვები კი არ წარმოადგენს კომუნიკაციის საფუძველს, არამედ ის ინტერაქციები, რომლებშიც ეს სიტყვები სიტუაციურად გამოიყენება. გარფინკელი ინდივიდების მიერ სიტყვების გამოყენებას ხსნიდა როგორც საშუალებას იმისათვის, რათა მოხდეს ადამიანური კომუნიკაციის მიერ შექმნილი სოციალური პრობლემების ნათელყოფა, ან მათი კორექტირება. რაც მთავარია, ადამიანური კომუნიკაციის საზრისი, გარფინკელის აზრით, არის არა ის, რაც ითქმება, არამედ – რაც არ ითქმება. გარფინკელისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რაც რჩება საუბრის მიღმა, ანუ ის, თუ როგორ ურთიერთობენ მოსაუბრე და მსმენელი არავერბალურად, ვიდრე რეალური, ვერბალიზებული სიტყვები. იქამდე, სანამ დისკურსის კონტაქტის გამოყენები თავიდან ბოლომდე ექსპანსიონებულია ვერბალური ენის მიერ, ჰეშმარიტი კომუნიკაცია არც შეიძლება არსებობდეს. კომუნიკაციის მონაწილეები იყენებენ წინა ინტერაქციების გამოცდილებას. წინა საუბრებში მანამდე შეთანხმებული მოვლენები გაგების ეტალონებად იქცევა. პირისპირ შეხვედრების თითოეული მონაწილე შეიარაღებულია მანამდელი კომუნიკაციის ამ ეტალონებით. ისინი უზრუნველყოფს კომუნიკაციის კონტაქტის (ნიუანსებს), რომლებიც ყოველთვის არ ვერბალიზდება საუბრის მონაწილეების მიერ. მაშასადამე, კომუნიკაციები ქმნის გამოცდილებას, რომელიც ბრუნდება (მონაწილეობს) მომავალ კომუნიკაციებში. რაც უფრო დიდია გამოცდილება, მით უფრო ადვილად მიიღწევა გაგება კომუნიკაციის პროცესში.

## 2.2. ინდექსური გამონათქვამები და სიტუაციის “რეფლექსური ანგარიშები”

როგორ ხორციელდება ყოველდღიური პრაქტიკების აღწერა, ანუ როგორ დგება მათ შესახებ “რეფლექსური ანგარიშები”?

უკვე ითქვა, რომ ეთნომეთოდოლოგიის თანახმად, საუბარი, როგორც კომუნიკაციური პრაქტიკა, ყოველთვის გამოიყენებს ეწ. “ინდექსურ გამონათქვამებს”. მათ ქვეშ მოიაზრება საუბრისას გამოყენებული აფორიზმები, ნაწილობრივ ფორმულირებული რჩევები, ნაწილობრივი აღწერები, არაპირდაპირი გამონათქვამები, სიტუაციური შენიშვნები, ალეგორიები და ა.შ. ეთნომეთოდოლოგიის ამოცანაა ასეთი გამონათქვამების რაციონალური თვისებების კვლევა. გარფინკელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინდექსური გამონათქვამების თავისებურებებს და კომუნიკაციის პროცესისათვის მათ მნიშვნელოვნებას.

როგორც გარფინკელი აღნიშნავს, “ინდექსური გამონათქვამების” ქვეშ ლოგიკოსები გულისხმობენ გარკვეულ ლინგვისტურ სიმბოლოებს, რომელთა შინაარსის გამოაშკარავება მხოლოდ გარკვეულ ამბავთან კავშირშია შესაძლებელი. გარფინკელი მიუთითებს, მაგალითად, ჰუსერლზე<sup>86</sup> იგი საუბრობს გამონათქვამებზე, რომელთა საზრისი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გამოთქმის გამომყენებლის ბიოგრაფიისა და მიზნების, გამოთქმის გარემოებების, წინა მსჯელობის მიმდინარეობის ან გამომთქმელსა და მსმენელს შორის ინტერაქციის კონკრეტული თავისებურებების ცოდნის (გათვალისწინების)

<sup>86</sup> ედმუნდ ჰუსერლი (1859-1938) – გერმანელი ებრაელი ფილოსოფოსი, ფენომენოლოგიური ფილოსოფიის ფუძემდებელი. დიდი გავლენა მოახდინა სოციალურ თეორიაში ინტერპრეტაციული მიღვომის მოაზროვნებზე, განსაკუთრებით, ალფრედ შიუტცზე. სახელი გაითქვა ფსიქოლოგიზმის კრიტიკით ლოგიკში.

გარეშე. მაშასადამე, ინდექსური გამონათქვამები ეხება გარკვეულ ადამიანს, დროს, ადგილს, ანუ გარკვეულ სოციალურ კონტექსტს (სიტუაციას). პრაქტიკული სოციოლოგიური აზროვნების თავისებურება ისაა, რომ იგი ცდილობს გაუმჯობესოს ინდივიდების ლაპარაკისა და ქცევის ინდექსური მახასიათებლები.

საუბრის ეთნომეთოდოლოგიური (ე.ი. მეცნიერული) ანალიზი მოითხოვს, რომ მოხდეს ინდექსური გამონათქვამების ჩანაცვლება ობიექტური გამონათქვამებით. სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ ინდექსური გამონათქვამები “ითარგმნოს” სხვადასხვა სიტუაციისათვის პომოგენური, ტიპური, ინტერსუბიექტური, რაციონალური მახასიათებლების “ენაზე”. რა ქმნის ასეთი ჩანაცვლების საფუძველს და, შესაბამისად, მათ შესახებ რეფლექსური ანგარიშების შედგენის შესაძლებლობას? გარფინკელი პრინციპულად იზიარებს თეზისს, რომ სოციალური ინტერაქციების კონტექსტებში, ყოველდღიური ცხოვრების ეველაზე ჩვეულებრივ საქმიანობებში არსებობს კოგნიტური წესრიგი. ყოველდღიური პრაქტიკები სოციალურად ორგანიზებულ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, ინდექსური გამონათქვამების რაციონალობა ინარჩუნებს რუტინული პრაქტიკის ხასიათს. ამ წესრიგს აქტორები თავისთავად ნაგულისხმეულ მიიჩნევენ და ლატენტურად ახორციელებენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ ამ გზაზე რაიმე წინააღმდეგობა ან დაბრკოლება იქმნება, ინდივიდებს ეუფლებათ ფრუსტრაცია. გარფინკელის მთავარი ინტერესი მიმართულია წესრიგის აგების არა ფსიქიკურ, არამედ სოციალურ პროცედურებზე. წესრიგის “აღმოჩენის” (ექსპლიკაციის) ეს პროცედურები გულისხმობს სწორედ ინდექსური გამონათქვამების (მათი შემცველი წინააღმდებების) ჩანაცვლებას ობიექტური გამონათქვამებით.

თუმცა, ჩანაცვლების პროცედურა არ არის იოლად განსახორციელებელი. არსებულმა დუბლიკატებმა შეიძლება ვერ მოახდინოს ამა თუ იმ დისკურსში მოცემული ინდექსური გამონათქვამების ადეკვატური თარგმნა. ამიტომ დუბლიკატების სია შეიძლება განუსაზღვრელად გაფართოვდეს. გარფინკელი აყალიბებს ინდექსური გამონათქვამების გამოყენების თავისებურებებს:

- მიუხედავად იმისა, რომ ინდექსური გამონათქვამები ფართოდ გამოყენებადია, ისინი მოუხერხებელია ფორმალური დისკურსისათვის;
- განსხვავება ობიექტურ გამონათქვამებსა და ინდექსურ გამონათქვამებს შორის არა მხოლოდ პროცედურულად არის კორექტული, არამედ მას თავიდან ვერ აიცილებს ვერავინ, ვინც მეცნიერებითად დაკავებული;
- ობიექტურ და ინდექსურ გამონათქვამებს შორის განსხვავების და ობიექტური გამონათქვამების უპირატესი გამოყენების გარეშე უაზროა გენერალიზების, სიმკაცრის, მეცნიერული კალევის მიღწევა – ამის გარეშე ლოგიკაში, მათემატიკასა და ზოგიერთ ფიზიკურ მეცნიერებაში ყოველგვარი მონაპოვარი მარცხს განიცდიდა, ხოლო არაზუსტი მეცნიერებების მიმართ ნდობა გაქრებოდა;
- ზუსტი მეცნიერებები არაზუსტი მეცნიერებებისაგან იმით განირჩევა, რომ ზუსტი მეცნიერებების შემთხვევაში ინდექსური გამონათქვამების ჩანაცვლება ობიექტური გამონათქვამებით რეალურ ამოცანას წარმოადგენს პრობლემის ფორმულირებისათვის, მეთოდებისათვის, კვლევა-ძიებისათვის, ადეკვატური დასაბუთებისათვის და სხვ., მაშინ როდესაც არაზუსტი მეცნიერებების შემთხვევაში ამგვარი ჩანაცვლებადობა ბოლომდე არარეალიზებად პროგრამად რჩება;

- განსხვავება ობიექტურ და ინდექსურ გამონათქვამებს შორის აღწერს განსხვავებას მეცნიერებასა და ხელოვნებას (მაგალითად, ბიოქიმიასა და დოკუმენტურ კინოს) შორის.

ამრიგად, ობიექტური გამონათქვამები ახდენს პრაქტიკის “შეუმჩნეველი”, “თავისთავად ნაგულისხმევი” წესრიგის დემონსტრირებას. ცხადია, შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ობიექტური გამონათქვამები, რამდენადაც ისინი სიტუაციის პომოგენური მახასიათებლებია, შორდება კონტექსტს და კარგავს სიტუაციურ ბუნებას. ობიექტური გამონათქვამები აღწერს კონცეპტუალიზაციის იმ დონეს, რასაც გარფინკელი *ad hoc* კონცეპტებს<sup>87</sup> უწოდებს და რასაც სხვანაირად “სიტუაციური ცნებები” შეიძლება ეწოდოს. თუ ცნების კლასიკური განსაზღვრება გულისხმობს მოვლენის არსებით ნიშანთა გადმოცემას, რომლებიც ემპირიული კონტექსტისაგან დამოუკიდებელი და ზედროულია, *ad hoc* კონცეპტების შემოტანით ეთნომეთოდოლოგია ცდილობს, რომ ცნებების ურყევი და ზედროული შინაარსი აქციოს ლოკალურად პირობით კონსტრუქციებად, რომლებიც ყოველთვის ექვემდებარება ცვლილებას: ცნება, რომელიც რაღაც მომენტში ინტერაქციის დროს სერიოზული მსჯელობის მნიშვნელობას ატარებს, სხვა კონტექსტში შეიძლება გამოიხატოს როგორც ირონიული ან არასერიოზული. მაშასადამე, ნებისმიერი ცნება, შეხედულება სოციალურად კონსტრუირებულია.

გარფინკელი აცხადებს, რომ, ჩვეულებრივ, მკვლევრები *ad hoc* პროცედურებს განიხილავენ როგორც ანალიზის არასრულყოფილ გზას. პრევალირებს თვალსაზრისი, რომ კვალიფიციურმა მკვლევარმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ან სულაც გამორიცხოს ისეთი ვითარებები, რომლებშიც ასეთი კონცეპტები იქნებოდა გამოყენებული. გარფინკელის თანახმად, “თუ *ad hoc* მახასიათებლების გამოყენებას შეცდომად ჩავთვლით, ეს ძალიან წააგავს იმ საყვედურს, რომ თუ შენობის კედლები იქნა გამოცლილი, ადამიანი უკეთესად შეძლებს იმის დანახვას, თუ რას ეყრდნობა სახურავი”.<sup>88</sup> თუ მკვლევარს განზრახული აქვს რეალური სიტუაციების რეფლექსური გაანალიზება, მაშინ ის გვერდს ვერ აუვლის *ad hoc* კონცეპტების გამოყენებას. მხოლოდ ისინია რელევანტური სიტუაციის მეცნიერული “მოხელთებისათვის”.

იმისათვის, რათა *ad hoc* კონცეპტების საშუალებით კოგნიტური წესრიგის გამომჟღავნება ნათელყოს, გარფინკელს თავის ძირითად წიგნში (“ეთნომეთოდოლოგიური გამოკვლევები”) მოჰყავს მაგალითი რეალური პრაქტიკიდან:<sup>89</sup> სტუდენტებს მიეცათ დავალება, რომ გადმოეცათ ცოლსა და ქმარს შორის საუბარი ისე, რომ ფურცლის მარცხენა მხარეს დაეწერათ ის, რაც საუბრის მონაწილეებმა რეალურად (ექსპლიციტურად) თქვეს, ხოლო, მარჯვენა მხარეს – რაც სტუდენტებმა “ამოიკითხეს” ამ საუბრის გამოუმჯდავნებელი კონტექსტიდან (ანუ, დაეწერათ სიტუაციის რეფლექსური ანგარიში). ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი ვარიანტი:

<sup>87</sup> *ad hoc* – ლათინური გამოთქმა, რომელიც აღნიშნავს “ამ კონკრეტული შემთხვევისათვის”, “იმპროვიზირებული (ამ წერილი) მიზნისათვის”.

<sup>88</sup> Garfinkel, Harold (1967): *Studies in Ethnomethodology*. Englewood Cliffs, NJ: Prentice- Hall; p. 22

<sup>89</sup> Garfinkel, Harold (1967): *Studies in Ethnomethodology*. Englewood Cliffs, NJ: Prentice- Hal; p. 26.

ქმარი:	დანამ წარმატებით შეძლო ჩაეგდო ფული მანქანის “პარკინგის” დროის გამზომში ისე, რომ არ დასჭირდა ხელში აყვანა.		დღეს, შუადღით, როდესაც ჩვენი ოთხი წლის ვაჟი, დანა, სახლში საბავშვო ბადიდან მომყავდა, მანქანა გავაჩერე “პარკინგის” ზონაში, სადაც დანამ წარმატებით შეძლო ხელი მიეწვდინა საკმაო სიმაღლეზე, რათა მანქანის “პარკინგის” დროის გამზომში ფული ჩაეგდო. მანამდე მას უოველოვის სჭირდებოდა ხელში აყვანა, რათა ხელი ამ სიმაღლემდე მიეწვდინა.
ცოდი:	იგი ფირფიტების მაღაზიაში წაიყვანე?		რადგანაც მან ფული ჩააგდო გამზომში, ეს ნიშანები, რომ როდესაც მანქანა დააყენე, ის შენთან იმყოფებოდა. მე ვიცი, რომ შენ მანქანა ფირფიტების მაღაზიასთან გააჩერე. ეს შეგეძლო გაგეეთებინა ან მაშინ, როდესაც მის წამოსაყვანად მიღიოდი, ან – უკანა გზაზე. მოხდა თუ არა ეს უკანა გზაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ის შენთან იმყოფებოდა, თუ შენ ფირფიტების მაღაზიასთან მანქანა მასთან მიმავალ გზაზე გააჩერე და შემდეგ სადაც სხვაგან, როდესაც უკან ბრუნდებოდა?
ქმარი:	არა – ფეხსაცმლის შეაეთების მაღაზიაში.		მე მანქანა ფირფიტების მაღაზიასთან მის წამოსაყვანად მიმავალ გზაზე გავაჩერე, ხოლო ფეხსაცმელების შეკეთების მაღაზიასთან – უკანა, სახლისკენ მომავალ გზაზე, როდესაც ის ჩემთან ერთად იყო.
ცოდი:	რისთვის?		მე ვიცი ერთი მიზეზი, რის გამოც შენ შეიძლებოდა მანქანა ფეხსაცმელების შეკეთების მაღაზიასთან გაგეჩერებინა. რატომ გააჩერე სინამდვილეში?
ქმარი:	მე ვიყიდე რამდენიმე ახალი ფეხსაცმლის ზონარი ჩემი ფეხსაცმელებისთვის.		როგორც გახსოვს, მე გამიწყდა ზონარი ჩემს ყავისფერ ინგლისურ ფეხსაცმელებზე. მანქანა იმიტომ გავაჩერე, რათა მეყიდა ფეხსაცმლის ახალი ზონარები.
ცოდი:	შენს უოველდღიურ ფეხსაცმელებს ძალიან სჭირდება ახალი ქუსლები.		კიდევ სხვა რაღაცა შეგეძლო გეყიდა, რაზეც მეც ვფიქრობდი. შენ შეგეძლო იქ შენი შავი უოველდღიური ფეხსაცმელები წაგედო, რომლებსაც ძალიან სჭირდება ქუსლების გამოცვლა. შენთვის უკეთესია, თუ მათზე მაღალ იზრუნება.

ცოლსა და ქმარს შორის რეალური საუბარი (ცხრილის მარცხენა მხარე) მიმდინარეობს კონტექსტში, რომელიც იმპლიციტურად მოიცავს მათ შორის შეთანხმებას. სწორედ ეს განაპირობებს, რომ არც ერთი მათგანი არ საჭიროებს ამომწურავ ინფორმაციას (ყველაფრის გაშიფრას) და იოლად აღწევენ ურთიერთგაბებას, მიუხედავად იმისა, რომ იუნებენ ინდექსურ გამონათქვამებს.

ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ სტუდენტებს ძალიან გაუჭირდათ სიტუაციის რეალექსური ანგარიშის შედგენა. რაში მდგომარეობდა ეს სირთულე? სტუდენტებს, პირველ რიგში, ერთმანეთისაგან უნდა განეხსვავებინათ ის, რაც კერძალურად გამოითქვა, იმისაგან, რის შესახებაც იყო საუბარი. ის, რაც ინდივიდებმა თქვეს, უნდა განხილულიყო როგორც არაზუსტი, ფრაგმენტული, შენიდბული და ირიბი ვერსია იმისა, რის შესახებაც ინდივიდებმა ისაუბრეს.

მაშასადამე, სტუდენტებს ყურადღება უნდა მიექციათ რადაც სხვაზე – გამოუმედავნებელზე, რათა დაედგინათ საუბრის ეკვივალენტური შინაარსი. სტუდენტები ცდილობდნენ გამოეცნოთ, თუ “რა პქონდათ მხედველობაში” მოსაუბრებს, “რაზე ფიქრობდნენ” ისინი, “რისი სჯეროდათ” მათ, ან “რა პქონდათ განზრახული”. მათ თავად უნდა დაეჯერებინათ, რომ აღმოაჩინეს ის, რაც მოსაუბრებს რეალურად, და არა სავარაუდოდ, პქონდათ მხედველობაში. კიდევ მეტი: სხვასაც უნდა შეძლებოდა საუბრის ორ გადმოცემულ შინაარს შორის შესაბამისობის დანახვა. ამის მიღწევა გარფინკელს შესაძლებლდა მიაჩნია იმიტომ, რომ ზემოაღნიშნულ საუბარს გააჩნია ინტერსუბიუქტური სქემა. ეს ნიშნავს, რომ ცოლსა და ქმარს შორის საერთო გაგებას, რომელიც მიიღწევა ინტერპრეტაციული პროცესის “შინაგანი” დინებით, აუცილებლად აქვს ოპერაციონალური სტრუქტურა. ანალიტიკოსი იყენებს სწორედ ინტერაქციის ამ სტრუქტურის შესახებ სადი აზრის ცოდნას.

გარფინკელს მოჰყავს სხვა მაგალითი ამავე წიგნიდან:<sup>90</sup> სასამართლო აუალიბებს ფორმალურ მოთხოვნებს, რომელთა გათვალისწინებითაც მოსამართლეებმა უნდა ააგონ ამა თუ იმ კრიმინალური მოვლენის შესახებ არგუმენტირებული და ადეკვატური ანგარიში. თუმცა, მოსამართლეები აუცილებლად როდი მიყვებიან ფორმალურ წესებს. ისინი იყენებენ ახსნის, იმპროვიზირების საკუთარ მეთოდებს, ანუ მიმართავენ იმ პრაქტიკებს, რომელთაც ისინი იყენებენ არაოფიცილურ გარემოებებში (მაგ., საკუთარ სახლში). ასე იბადება სწორედ სიტუაციური, *ad hoc* განმარტებები, რომლებიც ეხმარება სასამართლოს ვერდიქტების გამოტანაში. ასეთი პრაქტიკა შეიძლება გენერალიზდეს ყველა სახის ინტერაქციასთან მიმართებაში, რამდენადაც სოციალური ინტერაქციები, როგორც ითქვა, ლატენტურად შეიცავს კოგნიტურ წესრიგს, რომლის დაფიქსირებაც შესაძლებელია. როდესაც კოგნიტური წესრიგი ირდვევა, შედეგად ვდებულობთ ანომიას.

ეთნომეთოდოლოგია, გარფინკელის თანახმად, ეხება სწორედ პრაქტიკული მოქმედებების შესწავლას იმ წესების (მეთოდების) შესაბამისად, რომლებიც უზრუნველყოფს ანალიტიკური ანგარიშების სიცხადეს, ლოგიკურობასა და კომპეტენტურობას. ამ წესების წყალობით, ინდექსური გამონათქვამები ხდება რაციონალური, ანუ აშკარად დემონსტრირდება. ინდექსური გამონათქვამების გამედავნებული რაციონალური თვისებები ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზებული საქმიანობების მუდმივი ნაწილია.

<sup>90</sup> Garfinkel, Harold (1967): *Studies in Ethnomethodology*. Englewood Cliffs, NJ: Prentice- Hall; chapter IV.

თავი V. სტრუქტურაზე/სისტემაზე ორიენტირებული სოციალური თეორიები  
(პარსონსის “სტრუქტურული ფუნციონალიზმი”, ლუანდის “სისტემების თეორია”)

## შესავალი

სოციალურ სტრუქტურაზე/სისტემაზე ორიენტირებული თეორიები ამოდის იმ მტკიცებიდან, რომ კოლექტიური სოციალური ფორმები (სტრუქტურები და სისტემები) განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას და მის თავისებურებებს, ზღუდავს აქტორის ავტონომიურობას და მის საზოგადოებაში არსებობას განსაზღვრულ მიმართულებას უძების. ასეთ თეორიებს სხვანაირად “მაკრო თეორიების” ან “სოციალური სისტემის სოციოლოგიის” სახელწოდების ქვეშ ათავსებენ.

უფრო კონკრეტულად, რა სოციალური ფენომენები იგულისხმება სტრუქტურაზე ორიენტირებული თეორიების კვლევის დიაპაზონში? ამ კითხვას ასე პასუხობენ თანამედროვე მკვლევრები: “სტრუქტურა ეხება სოციალური ცხოვრების რეგულარულ, შედარებით მყარ, ობიექტურ და გენერალიზებულ თვისებებს. როგორც წესი, სტრუქტურა მოიცავს სოციალურ ინსტიტუტებს, ან “სისტემებს”, “ძალებს” ან “ნაკადებს”... ამ აზრით, სტრუქტურა ეხება სოციალურ ფაქტებს, რომლებიც დამოუკიდებელია ინდივიდებისგან და შეუძლიათ განსაზღვრონ და შეზღუდონ ინდივიდის მოქმედება”.<sup>91</sup>

მაკრო თეორიების თანახმად, პიროვნული იდენტიფიკაცია და სოციალური ინტერაქციები დეტერმინირებულია სოციალური სისტემის მოთხოვნებით. ინდივიდები სოციალიზდებიან საზოგადოების ცენტრალურ დირებულებათა და ნორმათა სისტემაში, ასრულებენ ამ სისტემის შესაბამის სოციალურ როლებს შრომის განაწილებაში და იკავებენ სოციალურ პოზიციას, რომელიც გამომდინარეობს სოციალური სისტემის ფუნქციონალური საჭიროებებიდან. ამდენად, ინდივიდი ტოტალურად მანიპულირებადი აქტორია – “სუფთა დაფა” (*tabulae rasaes*), რომელზედაც თვითქმარი და თვითგანსაზღვრადი სოციალური სისტემა აღბეჭდავს დირებულებებს და ქცევით სტანდარტებს. ისინი ყოველთვის ინარჩუნებენ პრიორიტეტს მისი წევრების მიმართ. ამ საზღვრებში აქტორი სოციალური სისტემის, როგორც მანქანის, პასიური ნაწილია, ხოლო სოციალური მოქმედება არსებითად წარმოადგენს სოციალური სისტემის კროდუქტს.

სტრუქტურაზე ორიენტირებული თეორიების თავისებურებები ხაზს უსვამს მათ “ობიექტივისტურ” ხასიათს. აქ ის იგულისხმება, რომ სტრუქტურები არ რედუცირდება ინდივიდის ცნობიერებაზე ან მოქმედებაზე. ასეთ მიღგომას, როგორც ცნობილია, საფუძველი ემილ დიურკემმა ჩაუყარა, რომელმაც სოციალური ფაქტები განსაზღვრა “როგორც ნივთები”. აქ ორი რამ იგულისხმება: ა) სოციალური ფაქტები გარეგანია ინდივიდთან მიმართებაში და ბ) მათ მაიძულებელი ზემოქმედება აქვთ ინდივიდის მიმართ.<sup>92</sup> აი, რას წერს დიურკემი:

<sup>91</sup> King, Anthony (2005): Structure and Agency. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 215.

<sup>92</sup> დიურკემი ერთმანეთისაგან განსხვავებს მატერიალურ და არამატერიალურ სოციალურ ფაქტებს. ერთ-ერთი არამატერიალური სოციალური ფაქტია, მაგალითად, “კოლექტიური ცნობიერება”, რომელსაც დიურკემი განსაზღვრავს როგორც “ერთი და იგივე საზოგადოების საშუალო მოქალაქისათვის საერთო შესედულებებისა და ატიტუდების ერთობლიობის

“სოციალური ფაქტი არის ქმედებათა ყოველი წესი – მდგრადი ან არამდგრადი, რომელსაც ძალუბს მოახდინოს ინდივიდზე გავლენა გარე იძულების საშუალებით ან სხვაგვარად: რაც გავრცელებულია მოცემული საზოგადოების მთელ სივრცეზე და იმავდროულად გააჩნია საკუთარი, თავისივე ინდივიდუალური გამოვლინებისაგან დამოუკიდებელი არსებობა”.<sup>93</sup>

იმის თაობაზე, რომ მაკროთეორიულ მიდგომას ფესვები დიურკემის თეორიაში აქვს, კარგად წერს ჭ. რიტცერი: “ფოკუსირდება რა მაკრო დონის სოციალურ ფაქტებზე, ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც დიურკემის შრომაში ითამაშა ცენტრალური როლი სტრუქტურული ფუნქციონალიზმის განვითარებაში, რომელსაც მსგავსი მაკრო დონის ორიენტაცია აქვს... დიურკემი საზოგადოებას განიხილავდა როგორც “ორგანოებისაგან” (სოციალური ფაქტებისაგან), ან სოციალური სტრუქტურებისაგან შემდგარს, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ საზოგადოებაში.”<sup>94</sup>

მაკრო თეორიებს, როგორც წესი, განეკუთვნება: სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, კონფლიქტის თეორია, სტრუქტურალისტური მარქსიზმი, ლუმანის სისტემების თეორია და სხვ. ქვემოთ განხილული იქნება ორი ნიმუში: ტალკოტ პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმი და ნიკლას ლუმანის სისტემების თეორია.

დეტერმინაციულ სისტემას, რომელსაც თავისი საბუთარი არსებობა აქვს” (Durkheim, Emile (1964): *The Division of Labor in Society*. New York: Free Press; p. 79). არამატერიალურ სოციალურ ფაქტებს უნდა მივაკუთვნოთ, აგრეთვე, საზოგადოებაში მოქმედი დირებულებები და ნორმები, ან, უფრო ფართო აზრით, კულტურა (Ritzer, 2000).

<sup>93</sup> დიურკემი, ემილ (2001): *სოციოლოგიური მეთოდის წესები*. თბილისი, “იოანე პეტრიშვილი”; გვ. 47.

<sup>94</sup> Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 185.

## §1. ტალკოტ პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმი

ბიოგრაფიული ცნობები:

ტალკოტ პარსონსი (Talcott Parsons) დაიბადა 1902 წლის 13 დეკემბერს აშშ კოლორადოს შტატის ქალაქ კოლორადო-სერინსბში, ინტელექტუალურ და რელიგიურ ოჯახში. თავდაპირველად იგი ნიუ-იორკის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში (Horace Mann High School) სწავლობდა, რომლის დასრულების შემდეგ სწავლას ამჰერსტის კოლეჯში აგრძელებს. 1924 წელს პარსონსი ამთავრებს კოლეჯს ბიოლოგის სპეციალობით, თუმცა, მისი ინტერესები სოციოლოგიის მიმართ უკვე გამოკვეთილია. ამავე წელს პარსონსი ლონდონის უკონფიდენციალური სკოლის დოქტორანტურაში შედის და ორი დისციპლინის – სოციოლოგიისა და ეკონომიკის – პრობლემებზე მუშაობს. ლონდონში სწავლის დაწყებიდან მაღვევ პარსონსს სთავაზობენ ადგილს პაიდელბერგის უნივერსიტეტში (გერმანია), სადაც თავის დროზე მოდგაწეობდა მაქს ვებერი და სადაც ვებერის გავლენა კვლავ დიდი იყო. ამ გავლენას ვერც პარსონსი აცდა. პაიდელბერგის უნივერსიტეტში პარსონსი ასწავლის უკონფიდენციალური სოციოლოგიას და 1927 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას. ამავე წელს იგი ქორწინდება.

1931 წლიდან პარსონსი ხდება პარვარდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის წევრი და ეწევა პედაგოგიურ მოდგაწეობას. 1937 წელს იგი აქვევნებს თავის პირველ ფუნდამენტურ შრომას სოციალური მოქმედების სტრუქტურა, სადაც ავითარებს სოციალური მოქმედების სისტემურ თეორიას. მალე ის ხდება სოციოლოგიის სრული პროფესორი. მისი გავლენა სულ უფრო მატულობს. 1946 წელს პარსონსი პარვარდის უნივერსიტეტში, სოციოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე, აყალიბებს სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტს და მას სათავეში უდგება. 1949 წელს პარსონსი ამერიკის სოციოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტიც ხდება. 1951 წელს გამოდის მისი კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომი “სოციალური სისტემა”. პარსონსის ავტორიტეტი არნახულად იზრდება. ის ყველაზე გავლენიანი ფიგურა ხდება ამერიკულ სოციოლოგიაში 1950-იან წლებში და 60-იანი წლების დასაწყისში.

ტალკოტ პარსონსის ძირითადი შრომები:

- სოციალური მოქმედების სტრუქტურა (*The Structure of Social Action*) – 1937 წ.
- სოციალური სისტემა (*The Social System*) – 1951 წ.
- სტრუქტურა და პროცესი თანამედროვე საზოგადოებებში (*Structure and Process in Modern Societies*) – 1960წ.
- სოციოლოგიური თეორია და თანამედროვე საზოგადოება (*Sociological Theory and Modern Society*) – 1968წ.
- პოლიტიკა და სოციალური სტრუქტურა (*Politics and Social Structure*) – 1969 წ.

### 1.1. რას ამტკიცებს სტრუქტურული ფუნქციონალიზმი?

ფუნქციონალისტურ მიდგომას საფუძველი მე-XIX საუკუნეში ჩაეყარა ოგიუსტ კონტის (“სოციალური სტატიკა”) და, განსაკუთრებით, ჰერბერტ სპენსერის მიერ, რომელიც საზოგადოებას განიხილავდა ბიოლოგიურ ორგანიზმან ანალოგიით.<sup>95</sup> ფუნქციონალიზმზე დიდი გავლენა მოახდინა, აგრეთვე, დიურკემდა, რომელმაც კაუზალური ახსნის პარალელურად შემოიტანა “ფუნქციონალური ახსნის” იდეა. კაუზალური ახსნა, როგორც ცნობილია, გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, როდესაც ერთი მოვლენა წინ უსწრებს და აუცილებლობით იწვევს მეორეს. ფუნქციონალური ახსნა კი, დიურკემის თანახმად, გულისხმობს იმ ფუნქციების გამოვლენას,

<sup>95</sup> ამის თაობაზე უფრო უფრო დაწყებულებით იხ. მე-2 თავის §1 და §2-ებში.

რომელსაც მოვლენა ასრულებს.<sup>96</sup> მაშასადამე, ფუნქციონალიზმი ცდილობს სოციალური სტრუქტურების არსებობა ახსნას იმ ფუნქციების (როლების) მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ მთელი საზოგადოებისათვის. ფუნქციონალური ანალიზი ორიენტირებულია უფრო მეტად საზოგადოების, ვიდრე ინდივიდის დონეზე. საზოგადოება, ამ შემთხვევაში, განიხილება როგორც ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთმარეგულირებელ ნაწილთა სისტემა. შესაბამისად, ანალიზის ფოკუსს წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებული ნაწილების ურთიერთმიმართება და ის, თუ რატომაა თითოეული ნაწილის ფუნქციონირება აუცილებელი სისტემის (მთელის) სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. საზოგადოების შესწავლის იდეა მისი ნაწილების (სტრუქტურების) მიერ შესრულებული ფუნქციების მიხედვით, აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, სოციალური ანთროპოლოგიის ბრიტანულ სკოლაში (არტურ რადკლიფ-ბრაუნი, ბრონისლავ მალინოვსკი).

ა. რადკლიფ-ბრაუნი (Arthur Radcliffe-Brown) და ბ. მალინოვსკი (Bronislaw Malinowski), პრიმიტიული საზოგადოების ანალიზის საფუძველზე, ჩამოაყალიბეს ფუნქციონალიზმის სამი ძირითადი პოსტულატი: საზოგადოების ფუნქციონალური ერთიანობის; ბ) უნივერსალური ფუნქციონალიზმის და გ) აუცილებლობის. პირველი პოსტულატის თანახმად, სოციალური და კულტურული სტანდარტები ფუნქციონალურია მთელი საზოგადოების და მისი თითოეული წევრისათვის. საზოგადოებას გააჩნია ერთიანობის სპეციფიკური ფორმა, რასაც “ფუნქციონალური ერთიანობა” შეიძლება ეწოდოს. ესაა საზოგადოება, რომელიც არსებობს როგორც ერთიანი სისტემა, რომლის ნაწილები მეტ-ნაკლებად პარმონიულ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან, ანუ ურთიერთობისას არ ქმნიან ღრმა კონფლიქტებს, რომელთა დარეგულირება იყოს შეუძლებელი. მეორე (უნივერსალური ფუნქციონალიზმის) პოსტულატის თანახმად, სოციალური და კულტურული სტანდარტები მხოლოდ პოზიტიურ როლს ასრულებს საზოგადოების ფუნქციონირებაში, ანუ არ არსებობს კ.წ. “დისფუნქციური” მოვლენები, რომლებიც სოციალური კონფლიქტის, დეზორგანიზაციის, სოციალური დამაბულობის წყარო. მესამე (აუცილებლობის) პოსტულატის თანახმად, სოციალური და კულტურული სტანდარტები ჩაუნაცვლებელია, ანუ მათი (და მათ მიერ შესრულებული) ფუნქციების არსებობა აუცილებელია იმისათვის, რათა საზოგადოებამ იარსებოს. რობერტ მერტონი აპრილიკებს აღნიშნულ პოსტულატებს და ცდილობს ჩამოაყალიბოს ფუნქციონალიზმის პარადიგმა, რომელიც “იმუშავებს” თანამედროვე (მოდერნული) საზოგადოებებისათვის. ეს პარადიგმა ითვალისწინებს საზოგადოების ფუნქციონალურ ინტერპეტაციას დისფუნქციაების და ალტერნატიული სტრუქტურების (“ფუნქციონალური ეკვივალენტების”) აღიარების ფონზე.

1950-იან წლებში ძალზე პოპულარული ხდება ტალკოტ პარსონსის თეორია, რომელიც “სტრუქტურული ფუნქციონალიზმის” სახელითაა ცნობილი. პარსონსი ავითარებს “მოქმედების სისტემების” თეორიას, რომლის თანახმადაც, საზოგადოებისა და მისი ცალკეული ქვესისტემის ფუნქციონირება უნდა გაანალიზდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ასრულებენ ისინი განსაზღვრულ ფუნქციონალურ მოთხოვნებს. მოქმედების სისტემათა ანალიზისათვის პარსონსის შემოაქვს “ემერჯენტული თვისებების” ცნება. იგი აღნიშნავს სისტემის ნებისმიერ თვისებას, რომელიც არ შეიძლება მარტივად აიხსნას სისტემის წარმოშობის ან ცალკეული შემადგენელი ნაწილის მიხედვით, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მთელი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი. სხვანაირად, ემერჯენტული თვისებები მოქმედებათა კოორდინაციის პროდუქტია და არ დაიყვანება მხოლოდ ერთეული აქტის ანალიზის დონეზე. აი, რას წერს პარსონსი თავის პირველ ფუნქციენტურ შრომაში “სოციალური მოქმედების სტრუქტურა”:

<sup>96</sup> აი, რას წერს დიურკემი: “როდესაც საჭიროა სოციალური ფენომენის ახსნა, ჩვენ ცალ-ცალკე უნდა მოვიძოთ ეფექტური მიზეზი, რომელიც მას წარმოშობს და ფუნქცია, რომელსაც ის ასრულებს” (Durkheim, Emile (1982): *The Rules of Sociological Method*. London: Macmillan).

“მოქმედების სისტემებს გააჩნია თვისებები, რომლებიც წარმოიშობა მხოლოდ კომპლექსურობის გარკვეულ დონეზე, ერთეულ აქტთა ერთმანეთთან ურთიერთობაში. ეს თვისებები არ შეიძლება დანახულ იქნეს არც ერთ ცალკეულ ერთეულ აქტში, რომელიც განიხილება იმავე სისტემაში სხვა აქტებთან მისი ურთიერთობის გარეშე. ისინი არ შეიძლება მიღებულ იქნეს ერთეული აქტის თვისებების უშუალო გენერალიზაციის პროცესის გზით”.<sup>97</sup>

მაშასადამე, ემერჯენტული თვისებები “მოქმედების გენერალიზებული სისტემის” მახასიათებლებია, სისტემისა, რომლის ნაწილები, როგორც ითქვა, გარკვეულ ფუნქციონალურ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან და მათ არსებობას მხოლოდ იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც მთელის არსებობას ემსახურებიან. აქ, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, პარსონსი “მეთოდოლოგიური პოლიზმის” პოზიციაზე დგას, რომელიც უპირისპირდება “მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმს” როგორც მიკრო თეორიული ანალიზის ინსტრუმენტს.<sup>98</sup>

მოქმედების ანალიზის სისტემური დონე პარსონსის სოციოლოგიაში მოგვიანებით შემოდის. მანამდე მისი ინტერესი “ერთეული აქტის” და მისი ელემენტების ანალიზს უკავშირსება. აქ პარსონსი ავითარებს თვალსაზრისს, რასაც თავად “მოქმედების კოლუნტარისტულ თეორიას” უწოდებს.<sup>99</sup>

## 1.2. მოქმედების (კოლუნტარისტული) თეორია

როგორც ჯ. რიტცერი სამართლიანად წერს: “პარსონსის მოქმედების თეორიის გულში სამი ცნებაა მოთავსებული – ერთეული აქტი, კოლუნტარიზმი და verstehen”.<sup>100</sup> მათ შორის ძირითადი “ერთეული აქტის” ცნებაა.

“ერთეული აქტი”, პარსონსის თანახმად, შემდეგ ოთხ ელემენტს შეიცავს: ა) აგენტს (ანუ აქტორს); ბ) მიზანს, ანუ მოვლენათა მომავალ მდგომარეობას, რომელზეც ორიენტირდება მოქმედება; გ) სიტუაციას, რომელშიც სრულდება აქტი. ეს უკანასკნელი ორი ტიპის ელემენტებისაგან შედგება: მოქმედების “პირობებისაგან”, რომელთა გაკონტროლება და შეცვლა აქტორს არ შეუძლია და მოქმედების “საშუალებებისაგან”, რომელთა გაკონტროლების შესაძლებლობაც მას აქვს; დ) მოქმედების ნორმატული ორიენტაცია, რომელიც აქტორს განუსაზღვრავს მოცემულ სიტუაციაში მიზნის მისაღწევი ალტერნატიული საშუალებებიდან არჩევანს.

მაშასადამე, მიზნის მისაღწევ საშუალებათა არჩევანი არ არის ქაოგური. მას განსაზღვრულ მიმართულებას აძლევს ნორმა. ნორმა მოქმედების სისტემის ის ელემენტია, რომელიც მოქმედებას მიზნის განხორციელების მიმართ ადეკვატურად აქცევს. მოქმედების ორიენტაცია მიზანზე სუბიექტურია და განსხვავდება სიტუაციის აქტორისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური ელემენტებისაგან (სიტუაციის პირობებისაგან). ნორმა სწორედ სიტუაციის სუბიექტურ მსვლელობას უზრუნველყოფს, უმორჩილებს მას მიზნისკენ სწრაფვას. ის იმ მოქმედების სუბიექტურ ლეგიტიმაციას ახდენს, რომელიც მიზნის მიმართ რელევანტურია. სოციალური მოქმედება ყოველთვის გააზრებულ

<sup>97</sup> Parsons, Talcott (1937): *The Structure of Social Action: A Study in Social Theory with Special Reference to a Group of Recent European Writers*. New York: McGraw-Hill; p. 718.

<sup>98</sup> Holmwood, John (2005): Functionalism and its Critics. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 94.

<sup>99</sup> Парсонс, Талкот (2000): Структура Социального Действия. В книге: *О Структуре Социального Действия*, Москва, Академический Проект; стр. 58.

<sup>100</sup> Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 437.

უნდა იქნეს მოქმედების ორი განსხვავებული – ნორმატული და სიტუაციური (ანუ, სუბიექტური და ობიექტური) – ტიპის ელემენტებს შორის დაძაბულობის კონსტექსტში. მოქმედება, როგორც პროცესი, წარმოადგენს სიტუაციური ელემენტების ცვალებადობას ნორმებთან შესაბამისობით. ამ ორი ელემენტიდან რომელიმეს იგნორირებას მოქმედების თეორია უკიდურესობამდე მიჰყავს. კერძოდ, ნორმატული ასკექტის გამორიცხვას რადიკალურ პოზიტივისტურ პოზიციამდე მივყავართ. ამ პოზიციის თანახმად, აქტორი ობიექტური სიტუაციის პროდუქტია და მისი მოქმედება არის სიტუაციასთან მხოლოდ პასიური ადაპტაციის პროცესი. მეორე მხრივ, სიტუაციური ასკექტის ელიმინაციას იდეალისტურ პარადიგმამდე მივყავართ, რომლის თანახმად მოქმედება არის მხოლოდ პასიური ორიენტაცია წინასწარ მოცემულ საზრისხე, როგორც მისი ქმანაცია.

სწორედ ნორმატული (სუბიექტური) ორიენტაცია აქცევს აქტორის მოქმედებას კოლუმბტარისტულად. საჭიროა ხაზი გაესვას ერთ გარემოებას: კოლუმბტარისტული თვალსაზრისის ფარგლებში, ნორმა არ არის ინსტუტუციური (სოციალურად აღიარებული) რეგულაცია, რომელსაც დირექტულებითი საფუძველი აქვს (ანუ, ნორმა არ არის არც “სოციალური სისტემის” ნაწილი და არც სოციალური წესრიგის პირობა). ის საშუალებებს შორის წმინდა წყლის სუბიექტური არჩევანის გამოხატულებაა. პარსონსის თანახმად, ადამიანი “აქტიური, შემოქმედი, შემფასებელი არსება”. იგი მოქმედებს იმისათვის, რათა რეალობა შესაბამისობაში მოყვანოს თავის მიზნებთან, იდეალებთან. როგორც მიზნის, ისე საშუალებების შემთხვევაში აქტორს აქვს არჩევანის შესაძლებლობა. სწორედ ესაა მისი კოლუმბტარიზმის საფუძველი. არჩევანი ანტიდეტერმინიზმის გამოხატულებაა, რომელიც ხაზს უსვამს სოციალური მოქმედების დიაოდას. როგორც ითქვა, ადამიანის მოქმედების ასეთ გაგებას პარსონსი პოზიტივისტური და იდეალისტური ტრადიციების წინააღმდეგ მიმართავს, რომელიც ადამიანს “პასიურ, შემგუებელ, რეცეპტულ“ არსებად მიიჩნევს.

პარსონსი, აგრეთვე, ხაზს უსვამს იმას, რომ მოქმედება “სუბიექტურად რელევანტურია”. ეს ნიშნავს, რომ მოქმედება მიმდინარეობს ისე, როგორც ის აქტორს წარმოუდგენია, ანუ აქტორისათვის გასაგებად. სწორედ ესაა ის, რასაც პარსონსი აღნიშნავს ტერმინოთ *verstehen*. ამდენად, მოქმედების გაანალიზება შესაძლებელია სუბიექტური პერსპექტივიდან.

### 1.3. მოქმედების სისტემები

პარსონსი აფართოებს თავის თეორიულ ინტერესს ერთეული მოქმედებიდან სოციალური მოქმედების სისტემებამდე. ეს არის გადანაცვლება ინდივიდუალური აქტორის მოქმედებიდან სოციეტალური ინტეგრაციის დონეზე. პარსონსი ამტკიცებს, რომ თუ აქტორები გაყენებიან მხოლოდ მათ კერძო, დამოუკიდებელ მიზნებს, მაშინ თავიდან ვერ ავიცილებთ თ. პობსისეულ<sup>101</sup> “ომს ყველასი ყველას

<sup>101</sup> თომას პობსი (1588-1679) – მე-17 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანების “ბუნებრივი მდგომარეობა” ისაა, როდესაც ისინი მიუვებიან თავიანთ ეგოისტურ მიზნებს, რასაც მოხდევს “ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ”. პობსი მონარქის აპსოლუტური სუვერენიტეტის დამცველია, რომელიც დამდგრადაც მხოლოდ მას შეუძლია საყოველთაო კონფლიქტის თავიდან აცილება და წესრიგის დამყარება. პობსი ცნობილია თავისი წიგნით “ლეგიათანი” (1651), რომელიც მან ინგლისის 1640-50 წლების სამოქალაქო ომის კონტექსტში დაწერა.

წინაადგეგ”, ანუ დეზინტეგრირებულ საზოგადოებას. საზოგადოებას ყოველთვის შეუძლია და უნდა ფლობდეს ინტეგრაციის და, აქედან გამომდინარე, წესრიგის გარკვეულ ხარისხს. წესრიგი მხოლოდ მოქმედებათა კოორდინაციის გზითაა შესაძლებელი. სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ მოქმედება სისტემის სახით მოიაზრება, სისტემა კი წესრიგს გულისხმობს. პარსონსი გაარჩევს მოქმედების საერთო სისტემის სამ დონეს: პიროვნულს, სოციალურს და კულტურულს (მოგვიანებით იგი მეოთხესაც უმატებს “ბიპევიორული ორგანიზმის” სახით<sup>102</sup>). უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ეს რეალური სისტემები კი არა, მოქმედების სისტემური ანალიზის განსხვავებული დონეებია.

ა) პიროვნული სისტემა ცალკეული (ინდივიდუალური) აქტორის გარშემო ორგანიზებული მოქმედებაა. ამ სისტემაში მთავარი ინდივიდის “მოთხოვნილებითი დისპოზიციებია” ('need-dispositions'). ესაა სისტემა, რომელიც სამი ასპექტისაგან, ან ორიენტაციისაგან შედგება: ა) "დაკმაყოფილების" ასპექტი, რომელსაც პარსონსი "კატექტიკურ ორიენტაციას" უწოდებს. ეს ორიენტაცია ინდივიდის ობიექტთა სამყაროსთან ურთიერთობას იმის მიხედვით განსაზღვრავს, თუ რას იღებს იგი ამ ურთიერთობიდან და რად "უდირს" მას ეს ურთიერთობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, "დაკმაყოფილების ასპექტი "მე"-ს ურთიერთობას ობიექტთან ან ობიექტებთან განსაზღვრავს მისი პიროვნულობის დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობის ბალანსის შენარჩუნებით";<sup>103</sup> ბ) კოგნიტური ორიენტაცია (ანუ "შემეცნებითი სქემატიზაცია"), როდესაც ინდივიდები იმეცნებენ სოციალური ობიექტის თვისებებს და არკვევენ "რა არის ეს ობიექტი"; გ) შეფასებითი ასპექტი, როდესაც ინდივიდები აფასებენ და განსაზღვრავენ, ალტერნატივებს შორის რომელი მიმართულებით წარმართონ თავიანთი ენერგია, რათა მიაღწიონ მაქსიმალურ კმაყოფილებას ან ობიექტის ადგავატურ შემეცნებას.

ბ) სოციალური სისტემა ორი ან მეტი აქტორის ინტერაქციის გარშემო ორგანიზებულ მოქმედებას გულისხმობს. აი, რას წერს პარსონსი:

“სოციალური სისტემა მოიცავს ერთმანეთთან ინტერაქციაში მყოფ ინდივიდუალურ აქტორთა სიმრავლეს იმ სიტუაციაში, რომელიც ფლობს, სულ ცოტა, ფიზიკურ ანუ გარე სამყაროულ ასპექტს; აქტორებს, რომლებიც მოტივირებულნი არიან „დაკმაყოფილების ოპტიმიზაციის“ ტენდენციის თვალსაზრისით და რომელთა ურთიერთობა სიტუაციებთან, ერთმანეთთან ურთიერთობის ჩათვლით, განსაზღვრული და გაშუალებულია კულტურის მიერ სტრუქტურული და საზიარო სიმბოლოებით”.<sup>104</sup>

სოციალური სისტემის ერთეულს და ბირთვს სოციალური ხტატუსი და როლი წარმოადგენს. ისინი პიროვნების საზოგადოებაში ორიენტაციის მაორგანიზებელი მექანიზმებია. ხტატუსი სოციალურ სისტემაში არსებული სტრუქტურული პოზიციაა, ხოლო როლი – ამ პოზიციის ფარგლებში შესრულებული ფუნქცია. როდესაც ურთიერთქმედება “ეგო”-სა და “სხვებს” შორის იდენს მეტ-ნაკლებად მყარ, ორგანიზებულ ხასიათს, ყალიბდება როლებრივი მოლოდინები: ინდივიდი ელოდება, რომ სხვა მოქცევა განსაზღვრული წესით, მოქმედების ალტერნატივების დიაპაზონის ფარგლებში.

<sup>102</sup> “ბიპევიორული ორგანიზმი” როგორც მოქმედების ერთ-ერთი სისტემა პარსონსთან იმ ფუნქციას ასრულებს, რომ იგი “ენერგიის წყაროა ყველა დანარჩენი სისტემისათვის” (Ritzer, 2000). თუმცა, ამ სისტემის თავისებურებებს პარსონსი ნაკლებად აანალიზებს. სწორედ ამიტომაა, რომ პარსონსის თეორიის მკვლევრები, ხშირ შემთხვევაში, არც მიუთითებენ მის არსებობაზე.

<sup>103</sup> Парсонс, Талкот (1996): Система Координат Действия и Общая Теория Систем Действия. В книге: Американская Социологическая Мысль, Москва, МУБУ; стр. 465.

<sup>104</sup> Parsons, Talcott (1951): *The Social System*. New York: Free Press; pp. 5-6.

ინდივიდის მიერ სოციალურ როლთა ათვისების პროცესი არის სწორედ “სოციალიზაციის” არსი. პარსონსისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას აქვს, რომ სოციალური სტატუსები და როლები ის მექანიზმებია, რომელთა საშუალებითაც სოციალურ სისტემაში ხდება დირებულებითი სტანდარტების ინტეგრაცია, ანუ “ინსტიტუციონალიზაცია”. სოციალური სისტემა ინსტიტუციონალიზებულ დირებულებათა, ანუ ნორმათა სისტემაა. დირებულებები, თავის მხრივ, კულტურული სისტემის ნაწილია.

გ) კულტურული სისტემა ფორმირდება დირებულებების, ნორმების და სიმბოლოების ორგანიზაციის მეშვეობით. პარსონსის მიხედვით, კულტურულ სისტემას სამი ძირითადი თვისება აქვს:

“კულტურა გადაცემადაა, ის აყალიბებს მემკვიდრეობას, ანუ სოციალურ ტრადიციას; მეორე, ის დასწავლადაა, ანუ არ არის, კერძო აზრით, ადამიანის გენეტიკური სტრუქტურის გამოხატულება; და მესამე, ის საზოროა. კულტურა, ამგვარად, არის ადამიანის სოციალური ინტერაქციის სისტემების, ერთი მხრივ, პროდუქტი, ხოლო, მეორე მხრივ, მათი დეტერმინანტი”.<sup>105</sup>

კულტურული სისტემის ბირთვი დირებულებითი სტანდარტებია. როგორ განსაზღვრავს პარსონსი დირებულებას? იგი წერს:

“ღირებულება შეიძლება ეწოდოს საყოველთაო სიმბოლური სისტემის ელემენტს, რომელიც წარმოადგენს კრიტერიუმს ან სტანდარტს ორიენტაციის არსებულ ალტერნატივებს შორის არჩევანის გასაკეთებლად”.<sup>106</sup>

მაშასადამე, დირებულებების საფუძველზე აქტორი მოქმედების ალტერნატიული შესაძლებლობებიდან ახორციელებს შერჩევის აქტს. აქ აშკარა პარალელიზმი არსებობს “მოქმედების ვოლუნტარისტულ თეორიასთან”, როდესაც პარსონსი ერთეული აქტის სტრუქტურაში ნორმატულ ორიენტაციას აკისრებს მიზნის მისაღწევი ალტერნატიული საშუალებებიდან არჩევანის განსაზღვრას. თუმცა, მოქმედების სისტემების დონეზე დირებულებითი ორიენტაცია სხვა დატვირთვას იძენს. დირებულება არ არის სიტუაციის სუბიექტური ელემენტი. ის ობიექტური, აქტორისაგან განყენებული სტანდარტია. თუმცა, მისი ინტეგრაცია, ანუ “ინტერნალიზება” შესაძლებელია პიროვნულ სისტემებში. აქტორმა დირებულებითი სტანდარტები შეიძლება “საკუთარ” პრინციპებად აქციოს. პარსონსი არ ტოვებს აქტორს (ე.ი. პიროვნულ სისტემას) დაკმაყოფილების ოპტიმიზაციაზე მიმართული მოტივაციური ორიენტაციის ამარა. მოტივაციური ორიენტაციის თითოეული დონის პარალელურად პარსონსს შემოაქვს დირებულებითი სტანდარტები (შესაბამისად, დირებულებითი ორიენტაციები), რომლებიც მართავს ემპირიულ მოტივაციებს: ა) კოგნიტური სტანდარტები, რომლითაც დგინდება შემეცნებით მსჯელობათა ვალიდურობა. ისინი ეხმარება აქტორებს იმის განსაზღვრაში, თუ რომელი ინფორმაცია ან მონაცემია მნიშვნელოვანი; ბ) დამადასტურებელი (appreciative) სტანდარტები, რომელთა მეშვეობითაც ხდება განსხვავებული სოციალური ობიექტების ვარგისიანობის შეფასება კატექსისათვის (კატერიტოლების ოპტიმიზაციისათვის). გ) მორალური სტანდარტები, რომლებიც ახდენენ მოქმედების მთელი სისტემის შეფასებას და რეგულირებას, იქნება ეს პიროვნება თუ საზოგადოება, ან მათი სუბსისტემები. პარსონსი მათ “უკანასკნელი ინსტანციის მსაჯულებს” უწოდებს.

<sup>105</sup> Talcott, Parsons (1951): *The Social System*. New York: Free Press; p. 15.

<sup>106</sup> Парсонс, Талкот (1996): Система Координат Действия и Общая Теория Систем Действия. В книге: Американская Социологическая Мысль, Москва, МУБУ; стр. 469.

მაშასადამე, კულტურული სისტემა, პიროვნული და სოციალური სისტემებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ემპირიულ სისტემას. ოუმცა, კულტურული სისტემის ელემენტები (ლირებულებითი სტანდარტები) შეიძლება “გადაერთოს” სოციალური და პიროვნული სისტემების “რეჟიმში”. სწორედ ამას წარმოადგენს “ინსტიტუციონალიზაციის” და “ინტერნალიზაციის” პროცესი. ინსტიტუციონალიზებული დირებულებები ნორმებია, რომლებიც სოციალური სისტემის ნაწილია. როდესაც ინდივიდი ამ ნორმების მიხედვით მოქმედებს და ასრულებს მათ შესაბამის სოციალურ როლებს, ამით ხდება ინტერნალიზებული კულტურული ეტალონების პიროვნულ სისტემაში “ინტერნალიზაცია”, ანუ სტანდარტები აქტორის “საკუთარ” ლირებულებებად იქცევა.

მოქმედების სამი – კულტურული, სოციალური და პიროვნული – სისტემის იერარქიაში, პიროვნული სისტემა ყველაზე დაქვემდებარებულ პოზიციას იკავებს. იგი დეტერმინირებულია როგორც ლირებულებათა საერთო სისტემის, ისე სოციალური სისტემის მიერ. საზოგადოების ინდივიდუალური წევრები იზიარებენ საერთო მიზნებსა და ლირებულებებს. საზოგადოების, სოციალური ერთობების და სოციალური ჯგუფების ინტეგრაცია მოითხოვს მათი წევრების მიერ ნორმათა და ლირებულებათა საერთო სისტემის აღიარებას. ეს სისტემა მორალური ძალაუფლების მქონეა და იგი არ დაიყვანება ცალკეულ აქტორთა ნებაზე. პარსონსი აღიარებს ასეთი სოციალური მორალის ძალას.

## **1.4. AGIL**

მოქმედების ყველა სისტემას წაეყენება განსაზღვრული მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია სისტემის თვითშენახვისა და ოპერირებისათვის. პარსონსი გამოყოფს ოთხ ძირითად ფუნქციონალურ მოთხოვნას, რომლებიც ცნობილია სახელწოდებით - AGIL: ეს უკანასკნელი თეორიული სქემაა, “იდეალური ტიპია”, რომელიც სრულად არასოდეს ხორციელდება ემპირიულ სისტემებში:

1. ადაპტაცია (*A: adaptation*) – ეხება სისტემის ურთიერთობას მის გარემოსთან. ეს იმპერატივი მოითხოვს, რომ ნებისმიერი სისტემა ადაპტირდეს გარემოსთან;
2. მიზნის მიღწევა (*G: goal-attainment*) – მოითხოვს, რომ ყველა სისტემამ განსაზღვროს თავისი მიზნები და ახდენდეს საკუთარი რესურსების მობილიზებას მათი განხორციელებისათვის;
3. ინტეგრაცია (*I: integration*) – მოითხოვს, ყველა სისტემამ შეინარჩუნოს (დაიცვას) მისი ნაწილების შინაგანი კოორდინაცია და განავითაროს დაძლევის გზები;
4. ლატენციურობა (*L: latency*) – ყველა სისტემამ უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს კულტურული სტანდარტები. ეს უზრუნველყოფს წონსწორობას მოტივაციურ და ლირებულებით ორიენტაციებს შორის. პარსონსი ამ მოთხოვნას “ეტალონების შენარჩუნებასაც” (*pattern maintenance*) უწოდებს.

როგორც ითქვა, აღნიშნული მოთხოვნები მოქმედების ყველა სისტემას და ქვესისტემას წაეყენება. თითოეული ქვესისტემა აღნიშნული ოთხი მოთხოვნიდან ერთ-ერთს ასრულებს. მაგალითად, მოქმედების ზოგადი (“ტოტალური”) სისტემისთვის ადაპტაციის ფუნქციას ბიპერიორული ორგანიზმი ასრულებს; მიზნის მიღწევის ფუნქციას – პიროვნული (ქვე) სისტემა; ინტეგრაციის ფუნქციას – სოციალური (ქვე) სისტემა, ხოლო ლატენციურობის მოთხოვნას –

კულტურული (ქვე) სისტემა. თუ სოციალურ სისტემას ცალკე განვიხილავთ, მისი ქვესისტემები ინაწილებენ განსხვავებული ფუნქციების შესრულებას სოციალური სისტემის “შენახვისათვის”. კერძოდ, ეპონომიკის ქვესისტემა ადაპტაციის მოთხოვნას პასუხობს, პოლიტიკის ქვესისტემა მიზნის მიღწევას ემსახურება, სოციეტალური ერთობა სოციალური სისტემის ინტეგრაციას უზრუნველყოფს, ისეთი ქვესისტემები, როგორიცაა ოჯახი, სკოლა და სხვ. – ლატენტურობას.

## 1.5. ეტალონური ცვლადები

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდი განსაზღვრულია კულტურული და სოციალური სისტემებით, მას მაინც რჩება ლირებულებით ეტალონებს შორის არჩევანის უფლება. ეს არის არჩევანი განსაზღვრულ დილექტებს შორის, რომელთაც ინდივიდი სიტუაციაში ორიენტირებისას აწყდება. პარსონსი გამოყოფს ხუთ დილექტს (დიხოტომიას), რომელთაც ეტალონურ (ტიპობრივ) ცვლადებს (Pattern Variables) უწოდებს. მაშასადამე, ეტალონური ცვლადები პარსონსისათვის აქტორის სიტუაციაში ორიენტაციის საშუალებებია, როდესაც არჩევანი კეთდება იმისათვის, რომ სიტუაციამ ინდივიდისათვის განსაზღვრული მნიშვნელობა შეიძინოს.

ეტალონური ცვლადები ერთგვარი ტექნიკაცაა, რომლის საშუალებითაც ხდება ორი საზოგადოების სპეციფიკური ასპექტების შედარება, რათა დადგინდეს მათ შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები. ეს გზა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოციალურ ცვლილებათა შედეგების გენერალიზაციისათვის. ეტალონური ცვლადების განსაზღვრის საშუალებით პარსონსი შევცადა ენვენებინა განსხვავებები ტრადიციულ და თანამედროვე საზოგადოებებს შორის.

პარსონსი აღწერს ეტალონური ცვლადების ხუთ დიქოტომიურ წყვილს:

1. აფექტურობა–აფექტური ნეიტრალობა: აფექტურობის ნორმატული ეტალონი აქტორს კარნახობს, რომ მან მოცემულ სიტუაციაში უპირატესობა მიანიჭოს უშუალო ემოციური დაკმაყოფილების შესაძლებლობას. პირიქით, აფექტური ნეიტრალობის ეტალონი აქტორისაგან მოითხოვს, რომ მან თავი შეიკავოს ემოციური კმაყოფილების მიღებისაგან და უპირატესობა მიანიჭოს შეფასებით მიღომას;
2. ორიენტაცია საკუთარ თავზე–ორიენტაცია კოლექტივზე: პირველ შემთხვევაში აქტორს უფლება ეძლევა მოცემულ სიტუაციაში განახორციელოს კერძო ინტერესები. კოლექტივზე ორიენტაციის ეტალონი, პირიქით, აქტორისაგან მოითხოვს იმ ლირებულებების გათვალისწინებას, რომლებიც საერთოა ჯგუფისათვის;
3. უნივერსალიზმი–პარტიკულარიზმი: უნივერსალიზმის ეტალონი აქტორს ავალდებულებს ობიექტზე ორიენტირებას საერთო სტანდარტების და არა ობიექტთა უნიკალური თვისებების გათვალისწინებით. პარტიკულარიზმის ეტალონი აქტორისაგან მოითხოვს, მოცემულ სიტუაციაში, უპირატესობა მიანიჭოს ობიექტის მიმართ კერძო კავშირებს;
4. თვისება–რეზულტატურობა: პირველი ეტალონი აქტორს ავალდებულებს, რომ უპირატესობა მიანიჭოს ობიექტთა უნარებს და არა შეძენილ (მიღწეულ) თვისებებს, რასაც მოითხოვს რეზულტატურობის ეტალონი;
5. სპეციფიკურობა–დიფუზურობა: პირველი ეტალონი მოითხოვს, რომ აქტორმა ობიექტის მიმართ დამოკიდებულება განსაზღვროს მხოლოდ ცალკეულ სფეროებში და არ ჩართოს მასში ემპირიულად შესაძლო სხვა ურთიერთობები.

დიფუზურობის ეტალონი კი პირიქით, აქტორს ავალდებულებს, ობიექტზე  
რეაგირება მოახდინოს ნებისმიერი რელევანტური ხერხით.

## §2. ნიკლას ლუმანის სისტემების თეორია

ბიოგრაფიული ცნობები:

ნიკლას ლუმანი (Niklas Luhmann) დაიბადა 1927 წლის 8 დეკემბერს გერმანიის ქალაქ ლუნებურგში (Lüneburg). 1944 წელს, 15 წლის ასაკში მსახურობდა გერმანიის საპატიო ძალებში, დამხმარე პერსონალად. 1945 წელს იგი შეიპყრეს ამერიკელმა სამხედროებმა. 1946-49 წლებში ლუმანი სწავლობს იურისპრუდენციას ქ. ფრაიბურგში. 1954 წელს სამოქალაქო საქმეების გარჩევით არის დაკავებული ლუნებურგის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. 1955-62 წლებში ლუმანი ქვედა საქსონიის ფედერალური შტატის პარლამენტის მრჩეველია, ხოლო მოგვიანებით – მთავრობის მრჩეველიც. 1960-61 წლებში იდებს შესვენებას და სასწავლებლად მიემზავრება პარვარის უნივერსიტეტში (აშშ) ტალკოტ პარსონსთან. 1960 წელს ქორწინდება ქადაგი.

1964 წელს ნ. ლუმანი აქვეყნებს თავის პირველ წიგნს „ფორმალური ორგანიზაციის ფუნქციები და შედეგები“. 1965 წელს იგი ინიშნება დორტმუნდის სოციალური კვლევების ცენტრის განყოფილების გამგედ. 1968 წელს ლუმანი ხდება სოციოლოგიის პროფესორი ბილფელდის უნივერსიტეტში (University of Bielefeld). ლუმანის სამეცნიერო მუშაობა ძირითადად მიმართულია იმ მექანიზმის კვლევას, რაც სისტემის შექმნის საფუძველია.

1971 წელს ლუმანს გარდაეცვალა მეუღლე, იგი სამ შვილთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას თავის სახლში – ორლინგჰაუზენში.

1984 წელს ნ. ლუმანი აქვეყნებს თავის მთავარ შრომას „სოციალური სისტემები“. 1988 წელს ლუმანს ანიჭებენ ჰეგელის პრიზს, ქ. შტუტგარტში.

ნიკლას ლუმანი ნააღმდეგად გარდაიცვალა 1998 წლის 6 ნოემბერს კიბოთი.

### 2.1. ლუმანი და პარსონსი

ლუმანმა დაამუშავა სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც თავის საზრდოს, მნიშვნელოვანწილად, პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმისგან იღებს. ლუმანი პარსონსის თეორიას მიიჩნევს ერთადერთ ზოგად თეორიად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ახალი სოციოლოგიური მიდგომების გაჩენა. თავისი შრომების გამოქვეყნება ლუმანმა 1960-იანი წლებიდან დაიწყო და მათი უმრავლესობა იყო ერთგვარი დიალოგი პარსონსის ფუნქციონალიზმთან. ლუმანის ძირითადი შრომა "სოციალური სისტემები", რომელიც 1984 წელს გამოვიდა, დიდადად დაგალებული პარსონსის ევოლუციური ფუნქციონალიზმისგან. თუმცა, როგორც მკვლევრები<sup>107</sup> აღნიშნავენ, ლუმანი პარსონსს პრინციპულად შორდება რამდენიმე საკითხში:

ა) პარსონსის თეორიაში არაფერია ნათქვამი საზოგადოების, როგორც სისტემის, "თვითრეფერენციაზე" (თვითმიმართვაზე, თვითაღწერაზე). არადა, ლუმანის აზრით, საზოგადოებას აქვს უნარი, მიმართოს საკუთარ თავს. საზოგადოების ნებისმიერი თვითაღწერა ორ სივრცეს შემოხაზებს: ერთია ის, რაც არ არის საზოგადოება (ანუ, ის, რაც "გარემო"), ხოლო მეორეა ის, რასაც ქმნის აღწერა საზოგადოების შიგნით. თვითრეფერენცია ნებისმიერი სისტემის მახასიათებელია. ლუმანი წერს:

<sup>107</sup> ი. მაგალითად, რიტცერ, ჯორჯ (2002): *Современные Социологические Теории (5-е издание)*. СПб.: Питер; стр. 219-20. აგრეთვე, Delanty, Gerard (2005) 'Modernity and Postmodernity: Part II'. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 284.

"თვითრეფერენცია ნიშნავს, რომ სისტემებს აქვს უნარი, განასხვავონ მათი საკუთარი ფუნქციონირება ყველა დანარჩენისგან და რომ სისტემას ძალუბს გამოყოს საკუთარი თვითი გარემოსგან".<sup>108</sup>

ბ) როგორც ჯ. რიტცერი შენიშნავს, პარსონსი არ აღიარებს შემთხვევითობას. ეს სხვანაირად იმას ნიშნავს, რომ პარსონსი აღიარებს საზოგადოების არსებობის ერთ მოდელს (კერძოდ, იმას, რომელიც შეესაბამება AGIL სქემას) და გამორიცხავს მისი სხვაგვარად ფუნქციონირების შესაძლებლობას. AGIL სქემას პარსონსი უყურებს არა როგორც შესაძლებელ მოდელს, არამედ როგორც ფაქტს. სტრუქტურული ფუნქციონალიზმი ყველა სისტემის (და ქვესისტემის) არსებობის აუცილებელ პირობად მიიჩნევს ოთხი (ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ინტეგრაცია, ლაბერნტურობა) ფუნქციონალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, აღიარებს საზოგადოების სწორხაზოვანი ევოლუციური პროცესის იდეას. ლუმანის მიხედვით, ნებისმიერი სისტემა თვითორგანიზებადია: ის თავად განსაზღვრავს მისი ფუნქციონირების პირობებს. თვითორგანიზება გამორიცხავს დეტერმინიზმს. ნებისმიერი განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის გაგებულ უნდა იქნეს როგორც შესაძლებლობა (შემთხვევითობა), ანუ ის, რაც შესაძლებელია სხვანაირი ყოფილიყო.

გ) თანამედროვე საზოგადოება, ლუმანის თანახმად, ფუნქციურად დიფერენცირებული სისტემაა, რომლის ქვესისტემებიც ერთმანეთის და, საერთოდ, მთელი სისტემის მიმართ ავტონომიურობას ინარჩუნებენ. პარსონსისაგან განსხვავებით, ლუმანი უარყოფს სისტემური მთლიანობის შესაძლებლობას. იგი არ უყურებს სოციალურ სისტემას როგორც ინტეგრირებულ ორგანიზმს, რომელიც ნორმატული დირექტულებებითაა "შეკრული". ლუმანს აქცენტი ინტეგრაციიდან დიფერენციაციაზე გადაქვეშ. იგი ამტკიცებს, რომ ყოველი სისტემა (ან სუბსისტემა) თვითკმარი და თვითქმნადია. ლუმანი წერს:

"ამრიგად, არ არსებობს არავითარი ნორმატული ინტეგრაცია ინდივიდებისა საზოგადოებაში. სხვა სიტყვებით, არ არსებობს არავითარი ნორმები, რომელთაგან ვინმეს შეუძლია გადაიხაროს, თუ ამის სურვილი ექნა... არსებობს მხოლოდ ეკვივალენტური დაკვირვებადი სქემა, რომელშიც დამკვირვებელი თვითგანსაზღვრავს იმაზე დაკვირვებას, ქცევა ეთანხმება თუ შორდება ნორმას. და ეს დამკვირვებელი, აგრეთვე, შეიძლება იყოს კომუნიკაციური სისტემა – სასამართლო, მასშედია და ა.შ. თუ ჩვენ გვინდა ვიყითხოთ, თუ რა არის სინამდვილეში ნორმების ან კონსენსუსის საფუძველი, მაშინ ჩვენ უნდა დავაკვირდეთ დამკვირვებელს. და თუ ჩვენ ღმერთს აღარ მივიჩნევთ სამყაროს დამკვირვებლად, მაშინ არსებობს სხვადასხვა შესაძლებლობები".<sup>109</sup>

## 2.2. საზოგადოება როგორც "აუტოპოეზისური" სისტემა

ლუმანის აზრით, არსებობს საზოგადოების ცნებასთან დაკავშირებული სამი ეპისტემოლოგიური წინადობა, რომელსაც ტრადიციული სოციალური თეორია ქმნის:

1. პირველი წინადობა ეხება მოსაზრებას, რომ საზოგადოება შედგება ადამიანებისაგან, ან ადამიანებს შორის ურთიერთობებისაგან. ლუმანი ამას "ჰუმანისტურ გაუგებრობას" უწოდებს. თუ საზოგადოება ადამიანებისაგან

<sup>108</sup> Luhmann, Niklas (1994): "What Is The Case" and "What Lies Behind It?" The Two Sociologies and The Theory of Society, in *Sociological Theory* Vol.12, No. 2.

<sup>109</sup> Luhmann, Niklas (1999): The Concept of Society, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 152.

შედგება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ “პარიკმახერი საზოგადოებას ჭრის თმას?” ან რომ საზოგადოებას “ზოგჯერ ინსულინი სჭირდება?”<sup>110</sup>

2. მეორე შეცდომა მდგომარეობს იმის ადიარებაში, რომ არსებობს ტერიტორიულად მრავალგვარი საზოგადოებები (მაგალითად, ჩინეთის, ბრაზილიის, პარაგვაის და ა.შ. საზოგადოებები). რასაკვირველია, არსებობს განსხვავებები სხვადასხვა ტერიტორიების საცხოვრებელ პირობებს შორის, მაგრამ ეს განსხვავებები უნდა აიხსნას როგორც საზოგადოების შიგნით და არა საზოგადოებებს შორის არსებული განსხვავებები. თუ აქცენტს ტერიტორიულ განსხვავებებზე გავაკეთებო, მაშინ სოციოლოგია გეოგრაფიას “დაუთმობს” თავისი ცენტრალური პრობლემის გადაჭრას.

3. მესამე შეცდომა ეხება განსხვავებას სუბიექტს და ობიექტს (აზროვნებასა და ყოფიერებას, კოგნიციასა და საგანს) შორის. კოგნიცია, როგორც ასეთი, გამოცალკევებული იყო მისი ობიექტისაგან. ამ დაყოფის თანახმად, მხოლოდ სუბიექტს გააჩნია თვითრეფერენციის პრივილეგია, ხოლო საგნები რჩებიან ისეთი, როგორიც არიან.

საზოგადოების შესახებ თეორიები საზოგადოებაში არსებული თეორიებია. ამის გარეშე არ არსებობს საზოგადოების ადგვატური ცნება. სხვა სიტყვებით, საზოგადოების ცნება უნდა ფორმირდეს აუტოლოგიკურად. ის უნდა შეიცავდეს საკუთარ თავს საკუთარ თავში.

ლუმანი მოითხოვს, რომ სისტემა განვიხილოთ სპეციფიკური განსხვავების კონტექსტში. ესაა განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის. ლუმანი წერს:

“სისტემა ესაა განსხვავების ფორმა, რომელსაც, შესაბამისად, ორი მხარე გააჩნია: სისტემა (როგორც ფორმის შიდა მხარე) და გარემო (როგორც ფორმის გარეთა მხარე). მხოლოდ ეს ორი მხარე ერთად ქმნის განსხვავებას, ქმნის ცნებას. ამრიგად, გარემო ამ ფორმისათვის ისეთივე მნიშვნელოვანია და აუცილებელი, როგორც თავად სისტემა... ყველაფერი, რასაც შეიძლება დაგაკვირდეთ და აღვწეროთ ამ განსხვავებასთან მიმართებაში, მიეკუთვნება ან სისტემას, ან გარემოს”.<sup>111</sup>

ლუმანი თავად სვამს კითხვას: როგორ იქმნება ფორმა, ანუ განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის? ლუმანის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: სისტემა თვითმმართვის, ანუ თავად ქმნის განსხვავებას მასსა და გარემოს შორის. სწორედ ამას აღნიშნავს სისტემის “აუტოპოეზისურობა”<sup>112</sup> ლუმანი მოითხოვს, რომ “აუტოპოეზისის” ცნება განვასხავოთ “აუტოპოეზისის” ცნებისაგან. ეს უკანასკნელი თვითდაკმაყოფილებაზე მიმართულ საქმიანობებს უკავშირდება, როგორიცაა, მაგალითად, თამბაქოს მოწევა, ცურვა, ჭორაობა, მსჯელობა. აუტოპოეზისი, ამისაგან განსხვავებით, კავშირშია იმასთან, რასაც ლუმანი “სისტემის ოპერაციულ დახურულობას” უწოდებს. საზოგადოების ერთ-ერთი ლუმანისეული განსაზღვრება სწორედ ამას გულისხმობს: “საზოგადოება

<sup>110</sup> Luhmann, Niklas (1999): The Concept of Society, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 144.

<sup>111</sup> Luhmann, Niklas (1999): The Concept of Society, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 145.

<sup>112</sup> “აუტოპოეზისის” (*autopoiesis*) ცნების შემოტანა, ლუმანისავე ადიარებით, დაკავშირებულია ჟმბერტო მატურანას (Humberto Maturana) სახელთან, რომელმაც ეს ტერმინი ცოცხალი თრგანიზმების მიმართ გამოიყენა. ბიოლოგიურ თრგანიზმს, როგორც სისტემას, აქვს საკუთარი თავიდან მისი შემადგენელი ნაწილების კვლავწარმოების უნარი.

ოპერაციულად დახურული აუტოპოზისური სისტემაა”<sup>113</sup> ეს არ ნიშნავს სისტემის იზოლაციურობას, აგრძარქიას. ლუმანის აზრით, ის იმ ტრივიალურ კითარებას გამოხატავს, რომ “არცერთ სისტემას არ შეუძლია ოპერირება მის საზღვრებს გარეთ.”

მართალია, ლუმანი საუბრობს საზოგადოების ცნებაზე, მაგრამ სისტემების ოპერაციული ჩაკეტილობის მიზეზით, საზოგადოება, როგორც ასეთი, არც არსებობს. ის, რაც არსებობს, არის მხოლოდ სოციალურ სისტემებს შორის კომუნიკაცია. საზოგადოების ცნება ლუმანთან მხოლოდ სახელია სოციალურ სისტემათა ერთობლიობის აღსანიშნავად. ლუმანი ამტკიცებს, რომ თანამედროვე საზოგადოებას არა აქვს ცენტრი და არ არსებობს ერთი ცენტრალური სუბსისტემა, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფო ან სამოქალაქო საზოგადოება. თანამედროვე საზოგადოებებს ახასიათებს კომპლექსურობა, რაც ფუნქციონალური დიფერენციაციის შედეგია. დიფერენციაციის და არა ინტეგრაციის საშუალებით ხდება საზოგადოების ფუნქციონირება. სოციალური ცვლილებები შესაძლებელია სწორედ ფუნქციონალური განსხვავებების წყალობით. სწორედ ამიტომ, ლუმანის მიხედვით, საზოგადოება უკვე აღარ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მთლიანი. შეუძლებელია ლაპარაკი სისტემურ ინტეგრაციაზე. აუტოპოზისის ცნება უკავშირდება ნებისმიერ სისტემას – ეკონომიკას, პოლიტიკურ სისტემას, საკანონმდებლო სისტემას, სამეცნიერო სისტემას, ბიუროკრატიას და ა.შ.

აუტოპოზისური სისტემები, როგორც ითქვა, ადგენებ თავის საკუთარ საზღვრებს იმით, რომ ატარებენ განსხვავებას იმას, რაც თავად სისტემას მიეკუთვნება და გარემოს შორის. კარგად წერს რიტცერი: “აუტოპოზისური სისტემები თვითორგანიზებადია ორი აზრით: ისინი ახდენენ, ერთი მხრივ, თავისი საკუთარი საზღვრების და, მეორე მხრივ, თავისი შინაგანი სტრუქტურის ორგანიზებას... მაგალითად, ეკონომიკური სისტემა ყველაფერს, რაც იშვიათია და რასაც შეიძლება ფასი დაედოს, თვლის ეკონომიკური სისტემის ნაწილად. ჰაერი ყველგან ურიცხვი რაოდენობით არსებობს, ამიტომაც მას ფასს არ ადგებენ და ის არ წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ნაწილს. თუმცა, ჰაერი გარემოს აუცილებელი ნაწილია.”<sup>114</sup>

ოპერაციულად დახურული სისტემა საკუთარი თავიდან გამორიცხავს ადამიანებს, როგორც ცოცხალ და ცნობიერ არსებებს, ისევე როგორც – განსხვავებულ ქვეყნებს, თავისი გეოგრაფიული და დემოგრაფიული თავისებურებებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანები და ქვეყნები “უჩინარდება” სისტემების თეორიისათვის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი არა საზოგადოების (სისტემის), არამედ მისი გარემოს ნაწილებია. ლუმანისათვის მხოლოდ სისტემები და არა სოციალური აქტორებია ჩართული კომუნიკაციაში. ლუმანი მოითხოვს, რომ სუბიექტის ფილოსოფიამ ადგილი დაუთმოს თვითაღმწერი სისტემების თეორიას. იგი წერს:

“თუ ძალზე მკაცრი ფორმით ჩამოვაყალიბებთ, ინდივიდის “მონაწილეობა” საზოგადოებაში გამორიცხულია. არ არსებობს არავითარი კომუნიკაცია ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც კომუნიკაცია ყოველთვის არის სოციალური სისტემის შინაგანი ოპერაცია. საზოგადოებას არასოდეს შეუძლია გავიდეს საკუთარი თავის გარეთ თავისი საკუთარი პროცედურებით და მოიცვას ინდივიდი. მას შეუძლია მხოლოდ მისი საკუთარი პროცედურების

<sup>113</sup> Luhmann, Niklas (1999): The Concept of Society, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 146.

<sup>114</sup> Ритцер, Джордж (2002): *Современные Социологические Теории* (5-е издание). СПБ.: Питер; стр. 221.

კვლავწარმოება მისივე საკუთარი პროცედურებით. საზოგადოებას არ შეუძლა თპერიოდება მისი საკუთარი საზღვრების გარეთ”.<sup>115</sup>

მაშასადამე, “განსხვავების” ცნება ცენტრალურია ლუმანის თეორიაში. ბაზისური კოდები, რომელთა საშუალებითაც ინფორმაცია მუშავდება, ბინარულია და ქმნის განსხვავებას “შიდას” და “გარეს” შორის. ლუმანის არგუმენტი ისაა, რომ განსხვავება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მოცემული სისტემის შიგნით. არ არსებობს აბსოლუტური და დამოუკიდებელი ათვლის წერტილი, საიდანაც საზოგადოება თავის თავს დააკვირდება ან რეპრეზენტაციას მოახდენს (როგორიცაა, მაგალითად, დმერთი, სახელმწიფო ან იმპერატორი).

აუტოპოეზისურ სისტემასა და მის საბაზო ელემენტებს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანპირობებულობა. მაგალითად, პოლიტიკური სისტემის (რომელიც ერთ-ერთია სხვა სისტემათა შორის) საბაზო ელემენტი ძალაუფლებაა. ძალაუფლების მნიშვნელობა და მისი გამოყენების ხერხები განისაზღვრება თავად პოლიტიკური სისტემის მიერ. მეორე მხრივ, პოლიტიკური სისტემა ძალაუფლების გარეშე კვაზი-სისტემაა. მსგავსად ამისა, ეკონომიკური სისტემის საბაზო ელემენტი ფულია, რომელიც ამ სისტემის გაჩენამდე არ არსებობდა. ფულის თანამედროვე ფორმა და ეკონომიკური სისტემა ერთად წარმოიშვა და ერთმანეთზეა დამოკიდებული. “შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ეკონომიკური სისტემა ფულის გარეშე. თავის მხრივ, ფული ეკონომიკური სისტემის გარეშე მხოლოდ ქადალდის ან ლითონის ნაჭერია და სხვა არაფერი”.<sup>116</sup>

ყველა გარეგანი პოზიცია, საიდანაც დაკვირვება შეიძლება იწარმოებოდეს, უჩინარდება. ამის ნაცვლად ლუმანი ამტკიცებს, რომ ყველა დაკვირვებამ უნდა მიიღოს “თვითდაკვირვების” ან “თვითაღწერის” ფორმა. “ოპერაციონალურად ჩაკეტილი” სისტემები არ მოითხოვენ “გარედან” მნიშვნელობის (“საზრისის”) მინიჭებას იმისათვის, რათა იფუნქციონერონ. სუბსისტემებმა უნდა მოახდინონ თვითდაკვირვება, რათა განასხვავონ საკუთარი თავი მათი გარემოსაგან, ე.ი. სხვა სუბსისტემებისაგან. ამ აზრით, სუბიექტი როგორც ნარატივი ჩანაცვლებულია სუბიექტი-დამკვირვებლით. დაკვირვებას როგორც თვითდაკვირვებას და თვითაღწერას ლუმანი “მეორე რიგის დაკვირვებას” უწოდებს.<sup>117</sup> ლუმანის იდეა მეორე რიგის დაკვირვებების შესახებ, შეიძლება დავინახოთ საზოგადოების ბევრ სფეროში. მაგალითად, საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკაში ფუნქციონირებს როგორც განსხვავებული ჯგუფების “სარკე”. ხელოვნებაში მეორე რიგის დაკვირვებები ცვლის პირველი რიგის დაკვირვებებს, რამდენადაც ხელოვნება აღარ ახდენს იმის რეპრეზენტაციას, რაც მის გარეთაა და უპირატესად თვითრეფერენციული ხდება. მეცნიერებაში მეთოდოლოგიის საკითხები ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი და ა.შ.

## 2.3. კომუნიკაცია

<sup>115</sup> Luhmann, Niklas (1999): The Concept of Society, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 152.

<sup>116</sup> Ритцер, Джордж (2002): *Современные Социологические Теории* (5-е издание). СПб.: Питер; стр. 221.

<sup>117</sup> Luhmann, Niklas (1994) "What Is The Case" and "What Lies Behind It?" The Two Sociologies and The Theory of Society, in *Sociological Theory* Vol.12, No. 2.

ლუმანის სისტემების თეორიისათვის ცენტრალურია **კომუნიკაციის** ცნება. ლუმანს მნიშვნელოვნად მიაჩნია საკითხი: რომელია ის ოპერაცია, რომელიც ქმნის სისტემას და ქმნის მას მისი პროდუქტებისგან, ანუ კვლავქმნის სისტემას? ლუმანი ამ კითხვაზე პასუხის საფუძვლად იდებს კომუნიკაციის ცნებას. თუმცა, ლუმანთან კომუნიკაცია ისეთი პირობაა, რომელსაც კავშირი აქვს გაწყვეტილი სოციალურ მოქმედებასთან. სწორედ კომუნიკაციის ცნებამ უნდა “გადართოს” სოციოლოგიური თეორია მოქმედების თეორიიდან სისტემის თეორიაზე. საჭმე ისაა, რომ მოქმედების ცნების შემთხვევაში ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ გარებან მიმართებს ისეთი სოციალური ფენომენებისადმი, როგორიცაა: მოქმედების საგანი, ინდივიდი, ადგილი სივრცეში. სოციალური სისტემა (როგორც ოპერაციულად დახურული სისტემა) შედგება მხოლოდ მისი საკუთარი ოპერაციებისაგან, რომლებიც კვლავიქმნება კომუნიკაციების საშუალებით ისევ კომუნიკაციებისაგან. მხოლოდ კომუნიკაციის ცნების დახმარებით შეგვიძლია ვიფიქროთ სოციალურ სისტემაზე როგორც აუტოპოეზისურ სისტემაზე. სისტემა შედგება კომუნიკაციებისაგან, რომლებიც ახდენენ სისტემის წარმოებას და კვლავწარმოებას ისევ კომუნიკაციის ქსელის საშუალებით. ლუმანი წერს:

“საზოგადოება არის სრული სისტემა ყველა კომუნიკაციისა, რომლებიც კვლავქმნიან თავიანთ თავს აუტოპოეტიკურად კომუნიკაციათა განახლებადი ქსელის საშუალებით, რომელიც ქმნის ახალ (და ყოველთვის სხვა) კომუნიკაციებს... ამრიგად, ასეთი სისტემის კვლავწარმოება მოითხოვს იმს კომპეტენციას, რომ მოახდინოს განსხვავება სისტემასა და გარემოს შორის. კომუნიკაციებს შეუძლიათ მოახდინონ კომუნიკაციების იდენტიფიკაცია და მათი განსხვავება სხვა მოვლენებისაგან, რაც მიეკუთვნება გარემოს იმ აზრით, რომ ვინმეს ნამდვილად შეუძლია მათ შესახებ და არა მათთან კომუნიკაცია.”<sup>118</sup>

თუ კომუნიკაცია სისტემის შიდა სტრუქტურას ეხება, მაშინ კონკრეტული ადამიანები არ არიან მისი შემქმნელები, რამდენადაც ადამიანები არა სისტემის, არამედ მისი გარემოს ნაწილებია. ლუმანის აზრით, თითქმის არავითარი აზრი არა აქვს იმის თქმას, რომ “საზოგადოება შედგება ადამიანთა შორის ურთიერთობებისაგან”. კომუნიკაციის ქვეშ, ლუმანის აზრით, გაცილებით სპეციფიკური სქემა იგულისხმება – ესაა განსხვავების დაფიქსირება ინფორმაციას, კომუნიკაციის აქტსა და გაგებას შორის. კომუნიკაცია ამ სამი ასპექტის სინთეზია. მათ შორის განსხვავების დაკვირვების გარეშე არც ერთი კომუნიკაცია არ შედგება. არ არის, მაგალითად, საკმარისი, რომ ვინმე უყურებს ან უსმენს სხვას, აუცილებელია საკუთარ ქცევაზე დაკვირვება იმ განსხვავების დახმარებით, რომელიც არსებობს ინფორმაციასა და კომუნიკაციის აქტს შორის. მხოლოდ კომუნიკაცია თავისთავად წარმოადგენს სოციალურ ოპერაციას.

კომუნიკაციის ცნება ნათელს ხდის, რომ საზოგადოება არის თვითადმწერი და თვითდაკვირვებადი სისტემა. თუნდაც უმარტივესი კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ ადრეული და შემდგომი კომუნიკაციების განახლებად ქსელში. ასეთ ქსელს შეუძლია გახდეს საკუთარი თავის საგანი, შეუძლია მოახდინოს საკუთარი თავის ინფორმირება მისივე კომუნიკაციების შესახებ, შეუძლია ეჭვი შეიტანოს ინფორმაციაში, უარყოს იგი და ა.შ. უკელა კომუნიკაცია საზოგადოებასთან მიმართებაში პირობადადებულია საზოგადოების მიერ. არ არსებობს გარეშე დამკვირვებელი, რომელიც რაიმე, თუნდაც რამდენამე ადეკვატურ კომპეტენციას ფლობს.

<sup>118</sup> Luhmann, Niklas (1999): The Concept of Society, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 149.

ნებისმიერი კომუნიკაცია ხორციელდება კოდების საშუალებით. **კოდი** ესაა სისტემების ფუნქციონირების ძირითადი “ენა”, რომელიც ახდენს სისტემის ელემენტების გამოცალკევებას იმ ელემენტებისაგან, რომლებიც სისტემას არ ეკუთვნის. მაგალითად, მეცნიერების სისტემის ძირითადი კოდი ჭეშმარიტებაა, სამართლის სისტემის კოდი – კანონიერება, ეკონომიკის სისტემის კოდი – გადახდა და ა.შ. ლუმანის მიხედვით, სისტემები თავიანთი კოდებით ავტონომიური და ჩაკეტილია: არც ერთი სისტემას არ იყენებს სხვა სისტემის კოდებს. მეტიც: სისტემებისთვის გაუგებარია ერთმანეთის კოდები. არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ერთი რომელიმე სისტემის კოდს გადაიტანს სხვა სისტემის კოდურ რეჟიმში. მოცემულ სისტემას სხვა სისტემის შეფასება ან მისდამი მიმართვა შეუძლია მხოლოდ საკუთარი “სათვალეებით”. მაგალითად, ეკონომიკის სიტემას მეცნიერების სისტემის “დანახვა” შეუძლია მხოლოდ მოგების ან კაპიტალდაბანედის განასერში.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს<sup>119</sup>, ლუმანის სოციალური თეორია ახლოა პოსტმოდერნიზმთან, რამდენადაც ის ცენტრალურ მნიშვნელობას ანიჭებს “განსხვავებას”. საზოგადოება აღარ არის რაღაც, რაც ინტეგრირებულია კერძო აქტორების ან სოციალური ინსტიტუტების ძალაუფლების მიერ. ის კომუნიკაციების განსხვავებული პროცესების სისტემაა.

<sup>119</sup> Delanty, Gerard (2005) ‘Modernity and Postmodernity: Part II’, *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 285

თავი VI. აბენტსა და სტრუქტურას შორის მედიაციაზე ორიგინალური  
სოციალური თეორიები  
(პ. ბურდივს სინომიური თეორია და პ. ბილენსის “სტრუქტურაციის თეორია”)

## შესავალი

აგენტსა და სტრუქტურას შორის მედიატორულ თეორიებად ისინი მოიაზრება, რომლებიც ცდილობენ დააბალანსონ სუბიექტისა და სტრუქტურის გავლენა და სოციუმის ეს ორი ერთეული ურთიერთგანმაპირობებლად დასახონ.

ასეთ თეორიად მიიჩნევენ პიერ ბურდიოს სინთეზურ მიდგომას და მის ფუნდამენტურ ცნებას – *habitus'a*, რომელიც მოწოდებულია გადაჭრას დაპირისპირება ობიექტივიზმსა და სუბიექტივიზმს შორის და მოახდინოს სტრუქტურისა და სუბიექტის სინთეზი. “ჰაბიტუსი” ქმნის კოგნიტურ და მოტივაციურ სისტემათა სტრუქტურას. იგი, ერთი მხრივ, არსებული ისტორიული პირობების პროდუქტია (და, ამ აზრით, ობიექტურია), თუმცა, მეორე მხრივ, ინკორპორირებულია ინდივიდის ცნობიერებაში (ამ აზრით, ის სოციალური მოქმედების აგენტის განუყოფელი ნაწილია).

მედიატორულ თეორიად ითვლება, აგრეთვე, ენტონი გიდენსის “სტრუქტურაციის თეორია”, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სოციალური მოქმედების არა სუბიექტურ საზრისხე (როგორც, მაგალითად, მაქს ვებერი), ან, მით უფრო, მოქმედების ობიექტურ მნიშვნელობაზე, არამედ მოქმედების შესრულებაზე, სოციალური ცხოვრების მიმდინარეობაზე, პერფორმაციაზე. სწორედ მოქმედება როგორც პროცესი, ანუ როგორც ყოველდღიური ცხოვრების კვლავწარმოება ხდის შესაძლებელს, რომ სტრუქტურა მოქმედების გარეთ კი არ იქნეს “გატანილი”, არამედ მის ორგანულ ნაწილად იქცეს როგორც მისი პროდუქტი.

მაშასადამე, ის, რაც ბურდიოს და გიდენსის თეორიებს ერთმანეთთან ანათესავებს ისაა, რომ “მიუხედავად მათ მიერ განსხვავებული ტერმინოლოგიის გამოყენებისა, ორივე ცდილობს სოციალური სტრუქტურების კვლავწარმოება ახსნას ინდივიდების მოქმედებების საშუალებით, რომლებიც შესაბამისობაშია კულტურულ წესებთან და რესურსებთან”.<sup>120</sup>

არსებითი მსგავსების მიუხედავად, თანამედროვე მკვლევრები (მაგ., ე. კინგი) იმასაც ადნიშნავენ, რომ ბურდიე, რომელიც ფრანგული საზოგადოების სტრატიგიკაციულ მოდელს იკვლევდა, ბოლომდე ერთგული დარჩა ემპირიული მონაცემების, მაშინ როდესაც გიდენსის თეორია მოკლებულია ემპირიულ სოციოლოგიურ სიცხადეს.

ქვემოთ სწორედ ეს ორი თეორია იქნება გადმოცემული.<sup>121</sup>

<sup>120</sup> King, Anthony (2005): Structure and Agency. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 217.

<sup>121</sup> აგენტსა და სტრუქტურას შორის მედიაციაზე ორიგნტირებულ ყურადსალებ თეორიებს მიაკუთვნებენ, აგრეთვე, თანამედროვე ბრიტანელი სოციოლოგის მარგარეტ არჩერის (Margaret S. Archer) მორფოგენეტიკურ მიდგომას.

## §1. პიერ ბურდიეს სინთეზური თეორია

ფრანგი სოციოლოგი, ანთროპოლოგი და ფილოსოფოსი პიერ ბურდიე (Pierre Bourdieu) დაიბადა 1930 წელს სამხრეთ დასავლეთ საფრანგეთის ერთ-ერთ სოფელში (Denguin). სკოლაში იგი გამორჩეულად ნიჭიერ მოწაფედ ითვლებოდა და, აგრეთვე, სახელი გაითქვა როგორც რაგბის შესანიშვნავმა მოთამაშემ. იგი გადავიდა პარიზში, სადაც სწავლობდა *École normale supérieure* (სევათა შორის, მისი ჯგუფელი ამ სასწავლებელში იყო ჟაკ დერიდა). ბურდიე დაინტერესდა მერლო-პონტის, პუსერლის, პაიდეგერის და ასალგაზრდა მარქსის შრომებით. ფილოსოფიაში სარისხის მოპოვების შემდეგ ბურდიე ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა მასწავლებლად. შემდეგ ის გაიწვიეს ჯარში, ალექსი, სადაც 2 წელი იმსახურა.

1962 წელს ბურდიე ქორწინდება. ის ინტენსიურად სწავლობს ანთროპოლოგიას და სოციოლოგიას. თავადაც ასწავლის ჯერ პარიზის უნივერსიტეტში (1960-62), ხოლო შემდეგ – ლილის უნივერსიტეტში (Université de Lille, 1962-64). 1968 წელს ბურდიე ხდება *Centre de Sociologie Européenne* დირექტორი, სადაც კოლეგებთან ერთად იწყებს ფართომასშტაბიან კვლევებს ისეთ პრობლემათან მიმართებაში, როგორიცაა ძალაუფლების სიტემის შენარჩუნება ღომინანტური კულტურის გავრცელების (ტრანსმისიის) საშუალებით. მის შრომებში ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს იკავებს ის, თუ როგორ იქცევა კულტურა და განათლება სოციალურ კლასებს შორის განსხვავების ძირითად საფუძვლად. თავის შრომაში *La Reproduction* (1970) ბურდიე ამტკიცებდა, რომ ფრანგული განათლების სისტემა ქმნის საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას საფრანგებელში.

1975 წელს ბურდიე აარსებს ურნალს *Actes de la Recherche en Sciences Sociales*, რომლის მისია ისაა, რომ მოახდინოს იმ მექანიზმის დეკონსტრუქცია, რომელთა საშუალებითაც კულტურული პროდუქცია ხელს უწყობს საზოგადოების ღომინანტური სტრუქტურის შენარჩუნებას. 1981 წელს ბურდიე იკავებს სოციოლოგიის კათედრის გამგის ტანამდებობას პრესტიულ უნივერსიტეტში *Collège de France*. 80-იანი წლების ბოლოს სოციალური ბურდიე ხდება ერთ-ერთი ყველაზე ციტირებადი ფრანგი მეცნიერი აშშ-ში. ბურდიე აქტიურად მონაწილეობს, აგრეთვე, არააკადემიურ აქტივობებში. ის ეხმარებოდა რკინიგზის გაფიცულ მუშებს, გამოდიოდა უსახლპაროების დასაცავად, იღებდა მონაწილეობას სატელევიზიო პროგრამებში. 1966 წელს ბურდიე აარსებს საგამომცემლო კომპანიას *Liber/Raisons d'agir*. თავისი სტუდენტებისთვის ის ნამდვილი გურუ ხდება.

ბურდიე გარდაიცვლა სიმსიგნით პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში 2002 წლის 24 იანვარს.

### პიერ ბურდიეს ძირითადი შრომები:

- განათლების, საზოგადოებისა და კულტურის რეპროდუქცია (ჟ.კ. პასერონთან ერთად) (*La reproduction. Eléments pour une théorie du système d'enseignement*) – 1970 წ.
- პრაქტიკის თეორიის მონახაზი (Esquisse d'une théorie de la pratique) – 1972 წ.
- განსხვავება. გმოვნების განსჯის სოციალური კრიტიკა (*La distinction. Critique sociale du jugement*) – 1979 წ.
- პრაქტიკის ლოგიკა (*Le sens pratique*) – 1980 წ.
- ენა და სიმბოლური ძალაუფლება (*Ce que parler veut dire. L'économie des échanges linguistiques*) – 1982 წ.
- მასკულინური ღომინანტობა (*La domination masculine*) – 1998 წ.

### 1.1. “რეფლექსური სოციოლოგია”

ბურდიეს თანახმად, კლასიკური სოციალური თეორია ხასიათდება სუბიექტივისტურ და ობიექტივისტურ მიდგომებს შორის დაპირისპირებით. სუბიექტივისტური მიდგომა აცეცნტს სვამს აგენტების ატიტუდებზე, სურვილებსა და შეფასებებზე და სოციალურ სამყაროს განიხილავს როგორც მათ შესაბამისად მოწყობილს. პირიქით, ობიექტივივისტური თვალსაზრისი სოციალურ აზროვნებას და მოქმედებას ხსნის მატერიალური და ეკონომიკური პირობების, სოციალური სტრუქტურების ან კულტურული ლოგიკის თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი განიხილება როგორც ის, რაც პრევალირებს და განსაზღვრავს აგენტების სიმბოლურ კონსტრუქციებს, გამოცდილებასა და მოქმედებებს.

თავის ისეთ მნიშვნელოვან შრომებში როგორიცაა “პრაქტიკის თეორიის მონახაზი” და “პრაქტიკის ლოგიკა”, ბურდიე აკრიტიკებს როგორც ობიექტივიზმის ცალმხრივობას (განსაკუთრებით, ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმს), ისე სუბიექტივიზმის არაადეკვატურობას (კერძოდ, სარტრს და, ზოგადად, ფენომენოლოგიურ მიღმას). ბურდიეს აზრით, სოციალური ცხოვრება გაგებულ უნდა იქნეს ისე, რომ კანონიერი გახადოს როგორც “ობიექტური” სოციალური და კულტურული სტრუქტურები, ისე ინდივიდების მიერ შექმნილი პრაქტიკა და გამოცდილება.

საერთოდ, ბურდიე სოციალურ მეცნიერებებში ცოდნის მხოლოდ ისეთ გენერაციას ემხრობა, რომელიც თეორიული და ემპირიული კვლევის სინთეზს ახდენს. მოვუსმონოთ თავად ბურდიეს:

“მთელი ჩემი მეცნიერული ნააზრევი მართლაც იმ რწმენითაა შთაგონებული, რომ სოციალური სამყაროს ლოგიკას ყველაზე ღრმად მაშინ ჩასწოდები, თუკი ემპირიული რეალობის თავისებურებას ჩაუდრმავდები, რომელიც ისტორიულად დათარიღებული და ადგილმიჩნილია, როგორც “შესაძლებლის კერძო შემთხვევა”, როგორც გასტონ ბაშლარი ბრძანებდა, ე.ი. როგორც ფიგურის ერთი შემთხვევა შესაძლო კონფიგურაციათა სასრულ სამყაროში”.<sup>122</sup>

ბურდიესთვის მიუღებელია სოციალური მეცნიერის ისეთი პოზიცია, როდესაც ის სოციალური პროცესების ნეიტრალური, ანუ “გარედან” დამკვირვებელია. ასეთი ობიექტივიზმის პირობებში არ ხდება სოციალური ცხოვრების აღეკვატური რეპრეზენტაცია. გარედან დამკვირვებელი ქმნის რუკებს, მოდელებს და წესებს, რათა გაერკვეს მისთვის უცხო და უცხობი კულტურის თავისებურებებში. მაგრამ, ეს “ინსტრუმენტები” მკვლევრის მიერ კულტურაში შეტანილი და მისთვის თავს მოხვეული იარაღებია, რომლებიც კუტურის ნამდვილი ბუნებისაგან გვაშორებს. ბურდიე მხარს უჭერს იმას, რასაც ის “რეფლექსურ სოციოლოგიას” უწოდებს. ამ კონცეფციის მიხედვით, სოციოლოგებმა თავიანთი პოზიციის ფორმირება უნდა მოახდინონ იმ პრაქტიკებთან ზედინწესით შესაბამისობაში, რომელთა მონაწილეებსაც ისინი სწავლობენ. ამ შემთხვევაში, აქტორის მოქმედება და მკვლევრის მოქმედება ერთმანეთს ემთხვევა. ესაა დაკვირვება “შიგნიდან” და არა “გარედან”. რეფლექსურმა სოციოლოგიამ უნდა მოიცვას აქტორის “ვირტუოზულობა”, ანუ ის, რომ აქტორებს გააჩნიათ ეწ. “თამაშის გრძნობა”. ეს ნიშნავს, რომ აქტორები ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქმედებენ არა აბსტრაქტული და აპრიორული წესების მიხედვით, არამედ იმპროვიზირებულად. ისინი ფლობენ სიტუაციაში მყისიერი გარკვევის და იმის არჩევის უნარს, რაც მოცემული კონტექსტისთვის აღეკვატურია. ამით აქტორები ვირტუოზობაში მოთამაშებს ემსხავებიან. თუმცა, ბურდიე ხასგასმით მიუთითებს, რომ “თამაშის გრძნობა” არ არის ინდივიდუალისტური. ის ჩნდება სოციალური ინტერაქციებიდან, ანუ განსაზღვრულია აქტორის ჯგუფში არსებობით და ჯგუფის წევრების მხრიდან მოქმედების განსაზღვრული მსვლელობის დადასტურებით (აღიარებით). ჯგუფური მოლოდინები და ნორმები (მათთან დაკავშირებულ სანქციებთან ერთად) ქმნის სწორედ ინდივიდისათვის სტრუქტურულ კონტექსტს. ეს კონტექსტი მყარი და უცვლელი კი არ არის, არამედ ფლუიდური და ცვალებადია. სწორედ ასეთ სტრუქტურულ გარემოში ყალიბდება ინდივიდი სოციალურ არსებად. ბურდიე წერს:

“ის, რაც მთელ მექანიზმს ამოძრავებს, არ არის რაღაც აბსტრაქტული პრინციპი... და არც წესების ის წყება, რომელიც ამ პრიციპიდან გამომდინარეობს, არამედ პატივისცემის გრძნობა, განწყობა,

<sup>122</sup> ბურდიე, პ. პრაქტიკული გრძნობის წიგნში: თანამედროვე სოციალური თეორია (ქრესტომათია), თბ. 2003; (ბეჭდური ვარიანტი); გვ. 317-18.

რომელიც გამომუშავებულია ცხოვრების ადრეულ წლებში და მუდმივად მხარდაჭერილია ჯაუფის მხრიდან წესრიგის მოთხოვნით".<sup>123</sup>

მაშასადამე, ბურდიესთვის სტრუქტურა ჩართულია ყოველდღიურ პრაქტიკაში, მისი ნაწილია და მასთან ერთად "ცოცხლობს". სწორედ ამ პოზიციიდან ახდენს ბურდიე სოსიურის (საერთოდ, სტრუქტურალიზმის) დებულებების კრიტიკულ გადასინჯვას. კერძოდ, თუ სოსიურის თეორიაში კულტურა და ენა (*langue*) წინააღმდეგობაში მოდის პრაქტიკასთან და მეტყველებასთან (*parole*), ბურდიე ცდილობს ამ წინააღმდეგობის მოხსნას და ახალი მიღომის, ე.წ. კულტურული პრაქტიკის განვითარებას.

სოციალური ცხოვრების მიმართ რეფლექსური მიღომა, რომლის საშუალებითაც ბურდიე ცდილობს გადალახოს კლასიკური სოციალური თეორიის წინააღმდეგობები, ეყრდნობა სამ ფუნდამენტურ ცნებას. ესენია: "ჰაბიტუსი", "კაპიტალი" და "გელი".

## 1.2. ჰაბიტუსი

ჰაბიტუსის ცნება ცენტრალურია ბურდიეს პრაქტიკის თეორიაში.<sup>124</sup> ამ ცნების საშუალებით ბურდიე ცდილობს დაძლიოს პრაქტიკის ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო გაგება: ერთი გაგება ეკუთვნის მეთოდოლოგიურ და ონტოლოგიურ ინდივიდუალიზმს (ფენომენოლოგია), რომელიც პრაქტიკას განიხილავს როგორც მხოლოდ მაკონსტრუირებულს. მეორე გაგება დაკავშირებულია სტრუქტურალიზმთან (ლევი-სტროსი) და სტრუქტურულ-ფუნქციონალიზმთან (დიურკემი და მისი მიმდევრები), რომლის თანახმადაც პრაქტიკა მხოლოდ კონსტრუირებული შეიძლება იყოს. ბურდიესთვის სოციალური ცხოვრება (პრაქტიკა) ისეთი ინტერაქციაა სტრუქტურებს, განწყობებსა და მოქმედებებს შორის, რომელიც ორმხრივი კონსტრუირებით ხასიათდება. კერძოდ, სოციალური სტრუქტურები როგორც მოქმედების განმეორებადი ორიენტაციები ქმნის ამ სტრუქტურების შესახებ ემპირიულ (ამდენად, ლოკალურ) ცოდნას, ხოლო, ეს ცოდნა, თავის მხრივ, არის სოციალურ სტრუქტურათა მაკონსტრუირებული. ამდენად, სოციალური პრაქტიკა ისეთი ხანიერი ორიენტაციებისაგან შედგება, რომლებიც ერთსა და იმავე დროს "მასტრუქტურირებელიცა" და "სტრუქტურირებულიც". ასეთია პრაქტიკის შინაარსი. ჰაბიტუსი, ბურდიეს მიხედვით, სწორედ პრაქტიკის სტრუქტურირების უნარია. იგი ზოგადი კოგნიტური სქემების სისტემა. ესაა განწყობათა (დისპოზიციათა) სისტემა, რომელიც ობიექტურიცაა და სუბიექტურიც. ეს ნიშნავს, რომ იგი არსებობს მოქმედი სუბიექტის ("სელფის") კონსტიტუციაში, თუმცა, ამავე დროს, ინტერსუბიექტურიცაა. ჰაბიტუსი სუბიექტის (სხეულებრივ) მოძრაობებს ობიექტურ სოციალურ ძალას უთავსებს. სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ სუბიექტური აქტები "დატვირთულია" ფართო სოციალური და კულტურული მნიშვნელობებით. ინდივიდთა მოქმედება მოწესრიგებულია იმ კულტურით, რომლის წევრებიც ისინი არიან. მაშასადამე, კულტურა არ შეიძლება გაგებულ იქნეს კოლუნტარისტული გზით. მას გააჩნია ობიექტურობა, რომელიც ხელმძღვანელობს ინდივიდუალურ ცოდნას და გაგებას. ჰაბიტუსი სწორედ იმ კოგნიტურ სტრუქტურებს და "ცოცხალ" განწყობებს მოიცავს, რომლებიც

<sup>123</sup> Bourdieu, Pierre (1977): *Outline of a Theory of Practice*. Cambridge: Cambridge University Press; pp. 14-15.

<sup>124</sup> ეს ტერმინი ბურდიემ კლასიკური მემკვიდრეობიდან აიღო, კერძოდ, მაქს გებერისგან და ნორბერტ ელიასისგან.

## ახდენენ ინდივიდის მოქმედების და სამყაროზე მისი შეხედულების ორგანიზებას.

ჰაბიტუსი არ არის აპრიორული უნარი. ის ამოზრდილია ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან. უფრო ზუსტად, ჰაბიტუსის საშუალებით ინდივიდები ახდენენ ობიექტური სოციალური პირობების ინტერნალურ ზებას. ინდივიდები თავიანთი სოციალური პოზიციის შესაბამის სოციალურ პრაქტიკებს ასრულებენ. მაშასადამე, ჰაბიტუსი იძალება იმ სტრუქტურული სოციალურ-ეკონომიკური პოზიციებიდან, რომლებშიც ინდივიდები საკუთარ თავს ნახულობენ. ბურდიე წერს:

„კოგნიტური სტრუქტურები, რომელთა იმპლიმენტაციასაც სოციალური აგენტები ახდენენ სოციალური სამყაროს შესახებ მათ პრაქტიკულ ცოდნაში, ინტერნალური სოციალური სტრუქტურებია“.<sup>125</sup>

თუმცა, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ჰაბიტუსი, ბურდიეს მიხედვით, სოციალური პრაქტიკის რეგულაციის ერთ-ერთი სახეა, განსხვავებული ისეთი სახეებისაგან, როგორიცაა ექსპლიციტური ნორმები ან რაციონალური კალკულაცია. ჰაბიტუსის სპეციფიკა იმაშია, რომ ის პრაქტიკებს ქმნის არაცნობიერი, განუზრახველი გზით. ისაა *modus operandi* (ოპერაციის ნაირსახეობა), რომელიც არ არის ცნობიერად მოწყობილი, სპონტანობაა – ცნობიერების ან თუნდაც ნების არსებობის გარეშე. მაშასადამე, პრაქტიკა ჰაბიტუსის მიერ სტრუქტურირების უშუალო და გათვლილი რეზულტატი კი არ არის, არამედ იმპროვიზირებული პროცესის შედეგია. ჰაბიტუს ბურდიე სტრუქტურირების იმპროვიზირების უნარსაც უწოდებს. იგი ფუნქციონირებს არაცნობიერ დონეზე. შესაბამისად, ინდივიდები რუტინულად ახდენენ ობიექტური პირობების ინტერნალურებას. ამგვარი ბუნების გამო, ჰაბიტუს ეკისრება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი რეგულაციური როლი იმ საზოგადოებებში, სადაც ცოტა რამაა კოდიფიცირებული. შესაბამისად, იგი ნაკლებად მნიშვნელოვანია რაციონალიზებულ, კოდიფიცირებულ, მაღალი ხარისხით დიფერენცირებულ საზოგადოებებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰაბიტუსთან დაკავშირებით ჩნდება კონტრარგუმენტი: თუ ის სპონტანური და არარაციონალიზებულია, მაშინ როგორ შეუძლია მას უხელმძღვანელოს მეცნიერულ გამოკვლევას, რომლისთვისაც აუცილებლად დამახასიათებელია ცნობიერი თვითმონიტორინგი და რაციონალური თვითანალიზი? რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს მეცნიერებას ჰაბიტუსის არაცნობიერ, ნების არმქონე სტრატეგიაში?

ამ არგუმენტის საპასუხოდ, საჭიროა გაიფანტოს ერთი მნიშვნელოვანი გაუგებრობა: ჰაბიტუსის კვლევა იმ აზრით, რომ იგი არაცნობიერად და განუზრახველად აწარმოებს სოციალურ პრაქტიკებს, არ ნიშნავს იმას, რომ მისი ვალიდურობა შემოფარგლულია არადიფერენცირებული და არარაციონალიზებული სოციალური დროითა და სივრცით. არსებობს სპეციალიზებული პრაქტიკები, რომელთა შესრულება არ მოითხოვს ცნობიერ გამიზნულობას და განზრახულ მოძრაობებს და რეგულირებულია ინტეგრირებული (ინკორპორირებული) განწყობებით. ასეთია, მაგალითად, ყველა ის პრაქტიკა, რომელიც დაფუძნებულია დასწავლილ სხეულებრივ მოძრაობებზე: მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, მანქანის მართვა, ბეჭდვა, კვალიფიცირებული ხელსაქმე (მაგ., ქსოვა) და ა.შ. შესაძლებელია, ამავე წესით,

<sup>125</sup> Bourdieu, Pierre (1984):*Distinction: A Social Critique of the Judgement of Taste*. London: Routledge; p. 468.

ვისაუბროთ ისეთ პრაქტიკებზე, რომლებიც მოითხოვს სიმბოლოებით მანიპულაციას. მაგალითად, წერა, გეომეტრიული დასაბუთების აგება და სხვ. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს მოქმედებები სრულდება მხოლოდ ცნობიერად და განზრახული წესრიგით. მწერალიც და მეცნიერიც აუცილებლად მოიხმარენ მეტანსტრუმენტებს: მწერალს ეხმარება რიტმისა და ფრაზეოლოგიის (დიქციის) “მოსმენა”, ხოლო მეცნიერს – არგუმენტების “შეგრძნება”.

ამდენად, ჰაბიტუსი არის სტრუქტურისა და მოქმედებისა, საზოგადოებისა და ინდივიდის დინამიკური გადაკვეთა. აგენტის მოქმედება, ერთი მხრივ, ობიექტურად კოორდინირებული და რეგულარული წესების პროდუქტია, ხოლო, მეორე მხრივ, გაუცნობიერებელი და იმპროვიზირებული.

ბურდიე თავისებურად სცემს პასუხს კითხვაზე: რა იგულისხმება სოციალური (ან სოციოლოგიური) “თეორიის” ქვეშ? ლოგიკურ ტერმინებში გამოთქმული პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: თეორია ლოგიკური ერთეულების (ცნებების, ცვლადების, აქსიომების, წინადადებების და სხვ.) სტრუქტურაა; ამ ერთეულებს ახასიათებს გარკვეული ლოგიკური თვისებები (ზოგადობა, აბსტრაქტულობა, სიზუსტე და სხვ.) და იმყოფებიან ერთმანეთთან გარკვეულ ლოგიკურ ურთიერთობაში (იგივეობა, დაპირისპირებულობა, იმპლიკაცია და ა.შ.); ამ ერთეულებზე შესაძლებელია გარკვეული ლოგიკური ოპერაციების (დედუქცია, გენერალიზაცია, კოდიფიკაცია და სხვ.) ჩატარება. ბურდიე მიიჩნევს, რომ თეორიის ასეთ ლოგოცენტრულ ინტერპრეტაციას არ შეუძლია ნათელყოს მისი პრაქტიკული მიმართულება და მწარმოებლური (გენერაციული) ძალა. თეორიის პრაქტიკული ეფექტურობის ნათელყოფა მხოლოდ მის სოციოლოგიურ ინტერპრეტაციას შეუძლია. ამ ინტერპრეტაციის თანახმად, თეორია მხოლოდ მაშინაა ლეგიტიმური, თუ ის იმართება პრაქტიკული და არა თეორიული ლოგიკით, თუ ის შედგება ინტერნალიზებული განწყობებისაგან (დისკონტინუიტაცია) და არა კოდიფიცირებული წინადადებებისაგან. ანუ, ბურდიეს მიხედვით, თეორია მხოლოდ მაშინ ხდება დირეგული, თუ ის გაჯერებულია (განსაზღვრულია) სოციოლოგიური ჰაბიტუსის მიერ. ნებისმიერი ჰაბიტუსის მსგავსად, სოციოლოგიური ჰაბიტუსი არის ხანიერი და მობილური განწყობების (დისკონტინუიტაციის) სისტემა, რომელიც ქმნის და არეგულირებს პრაქტიკათა უსასრულო გარიაციებს. ჰაბიტუსი განსაზღვრავს იმ პრობლემებს, რომლებიც წამოიჭრება, გვთავაზობს ახსნას და პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტებს (კონცეპტუალურს, მეთოდოლოგიურს ან სტატისტიკურს).

ამრიგად, სოციოლოგიური ადქმა შეიძლება იმართებოდეს ჰაბიტუსის შემადგენელი განწყობებით. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია განისაზღვროს განწყობათა სერია, რომლებიც მოახდენს სოციოლოგიური ადქმისა და პრაქტიკის სტრუქტურირებას. ანუ, ჰაბიტუსმა წარმართოს კონკრეტული სოციოლოგიური პრაქტიკა – მისცემს მას მიმართულება, პრობლემატურად მიიჩნიოს ის, რაც სხვებს ცხადად მიაჩნიათ, სტრუქტურირებული პატერნები ჩათვალოს უწესრიგო ვარიაციებად, ფოკუსირება მოახდინოს ნიშნებზე, რასაც სხვები უმნიშვნელოდ ჩათვლიდნენ და ა.შ.

თუმცა, ბურდიეს თანახმად, ეს არ ნიშნავს, რომ სოციოლოგიური სამუშაო იმართება ან უნდა იმართებოდეს მხოლოდ ჰაბიტუსის მიერ. უფრო პირიქით: ჰაბიტუსის “განუზრახველი შემოქმედებითობა” არის და უნდა ბალანსირდეს, გაკონტროლდეს და კორექტირდეს სხვა რეგულაციური ხერხებითა და მექანიზმებით. ამგვარი რეგულაცია აუცილებლად მოითხოვს ჰაბიტუსის ობიექტივირებული პროდუქტის არსებობას. ასეთი პროდუქტი შეიძლება იყოს

დაწერილი, ან სხვა ხერხით ჩანიშნული ტექსტი, რომელიც დიადინსპექციისათვის. დაწერილი პროდუქცია შესაძლებელს ხდის “დაგუბრუნდეთ იმას, რაც უკვე ითქვა ვინმეს მიერ”, რაც, თავის მხრივ, “დისკურსის თანმდევი მომენტების მიმართ კონფრონტაციის შესაძლებლობას იძლევა”. ნაწერი ახდენს პრაქტიკის სინქრონიზირებას და, ამდენად, შესაძლებელს ხდის გაკონტროლდეს პრაქტიკების თანმდევი მომენტები. ამდენად, ლოგიკური კონტროლი ამავდროულად სოციალური კონტროლიც არის. კონტროლის შემდგომი გაუმჯობესება ხდება პუბლიკაციის მეშვეობით. კოდიფიცირებული, საჯარო ნაწერი, ბურდიეს თანახმად, სოციალური და ლოგიკური კონტროლის ეფექტური საშუალებაა. კოდიფიცირება ნიშნავს იმას, რომ შემოტანილ იქნეს “ექსპლიციტური ნორმატულობა”, “პრაქტიკული სქემა ტრანსფორმირებულ იქნეს ლინგვისტურ კოდად”, საგნები გახდეს “მარტივი, ნათელი და ტრანსმისიური”.<sup>126</sup>

თუმცა, სოციალურ და ლოგიკურ კონტროლს თავისთავად აქვს დისპოზიციური (ისევე როგორც ტექნიკური და ინსტიტუციური) საფუძველი. ნაწერი (მით უფრო, კონდენსირებული და კოდიფიცირებული) შეადგენს თეორიების, ანუ “ანალიტიკური პარადიგმების” (მერტონი) შინაარსს. მათი კონტროლის ეფექტური განხორციელება დამოკიდებულია მეცნიერული სფეროს პატერნებზე (ეტალონებზე), რასაც ბურდიე “კრიტიკულ ან რეფლექსურ განწყობას” უწოდებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციოლოგიური ჰაბიტუსის სოციალური და ლოგიკური კონტროლი, უნდა “აიგოს” თავად ჰაბიტუსში. მეცნიერული ჰაბიტუსი სხვა ჰაბიტუსებისაგან განსხვავდება სწორედ რეფლექსურობით, შესაბამისად, რეფლექსურობაა ის, რაც განასხვავებს მეცნიერებას სხვა პრაქტიკებისაგან. რეფლექსურობას შეუძლია და უნდა იყოს ინკორპორირებული ჰაბიტუსში, დისპოზიციის ფორმაში, რათა განახორციელოს მისი საკუთარი პროდუქტების მონიტორინგი და ჩაწვდეს ცოდნის წარმოების საკუთარ პრინციპებს. ეს ნიშნავს, რომ კრიტიკიზმს და ცოდნის ზრდას აქვს დისპოზიციური, ისევე როგორც ინსტიტუციური, საფუძველი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ჰაბიტუსის არაცნობიერი სამუშაოს რეფლექსური რეგულაცია სრულდება როგორც თავად ჰაბიტუსის შემაღებელი ნაწილი.

### 1.3. ჰაბიტაცია

“ჰაბიტაცია” ცნება ბურდიესთან შორსაა მარქსისტული და, საერთოდ, ფორმალურ-ეკონომიკური გაგებისაგან. იგი ადნიშნავს ადამიანის უნარს, აკონტროლოს როგორც საკუთარი, ისე სხვათა მომავალი. ამ აზრით, ჰაბიტაციი ძალაუფლების ფორმაა. ამავე დროს, ამ ცნებას მედიატორული ფუნქცია აქვს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის. ერთი მხრივ, სოციეტალურ დონეზე, საზოგადოების სტრუქტურირება ხდება ჰაბიტაციის განსხვავებული განაწილებით. მეორე მხრივ, ინდივიდების დონეზე, ისინი იბრძვიან, რომ მოახდინონ საკუთარი ჰაბიტაციის მაქსიმიზირება (ანუ, აგენტებს სურთ სარგებლობის მაქსიმიზაცია იმ სოციალური პოზიციიდან გამომდინარე, რომელიც მათ უკავიათ ამა თუ იმ ველში). ჰაბიტაციი, რომლის აკუმულირებასაც ისინი ახერხებენ, განსაზღვრავს მათ სოციალურ ტრაქტორიას (ანუ, მათ ცხოვრებისეულ შანსებს); უფრო მეტიც, ჰაბიტაციი, აგრეთვე, ახდენს კლასობრივი განსხვავებების რეპროდუცირებას.

<sup>126</sup> Bourdieu, Pierre (1990): *In Other Words: essays toward a reflexive sociology*, trans. M. Adamson. Cambridge: Polity; Stanford: Stanford University Press; pp. 98-99.

ბურდი განასხვავებს **სამი ტიპის** კაპიტალს: სოციალურს, კულტურულს და ეკონომიკურს. ეკონომიკური კაპიტალი კაპიტალის ყველაზე უფრო ეფექტური ფორმაა. იგი, როგორც კაპიტალიზმის მახასიათებელი, შეიძლება გამოიხატოს ზოგადი, ანონიმური, უნივერსალური და კონვერტირებადი ფულადი ერთეულის სახით, რომელიც გადაეცემა ერთი თაობიდან მეორეს. ეკონომიკური კაპიტალის კონვერტირება უფრო ადვილად შესაძლებელია სიმბოლურ, ანუ სოციალურ და კულტურულ კაპიტალში. თუმცა, შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს, ანუ სიმბოლური კაპიტალი, საბოლოო ანგარიშით, ტრანსფორმირდეს ეკონომიკური კაპიტალის სახით. ეკონომიკური კაპიტალის ფლობა საზოგადოებაში კლასობრივი განსხვავებულობის საფუძველია. ბურდი ამ საკითხში მარქსს ენათესავება და ეკონომიკურ კაპიტალს კულტურისა და ისტორიის მატერიალურ დეტერმინანტად მიიჩნევს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკაა არსებითი განმსაზღვრელი, ბურდი მიიჩნევს, რომ ის უნდა იყოს სიმბოლურად გაჯერებული (შეფასებული). საქმე ისაა, რომ ეკონომიკური კაპიტალი ახდენს ძალაუფლებისა და სიმდიდრის ღია პრეზენტაციას და ააშკარავებს მათი განაწილების სუბიექტურ (თვითნებურ) ხასიათს. სიმბოლური კაპიტალის ფუნქცია, რომ შენიდბოს მმართველი კლასის ეკონომიკური დომინაცია და ამით გამოწვეული ლეგიტიმური იერარქია. ამას ის ახერხებს იმით, რომ ახდენს სოციალური პოზიციის (სტატუსის) გამნიშვნელოვანებას და ნატურალიზებას. ეს ნიშნავს, რომ არაეკონომიკური ველები კლასობრივი ურთიერთობების გამოხატვას, რეპროდუცირებასა და ლეგიტიმაციას არაიდენტიფიცირების (misrecognition) საშუალებით ახდენს. კლასი და სტატუსი, რომელიც კატეგორიულად გაყო ვებერმა, ბურდიესთან ურთიერთდაკავშირებული ხდება (მაშასადამე, სტატუსს განსაზღვრავს სიმბოლური კაპიტალი, ხოლო კლასობივ კუთვნილებას – ეკონომიკური).

#### 1.4. ველი

“ველის” ცნება ბურდიესთან გულისხმობს სოციალურ პოზიციათა მულტიგანზომილებიან სივრცეს, რომელშიც აგენტებს განსხვავებული პოზიციები უკავიათ. ველი ქმნის ფართო ინსტიტუციურ გარემოს, სტრუქტურას იმ სოციალური ურთიერთობებისათვის, რომლებშიც ინდივიდია ჩართული. ბურდი აცხადებს, რომ სოციალურ ურთიერთობათა სტრუქტურა არ არის “მიბმული” ველში ჩართულ ინდივიდებზე. ეს სტრუქტურა არსებობს ინდივიდებისაგან დამოუკიდებლად და განსაზღვრავს მათ შორის ბრძოლას. მაშასადამე, ველს აქვს ობიექტური სტატუსი. ბურდი წერს:

“ის, რაც არსებობს სოციალურ სამყაროში, ურთიერთობებია – არა ინტერაქციები აგენტებს შორის და ინტერსუბიექტური კავშირები ინდივიდებს შორის, არამედ ობიექტური ურთიერთობები, რომლებიც არსებობს, როგორც მარქსი ამბობს, „ინდივიდუალური ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად”... ანალიტიკური აზრით, ველი შეიძლება განისაზღვროს როგორც პოზიციათა შორის ობიექტურ ურთიერთობათა ქსელი, ან კონფიგურაცია”.<sup>127</sup>

პაბიტუსი ველში თამაშობს მნიშვნელოვან როლს, რამდენადაც ეფექტურად აკავშირებს ინდივიდს ველში მის პოზიციასთან და უზრუნველყოფს, რომ ინდივიდმა, ადეკვატური მოქმედებების საშუალებით, მოახდინოს მისი პოზიციის კვლავწარმოება. თავის მხრივ, ეს პოზიცია განსაზღვრულია კაპიტალის შესაბამისი ფორმის განაწილებით. სოციალურ პოზიციათა ბუნება და რანჟირება იცვლება სოციალურად და ისტორიულად.

<sup>127</sup> Bourdieu, Pierre, and Wacquant, Loic J. D. (1992): *An Invitation to Reflexive Sociology*. Cambridge: Polity Press; p. 97

ველის ცნების შემოტანით ბურდიე ცდილობს გააღრმავოს ჰაბიტუსის გაგება. ის აჩვენებს, თუ როგორ ხდება ველში ჯგუფების ბრძოლა უპირატესობისთვის და სოციალური გამორჩეულობისთვის. მაგალითად, მუშათა კლასის ეკონომიკური პოზიცია განაპირობებს იმას, რომ ისინი ბურუაზიულ ჩვეულებებს უპატივცემულოდ მოექცნენ. მაშასადამე, მუშათა კლასის ჰაბიტუსი დაკავშირებულია ველში მის ეკონომიკურ პოზიციასთან და ახდენს ინდივიდის მოქმედების და მისი შეხედულებების ორგანიზებას. სხვა მხრივ, მაღალი კლასის ჯგუფები მათ ქვემოთ მდგომებს, როგორც წესი, მიიჩნევენ უკულტურო და უგემონო სტატუსის მატარებლად. ამავე დროს, ვიდრე მაღალი სტატუსის ქვემო ჯგუფები ცდილობენ გარკვეული კულტურული პრაქტიკების მონოპოლიზებას, დაქვემდებარებული ჯგუფები ესწრაფვიან დაეუფლონ ამ პრაქტიკებს, რათა დაასუსტონ მაღალი ჯგუფების სტატუსი და მათი გამორჩეულობა. მაგალითად, ძვირი მოდური სამკაულების შემენას საშუალო კლასის ჯგუფების მიერ შეიძლება ამოძრავებდეს განზრახვა, რომ მოხდეს მათი იმიტირება მდიდრებობა და ცნობილებობან და, შესაბამისად, თანდათან დაიკარგოს მაღალი კლასის გამორჩეულობა.

თითოეული ველი ნახევრად ავტონომიურია და ჰყავს საკუთარი მაღალი აგენტები აგენტები (მაგ., სტუდენტები, მწერლები, მეცნიერები და ა.შ.) და მათი ველები. მაგალითად, მეცნიერება ქმნის “ველს”, რომელიც მოიცავს მეცნიერთა მიერ აგებულ კონსტრუქციებს და მეცნიერული ქცევის მოტივაციებს. თითოეული ველი ახდენს საკუთარი ისტორიის კონდენსირებას, მოქმედებს საკუთარი ლოგიკით და გააჩნია კაპიტალის საკუთარი ფორმები. თუმცა, როგორც აღინიშნა, ველები არ არიან ურთიერთშეუღწევადი. კაპიტალი, რომელიც დაგროვილია ერთ ველში, შეიძლება გადავიდეს (ტრანსფერირდეს) მეორეში. მეტიც, ცალკეული ველი ჩართულია ძალაუფლების ინსტიტუციურ ველში ან, უფრო ზოგადად, კლასობრივ ურთიერთობათა ველში. თითოეული ველი ბრძოლის არენაა. ბრძოლა მიმდინარეობს მოცემული ველების შიგნით და ველებს შორის ძალაუფლებისათვის.

ბურდიეს აზრით, სოციალური გამორჩეულობისათვის ბრძოლა ემპირიულად შემოწმებადი პროცესია, რომელსაც ბურდიე აღწერს თავის წიგნში: “განსხვავება: გემოვნების განსჯის სოციალური კრიტიკა”:

\* \* \*

ბურდიე ერთმანეთთან აკავშირებს ზემოაღნიშნულ სამ ცნებას. სოციალური პრაქტიკა მისთვის სხვა არაფერია, თუ არა კლასის ჰაბიტუსსა და არსებულ კაპიტალს შორის ინტერაქცია, რომელიც რეალიზდება მოცემული ველის სპეციფიკური ლოგიკის ფარგლებში. აგენტის კაპიტალი, თავის მხრივ, არის ჰაბიტუსის პროდუქტი, ხოლო ესა თუ ის სპეციფიკური ველი – ობიექტივირებული ისტორია, რომელიც რეალურს ხდის იმ აგენტების ჰაბიტუსს, რომლებიც ამ ველში ოპერირებენ. მაშასადამე, ყოველ წუთას ხდება პრაქტიკაში ჰაბიტუსის “გაცოცხლება”. ჰაბიტუსი თვითრეფლექსურია, იგი თავის თავს აღმოაჩნის ხორცშესხმული და ობიექტივირებული ისტორიის სახით.

ამ სამი ცნების საფუძველზე ბურდიე ცდილობს სოციალური ცხოვრების მიმართ რეფლექსური მიდგომის შემუშავებას, რომელიც ააშკარავებს სოციალური სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული განწყობებისა და ატიტუდების წარმოვების პირობების თვითნებურ ხასიათს. ასეთი მიდგომა

მიბმულია ემანსიპაციის ცნებასთან. ბურდიეს თანახმად, ადამიანთა ცხოვრების შესწავლა მხოლოდ იმიტომ დირს, იგი ეხმარება აგენტებს, ჩაწვდნენ თავიანთი მოქმედებების საზრისს. რეფლექსური მიდგომა ცდილობს ნათელყოს უთანასწორობის სოციალური და კულტურული საფუძველი არააღეკვატურობის (misrecognition) პროცესების ანალიზის მეშვეობით, ანუ, იმის გამოკვლევით, თუ როგორ შეუძლია გადაფაროს დომინანტური ჯგუფების პაბიტუსმა მათდამი სუბორდინაციის პირობები, რასაც ბურდიე “სიმბოლურ აგრესიას” (symbolic violence) უწოდებს.

რეფლექსური მიდგომა ერთადერთი ადეკვატური მიდგომაა ბურდიესათვის. მისთვის წარმოუდგენელია არსებობდეს ნეიტრალური, “დაუინტერესებელი” პერსპექტივა. თავად ბურდიეც არ არის მხოლოდ საზოგადოების ანალიტიკოსი, იგი, ამავე დროს, მისი აქტორიცაა. ბურდიესათვის რეფლექსურობა ნებისმიერი კრიტიკული სოციალური თეორიისათვის აუცილებელი პირობაა.

## §2. ენტონი გიდენსის “სტრუქტურაციის თეორია”

ბიოგრაფიული ცნობები:

ენტონი გიდენსი (Anthony Giddens) დაიბადა 1938 წელს ედმონტონში (ჩრდილოეთ ლონდონი). 1956-59 წლებში იგი იდებს სოციოლოგიისა და ფიქტურულოგიის ბაკალავრის სარისხს პულის უნივერსიტეტში (*University of Hull*). სამაგისტრო ხარისხს სოციოლოგიაში იცავს 1959-61 წლებში ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში (*LSE*), ხოლო 1976 წელს ხდება კემბრიჯის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი. ლექციების წაკითხვას გიდენსი იწყებს ლისესტერის უნივერსიტეტში (*University of Leicester*), სადაც მოღვაწეობს 1961-70 წლებში; 1967-68 წლებში პროფესორის ასისტენტად იწვევენ სიმონ ფრეზერის უნივერსიტეტში (*Simon Fraser University*) (ვანკუვერი, კანადა), ხოლო 1968-69 წლებში – კალიფორნიის უნივერსიტეტში (*UCLA*) (ლოს-ანჯელესი, აშშ). 1970 წლიდან იგი იწყებს მუშაობას კემბრიჯის უნივერსიტეტში ჯერ ლექტორად (*Reader*), ხოლო შემდეგ – პროფესორად. 1997 წელს გიდენსი დაინიშნა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის (*LSE*) დირექტორად და ეს პოსტი 2003 წლამდე, გიდენსი არის თანადამარსებელი (1985 წელს) და დირექტორი საქვეყნოდ ცნობილი გამომცემლობისა *Polity Press Ltd.*

გიდენსი 35 წიგნის ავტორია, რომლებიც გამოვლენებულია 30 ენაზე. სოციოლოგიაში მის მიერ დაწერილი სახელმძღვანელო დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარულია. გარდა ამისა, მას ეკუთვნის 200-ზე მეტი სამცნიერო სტატია.

ე. გიდენსის ძირითადი შრომები:

- კაპიტალიზმი და თანამდეროვე სოციალური თეორია (*Capitalism and Modern Social Theory*) – 1971 წ.
- სოციოლოგიური მეთოდის ახალი წესები (*New Rules of Sociological Method*) – 1976 წ.
- საზოგადოების აგებულება (*The Constitution of Society*) – 1984 წ.
- მოდერნულობის შედეგები (*The Consequences of Modernity*) – 1990 წ.
- მოდერნულობა და თვითიდენტობა (*Modernity and Self - Identity*) – 1991 წ.
- ინტიმურობის ტრანსფორმაცია (*The Transformation of Intimacy*) – 1992 წ.
- მესამე გზა (*The Third Way*) – 1998 წ.

"სტრუქტურაციის თეორიის" შექმნამდე გიდენსი ითვლებოდა ეთნომეთოდოლოგიური პრობლემატიკის მკვლევრად. 1976 წელს, როდესაც ეს თეორია პირველად ჩნდება ასპარეზზე, ჩნდება მისი ფუნდამენტური პრეტენზიაც – გადაიჭრას სოციოლოგიისათვის ტრადიციული დუალიზმები: მოქმედება/სტრუქტურა, სუბიექტი/ობიექტი, მიკრო/მაკრო, ვოლუნტარიზმი/დეტერმინიზმი, სინქრონია/დიაქრონია. ამ ამოცანის განხორციელებაში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სოციალური პრაქტიკის (ანუ, როგორც გიდენსი უწოდებს სოციალური "პრაქსისის") ახლებური გაგება, რომელიც "სტრუქტურაციის თეორიას" ეთნომეთოდოლოგიისაგან გამოარჩევს.

### 2.1. სოციალური "პრაქსისის" გაგება

სოციალურ "პრაქსის" გიდენსი ზოგადად განსაზღვრავს როგორც სოციალური ცხოვრების წარმოებისა და კვლავწარმოების პროცესს. ეთნომეთოდოლოგებისაგან განსხვავებით, გიდენსი პრაქტიკას განიხილავს როგორც უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ ლოკალურად და სიტუაციურად განსაზღვრულ ქცევას. ყველა პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ იგი ლოკალურად არსებობს, ხელს უწყობს სისტემური ურთიერთობებისა და სტრუქტურული ეტალონების წარმოებას. მაშასადამე, სოციალური "პრაქსისი" მედიუმია სტრუქტურასა და აქტორს შორის. მან თავიდან უნდა აიცილოს სუბიექტს (სოციალურ აქტორს) და ობიექტს (სოციალური ქცევის დადგენილ ფორმებს, ანუ სტრუქტურებს) შორის დაპირისპირება. კერძოდ, ის არის გზა, რომლის საშუალებითაც სუბიექტის აქტივობა ობიექტურ მოცემულობად იქცევა, მაგრამ

რომელიც, თავისთავად აღებული, არც ერთია და არც მეორე. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სოციალური პრაქსისი, გიდენსის აზრით, საშუალებას იძლევა, რომ სტრუქტურა როგორც კოლექტიურობის სოციეტალური ფორმა, მოქმედებისა და სიტუაციის გარეთ კი არ იქნეს “გატანილი” (მათი დეტერმინანტის სახით), არამედ ჩაერთოს მოქმედების პერფორმაციის პროცესში. სწორედ ამიტომად, რომ გიდენსი ტერმინს “სტრუქტურა” ანაცვლებს ტერმინით “სტრუქტურაცია”. “სტრუქტურაცია” აღნიშნავს რეალურ პროცესს, ხოლო “სტრუქტურა” მხოლოდ ანალიტიკური აბსტრაქციაა, “მეხსიერების ნაკვალევია”. როგორც ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავს, გიდენსის მიზანია, “სტრუქტურის სტატიკური ცნება სტრუქტურაციის დინამიკურ კატეგორიად გარდაქმნას”.<sup>128</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული სოციალური პრაქტიკა ნარჩუნდება, ანუ მეორდება, ადგილი აქვს პრაქტიკათა კვლავწარმოებას (რეპროდუცირებას), რაც სოციალური ინსტიტუტების, ანუ რუტინების არსებობის პირობაა. სოციალური ინსტიტუტების, ანუ რეპროდუცირებული პრაქტიკების ფარგლებში აქტორები თავიანთ ქცევას განიხილავენ როგორც თავისთავად ნაგულისხმეული (taken for granted). რუტინული სოციალური პრაქტიკა გამორიცხავს სოციალური ცვლილებების შესაძლებლობას. სოციალური ცვლილება მოითხოვს ხანიერი სოციალური პრაქტიკის შეწყვეტას, ანუ პრაქტიკის ტრანსფორმაციას. სოციალურ ინსტიტუტებს ყოველთვის გააჩნია კონტექსტი. კონტექსტუალობა დაკავშირებულია დრო-სივრცეული ინტერაქციის განლაგებასთან და მოიცავს ინტერაქციის საზღვრებს, აქტორთა თანაყოფნას (ძირითადად, ფიზიკურს, თუმცა, შესაძლოა, კირტუალურსაც) და მათ შორის კომუნიკაციას.

როდესაც სოციალური ინსტიტუტების მოდელირება ხდება დროსა და სივრცეში, მაშინ სახეზეა სოციალური სისტემა. სისტემა ეხება ყველა სახის შიდა ჯგუფური ურთიერთობების ეტალონებს – პატარა ჯგუფებიდან დაწყებული, სოციალური ქსელებით და ფართო ორგანიზაციებით დამთავრებული. გიდენსი ერთმანეთისაგან განასხვავებს სოციალურ ინტეგრაციას და სისტემურ ინტეგრაციას. სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს წესრიგს, რომელიც შექმნილია პირისპირ ინტერაქციის შედეგად. თუმცა, აქტორები შეიძლება ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებდნენ არაპირდაპირი გზითაც, ანუ ინტერაქცია გაშუალებული იყოს დროითი ინტერვალით და სივრცული დისტანციით. ამ ტიპის ინტერაქცია შესაძლებელი გახდა ელექტრონული კომუნიკაციებისა და მექანიკური ტრანსპორტირების პირობებში, როდესაც ინტერაქცია გაცდა ლოკალურ მოცემულობას და გადაინაცვლა სფეროში, რომელიც მოიცავს “არდამსწრე” აგენტებს შორის ურთიერთობათა ქსელს. სოციალური ინტეგრაცია მოქმედების დონეა, ხოლო სისტემური ინტეგრაცია – სოციეტალური დონე. გიდენსის სურს დაასაბუთოს ამ ორი დონის ურთიერთკავშირი.

## 2.2. სტრუქტურა და “სტრუქტურის დუალობა”

გიდენსი ამტკიცებს, რომ სოციალური პრაქტიკა ხორციელდება განსაზღვრული წესებისა და რესურსების საფუძველზე. წესებს პრაქტიკათა მაწარმოებლის ფუნქცია ეკისრება. არსებობს: ა) პროცედურული წესები, რომლებიც მიუთითებს, თუ როგორ შესრულდეს, კონსტრუირდეს მოქმედება და ბ) მორალური წესები,

<sup>128</sup> Sztompka, P. (1994): Evolving Focus on Human Agency in Contemporary Social Theory. In: P.Sztompka (ed.) Agency and Structure, Reorienting Social Theory. Gordon and Breach; p. 39.

რომლებიც მიუთითებს, თუ რა არის საჭირო ნორმატული ქმედების უზრუნველსაყოფად. კონცეფცია ქცევის წესების შესახებ უკავშირდება "საზიარო ცოდნის" (*mutual knowledge*) ცნებას, რომელიც მარტივად გულისხმობს ცოდნას იმისა, თუ როგორ მოვიქცეთ. საზიარო ცოდნას ინაწილებს ყველა, ვინც ჩართულია სოციალური პრაქტიკების შესრულებაში. გიდენსი აღნიშნავს, რომ ეს ცოდნა ბოლომდე არ დაიყვანება ქცევის რომელიმე საეციფიკურ სიტუაციამდე. ეს მიუთითებს ქცევის წესების ტრანსსიტუაციურ ბუნებაზე: უამრავმა აქტორმა, სრულიად განსხვავებულ გარემოებაში, შეიძლება გამოიყენოს საზიარო ცოდნის ერთი და იგივე ფორმა. გარდა ამისა, წესების შესახებ ცოდნა იმპლიციტურიც შეიძლება იყოს (მაგალითად, ასეთია წესები, რომლებსაც საუბრის დროს ვიცავთ, თუმცა, იშვიათდ ვფლობთ დისკურსულ ცოდნას მათ შესახებ).

რაც შეეხება რესურსებს, გიდენსი გამოყოფს ორი ტიპის – მატერიალურ/ალოკაციურ (*allocative*) და ძალაუფლებით/ადმინისტრაციულ (*authoritative*) – რესურსებს. მატერიალური რესურსები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აქტორებმა გამოიყენონ მატერიალური ობიექტები: ტექნიკური იარაღები, წარმოების, გაცვლის საშუალებები, ნედლი მასალები და სხვ. ძალაუფლებით რესურსები არამატერიალური რესურსებია, რომლებიც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ აქტორებმა გავლენა მოიპოვონ პიროვნებებზე. მათ მიეკუთვნება: სოციალური დროისა და სივრცის ორგანიზაცია, თვითგანვითარებისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობები და სხვ.

წესებსა და რესურსებს „შეაქვს“ **სტრუქტურა** სოციალური ცხოვრების ქმნადობა-წარმოების პროცესში. გიდენსი სტრუქტურას განსაზღვრავს სწორედ წესებისა და რესურსების თვალსაზრისით, რომელიც შესაძლებელს ხდის მოქმედების განხორციელებას. თუმცა, სტრუქტურა არა მხოლოდ პრაქტიკათა კვლავწარმოების საშუალებაა (მუდიუმია), არამედ მიხი შედეგიც. სწორედ ამაში მდგომარეობს **„სტრუქტურის დუალობის“** არსი. გიდენსი შეგნებულად ხმარობს ტერმინს „დუალობა“ (*Duality*) და არა „დუალიზმი“, რამდენადაც მას მხედველობაში აქვს სტრუქტურის არა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თვისება (სწორედ ამ შემთხვევაში მივიღებდით დუალიზმს), არამედ ერთი და იგივე პროცესის ორი ანალიტიკური განზომილება. გიდენსი წერს:

**„სტრუქტურაციის თეორია მოიცავს სტრუქტურის დუალობას, რომელიც კავშირშია სოციალური ცხოვრების ფუნდამენტურად განახლებად ხასიათთან და გამოხატავს სტრუქტურისა და საქმიანობის ურთიერთდამოკიდებულებას. სტრუქტურის დუალობის ქვეშ მე ვგულისხმობ იმას, რომ სოციალური სისტემების სტრუქტურული თვისებები წარმოადგენს სოციალურ სისტემათა შემადგენელი პრაქტიკების როგორც მედიუმს, ისე შედევს!“<sup>129</sup>.**

მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი: როდესაც, ჩვეულებრივ, სწორად ვმეტყველებთ, ვიყენებთ (როგორც წესი, ლატენტურად) ენის გრამატიკულ წესებს, რომლებიც აუცილებელი პირობაა სწორი მეტყველებისათვის. თუმცა, მეტყველების პროცესში ჩვენ ვახდეთ ამ წესების კვლავქმნას, რეპროდუცირებას, ანუ წესები ამ პროცესის შედეგსაც წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სტრუქტურას გიდენსი განიხილავს როგორც ადამიანის „შემუშავებითუანარიანობის“ (*“knowledgeability”*) საფუძველს, რომელიც მოქმედებაში მექსეულად ერთვება.

<sup>129</sup> : Giddens, Anthony (1979): *Central Problems in Social Theory: Action, Structure, and Contradiction in Social Analysis* (London: Macmillan/Berkely: University of California Press. გვ. 69.


სტრუქტურის დუალობამ, გიდენსის აზრით, უნდა დაძლიოს დუალიზმი – “მოქმედება/სტრუქტურა”: სტრუქტურა არა მხოლოდ ქმნის მოქმედებას (ცალკე აღებული, სტრუქტურის პრიმატი), არამედ, ამავდროულად, კვლავიქმნება მოქმედების პროცესში (ცალკე აღებული, მოქმედების პრიმატი). სხვანაირად თუ ვიტყვით, ყოველდღიურ ცხოვრებაში გარკვეული ქმედებების შესასრულებლად აქტორები იყენებენ სტრუქტურის, ანუ წესებისა და რესურსების შესახებ ცოდნას, თუმცა, ამავე დროს, ახდენენ ამ ცოდნის, ე.ი. სტრუქტურის კვლავწარმოებას, შედეგის სახით. ამრიგად, მოქმედება და სტრუქტურა ურთიერთგანმაპირობებელი ფენომენებია, სტრუქტურა ჩართულია მოქმედებაში, არ არსებობს მოქმედების "გარეთ" და გარეშე.

როგორც უკვე აღინიშნა, სტრუქტურა როგორც მოქმედების წესებისა და რესურსების შესახებ ცოდნა, ანალიტიკური აბსტრაქციაა. რეალურად არსებობს მხოლოდ სტრუქტურაციის დინამიკური, დროსა და სივრცეში რეალიზებული პროცესი. ამდენად, სტრუქტურაცია სოციალური რეალობის ონტოლოგიური სუბსტრატია. მას არსებითად უკავშირდება კიდევ ერთი – რეფლექსურობის – ცნება. რეფლექსია ის გზაა, რომლის საშუალებითაც აქტორი საკუთარ მოქმედებას აკონსტრუირებს. “რეფლექსურობა”, გიდენსის მიხედვით, არ უნდა იქნეს გაგებული უბრალოდ როგორც “თვითცნობიერება”, არამედ როგორც სოციალური ცხოვრების მიმდინარე ნაკადის მაკონტროლებელი მახასიათებელი. ადამიანური აგენტების შემეცნებითუნარიანობის განსაკუთრებით რეფლექსური ფორმა ისაა, რომელიც ყველაზე ღრმადაა ჩართული სოციალური პრაქტიკების განახლებად წესრიგში.

### 2.3. აგენტის სტრატიგიკაციულ მოდელი

ის, რასაც გიდენსი მოქმედი პირის **სტრატიგიკაციულ მოდელს** უწოდებს, მოიცავს მოქმედების რეფლექსური მონიტორინგის, რაციონალიზაციისა და მოტივაციის შესწავლას.

აგენტის სტრატიგიკაციული მოდელი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისე, როგორც ეს მოცემულია ნახაზზე:<sup>130</sup>



<sup>130</sup> Giddens, Anthony (1979): *Central Problems in Social Theory: Action, Structure, and Contradiction in Social Analysis* (London: Macmillan/Berkely: University of California Press; გვ.56-7).

**მოქმედების რაციონალიზაცია** ეხება მოქმედების როგორც პროცესის “ინტენციონალობას”. დანარჩენი ორი განზომილების მსგავსად, ის არის ადამიანური ქცევის რეტინული მახასიათებელი, რომელიც თავისთავად ნაგულისხმევი გზით სრულდება. მოქმედების რაციონალიზაციის ქვეშ იგულისხმება ის, რომ აქტორები რეტინულად აღწევენ მათი მოქმედების საფუძვლების უწყვეტ “თეორიულ გაგებას”. ეს ფენომენი საბაზისოა მოქმედების ინტერპოლაციისათვის დრო-სივრცულ მიმართებებში, რასაც გიდენსი “თანაყოფნას” უწოდებს. მოქმედების რაციონალიზაცია მთავარი საფუძველია სხვათა მიერ აქტორთა “კომპეტენციის” შესაფასებლად.

**რეფლექსური მონიტორინგი** ყოველდღიური მოქმედების მუდმივი მახასიათებელია. მისი საშუალებით აქტორები არა მხოლოდ აკონტროლებენ მათი ქმედებების ნაკადის მიმდინარეობას (და ამის გაკეთებას სხვებისგანაც მოელიან), არამედ, აგრეთვე, რეტინულად აკონტროლებენ იმ სოციალურ და ფიზიკურ პირობებს, რომელთა კონტექსტშიც ისინი მოქმედებენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეფლექსური მონიტორინგი გიდენსთან არ არის ქცევის კერძო ასპექტების მიზეზების დისკურსული წვდომა. აქტორების მიერ კითხვების დასმა (ანუ, დისკურსული ცნობიერების ჩარევა) ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქცევის რაღაცა ნაწილი განსაკუთრებით ბუნდოვანია, ან როდესაც არსებობს “ჩავარდნა” მოვლენათა რეტინულ მიმდინარეობაში. მაშასადამე, ჩვეულებრივ, ჩვენ არ ვეკითხებით სხვა ადამიანს, თუ რატომაა იგი ჩართული საქმიანობაში, რომელიც საყოველთაოდ მიღებულია იმ ჯგუფის ან კულტურის მიერ, რომლის წევრიც ის არის.

გიდენსი რეფლექსურ მონიტორინგსა და მოქმედების რაციონალიზაციას განასხვავებს მოქმედების მოტივაციისაგან. თუ პირველი ორი ეხება მოქმედების საფუძვლებს, მოტივები ეხება სურვილებს, რომლებიც იწვევს მოქმედებას. მოტივაცია არ არის უშუალოდ მიბმული მოქმედების უწყვეტობასთან, როგორც მოქმედების რეფლექსური მონიტორინგი ან რაციონალიზაცია. მოტივაცია უფრო მეტად ეხება მოქმედების პირენციას, ვიდრე იმ გზას, რომლითაც მოქმედება რეტინულად სრულდება აგენტის მიერ. ჩვენი ყოველდღიური ქცევების დიდი ნაწილი არ არის უშუალოდ მოტივირებული. მოტივები მოქმედებაზე უშუალო გავლენას მხოლოდ შედარებით უჩვეულო გარემოებებში ახდენს – სიტუაციებში, რომლებიც, გარკვეული აზრით, შორდება რეტინას. უმეტეს შემთხვევაში მოტივები უზრუნველყოფს მთლიან გეგმას ან პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ქცევის ჯაჭვი სრულდება.

აგენტის სტრატიფიკაციული მოდელი მოიცავს მოქმედების **განუზრახველ შედეგებს**. რას გულისხმობს გიდენსი ამგვარი შედეგების ქვეშ?

ყოველდღიური ცხოვრება, გიდენსის თანახმად, წარმოდგება როგორც განზრახული მოქმედებების ნაკადი. ხშირად მიიჩნეოდა, რომ ადამიანის მოქმედება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ განზრახვებთან მიმართებაში. ეს ნიშნავს, რომ ქცევის ნებისმიერი ფორმა, იმისათვის, რათა მას მოქმედება ეწოდოს, უნდა განიზრახავდეს რაიმეს გაკეთებას. სხვა შემთხვევაში ქცევა მხოლოდ რეაქტიული პასუხი იქნება გამდიზიანებელზე. ზოგიერთი მოაზროვნე კიდევ უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ იმისათვის, რათა რაიმე ხდომილება მოქმედების მაგალითად ჩაითვალოს, სულ მცირე, აუცილებელია, რომ ის იყოს ინტენციონალური განსაზღვრული აღწერის ძალით, თუნდაც აგენტი ცდებოდეს ამ აღწერისას. წყალქვეშა გემის ოფიცერი, რომელსაც განზრახული აქვს შეცვალოს კურსი, ექაჩება ბერკეტს, მაგრამ, ნაცვლად ამისა, შეცდომით აწვება რა სხვა ბერკეტს, იწვევს გემის ჩაძირვას. მან რაღაც

განზრახულად გააკეთა, თუმცა, არა ის, რაც მას წარმოედგინა, შედეგად კი მისი მოქმედების გამო გემი ჩაიძირა. კიდევ, თუ ვინმე განზრახ დაღვრის ყავას და შეცდომით ფიქრობს, რომ ეს ჩაია, ყავის დაღვრა ამ ადამიანის აქტს წარმოადგენს, თუმცა, ის არ იყო ჩადენილი განზრახულად; სხვა აღწერის ფარგლებში, როგორიცაა “ჩაის დაღვრა”, იგი ინტენციონალურია.

გიდენსი მცდარად მიიჩნევს იმ თვალსაზრისს, რომ მოქმედება შეიძლება იყოს ინტენციონალური მხოლოდ გარკვეული აღწერის ძალით და სვამს კითხვას: რას ნიშნავს, რომ გააკეთო რაღაც არაგანზრახულად? არის კი ეს განსხვავებული იმისაგან, რომ არაგანზრახულად აწარმოო შედეგები? იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავს რაღაცის არაგანზრახულად გაკეთება, პირველ რიგში, ნათელი უნდა გახდეს ის, როგორ უნდა იქნეს გაგებული თავად “განზრახულის” ცნება. ამ, რას წერს გიდენსი:

“განზრახული მოქმედება მოქმედების ისეთი დახასიათებაა, როდესაც მისმა შემსრულებელმა იცის ან სჯერა, რომ ქმედებას ექნება კონკრეტული თვისება ან შედეგი და როდესაც ეს ცოდნა გამოიყენება მოქმედების ავტორის მიერ ამ თვისების ან შედეგის მისაღწევად”.<sup>131</sup>

მაშასადამე, გიდენსის აზრით, უნდა გამოვაცალკევოთ საკითხი, თუ რას “აკეთებს” აგენტი, იმისაგან, თუ რას “განზრახავს” იგი, ანუ იმის ინტენციონალური ასპექტებისაგან, რაც გაკეთებულია. **მოქმედება შეეხება კეთებას.** წარმოვიდგინოთ მოქმედებების ასეთი ჯაჭვი: ინდივიდი ჩამოკრაგს ხელს ჩამრთველს ოთახის გასანათებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს განზრახულია, ის ფაქტი, რომ ჩამრთველის ჩართვა აფრთხილებს მძარცველს – არა. დავუშვათ, რომ მძარცველს, რომელიც ქუჩაში გარბის, იქნერს პოლიციელი. მძარცველს ასამართლებენ სახლის გატეხვისათვის და იგი ერთ წელს ატარებს ციხეში. არის თუ არა ყველაფერი ეს ჩამრთველზე ხელის ჩამოკვრის აქტის განუზრახველი შედეგები? ჩამრთველზე ხელის ჩამოკვრა და სინათლის ანთება იყო რაღაც, რაც აგენტმა გააკეთა, და მძარცველის გაფრთხილებაც იყო რაღაც, რაც აგენტმა გააკეთა. ეს იყო განუზრახველი, რამდენადაც აქტორმა არ იცოდა, რომ მძარცველი სახლში იყო და ის არ ცდილა ეს ცოდნა მძარცველის გასაფრთხილებლად გამოეყენებინა. კონცეპტუალურად, განუზრახველი ქმედებები შეიძლება გამოვაცალკევოთ ქმედებების განუზრახველი შედეგებისაგან, თუმცადა, ეს განსხვავება საერთოდ არ მიიღება მხედველობაში მაშინ, როდესაც საკითხის ფორუსირება ხდება ინტენციონალურსა და არაინტენციონალურს შორის განსხვავებაზე. ამდენად, ყველა გარემოება, რაც მძარცველს შეემთხვა ჩამრთველზე ხელის ჩამოკვრიდან მოყოლებული, აქტის განუზრახველი შედეგებია, მხედველობაში ვიდებთ რა იმას, რომ ინდივიდმა არ იცოდა მძარცველის იქ არსებობის შესახებ და, ამდენად, შედეგი შემოიტანა განუზრახველად.

გიდენსის აზრით, მართლაც არსებობს ზოგიერთი აქტი, რომელიც არ შეიძლება განსხორციელდეს აგენტის მიერ მათი განზრახვის გარეშე. თვითმკვლელობა სწორედ ასეთი შემთხვევაა: არ შეიძლება ითქვას, რომ თვითმკვლელობა მოხდა, ვიდრე არ არსებობს თვითდესტრუქციის გარკვეული განზრახვა. ადამიანზე, რომელიც ქუჩას გადაკვეთს და გზაზე მომავალი მანქანის მსხვერპლი გახდება, არ შეიძლება ითქვას, რომ მან “თვითმკვლელობა” ჩაიდინა, თუ ეს მოვლენა შემთხვევითი ხდომილებაა. ეს უფრო ისაა, რაც ხდება ინდივიდის თავს, ვიდრე ის, რასაც ინდივიდი სჩადის. თუმცა, თვითმკვლელობა, გაზრახვებთან

<sup>131</sup> Giddens, Anthony (1976): *New Rules of Sociological Method*. London: Hutchinson/New York: Basic Books.გვ. 76

მიმართებაში, არ არის უმეტესი ადამიანური აქტებისთვის ტიპური. აქტების უმრავლესობას არ ახასიათებს ასეთი თავისებურება. მოქმედებებს აქვთ განუზრახველი შედეგებიც. გიდენსს მოჰყავს მაგალითი: “მშობლიურ ენაზე ჩემი სწორად ლაპარაკისა და წერის ერთ-ერთი რეგულარული შედეგია ინგლისური ენის (როგორც მთლიანის) კვლავწარმოებისათვის ხელშეწყობა. ინგლისურად ჩემი სწორად ლაპარაკი არის განზრახველი; ის ხელშეწყობა, რომელსაც მე ვეწევი ენის კვლავწარმოების მიმართ – განუზრახველი შედეგი”.

სოციოლოგები ადრეც განიხილავდნენ განუზრახველი მოქმედებების ბუნებას. ამ თვალსაზრისით, გიდენსის ყველაზე მეტ სიმპატიას იმსახურებს რობერ მერტონი. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს აშკარა და ლატენტურ ფუნქციებს (manifest functions and latent functions). მერტონი, ერთი მხრივ, საუბრობს “იმ ობიექტურ შედეგებზე, რომლებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი სისტემის რეგულირებასა და შეგუებადობაში და რომლებიც, ამავე დროს, შედიოდნენ სისტემის მონაწილე სუბიექტების განზრახვაში და ცნობიერდებოდნენ მათ მიერ” (აშკარა ფუნქციები), ხოლო, მეორე მხრივ, გამოყოფს იმ ობიექტურ შედეგებს, რომლებიც არ შედიოდნენ სისტემის მონაწილე სუბიექტების განზრახვაში და ხდებოდა მათი გაცნობიერება (ფარული ფუნქციები). მაგალითად მოაქვს ინდიელ ტომებში გავრცელებული წვიმის ცეკვის რიტუალი, რომლის დანიშნულებაა წვიმის გამოწვევა (“აშკარა ფუნქცია”), თუმცა, ამ რიტუალს მოაქვს, აგრეთვა, სოციალური ინტეგრაციის ზრდა, რომელიც სულაც არ არის განზრახველი მონაწილეთა მიერ (“ლატენტური ფუნქცია”)<sup>132</sup>. ამრიგად, რიტუალი “შეიძლება ასრულებდეს ჯგუფის იდენტურობის გაძლიერების ლატენტურ ფუნქციას, იმ განახლებადი ვითარების უზრუნველყოფით, როდესაც ჯგუფის გაფანტული წევრები თავს იყრიან, რათა ჩაერთონ საერთო საქმიანობაში.”

განუზრახველ შედეგებს, უცუკავშირის სახით, შეუძლია სისტემატურად იყოს მომავალი მოქმედებების გაუცნობიერებელი პირობები. ანუ, გიდენსის მიხედვით, მოქმედების განუზრახველი შედეგები ახდენს მომავალი მოქმედების გაცნობიერებული პირობების ფორმირებას.

## სუბიექტურობის დონეები

გიდენსი მიუთითებს ორი ტიპის რეფლექსიაზე: აქტიურსა და პასიურზე. აქტიური რეფლექსია დისკურსული ცნობიერების დონეზე ხორციელდება, რომელიც მსჯელობის და დასაბუთების დონეა. რაც შეეხება პასიურ რეფლექსიას, ამას ახორციელებს პრაქტიკული ცნობიერება, რომელიც ეხება ქცევის რეტინული ფორმების ნაგულისხმევ (tacit), იმპლიციტურ ცოდნას: აქტორი მოქმედებს სტრუქტურის, ე.ო. წესების და რესურსების შესაბამისად ისე, რომ მათზე აქტიურ რეფლექსიას არ ახდენს. საზღვარი დისკურსულ და პრაქტიკულ ცნობიერებას შორის მერყევი და ლია როგორც ინდივიდუალური აგენტის გამოცდილებაში, ასევე სოციალური მოღვაწეობის განსხვავებულ კონტექსტებში, სადაც აქტორთა შორის შედარებებია შესაძლებელი. მათ შორის არ არსებობს რაიმე ისეთი ბარიერი, როგორიც არსებობს არაცნობიერსა და დისკურსულ ცნობიერებას შორის. არაცნობიერი შეიცავს კოგნიციისა და იმპულსურობის ისეთ ფორმებს, რომლებიც ან მთლიანად განდევნილია ცნობიერებიდან, ან ჩნდება ცნობიერებაში მხოლოდ დეფორმირებული სახით.

<sup>132</sup> Merton, R. (1963): ‘Manifest and latent functions’ in Merton Social Theory and Social Structure (Glencoe: Free Press, 1963, გვ. 64-5).

პრაქტიკული ცნობიერება შესაძლებელს ხდის, რომ პრაქტიკული შესრულდეს უშუალო მოტივაციის გარეშე. პრაქტიკული ცნობიერება არსებითად ემსგავსება გარფინკელის ეთნომეთოდოლოგიაში არავერბალური კომუნიკაციის, ფარული კოგნიტური წესრიგის გაგებას. პრაქტიკული ცნობიერების კალაპოტში თავსდება ყოველდღიური ქცევების დიდი ნაწილი (თუ იგივე მაგალითს მივმართავთ: საუბრისას ვიცავთ ენის წესებს, მაგრამ მათ შესახებ აქტიურ ცოდნას არ ვფლობთ). რუტინული ქმედებების (რომლებიც ყოველდღიურობის ძირითადი ნაწილია) რეფლექსური მონიტორინგს ახორციელებს პრაქტიკული ცნობიერება. მოქმედებათა დისკურსულ იდენტიფიკაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც რუტინათა შესრულებას ხვდება წინააღმდეგობა. აქტიური რეფლექსისა და დასაბუთების უნარი (ე.ი.დისკურსული ცნობიერება) მობილიზდება რუტინათა შეწყვეტის, ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, – კრიტიკული მსხვრევის დროს. ეს პროცესი ზოგჯერ წინასწარმეტყველებადია (მაგ., უნივერსიტეტის დამთავრება ან სამსახურიდან გადადგომა), ხოლო ზოგჯერ რუტინატა შეწყვეტა გაუფრთხილებლად ხდება (მაგალითად, სერიოზული დაავადების დროს). ყველა შემთხვევაში, ამ პროცესს, საბოლოო ჯამში, სოციალური ცვლილებები მოაქვს.

ძირითადად პრაქტიკული ცნობიერების საფეხურზე არსებობს, აგრეთვე, ის, რასაც გიდენსი მოქმედების რაციონალიზაციას უწოდებს. ესაა პროცესი, როდესაც აგენტი საკუთარი ქცევის მონიტორინგს ახდენს მისივე განზრახვების (ინტენციების) პოზიციიდან. ინტენციონალობის ცნება გიდენსთან ეხება სუბიექტის ცოდნას ან რწმენას იმისა, რომ განსაზღვრულ პრაქტიკაში აღმოჩნდება კერძო თვისება და მოიტანს გარკვეულ შედეგს. ამ დროს აგენტები ინარჩუნებენ იმის, ხშირ შემთხვევაში, იმპლიციტურ ცოდნას, თუ რისი მიღწევა შეუძლია მათ ქმედებებს სოციალურ ცხოვრებაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოქმედების რაციონალიზაცია უზრუნველყოფს აგენტთა მოქმედებების შედეგების სრულ გათვლას. ასე შემოდის სტრუქტურაციის ოეროიაში განუზრახველი შედეგების ცნება. ეს უკანასკნელი, გიდენსის აღიარებით, კავშირშია რობერტ მერტონის “ლატენტური ფუნქციების” ცნებასთან, რომელიც აღწერს პროცესს, როდესაც ინდივიდთა ერთობლივმა საქმიანობამ, მისი უშუალო მიზნის განხორციელების გარდა, შეიძლება გამოიწვიოს ისეთი შედეგებიც, რაც წინასწარ განზრახველი არ ყოფილა.

განუზრახველი შედეგები, გიდენსის თანახმად, თავის მხრივ, მომავალი მოქმედების ანონიმურ პირობებს წარმოადგენს. მაგალითად, კორექტული ლაპარაკი ან წერა წარმოადგენს განზრახულ რეზულტატს, მაგრამ ის, რომ ამასთან ერთად ვეწევით ენის რეპროდუქციას – განუზრახველი შედეგია, რომელიც, პირუკუ, ყოველი ახალი საუბრის ანონიმური პირობაა. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს “სტრუქტურის დუალურობის” მექანიზმი: მოქმედების შედეგი იქცევა მომავალი მოქმედების პირობად.

ის, რაც მოცემულ ეტაპზე წარმოადგენს მოქმედების განუზრახველ შედეგებს და ანონიმურ პირობებს, გარკვეული ისტორიული დროიდან შეიძლება გახდეს დისკურსულად გაცნობიერებული, როგორც აგენტთა ქცევის მოსალოდნელი შედეგი. ეს პოტენცია უშუალოდ უკავშირდება სოციალური ცვლილებების შესაძლებლობას: აგენტები, რომლებიც ხვდებიან, რომ მათი საქმიანობა ხელს უწყობს სოციალურ ინსტიტუტთა დამთრგუნველი და არასასურველი ქსელის შენარჩუნებას, იწყებენ მიზანმიმართული ზომების გატარებას, რათა შეცვალონ ქცევის რუტინული ფორმები.

გიდენსი განასხვავებს სუბიექტურობის კიდევ ერთ – **არაცნობიერ** დონეს. იგი ადგენს, თუ რატომ მიმართავენ აქტორები პრაქტიკების კვლავწარმოებას ან შეცვლას. ამ დონეზე არ ხორციელდება კონტროლი რეტინათა ყოველდღიურ რეპროდუქციაზე, იგი უზრუნველყოფს ზოგად მოტივაციას, რომელიც გულისხმობს აქტორთა ადრეული ბავშვობიდან წამოსულ არაცნობიერ მოთხოვნილებას იმისა, რომ განიცადონ სოციალური სამყაროს მიმართ სიახლოვე, დაეუფლონ ამ სამყაროს სტაბილურ მახასიათებლებს, გამოიმუშაონ “ონტოლოგიური უსაფრთხოების” განცდა, რათა განთავისუფლდნენ შფორვისაგან და სხვადასხვა არასასიამოვნო სტიმულისაგან.

არაცნობიერი მოტივაცია არის ადამიანური ქცევის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც ძირითადად პრაქტიკული ცნობიერების დონეზე არსებობს. პრაქტიკული ცნობიერების ცნება ფუნდამენტურია სტრუქტურაციის თეორიისათვის. გიდენსი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს არის ადამიანური აგენტის ან სუბიექტის ის მახასიათებლი, რომლის მიმართაც განსაკუთრებით ბრძა იყო სტრუქტურალიზმი<sup>133</sup> და ობიექტივისტური აზროვნების სხვა ტიპები. სოციოლოგიურ ტრადიციაში მხოლოდ ფენომენოლოგიასა და ეთნომეთოდოლოგიაში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ პრაქტიკული ცნობიერების დეტალური და ფაქტი კვლევა.

თუმცა, დისკურსულ და პრაქტიკულ ცნობიერებას შორის განსხვავებას გიდენსი არ მიიჩნევს ხისტად და ურყევად. მათ შორის განსხვავება შეიძლება შეიცვალოს აგენტის სოციალიზაციისა და გამოცდილების ბევრი ასპექტის გათვალისწინებით. დისკურსულ და პრაქტიკულ ცნობიერებას შორის არ არსებობს რაიმე ბარიერი; მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებებია, რაც შეიძლება გამოითქვას და განსაკუთრებით მარტივად შესრულდეს. თუმცა, არსებობს ბარიერები, პრინციპულად ფოკუსირებული რეპრესიაზე, დისკურსულ ცნობიერებასა და არაცნობიერს შორის.

გიდენსს ეს ცნებები (დისკურსული ცნობიერება, პრაქტიკული ცნობიერება, არაცნობიერი მოტივები) შემოაქს ტრადიციული ფსიქოანალიტიკური ტრიადის – ეგო, სუპერ-ეგო და იდი – ნაცვლად<sup>134</sup>.

<sup>133</sup> Giddens, Anthony (1979): *Central Problems in Social Theory: Action, Structure, and Contradiction in Social Analysis* (London: Macmillan/Berkely: University of California Press; თავი 1).

<sup>134</sup> იდი, ეგო, სუპერ-ეგო ფროიდის ფსიქოანალიტიკურ თეორიაში აღნიშნავს ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების სამ დონეს. იდი ინსტინქტური, არაცნობიერი საფეხურია, რომელიც შექსაბამება შიშველ სექსუალურ ენერგიას (“ლიბიდო”). ამ უმიმართულებო სწრაფვას ზღუდავს ეგო, რომელიც, ძირითადად, კოგნიტურ პროცესებს მოიცავს. ეს პროცესები დამცავი მექანიზმებია, რომლებიც შეამავლის როლს ასრულებს იდის ინსტინქტურ სწრაფვასა და სუპერ-ეგოს აკრძალვებს შორის. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ეთიკურ და მორალურ სტანდარტებთან, რომლებსაც ინდივიდი სოციალიზაციის პროცესში ითვისებს როგორც პულტურის მიერ ნაკარნახევ მაქსიმებს.

## თავი VII. პოსტმოდერნული სოციალური თეორია

### შესავალი: პოსტმოდერნიზმი და პოსტმოდერნულობა

როგორც ბევრი თანამედროვე მკვლევარი აღნიშნავს, თუ მკაცრ ტერმინოლოგიურ გამიჯვებს მივმართავთ, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პოსტმოდერნიზმისა და პოსტმოდერნულობის ცნებები. ბ. სმარტი ამ განსხვავებას ასე აღწერს: "ტერმინი პოსტმოდერნიზმი გამოიყენებოდა იმისათვის, რათა შეხებოდნენ ესთეტიკურ, მხატვრულ და არქიტექტურულ სტილებს, ისევე როგორც აზროვნების სტილს... რაც შეეხება პოსტმოდერნულობას, ეს ტერმინი კერძო სოციალური ვითარების, ახალი "სოციალური კონფიგურაციის" აღსანიშნავად გამოიყენებოდა".<sup>135</sup>

მაშასადამე, "პოსტმოდერნულობა" საზოგადოების განვითარებაში განსაზღვრული პერიოდის არსებობაზე მიუთითებს, ხოლო "პოსტმოდერნიზმი" – აზროვნებისა და რეფლექსიის განსაზღვრულ წესზე როგორც ხელოვნებაში, ისე მეცნიერებასა და ფილოსოფიაში. შესაბამისად, პოსტმოდერნული სოციალური თეორია პოსტმოდერნიზმის კონცეფციის ველში უნდა მოვიაზროთ. ამ თვალსაზრისს იზიარებს ჰ. რიტცერი, რომელიც მოითხოვს, რომ ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ პოსტმოდერნულობა და პოსტმოდერნული სოციალური თეორია: "პოსტმოდერნულობა ესაა ახალი ისტორიული ეპოქა, რომელიც აგრძელებს მოდერნულ ერას, ანუ მოდერნულობას. პოსტმოდერნული სოციალური თეორია ესაა პოსტმოდერნულობის შესახებ აზროვნების ახალი გზა. სამყარო იმდენად განსხვავებული ხდება, რომ იგი მოითხოვს აზროვნების სრულიად ახალ გზას".<sup>136</sup>

რა ნიშნები ახასიათებს პოსტმოდერნიზმს, მოდერნიზმის საპირისპიროდ?

ეშირად დაისმის კითხვები: არის თუ არა პოსტმოდერნიზმი მართლაც რადიკალური დაშორება მოდერნიზმისგან, "თუ ის მხოლოდ ამბოხია მოდერნიზმის ფარგლებში, „მაღალი მოდერნიზმის“ განსაზღვრული ფორმების წინააღმდეგ..? არის თუ არა პოსტმოდერნიზმი მართლაც სტილი, თუ მას მხოლოდ უნდა შევხედოთ როგორც პერიოდიზაციის ცნებას (როდესაც კამათი შეიძლება გაიმართოს იმის შესახებ, თუ როდის იწყება იგი – 1950-იან, 1960-იან თუ 1970-იან წლებში)? მართლაც აქვს კი მას რევოლუციური პოტენციალი იმის გამო, რომ უპირისპირდება მეტანარატივების ყოველგვარ ფორმას (მარქსიზმის, ფროიდიზმის, განმანათლებლური გონების ყველა ფორმის ჩათვლით) და მჭიდრო ინტერესს ამჟღავნებს "სხვა სამყაროების" და "სხვა ხმების" მიმართ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მიჩუმათებული იყო (ქალები, პომოსექსუალები, შავკანიანები, კოლონიზებული ადამიანები მათი საკუთარი ისტორიებით)? იქნებ ის მხოლოდ მოდერნიზმის კომერციალიზაცია და მოშინაურებაა – მისი დაყვანაა "ყველაფერი გასაღებადიას" საბაზრო ეკლექტიზმის მიზნამდე? ამდენად, ახდენს თუ არა ის ნეოკონსერვატული პოლიტიკის ინტეგრირებას?"<sup>137</sup>

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სცადა ი. ჰასანმა, რომელმაც სქემატურად წარმოადგინა განსხვავება მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის:<sup>138</sup>

<sup>135</sup>Smart, Barry (2005): Modernity and Postmodernity: Part I. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press; p. 256.

<sup>136</sup>Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 79.

<sup>137</sup>Harvey, David (1999): Postmodernism. In: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 305-6.

<sup>138</sup>Hassan, I. (1985): 'The culture of postmodernism'. In: *Theory, Culture and Society* 2, (3); pp.119-32.

მოდერნიზმი	პოსტმოდერნიზმი
ფორმა (მოწესრიგებული, ჩაკეტილი)	ანტიფორმა (მოუწესრიგებული, დია)
მიზანი	თამაში
დაგეგმვა	შემთხვევა
იქრარქია	ანარქია
ხელოვნების ობიექტი/დასრულებული სამუშაო	პროცესი/პერფორმანსი/ხდომილება
დისტანცია	მონაწილეობა
ქმნა/ტრადიტიუნია/სინთეზი	დეპრეაცია/დეკონსტრუქცია/ანგითეზისი
დასწრება (presence)	არდასწრება (absence)
ცენტრირებული	დისპერსიული
უანრი/საზღვარი	ტექსტი/ინტერტექსტი
პარადიგმა	სინტაგმა
მეტაფორა	მეტონიმი
სიღრმე	ზედაპირი
ინტერპრეტაცია/ანალიზი (reading)	ინტერპრეტაციის საწინააღმდეგო/misreading
აღნიშნული	აღმნიშვნელი
ნარატივი/გრანდისტორია	ანტინარატივი/მცირე ისტორია
ტიპი	მუტანტი
მეტაფიზიკა	ირონია
დეტერმინაცია	ინდეტერმინაცია
ტრანსცენდენცია	იმანენცია

ზოგიერთი ავტორი (B. McHale, 1987) პოსტმოდერნულ ნარატივს უკავშირებს “ეპისტემოლოგიურიდან” “ონტოლოგიურ” ცენტრზე გადანაცვლებას. ესაა პერსპექტივის, ხედვის შეცვლა: ეპისტემოლოგიური ხედვა გულისხმობს კომპლექსური, ერთადერთი რეალობის საზრისის წვდომას, ხოლო ონტოლოგიური პერსპექტივა შესაძლებელს ხდის რადიკალურად განსხვავებული რეალობების თანაარსებობას და ურთიერთშედწევადობას.

ფილოსოფიაში პოსტმოდერნული ტალღის გაჩენა უკავშირდება ამერიკულ პრაგმატიზმს, ფრანგულ პოსტსტრუქტურალიზმს და პოსტმარქიზმს (1960-იანი წლების ბოლოს). ეს ტალღა მიემართებოდა პუმანიზმისა და განმანათლებლური მემკვიდრეობის საპირისპიროდ და გამსჭვალული იყო ღრმა სიძულვილით ნებისმიერი პროექტის მიმართ, რომელიც მოითხოვდა უნივერსალურ პუმანურ ემანსიპაციას ტექნიკის, მეცნიერებისა და გონების ძალაუფლების მობილიზაციის გზით. თუ განმანათლებლური აზროვნების განზრახვას წარმოადგენდა ადამიანის ემანსიპაცია შესაუკუნეების თეოლოგიური ტრადიციის საპირისპიროდ და აღიარება პრინციპისა: “თვითობა (Self) დმერთის გარეშე, მაგრამ გონების ძალაუფლების ხელში” – პოსტმოდერნული პერსპექტივა უარყოფს გონების ძალაუფლებასაც და საყოველთაო ლიბერალური სეკულარიზმის მომხრეა.

საბოლოო ჯამში, პოსტმოდერნიზმს ასე განსაზღვრავენ თანამედროვე ლიტერატურაში:

“პოსტმოდერნიზმი აღნიშნავს აზროვნების თანამედროვე მოძრაობას, რომელიც უარყოფს ტოტალობებს, უნივერსალურ ლირებულებებს, დიად ისტორიულ ნარატივებს, ადამიანური არსებობის ურყევ საფუძვლებს და ობიექტური ცოდნის შესაძლებლობას. პოსტმოდერნიზმი სკეტიკურადაა განწყობილი ჭეშმარიტების, ერთიანობის და პროგრესის მიმართ, ეწინააღმდეგება ელიტიზმს

კულტურაში, იხრება კულტურული რელატივიზმის მიმართულებით და პატივს სცენს პლურალიზმს, არასტაბილურობასა და ჰეტეროგენულობას".<sup>139</sup>

რაც შეეხება პოსტმოდერნულობას, როგორც ითქვა, ის მიუთითებს განსაზღვრულ პერიოდზე საზოგადოების განვითარებაში, რომელიც აგრძელებს მოდერნულ ეპოქას. პოსტმოდერნიზმის მსგავსად, როდესაც "პოსტმოდერნულ ერაზე" საუბრობენ, მხედველობაში ყოველთვის არა აქვთ ფუნდამენტური, ანუ "კულტურული, სოციალური და ეკონომიკური წესრიგის ექსტენსიური პარადიგმატული ცვლილება".<sup>140</sup> საკმარისია ვილაპარაკოთ გარკვეულ კულტურულ ტრანსფორმაციაზე, რომელსაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები სოციალური პრაქტიკებისა და დისკურსის ფორმირებაში, რაც პოსტმოდერნულ გამოცდილებას განასხვავებს მოდერნული პერიოდისაგან.

საზოგადოების პოსტმოდერნულ ტრანსფორმაციას ბევრი ინდიკატორი გააჩნია.. თუ, მაგალითად, არქიტექტურასთან მიმართებაში განვიხილავთ, მოდერნულობის დასასრულს უკავშირებენ 1972 წლის 15 ივლისს, როდესაც სენტ ლუისში 3.32 საათზე ააფეთქეს Pruitt-Igoe-ს სამოსახლო კომპლექსი, როგორც არასაცხოვრებელი გარემო დაბალი შემოსავლის მქონე ხალხისათვის. ეს იყო ამბოხი ხელოვნებაში აბსტრაქტული, ოეორიული და დოქტრინალური იდეალების წინააღმდეგ და პოპულარული, პროვინციული არქიტექტურული გარემოს დაცვა, რომელიც გამიზნულია ჩვეულებრივი ადამიანებისათვის და არა "ზეკაცებისათვის". ახალი (პოსტმოდერნული) არქიტექტურისათვის ყველა აბსტრაქტული ორნამენტი შეუარცხეოფის (დანაშაულის) ტოლფასი იყო, ინდივიდუალობაზე ხაზგასმა სენტიმენტალობა, ხოლო რომანტიზმი – კიჩი.<sup>141</sup> არქიტექტურაში პოსტმოდერნიზმი იმ შენობათა ესთეტიკის აღსანიშნავად გამოიყენეს, რომელიც ასახავდა ისტორიის სხვადასხვა პერიოდიდან აღებული კონკრეტული არქიტექტურული სტილების ეკლექტურ კოლაჟს. იგივე ტენდენცია შეიმჩნეოდა ქალაქდაგეგმარებაში 1960-იანი წლების ბოლოდან. ეს იყო ქალაქის განვითარებისათვის პლურალისტური სტრატეგიის ძიება. ეს სტრატეგია ქალაქს წარმოადგენდა როგორც განსხვავებული სივრცეებისა და კომბინაციების კოლაჟს, რაც უარყოფდა ფუნქციონალურ დაგეგმარებას და მონუმენტურობას. ყველაფერი ეს აღწერდა იმ ნებაზიურ რეაქციას, რომელიც არსებობდა ესთეტიკური მოდერნიზმის კულტურაზე.

საბოლოო ჯამში, ჯ. რიტცერი, ფ. ჯეიმსონზე დაყრდნობით, ასე ახასიათებს პოსტმოდერნულ საზოგადოებას:

"პირველი, პოსტმოდერნულობა სიღრმის არქონე, ზედაპირული სამყაროა. ესაა სიმულაციის სამყარო (მაგალითად, დისენეი ლენდის ჯუნგლებში კვაზიმოგზაურება). მეორე, ესაა სამყარო, რომელიც მოკლებულია აფექტსა და ემოციას. მესამე, ესაა ისტორიაში ვინმეს ადგილის ძიების უსაზრისობა; ძნელდება ერთმანეთისაგან წარსულის, აწმყოსა და მომავლის განსხვავება. მეოთხე, მოდერნულობის ცვალებადი, მზარდი და პროდუქტული ტექნოლოგიების (მაგალითად, საავტომობილო საკონსტრუქციო ხაზების) ნაცვლად პოსტმოდერნულ საზოგადოებაში დომინირებს მოხერხებული, რეპროდუქციული ტექნოლოგიები (მაგალითად, ტელევიზია). ამ და სხვა ნიშნებით, პოსტმოდერნული საზოგადოება ძალზე განსხვავდება მოდერნული საზოგადოებისაგან".<sup>142</sup>

<sup>139</sup> Eagleton, T. (2003): *After Theory*. New York: Basic Books; p. 13.

<sup>140</sup> Huyssens, A. (1984): 'Mapping the post-modern', *New German Critique*, 33, pp. 5-52;

<sup>141</sup> Harvey, David (1999): Postmodernism. In: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 304.

<sup>142</sup> Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 79.

## §1. პოსტმოდერნული სოციალური თეორია

როგორც თანამედროვე მკვლევრები მიუთითებენ, პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელია საყოველთაო და პრინიპული "დედიფენციაცია".<sup>143</sup> კერძოდ, პოსტმოდერნიზმი უგულებელყოფს სხვადასხვა დისციპლინათა ისეთ თანამშრომლობას, რომელიც თითოეულ მათგანს თავის ავტონომიურობას უნარჩუნებს. იგი გვთავაზობს ფილოსოფიიდან, ლიტერატურიდან, სოციოლოგიდან, ფიქტოანალიზიდან, სემიოტიკიდან და ა.შ. მიღებული ცნებებისა და იდების თავისუფალ ნარევს. მეცნიერებათა შორის საზღვრების უარყოფა, ანალიზის მიკრო, მეზო და მაკრო დონეების უარყოფასთან ერთად, ისეთ პროდუქტს ქმნის, რომელიც ცალკე არც ერთი დისციპლინისთვის არაა ადეკვატური. სწორედ ესაა ყოველგვარი სტრატეგიისაგან თავისუფალი დედიფენციაცია, განსხვავებებისა და საზღვრების მოშლა, რაც იწვევს სიტუაციას, სადაც ყველაფერი მისაღებია და სადაც კომპლექსური ფენომენები რედუქციონისტულად აიხსნება ნიშნების, ტექსტების, არაცნობიერის და ა.შ. თვალსაზრისით. ასეთი ქმედებები, მკვლევართა აზრით, გვაძრუნებს დიურკემადელ მცდელობებთან სოციალური მოვლენები ახსნილიყო ინსტინქტების, რასის, კლიმატის ან გეოგრაფიული პირობების თვალსაზრისით. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ დღეს პოსტმოდერნისტები თავიანთ რედუქციონისტულ ახსნებს უფრო მეტად იღებენ ფსიქოანალიზიდან და ლინგვისტიკიდან, ვიდრე ბიოლოგიდან და გეოგრაფიიდან.

ამ ვითარების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ პოსტმოდერნული თეორეტიზაცია ხასიათდება რელატივიზმით, რომელიც ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ნებისმიერი თეორიული კონსტრუქცია იძღვნადება ჭეშმარიტი ან მცდარია, როგორც ნებისმიერი სხვა დანარჩენი. გასაკვირი არაა, აგრეთვე, რომ პოსტმოდერნული თეორია ისტრაფვის შეიძინოს ისეთი სტილი, სადაც სიღრმისეული და არსებითი ანალიზი ჩანაცვლებულია კვაზი-პოეტური ენით, სიტყვათა ამბივალენტური თამაშით. მოვუსმინოთ რას წერს ერთ-ერთი მკვლევარი:

"საზღვარი შხატვრულობასა და მეცნიერულობას შორის რბილდება – პოსტმოდერნული სამყაროს გმირებს წმირად ავიწყდებათ, რომელი სამყაროს წარმომადგენლები არიან და როგორ უნდა მოიქცნენ მათთან მიმართებაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრობლემის დაყვანა მოხდება ავტობიოგრაფიულ პერსპექტივაზე, თავიდან ვერ ავიცილებთ ლაბირინთს (როგორც ბორჩესის ერთ-ერთი გმირი ამბობს): "ვინ ვიყვავი მე? დღევანდელი თვითობა (Self) – მოუწესრიგებელია (აბურდულია), გუშინდელი – დავიწყებული; ხვალინდელი – განუსაზღვრელი".<sup>144</sup>

ასეთ ვითარებაში, სოციოლოგია კარგავს ავტონომიური დისციპლინის სტატუსს და გადაიქცევა ეპლექტურ "სოციალურ თეორიად", რომელიც "კარს უდებს" ნებისმიერ თეორიულ რეფლექსიას. რა ნიშნები გამოარჩევს პოსტმოდერნულ სოციალურ თეორიას?

ინგლისელი მკვლევარი ნ. მოუზელისი პოსტმოდერნული სოციალური თეორიის სამ ძირითად თავისებურებაზე მიუთითებს: ა) ანტიდაფუძნებადობა; ბ) სუბიექტის დეცენტრირება; გ) ემპირიული დადასტურების (რეპრეზენტაციის) უარყოფა.<sup>145</sup>

ა) ანტიდაფუძნებადობა: პოსტმოდერნისტი ავტორები უარყოფენ ყველა თეორიულ ძალისხმევას, რათა მოძებნილ იქნეს უნივერსალური კრიტერიუმი, რომელიც

<sup>143</sup> Mouzelis, Nicolas: *The Poverty of Sociological Theory*. Sociology Vol. 27, #4, November 1993; p. 689.

<sup>144</sup> Harvey, David (1999): Postmodernism. In: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 304-5.

<sup>145</sup> Mouzelis, Nicolas: *The Poverty of Sociological Theory*. Sociology Vol. 27, #4, November 1993; p. 684.

შეძლებდა სოციალური თეორიის უზრუნველყოფას ურყევი საფუძვლებით. ისინი ეპისტემოლოგიური დაფუძნების ნებისმიერ მცდელობას, პრინციპების დადგენის ნებისმიერ ძალისხმევას უტოპიად მიიჩნევენ. ასეთივე უტოპიად თვლიან ნებისმიერ თეორიას, რომელიც ცდილობს, ჩამოაყალიბოს ზოგადი კანონები ან ზოგადი სქემები, რომელიც დაეხმარება საზოგადოების ან სოციალური განვითარების პოლისტურ ახსნას. ისინი ამტკიცებენ, რომ სოციალურის მყიფ, ქაოტური, წარმავალი და წყვეტადი ხასიათის ფონზე, ნებისმიერი სოციალური თეორია სოციალურ სამყაროს თავს ახვევს წესრიგს და სისტემურობას, რაც, სინამდვილეში, მხოლოდ სოციალურ მეცნიერთა გონებაში არსებობს.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ და მთლიანად იქნეს უარყოფილი ყველა პოლისტური მიდგომა. განსხვავება უნდა გატარდეს სუბსტანციურ გენერალიზაციასა და იმ გენერალიზაციას შორის, რომელიც უპირატესად მეთოდოლოგიური ხასიათისაა. ამ უკანასკნელის მიზანია კონცეპტუალური იარაღებით უზრუნველყოფა საინტერესო შეკითხვების დასასმელად და სოციალური სამყაროს ემპირიული კვლევისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. ამ განსხვავების გათვალისწინებით, არაფერია ცუდი იმაში, რომ აგებულ იქნეს პოლისტური კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ჩარჩოები, რომელთა დახმარებითაც ვინმეს შეუძლია გამოიკვლიოს სოციალური მთელის აგების, კვლავწარმოების ან ტრანსფორმაციის საკითხები.

**ბ) სუბიექტის დეცენტრირება:** პოსტმოდერნიზმის მეორე შეტევა მიმართულია სოციალური თეორიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ (ფენომენოლოგიურ და ჰერმენევტიკულ) ტენდენციაზე, რომ სუბიექტი განხილულ იქნება როგორც ნებისმიერი ანალიზის საფუძველი, ანუ სოციალური ფენომენები აისხნას ინდივიდისა და კოლექტიური აქტორების გეგმებისა და სტრატეგიების თვალსაზრისით. ასეთი მიდგომის საპირისპიროდ, პოსტმოდერნიზმი ანალიზის ცენტრში სვამს არა ინდივიდუალურ სუბიექტს, არამედ სოციალურ პრაქტიკებს, რომლებიც გათიშულია მათი შემქმნელი აქტორებისაგან. ეს გამოხატავს თვალსაზრისს, რომ პრაქტიკებს არ ჰყავს ერთი კონკრეტული შემქმნელი, იქნება ეს კლასი, ელიტა თუ ინტერესთა ჯგუფი. სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს, რომ პოსტმოდერნიზმისათვის სოციალურ დანაწესებს არ ჰყავს ავტორი ან არა აქს საბოლოო მიზანი. სოციალური ფენომენები მოკლებულია ზოგად კოჟერენციულობას – ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს მათ სახელმძღვანელო პრინციპებითა და ზოგადი მიზნებით. ამრიგად, თუ თანამედროვე კულტურა გვთავაზობს “ლმერთის სიკვდილს”, პოსტმოდერნიზმი გვთავაზობს “ადამიანის სიკვდილს”, ან, უფრო ზუსტად, “სუბიექტის სიკვდილს”.

**გ) ემპირიული დადასტურების იდეის უარყოფა:** პოსტმოდერნული სოციალური თეორია უარყოფს არა მხოლოდ პოლისტურ თეორიებს, არამედ იგივენაირად უპირისპირება რეპრეზენტაციისა და ემპირიული დადასტურების იდეას. იგი ვერ ეგუება იდეას, რომ სოციალურ თეორიას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეუძლია ან ვალდებულია მოახდინოს “სადღაც იქ” არსებული სოციალური რეალობის რეპრეზენტაცია – რეალობისა, რომელიც სტრუქტურირებულია და მიმდინარეობს დროში, თეორიისაგან დამოუკიდებლად ან თეორიის მხედველობაში მიღების გარეშე. პოსტმოდერნისტებისათვის არ არსებობს არაფერი “გარეთ”, რასაც სოციალური თეორია აღწერდა ან ახსნიდა. არ არსებობს არავითარი დუალიზმი ან რაიმე სახის დისტანცია თეორიასა და ემპირიულ რეალობას შორის. ნებისმიერი სოციალური ფენომენი, პირველ რიგში, სიმბოლური, ანუ, რაც იგივეა, თეორიული კონსტრუქცია. ტრადიციული სოციალური აზროვნება არის მატერიის ნაიგურად მიღების მსხვერპლი. სინამდვილეში, მიკრო და მაკრო ფენომენები სხვა არაფერია,

თუ არა სიმბოლური კონსტრუქციები, რომლებიც მიღებულია იქედან, რომ სოციალური აქტორები, ერთმანეთთან ინტერაქციის პროცესში მუდმივად აგებენ თეორიებს სხვების და, ასევე, საკუთარი თავის შესახებ.

კიდევ ერთი თანამედროვე მკვლევარი ჭ. რიტცერი ასე ახასიათებს პოსტმოდერნულ სოციალურ თეორიას:

"პირველი, პოსტმოდერნისტები უარყოფენ გრანდნარატივებს, რომლითაც ხასიათდება კლასიკური სოციალური თეორიის დადი ნაწილი.<sup>146</sup> ამის ნაცვლად, პოსტმოდერნისტები უპირატესობას ანიჭებენ უფრო შეზღუდულ ინტერპრეტაციებს, ან საერთოდ უარყოფენ ნებისმიერ ახსნას. მეორე, უარიყოფა ტენდენცია იმისა, რომ გაივლოს საზღვრები დისციპლინებს შორის – შენარჩუნებულ იქნეს ის, რასაც სოციოლოგიურ (სოციალურ) თეორიას უწოდებნ, რაც განსხვავდება, ვთქვათ, ფილოსოფიური აზროვნებისაგან, ან თუნდაც, ნოველისტური თხრობისაგან. მესამე, პოსტმოდერნისტები ხშირად უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან მკითხველის შოკირებით ან გაოგნებით, ვიდრე დამუშავებული და საფუძლიანი აკადემიური დისკურსით. და ბოლოს, საზოგადოების ფუნდამენტზე (როგორიცაა, მაგალითად, რაციონალობა, ან კაპიტალისტური ექსპლოატაცია) ფურადლების მიქცევის ნაცვლად, პოსტმოდერნისტები ფოკუსირდებიან საზოგადოების უფრო მეტად პერიფერიულ ასექტებზე".<sup>147</sup>

\* \* \*

სოციალური თეორიის პოსტმოდერნული ინტერპრეტაციის მიმართ ორგვარი დამოკიდებულება არსებობს: სოციოლოგთა ერთი, პოზიტიურად განწყობილი, ნაწილი ფიქრობს, რომ ტრადიციული სოციალური თეორიის პოსტმოდერნულმა კრიტიკამ დაანგრია "მითების" განსაზღვრული რაოდენობა და აიძულა სოციალური თეორების გადაეფასებინათ თავიანთი ზოგიერთი ძირითადი პოსტულატი. თუმცა, მეორე მხრივ, ზოგი სოციოლოგი იმასაც აღიარებს, რომ პოსტმოდერნულ რელატივიზმს და ნიპილიზმს უცილობლად მივყავართ თეორიულ ჩიხამდე, რომელიც უფრო აფერხებს, ვიდრე ეხმარება სოციალური თეორიის პროგრესს. 6. მოუზელისის აზრით, პოსტმოდერნისტების შეტევა ემპირიზმზე გაუმართლებელ უკიდურეს რელატივიზმში ვლინდება. იდეა იმის შესახებ, რომ სოციალური ფენომენები სიმბოლური კონსტრუქციებია და რომ, საბოლოო ჯამში, სოციალური თეორიისათვის არაფერია "გარეთ", რასაც ასახავდა და წარმოადგენდა – აუცილებლობით არ იწვევს თეორიასა და მის ემპირიულ რეფერენტს შორის ნებისმიერი განსხვავების გაუქმებას. კერძოდ, თუ, მაგალითად, ვინმე ჩათვლის, რომ სოციალურ ფენომენებს საფუძვლად უდევს "თეორიები", რომლებიც შექმნილია არაპოფესიონალი ადამიანების მიერ მათი ერთმანეთთან კომუნიკაციის მცდელობისას, მაშინ სოციალური თეორიები უბრალოდ მეორე რიგის თეორიული კონსტრუქციებია – ისინი "თეორიებია თეორიების შესახებ". ეს ფორმულირება არ იწვევს არც რელატივიზმს და არც პოსტმოდერნულ ნიპილიზმს, რაც უარყოფს ემპირიული დადასტურების ნებისმიერ იდეას.

პოსტმოდერნული სოციალური თეორიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები ფრანგი მოაზროვნებია: ჟ. ფ. ლიოთარი. მ. ფუკო, ჟ. ბოდრიარი, ჭ. დერიდა, რ. ბარტი, გ. დელიოზი; აგრეთვე, ამერიკელები: ფ. ჯეიმსონი, რ. რორტი; პოლონური წარმოშობის ბრიტანელი ზ. ბაუმანი და სხვ.

ქვემოთ გადმოცემულია პოსტმოდერნული სოციალური თეორიის ერთ-ერთი კლასიკოსის, უან-ფრანსუა ლიოთარის ნააზრევი.

<sup>146</sup> "პოსტმოდერნული მდგომარეობის" როგორც "გრანდნარატივების კოლაფსის" კონცეფცია გაუთვინის ფრანგ მოაზროვნეს ჟ. ფ. ლიოთარს. ეს კონცეფცია დაწვრილებით იქნება განხილული ამავე თავის §2-ში.

<sup>147</sup> Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA; p. 79.

## §2. ქ. ფ. ლიოთარი: “პოსტმოდერნული მდგომარეობა”

ბიოგრაფიული ცნობები:

ჟან-ფრანსუა ლიოთარი (Jean-François Lyotard) დაიბადა 1924 წელს, საფრანგეთის ქალაქ ვერსალში. 1950 წელს მან მიიღო ხარისხი (agrégé) ფილოსოფიაში და 1950-52 წლებში თავისი კარიერა დაიწყო სკოლის ფილოსოფიის მასტავლებლად ალექსირში, ქ. კონსტანტინეში. 1959 წელს იგი იკავებს პოზიციას პარიზის სორბონის უნივერსიტეტში და შემდგომი 39 წლის მანძილზე ეწვება აკადემიურ და კვლევით მოღვაწეობას საფრანგეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. 12 წლის განმავლობაში (1954-66 წლები) ის აქტიური წევრი იყო მემარცხენე ორიენტაციის რევოლუციური ჯგუფისა, სახელწოდებით "სოციალიზმი ან ბარბარიზმი". 1955 წლიდან ამ ჯგუფის უკურნალის ალექსირელ კომენტატორადაც კი შუშაობდა, ვიდრე ალექსირმა არ გაიმარჯვა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1962 წელს. 1966 წელს ლიოთარი კავშირს წყვეტს ამ ჯგუფთან, ტოვებს სორბონის უნივერსიტეტსაც და გადადის ნანტერის (Nanterre) უნივერსიტეტში, რომელიც 1968 წლის სტუდენტური პროტესტის ცენტრი ხდება. იგი აქტიურად ეხმარება დემონსტრაციების ორგანიზებას და კვლავ განიცდის ფრუსტრაციას მემარცხენეების პასიურობის გამო. 1970 წელს ლიოთარი ტოვებს ნანტერის უნივერსიტეტს და გადადის პარიზ VIII - ვინსენტის უნივერსიტეტში (University of Paris VIII-Vincennes). ერთი წლის შემდეგ იგი ასრულებს სადოქტორო დისერტაციას და აქვეყნებს თავის პირველ ძირითად ფილოსოფიურ ნაშრომს "დისკურსი, ფიგურა". 1979 წელს ლიოთარი აქვეყნებს თავის სახელგანთქმულ წიგნს "პოსტმოდერნული მდგომარეობა: რაპორტი ცოდნის შესახებ" (La Condition postmoderne) – 1979 წ. პოსტმოდერნული აზროვნების დასაწყისად მიაჩნია. 1983 წელს ლიოთარი თანადამფუძნებელი ხდება ფილოსოფიის საერთაშორისო კოლეჯისა (Collège Internationale de Philosophie).

ქ. ფ. ლიოთარი გარდაიცვალა 1998 წელს.

ლიოთარის ძირითადი შრომები:

- დისკურსი, ფიგურა (Discours, Figure) – 1971 წ.
- Économie libidinale – 1974 წ.
- პოსტმოდერნული მდგომარეობა: რაპორტი ცოდნის შესახებ (La Condition postmoderne) – 1979 წ.
- Le Différend – 1983 წ.

ლიოთარი სინინიმური მნიშვნელობით მოიხმარს “პოსტინდუსტრიული საზოგადოების” და “პოსტმოდერნული კულტურის” ცნებებს. საზოგადოებისა და კულტურის ამ ტიპად ტრანსფორმაციას ის უკავშირებს 1950-იანი წლების ბოლოს ევროპაში მომხდარ მნიშვნელოვან ტრანსფორმაციებს, რაც ძირითადად შეეხო ტექნოლოგიურ ცვლილებებს. ამან, თავის მხრივ, სათავე დაუდო ენასთან და კომუნიციასთან დაკავშირებული ახალი პრობლემებისა და თეორიების გაჩენას (კომიუტერული ენისა და თარგმანის პრობლემები, ინფორმაციის შენახვისა და მონაცემთა ბანკის პრობლემები, ინფორმატიკისა და ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და ა.შ.). ტრანსფორმაცია გამოიხატა, აგრეთვე, 1930-60 წლებში კაპიტალიზმის რეორგანიზაციით ლიბერალიზმის მიმართულებით, რამაც ბიძგი მისცა ინდივიდუალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარებას.

### 2.1. "გრანდნარატივების" კოლაფსი

ლიოთარი პოსტმოდერნულობას “გრანდნარატივების კოლაფს” უწოდებს. აი, რას წერს იგი:

"გრანდნარატივებმა დაკარგეს ნდობა. სულერთია, რა ტიპის ნარატივზეა საუბარი – სპეცულაციურ ნარატივზე თუ ემანსიპაციის ნარატივზე".<sup>148</sup>

როგორ შეიძლება დახასიათდეს "გრანდნარატივი" (ლითორატი მას სხვანაირად "მეტანარატივსაც" უწოდებს)? ზიგმუნდ ბაუმანის აზრით, ესაა ნებისმიერი დისკურსი, რომელსაც პრეტენზია აქვს იყოს "სუპრაინდივიდუალური და სუპრაკომუნალური მსაჯული" – უნივერსალური ეტალონი სანიმუშო ცხოვრებისათვის.<sup>149</sup> ესაა დისკურსი, რომელშიც ბატონობს დოსტოევსკისეული აღგორითმი: "თუ ღმერთი არ არსებობს, კულაფერი ჩებადართულია" (ანუ, ამ დისკურსის თანახმად, ღმერთი (როგორც უნივერსალური მსაჯული) არსებობს, ამდენად, დასაშვებია მხოლოდ ის, რაც მისგან მოდის). თუ ამ მიდგომას სოციოლოგიის "ენაზე" ვთარგმნით, "გრანდნარატივის" მაგალითად გამოდგება დიურკემის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ასოციალურია ნებისმიერი ქცევა, რომლის იდენტიფიკაციაც არ ხდება "კოლექტიურ კონსენსუსთან" (ანუ, კოლექტიურ ცნობიერებასთან). კოლექტიური ცნობიერებაა სწორედ დიურკემთან უნივერსალური სტანდარტების წყარო. "გრანდნარატივად" ჩაითვლება ნებისმიერი თეორია, რომელიც საზოგადოების ახსნას ცდილობს ერთი უნივერსალური პრინციპის საფუძველზე, იქნება ეს სოციალური პროგრესის, რევოლუციის, რაციონალიზაციის, ემანსიპაციის, პუმანურობის, აბსოლუტური გონების და ა.შ. პრინციპები.

უნივერსალისტებს სჯერათ, რომ არსებობს ადამიანური "უნდა", რომელიც არაორაზროვანია და ეს არაორაზროვნება აბსოლუტურად სამედო საყრდენია სოციუმის მოწყობისათვის.

მეორე კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაუცეს, ისაა, თუ რატომ გახდა საჭირო "გრანდნარატივების", ანუ უნივერსალური ეტალონების შემოდება? აქ სხვადასხვა პასუხი შეიძლება გაიცეს, მაგრამ მთავარი არგუმენტი ისაა, რომ ამგვარი ეტალონების გარეშე შეუძლებლად თვლიან მორალური და სოციალური წესრიგის დაფუძნებას. საქმე ისაა, რომ წესრიგი მოითხოვს ობიექტურ კრიტერიუმს, ნორმას, რომლისგანაც ყოველგვარი გადახვევა (ანუ, განსხვავება) ქაოსის და დევიაციის მანიშნებელია. მოდერნიზმის სოციალურ თეორიაში განსხვავებულობა გახდა სწორედ დევიაციის სინონიმი.

უნივერსალური სტანდარტების ძიებას ყოველთვის პქონდა პოლიტიკური ფონი. ძალაუფლების მატარებლები ყოველთვის ცდილობდნენ გამოერიცხათ "ამბიგალერტურობა როგორც სოციალური განვითარების საფუძველი" (ზ. ბაუმანი). ესაა კვლავ სხვის, განსხვავებულობის მიმართ შეურიგებლობა. ასეთი პოლიტიკური ფონის პირობებში, ინტელექტუალები ცდილობენ გაამართლონ უალტერნატივობის მოთხოვნა და ამტკიცებენ, რომ სოციალური წესრიგი ისეთია, როგორც უნდა იყოს.

მოდერნულობის იდეოლოგიის კრაი მდგომარეობს სწორედ უნივერსალური და უეჭველი სტანდარტების უარყოფაში, რაც პოსტმოდერნიზმის არსეს შეადგენს. ლითორატი აზრით, ღირებულება დაკარგა მოდერნული ეპოქის ყველა "გრანდნარატივმა": ემანსიპაციამ, რაციონალიზაციამ, პუმანიზმა, პროგრესმა და ა.შ. მოდერნულობა ეს იყო პროექტი, რომლისთვისაც ლიგიტიმაციის მოპოვების საკითხი წინდაწინვე იყო გადაწყვეტილი: სოციალური განვითარებისა და

<sup>148</sup> Lyotard, J-F. (1984). *The postmodern condition: A report on knowledge* (trans. G. Bennington and B. Massumi). Minneapolis: University of Minnesota Press; p. 39.

<sup>149</sup> Bauman, Zygmunt (1999): Postmodernity, or Living with Ambivalence, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers; p. 363.

პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმიზაცია უნდა განხორციელებულიყო კოლექტიური ემანსიპაციისა და ბედნიერების გარანტით. თუმცა, ეს განუხორციელებელი პროექტი აღმოჩნდა. როგორც ა. ელიოტი წერს: “მოდერნიზმის ნარატივები წესრიგის შექმნისა და ქაოსის დამარცხების შესახებ თავად შეირყვნა მოდერნულობის “ბნელი მხარით”. პოლოკოსტით დაწყებული და მონოპოლისტური კაპიტალიზმის კრიზისით დამთავრებული, მოდერნიზმა თავად გაითქვა თავი ძალმომრეობით, სისასტიკითა და აგრესით. მოდერნიზმის ამგვარმა დისკრედიტაციამ შვა ისეთი ატიტუდები როგორიცაა ეჭვი და ამბივალენტურობა, რომლებიც ლიოთარს ცენტრალურად მიაჩნია პოსტმოდერნიზმის მდგომარეობაში შესასვლელად”.<sup>150</sup>

რა ემართება "გრანდნარატივებს" პოსტმოდერნიზმის პირობებში? რითი ხდება მათი ჩანაცვლება? ლიოთარის აზრით, პოსტმოდერნიზმი, უარყოფს რა აბსოლუტურ სტანდარტებს, უნივერსალურ, ზეისტორიულ კატეგორიებს, იხერება ლოკალური, ისტორიულად კონტექსტუალიზებული და პრაგმატიული ტიპის ნარაციისკენ. ასეთი ცოდნა ტოლერანტულია სოციალური დიფერენციაციის, გაურკვევლობის, კონფლიქტების მიმართ. უნივერსალური გონების, რაციონალური ცოდნის და მისით შეიარაღებული სუბიექტის ადგილს იჭერს "მრავალი" გონება, სუბიექტი და ცოდნა, რომლებიც ასახავს განსხვავებულ სოციალურ ლოკაციებს და ისტორიებს. მაშასადამე, ნებისმიერი ნარატივი ესაა მხოლოდ სხვადასხვა (უარავი) სოციალური გამოცდილების (პრაქტიკის) რეპრეზენტაცია და ინტერპრეტაცია.

ლიოთარის ნაზრებში (ისევე როგორც ზოგადად პოსტმოდერნულ სოციალურ თეორიაში) ცენტრალურ ადგილს იჭერს **სუბიექტის დეცენტრირების** იდეა. მოდერნულ მეტანარატივებს შორის ერთ-ერთია – ლოგოცენტრული, რომლის თანახმადაც სუბიექტი ჰუმანისტია და სამყაროს ცენტრში იმყოფება. ასეთი ვერსია სუბიექტს განიხილავს როგორც სუვერენულ, რაციონალურ, ლოგიკურ, კოპერენტულ არსებას, რომელიც ქმნის მოქმედებას და კომუნიკაციურ პრაქტიკებს. ლიოთარი ანგრევს სუბიექტზე ასეთ შეხედულებას: სუბიექტი აღარ განიხილება როგორც მთლიანი, სტაბილური და მოქმედებისთვის მნიშვნელობის მიმცემი. სუბიექტი ლინგვისტური კონსტრუქციაა, იდეოლოგიური ფიქციაა. ენაა ის, რაც აკონსტრუირებს სუბიექტს, ახდენს მის ინტერპრეტაციას. სუბიექტი დანახულია როგორც ის, რაც აიგება ენობრივ დისკურსში ან ფორმირდება სხვადასხვა იდეოლოგიის მიერ. ამიტომ სუბიექტი უნდა ჩანაცვლდეს დისკურსული პრაქტიკებით. ეს პრაქტიკები (შესაბამისად, სუბიექტები) ბევრნაირია – წინააღმდეგობრივი და ირაციონალური.

გრანდნარატივების “კვდომის” პროცესს ლიოთარი სხვანაირად **“დელეგიტიმაციას”** უწოდებს, რაც ყველაზე კარგად ჩანს მეცნიერული ცოდნის მაგალითზე.

## 2.2. მეცნიერული ცოდნის კრიზისი

პოსტმოდერნული კულტურის სპეციფიკას ლიოთარი განიხილავს ცოდნის და, კონკრეტულად, **მეცნიერული ცოდნის** როგორც სპეციფიკური დისკურსის, დელეგიტიმაციის მაგალითზე.

<sup>150</sup> Elliot, Anthony (1999): Introduction, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers. გვ. 25.

ლიონთარი მიიჩნევს, რომ ცოდნის სტატუსი პრინციპულად მოდიფიცირდა პოსტმოდერნიზმის ერაში. როგორც ითქვა, პოსტმოდერნული კულტურა (ან პოსტინდუსტრიული საზოგადოება) განსხვავებულად წყვეტს ცოდნის ლეგიტიმაციის პრობლემას. "გრანდნარატივები" ადარ ჩაითვლება ლეგიტიმურ ცოდნად. შესაბამისად, იცვლება მეცნიერული ცოდნის სტატუსიც. ადრე მეცნიერულ ცოდნას ლეგიტიმაციას ანიჭებდა "გრანდნარატივებთან" მისი "მიმდევობა". კერძოდ, მეცნიერების ლეგიტიმურობა წყდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად ემსახურებოდა ის "გრანდიოზულ" სოციალურ, კუნომიკურ და პოლიტიკურ პრაქტიკებს – ემანსიპაციას, რაციონალიზაციას, შრომის თავისუფლებას, პუმანურობას... პოსტმოდერნულ ერაში მეცნიერება წყვეტს იყოს რაღაც ისეთი, რომელსაც ყოველთვის შეეძლება მოიტანოს თავისუფლება და პეტილდეობა. ირდვევა ძველი კავშირი მეცნიერულ ცოდნასა და "გრანდნარატივებს" (მეტანარატივებს) შორის. ეს იწვევს საერთოდ მეცნიერული ცოდნის ლეგიტიმაციის დაკარგვას.

მეცნიერული ცოდნისთვის ლეგიტიმაციის დაბრუნების ერთ-ერთ გზად მიიჩნევენ ცოდნის "პერფორმაციულობას" (ამ გზას ლიონთარი პრობლემის პოზიტივისტურ გადაწყვეტას უწოდებს). "პერფორმაციულობის" ქვეშ იგულისხმება ინფორმაციის კონტექსტებ, ანუ ლოკალურ რელობაზე კონტროლი. ლიონთარი სხვა გადაწყვეტას ემსრობა: მეცნიერულმა ცოდნამ ლეგიტიმაცია უნდა მოიპოვოს "ლინგვისტურ პრაქტიკასა და კომუნიკაციურ ინტერაქციაში". ეს ნიშნავს, რომ მეცნიერება "თამაშობს" საკუთარ ენობრივ თამაშს, ამატებს და ქმნის ახალ და სპეციფიკურ ენებს (განეტიკური კოდები, პროგრამირების ენა და სხვ.). ეს არ არის უნივერსალური მეტაენა. მეცნიერება თავს ანებებს ემანსიპაციის მიზანს და საკუთარ თავს მიჰყვება, საკუთარ "თამაშს თამაშობს". ეს პოსტმოდერნული თამაშია, რომლის არსი ლინგვისტური კომუნიკაციაა.

მაშასადამე, პოსტმოდერნული ინტერპრეტაცია ამოდის **ენობრივი თამაშების** იდეიდან. ცოდნის ლეგიტიმაციას სწორედ ეს ენობრივი თამაშები ახდენს, რაც ფაქტობრივად დელეგიტიმაციის ტოლფასია, რამდენადაც არსებობს ენობრივი თამაშის უამრავი ფორმა (სხვადასხვა "ენები"), რომელთაც არა აქვთ პრეტენზია რაიმე "ობიექტური" სფეროს მონოპოლიზებაზე. ეს სხვადასხვა შედეგს იწვევს: ჯერ ერთი, მეცნიერულ დისციპლინებს შორის საზღვრები რბილდება, ხდება სხვადასხვა სფეროების გადაფარვა და ახალი ანალიტიკური სივრცეების გაჩენა. მეორე, აზრი ეკარგება მენიერებებს შორის ნებისმიერ იერარქიას. მესამე, მეცნიერება კარგავს ნებისმიერ გარანტიას, იყოს ლეგიტიმური სხვა ენობრივ თამაშებთან შედარებით და უხელმძღვანელოს სოციალურ პროცესებს. მოვუსმინოთ თავად ლიონთარს:

"კლასიკური გამყოფი ხაზები მეცნიერების განსხვავებულ სფეროებს შორის კითხვის ნიშნის ქვეშ დგება – დისკიპლინები უჩინარდება, მეცნიერებებს შორის საზღვრები ფარავს ერთმანეთს და ჩნდება ახალი ტერიტორიები. ცოდნის სპეციალისტური იერარქია ადგილს უთმობს კვლევის არების იმანენტურ და გლუვ ქსელს, რომელთა შორის საზღვრები მუდმივად ცვალებადია. ძველი "ფაკულტეტები" იშლება ყველა ჯურის ინსტიტუტებად და ფონდებად და უნივერსიტეტები კარგავს სპეციალისტური ლეგიტიმაციის ფუნქციას... ასეთი "დელეგიტიმაცია" გზას უსსინის პოსტმოდერნულობას: მეცნიერება საკუთარ თამაშს თამაშობს; ის უუნაროა მოახდინოს სხვა ენობრივი თამაშების ლეგიტიმაცია... მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ის უუნაროა მოახდინოს საკუთარი თავის ლეგიტიმაციაც, როგორც ამას სპეციალისტური ამტკიცებდა"<sup>151</sup>.

<sup>151</sup> Lyotard, J-F. (1984). *The postmodern condition: A report on knowledge* (trans. G. Bennington and B. Massumi). Minneapolis: University of Minnesota Press; pp. 40-41.

და მაინც, როგორია მეცნიერების "ენა" და მეცნიერული კომუნიკაცია?

ლიოთარის მიხედვით, ტექნოლოგიურმა ტრანსფორმაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მეცნიერულ ცოდნაზე, კერძოდ, მის ორ ძირითად ფუნქციაზე – კვლევასა და ტრანსმისიაზე (ცოდნის გადაცემაზე). ტექნიკის მინიატურიზაციამ და კომერციალიზაციამ შეცვალა ცოდნის შეძენისა და მოხმარების გზა, მნიშვნელოვნად გაზარდა ცოდნის ცირკულაციის შესაძლებლობა. მსგავსად იმისა, როგორც სატრანსპორტო სისტემებმა მიაღწია წარმატებას ადამიანთა, ხოლო მედია სისტემებმა – ვიზუალური იმიჯებისა და ხმის ცირკულაციასთან დაკავშირებით.

ტექნოლოგიური ტრანსფორმაციების კონტექსტში მეცნიერული ცოდნის წინაშე დადგა მოთხოვნა: ცოდნა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ოპერაციული, თუ მისი თარგმნა მოხდება **ინფორმაციის ერთეულებში**, ანუ **კომპიუტერის "ენაზე"**. ცოდნის "მწარმოებლები" და გამომყენებლები უნდა დაეუფლონ ასეთი თარგმნის საშუალებებს, და, შესაბამისად, იმის რეცეპტებს, თუ რომელი დებულება ჩაითვლება "ცოდნის" მატარებლად. ის პრინციპი, რომ ცოდნის შეძენა დაკავშირებულია გონების წვრთნასთან – უკვე დრომოჭმულია. ცოდნა არის გაცვლის ობიექტი იმას, ვინც მას "აწარმოებს" და იმას შორის, ვინც მას მოიხმარს. ცოდნა იქცა ინფორმაციულ საქონლად. პოსტინდუსტრიულ ხანაში იგი ძირითადი მწარმოებლური ძალად, და, შესაბამისად, ძალაუფლების მწარმოებელიც (მთავარი "მოთამაშე" ძალაუფლებისათვის ბრძოლაში). ლიოთარის აზრით, ერო-სახელმწიფოები ისევე დაიწყებენ ბრძოლას ინფორმაციის კონტროლისათვის, როგორც წარსულში იბრძოდნენ ტერიტორიების, ნედლი მასალებისა და იაფი მუშახელისათვის.

თუმცა, ამას მეორე ასპექტიც აქვს: ცოდნის წარმოება და გადაცემა აღარ არის ერო-სახელმწიფოების პრივილეგია. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ინფორმაციული მესიჯები ხელმისაწვდომი ხდება დამუშავებისათვის. კომუნიკაციური "გამჭვირვალობა" ცოდნის კომერციალიზაციის თანმდევია. ამდენად, სახელმწიფოს (როგორც ჩაქეტილი საზღვრების მქონეს) ფუნქცია ბუნდოვანი ხდება. ცოდნის ცირკულაცია ისევე არღვევს ნაციონალური სახელმწიფოების საზღვრებს, როგორც ეკონომიკური კაპიტალის ცირკულაცია ტრანსნაციონალური კორპორაციების ფარგლებში. ცოდნა ხდება არა ერო-სახელმწიფოს, არამედ უფრო ფართო კორპორაციის – **სამოქალაქო საზოგადოების საკუთრება**.

რა ემართება ასეთ შემთხვევაში სოციალურ სუბიექტს? როგორც ლიოთარი ამტკიცებს, ის ქრება ენობრივი თამაშების დიფუზიაში. სოციალური კავშირი მხოლოდ ლინგვისტურია, თუმცა, არ არის დაკავშირებული არც ერთ ცალკეულ მიმართულებასთან. სოციალური ინტერაქცია ფაბრიკაა, რომელიც ფორმირებულია სხვადასხვა ლინგვისტური თამაშის ქსელისაგან. თითოეული თამაში განსხვავებულ წესებს მიჰყება. ლინგვისტური თამაშების, ე.ი. ენების რაოდენობა სულ უფრო იზრდება. მე-20 საუკუნის ბოლოს, მაგალითად, ლინგვისტურ ქსელს დაემატა მანქანური ენა, თამაშის თეორიის მატრიცები, მუსიკალური ხოტაციის ახალი სისტემები, ლოგიკის არადენოტაციური ფორმები (ტექნიკურალური ლოგიკა, დეონტური ლოგიკა, მოდალური ლოგიკა), განეტიკური კოდის ენა და ა.შ. ლიოთარი ამ შემთხვევაში თავს ვიტგენშტაინის თანამზრახელად განიხილავს.

თუ ყველა ლაპარაკობს თავის ენაზე, თუ არ არსებობს არანაირი უნივერსალური მეტაენა, მაშინ ხომ არ ქმნის ეს პესიმიზმის საფუძველს? ლიოთარი თვლის, რომ ადამიანთა უმრავლესობამ დაკარგა "გრანდნარატივების" მიმართ ნოსტალგია. მეცნიერების დელეგიტიმაციას არ უნდა შევხედოთ პესიმისტურად (როგორც ეს ვიტგენშტაინს და "ვენის წრეს" დაემართა მე-20 საუკუნის დასაწყისში). იმას, რომ ცოდნის ლეგიტიმაცია შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ლინგვისტურ პრაქტიკას და კომუნიკაციურ ინტერაქციას, არავითარ შემთხვევაში არ მოსდევს არაცივილური პირობების ტყვეობაში მოქცევა. პოსტმოდერნული კულტურა გარკვეული სპეკულაციური თამაშია, რომელსაც წესების თავისი სისტემა აქვს. ლიოთარს მოჰყავს მაგალითი: ავიღოთ ასეთი სპეკულაციური დებულება: "მეცნიერული დებულება ცოდნად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შემოქმედების უნივერსალურ პროცესში". ჩნდება კითხვა: არის თუ არა ეს დებულება ცოდნა როგორც ის მას თავად განსაზღვრავს? აქ მხოლოდ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი შემოქმედებითი პროცესი (სულის ცხოვრება) არსებობს და რომ ეს დებულება თავად არის ამ პროცესის გამოხატვა. ასეთი ვარაუდი აუცილებელია სპეკულაციური ენობრივი თამაშისათვის. ამის გარეშე მეცნიერების ენა არ იქნებოდა ლეგიტიმური.

## ციტირებული ლიტერატურა

1. დიურქემი, ემილ (2001): *სოციოლოგიური ძეთობის წესები*. თბილისი, “იმანე პეტრიშვილი” გამოძებელი.
  2. კაჭკაჭიშვილი, ი. (2001): *სოციალური მოქმედების თეორიები*. თბილისი, გეცხიერება.
  3. ჯოდუა, ე. (1998): *სოციოლოგია*. ბაკვეთი I, თბილისი, თეჯ.
  4. Боксова, А.: *От общественной мысли к социологической теории*; в книге: Современная Социологическая Теория; Москва, 1961.
  5. Вебер, М. (1990): Протестантская Этика и Дух Капитализма, в книге: М. Вебер, *Избранные Произведения*. Москва, Прогресс.
  6. Вебер, М. (1990): Основные Социологические Понятия, в книге: М. Вебер, *Избранные Произведения*. Москва, Прогресс.
  7. Зиммель, Г. (1996): *Общение*; в книге: Г. Зиммель: Избранное. Москва. Юрист
  8. Мертон, Р., Социальная структура и аномия. Соц. исс., 1992, №2,3,4.
  9. Парсонс, Талкот (1996): Система Координат Действия и Общая Теория Систем Действия. В книге: *Американская Социологическая Мысль*, Москва, МУБУ.
  10. Парсонс, Талкот (2000): Структура Социального Действия. В книге: *О Структуре Социального Действия*, Москва, Академический Проект.
  11. Парсонс, Т., *Система Координат Действия и Общая Теория Систем Действия: Культура, Личность И Место Социальных Систем*. В книге: *Американская Социологическая Мысль*. Москва, 1996.
  12. Ритцер, Джордж (2002): *Современные Социологические Теории* (5-е издание). СПБ.: Питер Питер.
  13. Смелзер, Н. (1998): Социология; Москва. ФЕНИКС.
  14. Сорокин, П. (1992): *Человек, цивилизация, общество*. Москва, ИПЛ
  15. Bauman, Zygmunt (1999): Postmodernity, or Living with Ambivalence, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers.
  16. Blumer, H. (1969): *Symbolic interactionism: perspective and method*, Englewood Cliffs, Prentice-Hall.
  17. Bourdieu, Pierre, and Wacquant, Loic J. D. (1992): *An Invitation to Reflexive Sociology*. Cambridge: Polity Press.
  18. Bourdieu, Pierre (1990): *In Other Words: essays toward a reflexive sociology*, trans. M. Adamson. Cambridge: Polity; Stanford: Stanford University Press.
  19. Bourdieu, Pierre (1984): *Distinction: A Social Critique of the Judgement of Taste*. London: Routledge.
  20. Bourdieu, Pierre (1977): *Outline of a Theory of Practice*. Cambridge: Cambridge University Press.
  21. Comte, Auguste (1855): *The Positive Philosophy of Auguste Comte*. New York: Calvin Blanchard.
  22. Comte, Auguste (1968): *System of Positive Polity*, Vol. 3. New York: Burt Franklin.
  23. Coser, Lewis (1977): *Masters of Sociological Thought*. 2<sup>nd</sup> ed. New York: Harcourt Brace Jovanovich.
  24. Delanty, Gerard (2005) ‘Modernity and Postmodernity: Part II’, *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.
  25. Durkheim, Emil (1982): *The Rules of Sociological Method*. London: Macmillan.
  26. Durkheim, Emile (1964): *The Division of Labor in Society*. New York: Free Press.
  27. Eagleton, T. (2003): *After Theory*. New York: Basic Books.
  28. Elliot, Anthony (1999): Introduction, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers.
  29. Elliot, Antony: Psychoanalytic Social Theory. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.

30. Elster, Jon (1983): *Explaining Technical Change*. Cambridge: Cambridge University Press.
31. Frisby, David (1992): *Simmel and Since: Essays on Georg Simmel's Social Theory*. London: Routledge.
32. Garfinkel, Harold (1967): *Studies in Ethnomethodology*. Englewood Cliffs, NJ: Prentice- Hall.
33. Giddens, Anthony (1979): *Central Problems in Social Theory: Action, Structure, and Contradiction in Social Analysis* (London: Macmillan/Berkely: University of California Press.
34. Giddens, Anthony (1976): *New Rules of Sociological Method*. London: Hutchinson/New York: Basic Books.
35. Harvey, David (1999): Postmodernism. In: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers.
36. Harrington, Austin (2005): Introduction. What is Social Theory? In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.
37. Hassan, I. (1985): 'The culture of postmodernism'. In: *Theory, Culture and Society* 2, (3).
38. Huyssens, A. (1984): 'Mapping the post-modern', *New German Critique*, 33.
39. Holmwood, John (2005): Functionalism and its Critics. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.
40. King, Anthony (2005): Structure and Agency. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.
41. Lawson, T. and Garrod, J. (1996): *The complete A-Z Sociology Handbook*. Hodder & Stoughton.
42. Luhmann, Niklas (1999): The Concept of Society, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers.
43. Luhmann, Niklas (1994) "'What Is The Case" and "What Lies Behind It?" The Two Sociologies and The Theory of Society', in *Sociological Theory* Vol.12, No. 2.
44. Luhmann, Niklas (1999): The Concept of Society, in: Anthony Elliot (ed.) *Contemporary Social Theory*, Blackwell Publishers.
45. Lyotard, J-F. (1984). *The postmodern condition: A report on knowledge* (trans. G. Bennington and B. Massumi). Minneapolis: University of Minnesota Press.
46. Marx, K. (1975): 'Prefece to A Contribution to the Critique of Political Economy', in: Early Writings, trans. R. Livingstone and G. Benton, repr. London:Penguin.
47. Marx, K. and Engels, F. (1964): *The German Ideology*, repr. London: Lawrence and Wishart.
48. McHale, B. (1987): *Postmodernist Fiction*. London.
49. Merton, Robert (1968): *Social Theory and Social Structure*. New York: Free Press.
50. Merton, R. (1963): 'Manifest and latent functions' in: Merton *Social Theory and Social Structure*. Glencoe: Free Press.
51. Mouzelis, Nicolas: *The Poverty of Sociological Theory*. Sociology Vol. 27, #4, November 1993.
52. Outhwaite, William (2005): Interpretivism and Interactionism. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.
53. Poggi, Gianfranco (2005): 'Classical Social Theory, III: Max Weber and Georg Simmel', in: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.
54. Parsons, Talcott (1937): *The Stucture of Social Action: A Study in Social Theory with Special Reference to a Group of Recent European Writers*. New York: McGraw-Hill.
55. Ritzer, George (2000): *Classical Sociological Theory*, 3<sup>rd</sup> edition. McGraw-Hill Company, USA.
56. Siedman, E. (1977): "Why not qualitative analysis", *Public Management Forum*, July/August.
57. Smart, Barry (2005): Modernity and Postmodernity: Part I. In: *Modern Social Theory* (edited by Austin Harrington), Oxford University Press.

58. Simmel, Georg (1971): ‘The Stranger’. In D. Levine (ed.), *Georg Simmel*. Chicago: University of Chicago Press.
59. Simmel, Georg (1950): The Significance of Numbers in Social Life. In K. H. Wolff (ed.), *The Sociology of Georg Simmel*. New York: Free Press.
60. Simmel, Georg (1959): ‘The problem of Sociology’. In K. Wolff (ed.), *Essays in Sociology, Philosophy and Aesthetics*. New York: Harper Torchbooks.
61. Spencer, Herbert (1908): *The Principles of Sociology*, Vol. 1. New York: Appleton.
62. Spencer, Herbert (1908): *The Principles of Sociology*, Vol. 3. New York: Appleton.
63. Spencer, Herbert (1958): *First Principles*. New York: DeWitt Revolving Fund.
64. Sztompka, P. (1994): Evolving Focus on Human Agency in Contemporary Social Theory. In: P.Sztompka (ed.) *Agency and Structure, Reorienting Social Theory*. Gordon and Breach.
65. Talcott, Parsons (1951): *The Social System*. New York: Free Press.
66. Weber, Max (1949): *The Methodology of the Social Sciences*, Edward Shils and Henry Finch (eds.) New York: Free Press.
67. Weber, M. (1968): *Economy and society: An Outline of Interpretive Sociology*, eds. G. Roth and C. Wittich. New York: Bedminster.